

K $\frac{231.662}{3}$

საღირაშვილი



**ქართული საბავშვო
მწერლობა
(XIX ს)**

ნათელა საღირაშვილი



**ქართული საბავშვო
მწერლობა
(XIX ს)**

თბილისი

1998

რეცენზენტები:

მანანა ბარათაშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,
უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

მარინე ნახუცრიშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,
უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

სსიპ-2000
შეგთმობა

საქართველოს
ი რ ო ვ ნ უ ლ ი
ბ ი ბ ლ ი ო თ ე ტ ა



შესავალი

ყოველ განვითარებულ ერს აქვს თავისი საკუთარი საბავშვო მწერლობა. უამისოდ მისი კულტურა მოჩვენებითი და უსაფუძვლოა. იაკობ გოგებაშვილი წერდა: "საყმაწვილო ლიტერატურას დიდი მნიშვნელობა აქვს ერის ცხოვრებაში, მის წარმატებაში. ეს არის საუკეთესო საძირკველი, რომელზედაც შენდება მთელი ლიტერატურა და მეცნიერება ხალხისა".

როგორც აღნიშნავენ, მსოფლიოში ყველაზე ძველია ჩინეთის საბავშვო მწერლობა. ძველი წელთაღრიცხვის დაახლოებით VI საუკუნეში კონფუცს გამოუქვეყნებია წიგნი "ში კინგ", რომელშიც შეუტანია ხალხური თქმულებები, ლეგენდები, საგალობლები, ჰიმნები... კონფუცის მთავარი თემაა "ჟენი" /სიკეთე/ და "ლი", — უმაღლესი ზნეობრივი კანონი, როგორც "ჟენის" კონკრეტული სახე. შემდეგ საუკუნეებში საბავშვო ლიტერატურა თანდათან ცალკე დარგად ჩამოყალიბდა.

რუსეთში საბავშვო ლიტერატურას საფუძველი ჩაეყარა XIX საუკუნის დასაწყისში. პატრიოტული სულისკვეთებითა და მხატვრული თვალსაზრისით გამოირჩევა არამარტო ვ.ჟუკოვსკის, ალ.პუშკინის, ნ.ნეკრასოვის, მის.ღერმონტოვის, ან.ჩეხოვის, მაქსიმ გორკის შემოქმედება, არამედ აგრეთვე თანამედროვე მწერლობის საბავშვო თხზულებებიც. დიდი ამაგი დასდო მის განვითარებას აგნია ბარტომ, კორნეი ჩუკოვსკიმ, სერგეი ძახალკოვმა და სხვებმა.

ქართული საბავშვო დამწერლობითი ლიტერატურა განსაკუთრებით გამოცოცხლდა XIX საუკუნის 80-იან წლებში. ამ დროისათვის იგი უკვე პასუხობდა ყველა იმ მოთხოვნას, რაც საბავშვო მწერლობის მსოფლიო სტანდარტებს აკმაყოფილებდა.

პროფესიონალური საბავშვო ლიტერატურის განვითარებამდე ამ დარგში თავისი დიდი წვლილი შექმნდა ხალხურ სიტყვიერებასა და გამოჩენილ მწერალთა ნაწარმოებებიდან ამოღებულ ცალკეულ ნაწყვეტებს.

ზეპირსიტყვიერება საუკუნეების მანძილზე სხვადასხვა თაობის მასაზრდოებელ წყაროს წარმოადგენდა. ხალხური ლექსები, სიმღერები, ზღაპრები, გამოცანები ყველა ასაკის ბავშვისათვის ერთნაირად

მისაწვდომი და გამოსადეგი იყო, რადგან მთსრობელის თავისუფლება, მისი უკიდევანო ფანტაზია ფართო ასპარეზს შლიდა მსმენელთა წინაშე. იმპროვიზაციის შედეგად იქმნებოდა სხვადასხვა გარიანტული სახეობა და ზოგჯერ სრულიად ახალი ნაწარმოებიც: "ფოლკლორი უკვდავია, - წერდა მაქსიმ გორკი, - და იგი წიგნიერი ლიტერატურის წინაპარიაო". მასში თავიდანვეა ჩადებული ყველა ის ნიშანი, რაც შემდგომში საბავშვო მწერლობისათვის ნიშანდობლივ თვისებად იქცა: გასართობი კილო, მსუბუქი იუმორი, ადვილად ასათვისებელი ფორმა და სიუჟეტის სიმარტივე.

ხალხური სიტყვიერების ზოგიერთ ნიმუშს უფროსები ასრულებენ პატარებისათვის, ზოგი კი უშუალოდ ბავშვების შემოქმედებაა. დიდების შესასრულებლადაა გამიზნული ე.წ. აკვნის სიმღერები, ზღაპრები, გამოცანები და სხვ.

აკვნის სიმღერებს "ნანას" ან "იანანას" უწოდებენ. მისი დანიშნულებაა ბავშვის დაძინება, მაგრამ ტექსტში ჩაქსოვილია ზნეობრივი აღზრდის შემცველი მოტივები, რითაც ყრობიდანვე უნერგავენ პატარას სამშობლოს სიყვარულს, გმირობასა და კეთილშობილებას, სიბრძნესა და გონიერებას. თავდაპირველად "იანანა" განკუთვნილი იყო ინფექციური დაავადების - "ბატონების" გულის მოსაგებად. სახადთან დაკავშირებულ სიმღერებს ჰქონდა მხიარული კილო, რათა არ გაენაწყენებინათ "ბატონები" და ავადმყოფი იოლად გადარჩენილიყო. უფროსები შლიდნენ ტკბილეულობის სუფრას, გამოფენდნენ სამხიარულო ფერებს და ჩონგურზე ან გიტარაზე ტკბილად ღუღუნებდნენ. თანდათან სახადთან დაკავშირებული ლექსებიც "აკვნის სიმღერებად" იქცა.

ასევე უფროსების რებერტუარში შედის საღალათ და შესაქცევარი ლექსები. იგი მცირეწლოვან ბავშვთა გასართობად იქმნება და ხელს უწყობს ჩვილი ბავშვის თავშექცევას, როცა პატარები დამოუკიდებელი თამაშის უნარს მოკლებულნი არიან. ხელებისა და ფეხების მოძრაობით, სხვადასხვა ნაკვთების ამოქმედებით სრულდება ისეთი ლექსები, როგორიცაა: "ბოლია, ბოლია", "ყვა, ყვა", "აჩუ, აჩუ, ცხენო", "იწილო-ბიწილო" და სხვ. იგი მოტივირებულია გარკვეული პრაქტიკული მიზანდასახულობით, რაც მას შემეცნებით ღირებულებასაც ანიჭებს.

ხალხური ლექსები და სიმღერები გმირ წინაპრებზე, სახელოვან მამულიშვილებზე, ოქში დაღუპულ გმირებზე დიდების მეშვეობით

ბავშვთა რეპერტუარშიც ინაცვლებს. პატარები ზეპირად იმან-სოგრებენ ლექსებს ვახტანგ გორგასალზე, თამარ მეფეზე, ერეკლე მეორესა თუ ხალხის წიაღიდან გამოსულ არსენა ოძელაშვილსა და ზეზვა გაფრინდაულზე.

ბავშვებს დიდი მიდრეკილება აქვთ საენისა და მოვლენის გაზვიადებულად წარმოდგენისაკენ. იზიდავთ დაუჯერებელი, ფანტასტიკური სამყარო თავისი მრავალფეროვანი წარმომადგენლებით, ილუზიური გარემოთი. სავანთა შებრუნებული კორდინაციის გზით მათ რეალური სამყაროს შესახებ ექმნებათ სწორი წარმოდგენა. ამიტომ განსაკუთრებულად უყვართ ზღაპრები, სადაც მზეჭაბუკები ურჩხულებს ამარცხებენ, მზეთუნახავები დიდი გაჭირვების შემდეგ ბედნიერებას აღწევენ, სადაც ნატურისთვალთა, მფრინავი ხალიჩა და კიდევ უამრავი საოცნებო სავანი. თაობიდან თაობაზე გადადის საოცარი ძაღლისა და შთაგონების მქონე ზღაპრები "წიქარა", "ასფურცელა", "ამირანი", "კომბლე" და სხვა მრავალი.

ხალხური სიტყვიერება მდიდარია თვით ბავშვების მიერ შექმნილი ლექსებითაც: საგინგლოთ და გამოსაჯაგრებელი, გათვლა-თამაშობები და სხვ. სწორად გარკვეულ რიტმზე აგებული უაზრო სიტყვების გართიმვა ხდება, რომელიც თამაშის დაწყებას უსწრებს წინ. თვით თამაშობა ზოგი ტრადიციულია, ზოგი ბავშვების იმპროვიზაციით იქმნება. ამან ერთგვარი ასახვა ჰპოვა აკაკის "ჩემს თავგადასავალში", სადაც მრავალი თამაში ეროვნული თვალსაზრისითაა წარმოდგენილი და საქართველოს ანალოგიური ყოფის ანარეკლს წარმოადგენს. მართალია, ბავშვი თამაშს გართობის მიზნით იწყებს, გაუაზრებლად ასრულებს დავალებას, მხოლოდ შემდეგ ხდება გონების თვალთ მისი დანახვა, შეფასება და გაანალიზება.

როგორც აღვნიშნეთ, გარდა ხალხური სიტყვიერებისა, მოზარდთა ცნობისწაღილს აკამყოფილებდა აგრეთვე დიდებისათვის განკუთვნილი თსზულებებიდან ცალკეული ადგილებისა და ეპიზოდების კითხვა და დაწებირება. საუკუნეების მანძილზე "ბიბლიიდან" ამოღებული მოთხრობები ასაზრდოებდა და სულიერად ზვეწდა მომავალ თაობას. "ვეფხისტყაოსანი" არავის ჩაუთვლია საბავშვო თსზულებად, მაგრამ თითქმის ყველა ქართველმა მოზარდმა იცოდა ტარიელის საგმირო ამბები, ავთანდილის ნადირობა, მეკობრეების დამარცხება, ქაჯეთის ციხის აღება და სხვ. ასევე გაითავისეს ბავშვებმა სულხან-საბას ივაგარაკები, არჩილისა და დავით გურამიშვილის დიდაქტიკა,

გრ.ორბელიანის, ნ.ბარათაშვილის და სხვათა ღრმაიდეური, მაგრამ ადვილად ასათვისებელი ლექსები.

თანდათანობით საბავშვო მწერლობა გამოეყო მონადილე-ბისათვის შექმნილ ლიტერატურას და თავისი სპეციფიკური ნაშნები შეიძინა.

საბავშვო თხზულებისათვის ნიშანდობლივია მოქმედებათა დინამიკურობა, ამბების სწრაფი მონაცვლეობა, ერთი მომენტიდან მეორეზე გადასვლის შეუნელებელი ტემპი.

საბავშვო ლიტერატურა უნდა იყოს დაწერილი დასვეწილი და ლაკონიური ენით. აზრის სხარტად გამოთქმა მოითხოვს სიტყვასა და ფრაზაზე მუშაობას. ზედმეტსიტყვაობით გადატვირთულ ზღაპარსაც კი მსმენელი ბოლომდე არ შერჩება. ამადლებული მჭკრმეტყველური თხრობა, ვრძელი, თუნდაც მხატვრული წინადადებები ბავშვის ფსიქიკაზე სასიკეთოდ ვერ იმოქმედებს და მოსაწყენ ამბად იქცევა. საყმაწვილო ნაწარმოები უნდა აღვიძებდეს გრძნობებს, ემოციურად უნდა მოქმედებდეს და ესთეტიკურ ტკბობას იწვევდეს. ბესარიონ ბელინსკი წერდა: "საყმაწვილო ლიტერატურამ უნდა იმოქმედოს ბავშვის გრძნობაზე. გრძნობა წინ უნდა უსწრებდეს ცოდნას. ვისაც ჭკუშმარიტება არ უგრძნია, მას იგი არც გაუგია და არც შეუცნია". ამიტომ ამბავი უნდა იყოს საინტერესო და თხრობა მიმზიდველი.

საბავშვო ნაწარმოები შეფერილი უნდა იყოს მსუბუქი იუმორით. თვით საშინელი ცხოველებიც კი, როგორებიცაა: მგელი, დათვი, გომბეშო, ძელა, მოზარდში შიშს კი არ უნდა იწვევდეს, არამედ ერთგვარ ირონიულ ღიმილს, იმის იმედს, რომ იგი მაინც დაძარცვდება, ბოროტს კეთილი აუცილებლად დასძლევეს. ეს უკანასკნელი ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია საბავშვო ლიტერატურაში. თუ საძარცვალმა არ გაიძარჯვა, ბატარა ამ ნაწარმოებს მეორედ აღარ მოისმენს და აღარც ვაეკარება. ეს საკითხი ბრწყინვალედ არის გადაჭრილი ხალხურ სიტყვიერებაში. დაშვერლობითი ლიტერატურა ზოგჯერ მეტ ამოცანას ისახავს მიზნად და ცხოვრებისეული პრობლემების წინაშე აყენებს მოზარდ თაობასაც.

იაკობ გოგებაშვილმა, რომელმაც განუზომელი ამაგი დასდო საყმაწვილო ლიტერატურას, საბავშვო თხზულებას სამგვარი ფუნქცია დააკისრა: 1. მოზარდში გენეტიკურად არსებული დადებითი თვისებების ამოწვევა და განვითარება; 2. ბავშვის ახლებურად აღზრდა, როცა მასში გენეტიკურად არ არის მოცემული დადებითი მხარეები და

3. მოზარდში ცუდი, უსეში თვისებების აღმოფხვრა და სანიმუშო მაგალითების ჩვენებით მისი გადახრა პოზიტიური მიმართულებით.

საბავშვო ლიტერატურას მჭიდროდ დაუკავშირდა როგორც ეროვნულ-პატრიოტული, ისე დიდაქტიკური მოტივი. ყოველივე ამას საფუძვლად დაედო უნებორივი აღზრდის პრინციპები: ამ საქმეში თავისი ფასდაუდებელი ღვაწლი შეჰქონდათ იაკობ გოგებაშვილს, ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, ვაჟა-ფშაველას, რაფიელ ერისთავს, ნიკო ლომთურს, სოფრომ მაგლობლიშვილს, ეკატერინე ვაბაშვილს და სხვებს. ეს მწერლები აქტიურად თანამშრომლობდნენ საბავშვო ჟურნალ-გაზეთებში, სადაც ათავსებდნენ ბავშვებისათვის განკუთვნილ თავიანთ თხზულებებს. ისინი წინამორბედნი გახდნენ პროფესიონალი საყმაწვილო მწერლებისა, რომლებმაც თავის ძირითად მოწოდებად დასახეს საბავშვო ლიტერატურაში მოღვაწეობა. XIX საუკუნის მიწურულს უკვე გამოჩნდა მთელი პლეადა ამგვარი მოღვაწეებისა: შიო მღვიმელი, თედო რაზიკაშვილი, გიორგი ქუნიშვილი, ილია სიხარულიძე, ნინო ნაკაშიძე, ანა ხახუტაშვილი და სხვები¹, რომლებმაც გაამდიდრეს საბავშვო ლიტერატურის საგანძური, მძლავრი ბიძგი მისცეს თანამედროვე საბავშვო მწერლობის განვითარებას.

¹ ამ მწერალთა შემოქმედებას წინამდებარე წიგნში არ შეგვხვებით.

იაკობ გოგებაშვილი

(1840–1912)



XIX საუკუნის II ნახევრის ქართული საბავშვო ლიტერატურის ჩამოყალიბება, თეორიული საფუძვლების მომზადება და განვითარება უშუალოდ და დაკავშირებული იაკობ გოგებაშვილის სახელთან. იგი იყო არამარტო დიდი პედაგოგი, არაშედ დიდი დიდაქტიკოსი მწერალიც, ამ დარგის პროპაგანდისტი და ესთეტიკური შეხედულებების ფუძემდებელი.

იაკობ გოგებაშვილის საბავშვო მოთხრობები გამოირჩევა აქტიური თემატიკურ-იდეური თვალსაზრისითა და მხატვრული გამოსახვის მაღალი ოსტატობით. საყმაწვილო ლიტერატურის შემეცნებით-აღმზრდელობით მნიშვნელობას იგი არაერთ გამოსვლასა თუ წერილში უსვამდა ხაზს და საზოგადოებას თვალნათლივ უჩვენებდა საბავშვო მწერლობის როლს ქვეყნის კულტურული და ზნეობრივი აღმაშენების საქმეში. იგი წერდა: "გონებითი მოძრაობა ერისა ქვიშაზეა აშენებული, თუ იგი ღარიბია საყრდნო ნაწარმოებით, საყმაწვილო ლიტერატურით. იგი მაგრა ადგამს ნაბიჯებს წინ, მკვიდრს წარმატებაში შედის მხოლოდ მაშინ, როდესაც მის მოზარდ თაობას უხვად ეძლევა გონებითი საზრდო, როდესაც მისი ყრმანი გარემოცულნი არიან ნიჭიერი ნაწარმოებითა"¹.

გოგებაშვილის საბავშვო მოთხრობების მთავარი მიზანი მოზარდის ემოციასა და გონებრივ განვითარებაზე ზემოქმედებაა. მისთვის მრავალმხრივი ცოდნის მიცემა და ზნეობრივი ამაღლებაა. ამიტომ უდიდეს როლს ანიჭებს გარემოს შეცნობას, თავისი სამშობლოს ფლორისა და ფაუნის შესწავლას, მისი წიაღისეულის დაუფლებას.

იაკობ გოგებაშვილის მოთხრობათა ერთი წყება საბუნებისმეტყველო ხასიათისაა. მწერალი მიზნად ისახავს გააცნოს პატარებს მშობლიური ქვეყნის ბუნება, მისი სიძლიდრე, ცხოველთა და ფრინველთა სამყარო, მცენარეთა მრავალფეროვნება, ასწავლოს მათი გამოყენების გზები: "ცოდო არ არის, ისეთი ბუნება, როგორც ჩვენშია,

¹ იაკობ გოგებაშვილი, რჩეული თხზულებანი, თბ. 1989, გვ. 333.

კაცს გარს ერტყას და მისი არაფერი ვაგებოდეს. ძვირფასი საუნჯით
საგსე იყოს მამა-პაპათა მიწა და მისმა პატრონმა არაფერი იცოდეს
მისი". ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრის გაცნობით დიდ მამულშიშვილს
სურდა ხალხი გაჭირვებიდან გამოეყვანა. მაგრამ ეს მოთხოვნები
როდია მოკლებულნი მხატვრულ ღირებულებას:" რათა ვაგვე-
ადვილებინა ამოდენა წიგნის გათავება ორი წლის განმავლობაში,-
წერდა იაკობი "ბუნების კარის" შესავალში,-ჩვენს წერილებს მივეცი-
თუმეტეს ნაწილათ მოთხოვნიითი ფორმა, რომელიც ერთი-ორად და
სამად უადვილებს მოსწავლეთ საგნის შეთვისებას"¹. აქვე უნდა
ითქვას, რომ ეს არ არის ერთი საკითხით შემოფარგლული მშრალი
დიდაქტიკა, ჩამოყალიბებული მხატვრული მოთხოვნებია, რომელიც
ვერ თავსდება ერთი თემის ფარგლებში და მრავალ სხვა პრობლემასაც
მოიცავს.

იაკობ გოგებაშვილს თავისი შემოქმედების მხატვრული სამყარო
ბავშვთა მშვენიერ სამყაროებლოდ გადაუქცევია, სადაც ბუნების
უამრავი ფერი დაღვრილა და გასართობი მხიარული ჟღერტული
გამომწყვედულა. თითქოს დიდ პედაგოგს მოზარდებისათვის, ამ
"ახლად ფესადგმული ველის ყვაფილებისათვის", ხელი ჩაუკიდა და
ფრთხილად, ნელ-ნელა შეჰყავს ბუნების უკიდევანო სამყა-
როში. მწერალმა კარგად იცის, რომ ყმაწვილის ცინცხალ და მოძრავ
გონებაში ჭარბად მიწოდებული მეცნიერული შეგონებები ფეხს ვერ
მოიკიდებს, თუ ყველაფერს ლამაზ ფორმებში არ ჩამოქნი და მაღალ
ესთეტიკურ ხიბლს არ მიანიჭებ. ამიტომაც მწერლისათვის უცხოა
საგნებისა და მოვლენების მშრალი აღწერა, მათდამი ცალმხრივი
მიდგომა. მისი აზრით, მიწაც და ცაც, თავისი მრავალფეროვანი და
მრავალრიცხოვანი ბინადრებით ერთობანია, ყველა საერთო დედის
შვილია. ირგვლივ მარტო სილაშაზე კი არ არის, არამედ საშინელებაც,
ბოროტებაც სუფევს. ამიტომ ანთებული ლამპრით წინ მიუძღვის
იაკობი ბავშვებს და აფრთხილებს, არიგებს, აძმედებს და შთა-
მაგონებლად მოძღვრავს. ბუნების ამ ვრცელ ლაბირინთებში ისე
დაატარებს, რომ არც უბასუხოდ დარჩენილ კითხვას უტოვებს და არც
მოსალოდნელ ხიფათზე ახუჭვინებს თვალს. და აი, მათ წინაშეა
ახლობელი თუ შორეული საგნები, მხეცები, ფრინველები. მწერლის

¹ იაკობ გოგებაშვილი, ბუნების კარი, თბ. 1912, გვ. 11.

მიერ თავისებურად გაცოცხლებული სამყარო, რომელიც მოთქმას და საუბრობს.

როგორც ცნობილია, შინაური ცხოველებიდან ბავშვებს ყველაზე მეტად ძაღლი და კატა უყვართ. ხშირად გაუცნობიერებლად უსაუბრობიან მათ, ეფერებიან, თავიანთ მეგობრად თვლიან. ყოველწლიური აცნობს მათი ცხოვრების წესს, ჯიშებს, აგებულებას და შემდეგ მიშვიდველი ფაქტებით უხსნის მათი ხასიათის ძირითად თვისებას: ერთგულებასა და გონიერებას. ჰყვება მშვენიერ ამბებს იმის შესახებ, თუ რითი დაიმსახურა ძაღლმა ადამიანების დიდი სიყვარული და პატივისცემა.

მოთხრობაში "ძაღლი" გადმოცემულია ამ ერთგული ცხოველის დიდი თავგანწირვა ადამიანის სიფათიდან დასახსნელად. "შვეიცარიაში ისეთი ძაღალი მთებია, რომ ზაფხულშიაც კი თოვლი და ყინული ძეგს, — იწყებს თხრობას ავტორი, — ამ მთებზე მიდის გზა, რომელზედაც წელიწადში შვიდასი მეზავრი მაინც გაივლის". შემდეგ მოჰყავს მაგალითები ძაღლების გონიერებაზე. ისინი ნაშქერში ჩაყარდნელ ადამიანებს შველიან და საშვიდობოს გამოჰყავთ. ყელზე ჯაჭვით ღვინო ან არაყი დააქვთ, კალათით პური და სადაც სიცივისაგან გაყინულ გზაარეულ მეზავრს წააწყდებიან, ჯერ დააბურებენ და შემდეგ ბერებთან მიიყვანენ უდაბნოში. და აი, ერთხელ ამ გონიერმა პირუტყვმა იხსნა პატარა ბავშვი. "ძაღლმა რომ თოვლში ჩაფლული ყმაწვილი იპოვნა, წევა დაუწყო, უნდოდა ბოთლიდან არაყი დაეღვინებინა, ყმაწვილმა თვალები გაახილა და დაინახა თუ არა დიდი ძაღლი, ძლიერ შეშინდა და გაქცევა მოინდომა. მაშინ ძაღლმა ლაქუცი და ალერსი დაუწყო და გაყინულ თითებს ულოკავდა. ბოლოს ყმაწვილს გვერდზე დაუწვა და ანიშნებდა, რომ ზედ შემჯდარიყო".

თითქო ერთი მაგალითი ეცოტაგებათ, მწერალი ჰყვება მეორე, მესამე შემთხვევას და ბავშვის სულს აგსებს მადლიერების გრძნობით ამ მგრძობიარე ცხოველის მიმართ. დიდი პედაგოგი ახალ-ახალ მასალებს ამზადებს აღსაზრდელთა ცნობისწადილის დასაკმაყოფილებლად.

ერთმა ძაღლმა ხიდიდან წყალში გადავარდნილი ბავშვი დაინახა. მაშინვე გადაეშვა მდინარეში და ნაპირზე რომ ვერ გამოიყვანა, ბავშვი იქვე რიყეზე გადასვა. შემდეგ გაიქცა თავის პატრონთან, იმდენი ქნა,

¹ იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი II წიგნად, თბ. 1975, გვ. 16 (სხვა ციტატებიც ამ წიგნიდან იქნება დამოწმებული).

რომ სუფრიდან ააყენა და ყმაწვილი ნავით გამოაყვანინა ნაპინზე. " ეს კეთილი და გონიერი ფინია რომ არ შესწრებოდა, რასაკვირველია, საწყალი ბავშვი დაიდრწობოდა", — ასკენის მწერალი.

გოგებაშვილს არ სურს, ვინმემ ძაღლის ეს თვისებები მხოლოდ ინსტიქტებს მიაწეროს და ახლა სხვა მაგალითი მოჰყავს მისი გონიერების საილუსტრაციოდ. თურმე ძაღლს დათვლის უნარიც გააჩნია. ერთი გონიერი ძაღლი ყოველ საღამოს ითვლიდა ქათმებს. ერთხელ პატრონმა სამი ქათამი ვაჭარს მიჰყიდა. საღამოს ძაღლს ქათმები ეცოტავა, შურდულივით გაქანდა, ვაჭარს დაუწია, ქათმებიანი გალია გახსნა, თავისები წინ გამოირეკა და ისე დაბრუნდა შინ.

ჭკვიანი ძაღლი თავის ჯიშსაც მეარველობს და იცავს. ერთხელ პატრონმა ფინიას მტკივანი ფეხი მოურჩინა. მეორე დღეს ჭკვიანმა ცუგომ მეორე ძაღლი მოიყვანა, რომელიც კოჭლობდა. კაცი მოუსვდა მას, უწამლა მის მეგობარსაც და ისიც განკურნა.

ყოველი მითხრობის წინაშე მწერალი აყენებს ზნეობრივი აღზრდის პრობლემას. აღწერს რა შინაური კატის თვისებებს, უცბად ჩაურთავს: "სიფაქიზე ძალიან უყვარდა. ერთ წამსაც არ დაიყენებდა ნაზბეწვიანს ტანზე უწმიდურს რასმე. მაშინვე ფეხებით ან ლაპიანნი და ხორკლიანი ენით მოიშორებდა". ამის შემდეგ დიდი მოძღვარი ყველა უსუფთაო ბავშვს ურჩევს: "ჩვენი კატისგან მაინც ისწავლე სიფაქისის სიყვარული".

ბავშვის ცნობიერების არეში შეშოდის კიდევ ერთი შინაური ცხოველი-ცხვარი, რომელიც დიდად სასარგებლოა ადამიანისათვის, თვითონ კი ყოველგვარ თავდაცვის უნარს მოკლებულია. " ძაღლსავით კბილები მჭრელი არა აქვს. ხარსავით მაგარი რქები, კურდღელსავით მარდი სირბილი არ იცის". ამის მწერალი ერთხელ კიდევ ახსენებს ბავშვებს სხვადასხვა ცხოველის დამახასიათებელ თვისებებს და ცხვრის მეარველობის აუცილებლობას ქადაგებს.

გოგებაშვილი ხშირად იყენებს ხალხურ თქმულებებსა და გადმოცემებს თავისი აზრის ნათელსაყოფად. ამ შემთხვევაშიც ხალხური თქმულება ცხვრის სარგებლიანობაზე არის დამოწმებული. ცხვარმა საწყალი ვლენის ოჯახიდან უცბათ გააგდო სიღარიბე იმ მოტივით, რომ ოთახის ოთხივე კუთხე მას სჭირდებოდა. " ერთ კუთხეში მე უნდა დავდგე, მეორეში ბატკანი უნდა დავაყენო, მესამეში მატყლს დავდებ და მეოთხეში — ყველსაო".

ღრმად განათლებული პედაგოგი ყმაწვილებს აცნობს აგრეთვე გარეულ ცხოველებსა და ფრინველებს: ლომს, დათვს, გეფსეს, კურდღელს, მერცხალს, არწივს, ბუღბუღს, შოშიას და ა.შ.

ამ მოთხრობებს ძირითადად შექმეცნებითი ფუნქცია აკისრია, მაგრამ მწერლის ყურადღების ცენტრში ყოველთვის მოზარდის ზნეობრივი აღზრდის პრობლემა დგას და ამიტომ ეს ნაწარმოებები შეიცავს ჰუმანიზმის, პატრიოტიზმის, სიკეთის, დედაშვილური ურთიერთობის და სხვა მრავალ ამაღლებულ საკითხს. თუმცა ზნეობრივი აღზრდისა და სწავლისაკენ მოწოდებაზე საგანგებო ნაწარმოებებიც აქვს შექმნილი.

ოჯახური ურთიერთობა, დედაშვილური სიყვარული თითქოს თანდაყოლილი გრძნობაა, მაგრამ მწერალმა კარგად იცის, რომ მასაც აღზრდა და გაღვივება სჭირდება. გოგებაშვილი განსაკუთრებულად გილს უთმობს იმ ცხოველთა და ფრინველთა ყოფის აღწერას, რომლებსაც ეს თვისებები საგრძნობლად აქვთ განვითარებული.

ვის არ უნახავს როგორი რუდუნებითა და მოთმინებით ზის კრუსი კვერცხებზე, როგორ დაჰკანკალებს თავის ახლადგამოჩეკილ წიწილებს, როგორ იგერიებს ქორსა და ძერას, მაგრამ ქართულ ლიტერატურაში ძნელად თუ ვისმე დაუხატავს ისეთი დიდებული სურათი თავგანწირული დედური სიყვარულისა, როგორც ეს შემლო იაკობ გოგებაშვილმა მოთხრობაში "ქათმის საიდუმლოებანი". ეს ნაწარმოები ვაჟას "ქორი და წიწილას" თამამად ამოუდგება გვერდში. აქ აღწერილია, თუ როგორ მოიგერიეს კრუსებმა წიწილების მტერი კვერნა. მათ შვილები ჯერ სამშვიდობოს გაიყვანეს, შემდეგ ნისკარტებით სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართეს მტაცებელს. ერთ მხარეს იყო ბასრი ბრჭყალებითა და კბილებით შეიარაღებული ნადირი, მეორე მხარეს—ორი სუსტი ფრინველი, თავგანწირული, მშობლიური გრძნობით გაძლიერებული. კრუსები ცდილობდნენ კვერნისათვის თვალები დაეთხარათ, მაგრამ კვერნა თავგამოდებით იცავდა თავს და პირიქით გადადიოდა შეტევაზე. ბოლოს კრუსებმა იმარჯვეს, ჯერ ერთი თვალი გამოთხარეს მტაცებელს, მერე მეორე. თვითონაც ბრძოლის ველზე დაეცნენ. აქეთ ორი დასისწლიანებული კრუსი ეგდო, იქით დაბრმავებული კვერნა მირბოდა, წიწილები კი გადარჩენილები იდგნენ და დედას ელოდნენ. მხოლოდ ასეთ სიყვარულს შეუძლია დაუძლეველის დაძლევა, სიკვდილზე გამარჯვება.

მითხრობის დასასრულს მწერალი მრავალმნიშვნელოვნად სვამს კითხვას: "რა იქნებოდა, რომ მაღალ არსებას, რომელსაც ქართველი ადამიანი ჰქვია, იმდენადვე ჰყვარებოდა მოყვასი და მშობელი ქვეყანა, რამდენადაც სუსტსა და დაბალს სულიერს კრუსს უყვარს თავისი წიწილები?".

ასეთივე ტკბილი დედაშვილური სიყვარული სუფევს გარეულ ფრინველთა ბუდეებშიც. ტოროლამ /"ტოროლას ბარტყების სიყვარული"/ სხვისი ბუდიდან გადმოსხმული ბარტყებიც კი ისე შეიყვარა, რომ სიცოცხლე გასწირა. თვითონ აღარაფერს სჭამდა, მათ უზოგავდა, თავს ევლებოდა, გაძუდმებით შრომობდა, შიმშილისა და დაღლილობისაგან ჩამოსმა და ერთ ღამეს შვილებთან ჩახუტებულმა დაღლია სული. ბარტყებმაც მოიწყინეს უდედოდ, იდარდეს და ორივენი ერთ ღამეს დაიხოცნენ. სახლის პატრონმა ისინი ერთად დაასაფლავა. მწერალი ყველას გასაგონად ასკვნის: "ფრინველებშიც ყოფილა თავლაჲვიწყებული ერთმანეთის სიყვარულიო". ამ მხრივ არც ცხოველები წარმოადგენენ გამონაკლისს. "მამალი სპილო გვერდზე წვება და დილაძდე ასე სძინაგს, — გვისხნის იაკობი, — დედალი სპილო კი, რომელსაც თავისი შვილების დარდი აქვს, ხეზე მიყუდებულია და ისე ფრთხილად, ზეზუელად სთვლემს". როგორც ვხედავთ, გოგებაშვილი ნაწარმოების ბოლოს დიდაქტიკურ დასკვნებს აკეთებს, რაც განპირობებულია მორალური თვალსაზრისით, თუმცა მხატვრულობას ერთგვარად ასუსტებს.

გოგებაშვილი აცნობს ყმაწვილებს ცხოველთა და ფრინველთა გარეულობას, მათი ცხოვრების წესს, ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე იმაზე, თუ თვითოეულ მათგანს რა სარგებლობის მოტანა შეუძლია ადამიანისათვის. აქედან აკეთებს მეტად საგულისხმო დასკვნას, რომ მოვლა და გაფრთხილება ფრინველებისა თუ ცხოველებისა — მართო ჰუმანურობის დასტური კი არ არის, არამედ ჩვენს საკუთარ თავზე ზრუნვაცაა, საკუთარი კეთილდღეობის დაცვასაც გულისხმობს. მითხრობების ერთ ნაწილს "მოსავლის მცველნი" უწოდა და ამით დაგვიანა, თუ რა სიკეთე მოაქვთ ფრინველებს ადამიანებისათვის. ასეთი კუთხით მანამდე ცხოველთა და ფრინველთა სამყარო არავის უჩვენებია.

თითქმის ყველა მწერალი ბავშვებს მოძღვრავდა, ყოფილიყვნენ გულკეთილნი, ალერსიანნი, გოგებაშვილმა კი უჩვენა მათ, რომ ამ

ფრინველებსა და ცხოველებს მათთვის სარგებლობა მოაქვთ. ამიტომაც აუცილებელია მათი მოვლა და პატრონობა.

ახსიათებს რა ბუღბუღს, მის კეთილსმოფანებას, ბოლოს დასძენს: "დიდ სიამოვნებასთან ერთად ბუღბუღი დიდ სარგებლობასაც გვიშვრება. რადგან მარცვლეულობის ჭამა არ შეუძლია, იგი იკვებება მთელს თავის სიცოცხლეში მხოლოდ წვრილმანი მატლებით, ჭიებით და მათი კვერცხებით, რითაც ძლიერ ხელს უწყობს მოსავალსა".

ხშირად უცოდინარობით დანაშაულს ჩავდივართ, ვკლავთ იმათ, ვინც ჩვენი მეგობარია. ამ შხრივ საგულისხმო პასუხს იძლევა მოთხრობა "დეზინილი მეგობარი, ანუ ზღარბი". აი, რა კუთხით გვიჩვენებს ზღარბს და რა თვისებებს გვიხსნის მწერალი: ერთხელ, როცა ნაქარალი მსხლის ასაკრეფად და—ქმანი ვენახში მივიდნენ, აღმოჩნდა, რომ მთელი მსხალი ზღარბს შეეჭამა. ბავშვები ჩაუსაფრდნენ ზღარბს მოსაკლავად, ეკლიანი ვორგალი ისე ოსტატურად იცავდა თავს, რომ მასთან პატარები კეტებითაც ვერაფერს გახდნენ. "თითქოს ციხე აქვს შემორტყმულიო", — უკვირდათ ბავშვებს. ბოლოს გადმოაბრუნეს და დაუნდობლად ურტყეს. უსულთ ზღარბი ხევში გადააგდეს.

თითქოს დამთავრდა ამბავი, მაგრამ მწერალს სხვა ჩანაფიქრი აქვს. მან პატარებს ზღარბის სარგებლიანობა უნდა გააცნოს და თავიანთ დანაშაულზე ჩააფიქროს. ვენახში შხამიანმა გველმა დაიბუდა. მსახურ დემეტრეს მისი დანახვისაც ეშინია, ასევე ბავშვებს. და აი, ერთ ღამეს მეველე უჩვეულო ბრძოლის მოწმე გახდა. ნაცემ—ნაბეგვი ზღარბი გამოვიდა და შხამიან გველს სამკვდრო—სასიცოცხლოდ შეება. ქვეწარმავალი გაშმაგებით კბენდა ზღარბს, მაგრამ ის არაფერად აგდებდა. თავის შხრივ მთელი არსებით ცდილობდა გველის თავი ჩაეგდო ხელთ, მაგრამ ეს უკანასკნელი მოხერხებულად იფრინებოდა და ხელიდან უსხლტებოდა. დიდი ხნის ბრძოლის შემდეგ ზღარბმა იმარჯვა და გველი გაგუდა. მერე დაღლილ—დაქანცულმა ლოკვა დაუწყო დაკბენილ ადგილებს, ქარის ჩამონაყარი მსხალი მიერთვა და წავიდა.

ბავშვებს ძალიან შეუყვარდათ ზღარბი და დარდი გაუჩნდათ: "ვაითუ გველის შხამმა შემდეგ გასჭრას, მოსწამლოს ზღარბი და მოკლასო", მაგრამ თრი დღის შემდეგ ზღარბი ისევ გამოჩნდა, ბავშვების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ზღარბი იჭერდა და ფლეტდა თაგვებს, ყანისა და ვენახის მტრებსა, სპობდა მატლსა და ჭიას, ამ ბოსტნის მანებლებს. ბოლოს ავტორი ყმაწვილების პირით გვაუწყებს: "მართალია, ნაქარალ ხილს გვაკლებდნენ, მაგრამ ეს ცი-

რეოდენი ზარალი რა სათქმელი იყო იმ დიდ სიკეთესთან, რომელსაც ჩვენ მათგან ვხედავდით".

აღნიშნული ნაწარმოები გოგებაშვილმა "შეიტანა წიგნში "მოსავლის მცველნი, ანუ სასარგებლო ცხოველები და ფრინველები" ამ კრებულის გამოსვლას სწავადისწავაგვარად გამოეპასუხა ლიტერატურული კრიტიკა. გაზეთ "ივერიის" ფურცლებზე მოთავსებულ წერილში პ.სურგულაძე დადებითად აფასებდა: "საკმარისია ეს შედარებით პატარა წიგნაკი წაიკითხოთ, დარწმუნდებით, რა სარგებლობა მოაქვს ჩვენთვის იმისთანა არსებათ, რომელთაც ჩვენ ესდევნით და რომელთა აღმოფხვრასაც ვცდილობთ"¹.

დ.ალბანელმა კი დაიწუნა მოთხრობა და უგარვისი უწოდა. მაგრამ შემდეგდროინდელმა კრიტიკამ სწორი შეფასება მისცა ამ წიგნსაცა და მასში მოთავსებულ მოთხრობებსაც. ვ.თავაძის მიხედვით "ზღარბის" შესახებ წერს: "იაკობი ნამდვილი სელოვნებით ავითარებს შინაარსს და მარტივი თხრობით აწვდის მკითხველს ზღარბის როგორც ბიოლოგიურ აგებულებასა და საოცარ თვისებებს, ისე მის როლს სოფლის მეურნეობაში"².

ცხოველთა და ფრინველთა ცხოვრების გაცნობით იაკობ გოგებაშვილი მოზარდებში პატრიოტული გრძნობის ვაღვივებასაც ცდილობს. ჩიტების გადაფრენა სამხრეთის ქვეყნებში სამშობლოსთან განშორების ტოლფასია, ამიტომ ისინი მოწყვნილნი და დაღონებულნი არიან, ხოლო როცა უკან ბრუნდებიან, ჭიკჭიკით იკლებენ გარემოს. "ჩიტი სადაც გაიზრდება, იმის ბაღდადი იქ არისო", — დასძენს მწერალი. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმყრობს მოთხრობა "ორაგულის ცხოვრება". დიდი პედაგოგი თავიდან იძლევა ორაგულის დამახასიათებელი გარეგნობისა და თვისებების აღწერას და ამ ხასიათიდან გამოიჰყოფს სწორედ სამშობლო ადგილების უდიდესი სიყვარულის გრძნობას. პატარა ფშანში დაბადებულმა ორაგულებმა შემოდგომაზე ზღვისკენ გასწიეს. დიდი დაბრკოლებების გადალახვით მიაღწიეს ზღვას, სადაც მათთვის ყველაფერი მოიპოვებოდა. მაინც სამშობლოში, პატარა რუში დაბრუნება ენატრებოდათ, მშობლიური ფშანი ელანდებოდათ. გამოეშურნენ. მლაშე წყალს მიიწველები

¹ ზურაბ ბოცვაძე, ქართული საყმაწვილო ლიტ. კრიტიკის საწყისები, თბ. 1977, გვ. 49.

² ვიორგი თავაძის მიხედვით, იაკობ გოგებაშვილი, თბ. 1960, გვ. 178.

ჩვეულებრივ სასმელს ველარ იტანდნენ, აღმა ცურვა ძალიან ძნელი იყო, მაინც არ უშინდებოდნენ ჩახრიალას ხმაურს, ზვირთებთან ბრძოლას, მეთევზეების ბადეს. ბევრი გზაში დაიღუპა, ძალზე შემცირებული ქარაგანი მოადგა მშობლიურ ფშანს. გაილაღეს, გაახარეს. ქვირითი დაჰყარეს, მოირთვნენ და მოიკაშმნენ. მწერალი დასძენს: "დედალი ორაგულები აქამდე ცეცხლისფრად ბზინავდნენ, ახლა მათ ოქროსფერი მიეცათ, თითქოს სამშობლოში მოსვლას დღესასწაულობდნენ და იმიტომ მოირთვნენო".

როგორც ვხედავთ, ამ ნაწარმოებში დაწვრილებითაა მოცემული ყველა ის თვისება, რითაც შეიძლება ორაგული სხვა თევზებისაგან გამოარჩიოს, მაგრამ მთავარი აქცენტი გადატანილია მათს პატრიოტულ გრძნობაზე. ამ მიზანს უკეთესად გამოხატავენ გოგებაშვილის ისტორიული მოთხრობები, მაგრამ ცხოველები და ფრინველებიც საუკეთესო მაგალითებად გამოდგებიან პატარებში სამშობლოს სიყვარულის გასაღვივებლად.

ძალა და ღონე თუ უგუნურად გამოიყენე, ამით შენს თავსაც დაღუპავ და სხვასაც ავნებ. ძლიერება ღირსებას უნდა გმჯობედეს და გაშვენებდეს. ძლიერთან მეგობრობა საამაყო უნდა იყოს. არწივი ფრინველთა მეფეა, ხოლო ლომი—ნადირთა. საამისოდ გულიც ერჩით და ღონეც შესწევთ. მწერალი დაწვრილებით აღწერს ლომის თვისებებს და ხაზს უსვამს მის დიდებუებოვნებას. "ახოვანებითა და გაბედულებით ლომს ვერა ნადირი ვერ შეედრება. სიღამაზე, სიძლიერე, სხეულის კარგი მოყვანილობა და ვანიერი მკერდი ლომს მშვენიერ სანახავ მხეცად მხდის". "ის მხოლოდ მაშინ მტაცებლობს, როცა მშვიდია. აქაც თავის რაინდულ ბუნებას არ ღალატობს. როცა შინაურ საქონელს დაერევა, ლომმა დაგლეჯა არ იცის. პირუტყვის ცუდ—უბრალოდ საქონლის დასახიზრებას ლომი არ კადრულობს", — აღნიშნავს გოგებაშვილი. ამის საილუსტრაციოდ ჰყვება შესანიშნავ ამბავს, რომელიც ყველა თათბის წარმოამდგენლისათვის მეგობრობის ეტალონად გამოდგება: ერთი რომელიღაც მონა ანდროკლი აფრიკაში ეძალებოდა მართლმსაჯულებას. მოხვდა უდაბნოში და ერთ გამოქვაბულში დაბინავდა. ცოტა ხანში ლომი შევიდა, ეს მისი ბუნაგი აღმოჩნდა. მოხდა სასწაული: ლომმა სტუმარს მუხლზე დაადო თავისი მტკივანი ფეხი, ანდროკლიმა ამოუღო გრძელი და წვეტიანი ეკალი, ლომი დაუშეგობრდა კაცს, ლოკავდა, ნანადირევს უყოფდა. სამ თვეს გაგრძელდა ასე. შემდეგ ანდროკლს მოსწყინდა, გავიდა გარეთ და

დაიჭირეს. ლომსაც იგივე ბედი ეწია. ანდროკლს ლომებთან ბრძოლა მიუსაჯეს. ჩვეულებრივ ეს ბრძოლა ადამიანის სიკვდილით მთავრდებოდა. მოულოდნელად ანდროკლს დიდი და საშინელი ლომი მოუახლოვდა და სრულიად სხვა სეირი უჩვენა მაყურებელს: მონას დასუნა, ფეხქვეშ გაუგორდა და ლოკვა დაუწყო. იცნო თავისი მეგობარი, ყველა მაყურებელს ვული აუჩუყდა. ანდროკლს დანაშაული აბატიეს და ლომიც აჩუქეს. როცა ქუჩაში გამოვიდოდნენ, გამჟღავნები ლომს ყვაგილებს აყრიდნენ, ნიშნად ვულითადი პატივისცემისა.

ზოგჯერ ადამიანებს მაგალითის აღება ცხოველებისაგანაც შეუძლიათ. მიუხედავად ამისა, მათ უნდა იცოდნენ, რომ ადამიანი ყველა ცხოველზე გონიერია და მათთან ურთიერთობაში ცხოველები და ფრინველები ბევრს სწავლობენ და ვითარდებიან.

ცხოველებსა და ფრინველებს გაფრთხილება უნდათ. მათდამი სათუთ დამოკიდებულებას მოითხოვს მწვერალი ბავშვებისაგან. ეს თემა ახალი არ არის ქართულ ლიტერატურაში. საამისოდ აკაკისა და ვაჟას პოეზიაც იკმარება. გოგებაშვილი ამ შემთხვევაში, როგორც აღვნიშნეთ, უფრო უტილიტარულ თვალსაზრისზე დგას. მათ ადამიანებისათვის სარგებლობა მოაქვთ და გაფრთხილება ფრინველებისა, — ჩვენზე კეთილდღეობის საფუძველია. არ უნდა დაუნგრით ბუდე, არ ესროლო ქვა, არ უნდა გამოამწყვდიო გალიაში, თორემ ისინი თავის დანიშნულებას ვეღარ შეასრულებენ. ამავე დროს მწვერლის მიზანია აღძრას მოზარდებში ჰუმანიზმის, სიყვარულის, მეგობრობის კეთილშობილური გრძნობები. მოთხრობაში "მარო და მერცხალი" საუბარია ვოვონასა და მერცხლის სიყვარულზე, მათ სიახლოვეზე. მარომ სათუთად გაზარდა ბარტყი, თავისი ხელით აჭმევდა, ეფერებოდა, მაგრამ ვაბრაზებისას მერცხალი შემთხვევით შემოაკვდა. ბავშვმა მდუღარე ცრემლი დააფრქვია, ბევრი ინანა, მაგრამ თავის ქიკიკას ვეღარაფრით უშველა. "ამის მერე, — ამბობს მწვერალი, — მაროს ქირივით შესძულდა ვაბრაზება". აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იაკობი დიდსულოვნად შეუნიღობს პატარებს უნებლიე დანაშაულს, თანაც მისი გამოსწორების გზებს უტოვებს. რადგან მწვერლის მთავარი მიზანი ყმაწვილის ზნეობრივი აღზრდაა, ამიტომ ყველა მაგალითითა თუ შემთხვევით სარგებლობს, რათა მათში არსებული კეთილი თვისებები ამოზიდოს და განავითაროს. მას იმდენად უყვარს ნორჩი თაობა, რომ უარყოფითი საქციელისათვის მთლიანად მათი ვაწირვა არ შეუძლიათ და მხოლოდ გაკიცხვით კმაყოფილდება.

საქართველო
ბ რ ო მ ნ უ ლ
ბ ი ბ ლ ე ო თ

დიდ სარგებლობას ხედავდა იაკობ გოგებაშვილი ქვეყნის გეოგრაფიული გარემოს შესწავლასა და გარკვევაში. იგი წერდა: "მიწა-წყალი ნამდვილი ფესვებია ერის ცხოვრებისათვის, და როგორც ხე, მოშორებული ფესვებს, ხშება, ისე ერი იღუპება, როცა ხელიდან ეცლება მიწა-წყალი, ტერიტორია". ამიტომ ბავშვობაშივე უნდა შევასწავლოთ თავისი ქვეყნის კუთხეები, მდინარეები. შევაყვაროთ იგი გეოგრაფიული ხასიათის ნაწარმოებებითაც. მოითხოვდა ყურნალებში სწორედ ამგვარი ხასიათის მოთხრობების შეტანას. მშრალი აღწერა გეოგრაფიული გარემოსი ახადგაზრდას არ დააინტერესებდა, ამიტომ საჭიროდ მიაჩნდა მხატვრული ფორმის გამოძიება: "ჩვეულებრივი, მშრალი მოყვლა ამბისა, გერასოდეს ვერ გახდის წერილს საინტერესოს. აქ სხვა მიდგომა და ხერხია საჭირო, ანალიტიკური, ინდუქტიური მეთოდი. კონკრეტულ, კერძო მოვლენათა დახატვა ბავშვის თვალწინა, მოთხრობითი ფორმა, აი, რა არის საჭირო ამგვარი წერილებისთვის. სხვა განათლებულს ქვეყნებში ამჯობინებენ მოგზაურობის ფორმასა, რომელიც მარჯვე ღონისძიებას აძლევს მწერალს ანალიზში, კონკრეტული აღწერა მოთხრობის ფორმაზედ გადაბმული და შესორცებული, დრამატიული ელემენტი/რომელიც ისეთი მიმზიდველია მეტადრე ბავშვებისათვის/ ერთად შეაერთოს სამშობლოს გაცნობისათვის, გეოგრაფიული ფაქტორების ახსნისათვის".

გოგებაშვილი ცდილობს საინტერესო გახადოს გეოგრაფიული აღწერები. "ბუნების კარში" ამ მიზნით ურთავს სურათებს, - ლექსებს, გადმოცემებს, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ მაინც აღწერა სჭარბობს და ამგვარ მასალას მოთხრობას ვერ დავარქმევთ, თუმცა თავისი დიდი შემეცნებითი ღირებულება გააჩნია. იგი წარმოადგენს ნარკვევებს აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ

საქართველოს მდებარეობის, ჰავის, მდინარეების, წეს-ჩვეულებების შესახებ. ამ აზრის დასამტკიცებლად ზოგიერთი სათაურის დასახელებაც იკმარებს: "საქართველოს ბუნება", "საქართველოს მთები და ქარები", "მდინარეები", "ალავერდის ტაძარი" და ა.შ.

როგორც აღვნიშნეთ, ესენი გეოგრაფიული ნარკვევებია და მასზე ყურადღებას არ შევამჩნევთ.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა იაკობ გოგებაშვილი ისტორიულ თემაზე დაწერილ ნაწარმოებებს. იგი მოითხოვდა, რომ მშობლიური ქვეყნის ისტორიიდან ამოერჩიათ ისეთი ეპიზოდები, რომლებშიც ჩვენნი წინაპრების საგმირო საქმეებია გადმოცემული, რათა

გაქვეყნებინათ სამშობლოს სიყვარული და მონატრებინათ მათთვის
გმირული საქციელი.

სწორედ ამ მიზნით თვითონ მწერალმა დაიწყო პატარა მოთხ-
რობების შექმნა, რომლის წყაროდ გამოიყენა ლეონტი მროველის
"მეფეთა ცხოვრება", ჯუანშერის "ქართლის ცხოვრება" და ხალხური
სიტყვიერების ნიმუშები.

წარსულიდან გოგებაშვილი არჩევს სანიმუშო გმირობისა და
თავდადების მაგალითებს. ამ გმირებიდან, მისი აზრით, ზოგი გარეშე
მტრის წინააღმდეგ იბრძოდა, ზოგი შინაური მოღალატეებისაგან იფა-
რაგდა ქვეყანას, სხვანი მეცნიერებასა და განათლებას ავრცელებდნენ.
ამიტომაც იაკობ გოგებაშვილი დაწყებული ფარნაოზ მეფიდან ერეკლე
II დამთავრებული, არცერთ გამოჩენილ პირს არ ტოვებს ყურადღების
გარეშე. ამგვარად ქმნის ბავშვებისათვის ახალ ისტორიას. ერთად
დალაგებული ეს მოთხრობები საქართველოს მოკლე ისტორიული
წარსულია, განახლებული და გაცოცხლებული დიდი მოაზროვნის
მიერ. სწორედ ასე, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით შეიტანა თავის
"ბუნების კარში". ხოლო "დედა ენაში" სხვა კლასიფიკაცია
მისცა: "თავდადებული ვლახები", "თავდადებული აზნაურები", "თავ-
დადებული თავადები".

იაკობი მოთხრობებს იწყებს პირველი მამასახლისობის დროიდან.
ჯუანშერზე დაყრდნობით წერს, რომ "პირველს ქართველს თურმე
ქართლოსი ერქვა და ამის გამო მის შთამომავალთ დაერქვათ ქარ-
თველები".

საქართველოს ყველა კუთხეს თავისი მმართველი ჰყავდა და
მამასახლისს უწოდებდნენ. ყველაზე მეტი უფლებები ჰქონდა მცხეთის
მამასახლისს, რადგან მცხეთა იყო იბერიის დედაქალაქი. შემდეგ
აცნობს პატარებს, თუ თანდათან ქვეყნის ინტერესებმა როგორ
მოითხოვა მეფის ხელისუფლების შემოღება. მას შემდეგ საქართველოს
ბევრი მეფე ჰყოლია, მაგრამ ხალხს ისინი დავიწყებული ჰყავს, გარდა
იმათი, რომლებმაც თავის სამშობლოს რაიმე არგო და გმირულად
ემსახურა.

მეფე ფარნაოზის შესახებ ჰყვება ლეონტი მროველის მიერ
მოწოდებულ ლეგენდას, როგორ წააწყდა ნადირობისას ძვირ-
ფასეულობით საგსე გამოქვაბულს, როგორ გამოიყენა იგი იარაღის
შესაძენად და მამასახლისების მისამჩრობად, გააძევა მოძალადე იაზონი
და დადგა პირველ მეფედ საქართველოში, თუმცა მამასახლისები

ძალიან არ შეუვიწროებია. ნაწარმოების ბოლოს მწერალი დასძინა: "დამოუკიდებელმა ცხოვრებამ ქართველი ხალხი ფეხზე დააყენა, წელში გაიმართა, განათლების წყურვილმაც იმატა, ქართული მწიგნობრობა აღორძინდა". თხრობისა და წარმოთქმის გასაადვილებლად ისტორიულ აზონს ცვლის სახელით "იაზონი".

ვახტანგ გორგასლის ცხოვრებიდან იღებს რამდენიმე უმნიშვნელოვანეს ეპიზოდს: ვახტანგის ბრძოლები ოსებთან, ბერძნებსა და სპარსელებთან. ესება ვახტანგ გორგასლის მიერ თბილისის დაარსების ლეგენდასაც. ეს მოთხრობები მიჰყვება ჯუანშერის შრომას "ცხოვრება და მოქალაქეობა ვახტანგ გორგასლისა". გამარტივების მიზნით სცვლის სახელებს: მიქაელი—მისეილი, საგდუსტი—სუნდუსტი, ფერთი—ფირუზი. ამტკებს ზოგიერთ ეპიზოდს. მაგალითად, რაიმე ისტორიული ცნობა ვახტანგისა და ეგრისის გამგებლის გუბაზის ურთიერთობის შესახებ არ შემონახულა, ასევე ქართველების იერუსალიმში ლაშქრით შესვლა და ჯვრის მონასტრის შექმნა. ამ ნაწილში ვოგებაშივილი, ეტყობა, ხალხურ გადმოცემებს ეყრდნობა.

იაკობი განსაკუთრებით გამოჰყოფს ვახტანგის დამსახურებას თბილისის აშენებისა და მცხეთაში სვეტიცხოვლის პატარა ეკლესიის აგების საქმეში.

საქართველოს ისტორიაში გამორჩეულ ადგილებს იჭერენ დავით აღმაშენებელი და თამარი. ამიტომ იაკობ ვოგებაშივილი მათზე საგანგებოდ ჩერდება. "დავითი სამაგალითოდ აღიზარდა, —წერს იაკობი,—და როცა თექვსმეტი წლისა შესრულდა, ყველას აოცებდა თავისი დევისებური ტანოვანებით, დიდი ჭკუითა და საარაკო მხნობით".

დავითმა თურქ-სელჯუკთა წინააღმდეგ ბრძოლა იმითი დაიწყო, რომ ისინი მოტყუებით ნებაყოფლობით გაიყვანა საქართველოს საზღვრებიდან და თავისი საღაროდან მისცა ხარჯი. ქართველი ხალხი ჩამოვიდა მთებიდან და დაიწყო მუერნეობის აღდგენა. დავითმა გახსნა სააჯადყოფოები, სადაც აჯადყოფებს უფასოდ მკურნალობდნენ.

ნარკვევში საუბარია აგრეთვე მეფის სარწმუნოებრივსა და პუშანურ საქმიანობაზე, სხვა რელიგიის აღმსარებელთა მიმართ შემწყნარებლობაზე. აგრეთვე მის საგანმანათლებლო და სააშენებლო მოღვაწეობაზე. საზგასმულია, რომ ყოველივე ამას ხელს უწყობდა დავითის პირადი თვისებებიც:" მის სიმატაცეს საზღვარი არ ჰქონდა,

პირადად თავგანწირულად იბრძოდა და არაერთხელ დაიჭრა გაცხარებულს ომში".

გოგებაშვილი განსაკუთრებული სიყვარულით ხატავს თამარ მეფის პორტრეტს. მიუხედავად იმისა, რომ მას დასვდა გაერთიანებული და გაძლიერებული სახელმწიფო, მან პირადად იმდენი შეძლო და გააკეთა, რომ ყველა მეფეს გადააჭარბა. ამიტომ იგი დღესაც ყველაზე მეტად უყვარს ხალხს.

თამარმა ფარული შეთქმულება უსისხლოდ დააძარცვა, როცა აჯანყებულ დიდგვაროვანთა წინააღმდეგ მანდილოსნები გააგზავნა. მან რეფორმა მოახდინა სასულიერო სფეროშიც. ურჩი მოღვაწენი გადააყენა და იერუსალიმიდან ჩამოყვანილ ნიკოლოზ გულაბერისძეს დააგალა მცხეთის კათალიკოსობა. ამით ეკლესია საბოლოოდ შემოიშალა. გაძლიერდა ქვეყანა, გამრავლდა ქალაქებისა და მოსახლეობის რიცხვი. ამ დროს საქართველოში არსებობდა ორმოცდაათი ქალაქი და ქართველთა რაოდენობა ოთხ მილიონს აღწევდა; ამდენივე სხვა ერის ხალხი ემორჩილებოდა საქართველოს მეფეს.

პირველად ჩვენს ცხოვრებაში აიკრძალა სიკვდილით დასჯა და დასახინჩება.

მწერალი ესება თამარის ბიოგრაფიასაც და მეტად საყურადღებო ცნობებს იძლევა. დედ-მამის ყველა ღირსებამ თამარში მოიყარა თავი: "მაღალი ჭკუა, მტკიცე ნასიათი, კაცთმოყვარე გული და იშვიათი მოშინებლავი სიმშვენიერე—სათაყვანო გვირგვინისნად ჰხდოდა თამარსა".

გოგებაშვილი თამარის პირადი ცხოვრებიდანაც გვაწვდის ცნობებს. აღნიშნავს, რომ პირველად გიორგი რუსზე იქორწინა და რადგან იგი უზნეო გამოდგა, გასცილდა და გააძევა, რის შემდეგ ცოლად გაჰყვა დავით სოსლანს. ორმოცდაათისაც არ იყო, როცა გარდაიცვალა და დაკრძალეს გელათში მისი დიდი პაპის გვერდით. ასეთია იაკობის აზრი, ერთ-ერთი გადმოცემის შესაძლო ვარიანტი.

თამარის ეპოქის განხილვისას ცალკე თავებად გამოჰყოფს მისი კარის პოეტების ცხოვრებას, ესება რუსთაველსა და სხვა სახელოვან მოღვაწეთა საქმიანობას. მწერალს სურს, დაარწმუნოს მოზარდი თაობა რუსთაველის გენიოსობაში და ცდილობს ნათელი მოპოვნის მის ბინდით მოსილ ცხოვრების ეპიზოდებს. "შოთას დედ-მამა ადრე, ბავშვობის დროსვე, დაჰსოცია და დარჩენილა ობლად. მზრუნველად აღმოსჩენია ბერი ბიძა, რომელსაც მიუბარებია ბავშვი რუსთავის საეკლესიო სკოლაში". შემდეგ, იაკობ გოგებაშვილის თანახმად, ტბე-

თის მონასტერში გადასულა, იქიდან გრემის აკადემიაში, აქაღთოს სასწავლებელში, ბოლოს საბერძნეთში მიუღია განათლება და დაბრუნებულა საქართველოში ფართოდ განსწავლული გენიოსი. "ვეფხისტყაოსანზე" საუბრისას ხაზს უსვამს, რომ იგი თამარისადრია მიძღვნილი. აქვე მოჰყავს აფორიზმები პოემიდან და მათი განმარტებები.

გოგებაშიღი არ უკარგავს თავიანთ დიდ დამსახურებას აგრეთვე მოსე ხონელს, იოანე შავთელს, სარგის თმოგველსა და ჩანრუხაძეს.

"დიდ აღმართს დიდი თავდადმართი მოსდევს. ხანგრძლივ გვალვას ხანგრძლივი წვიმა მოჰყვება ხოლმე",—ასე იწყებს მონღოლების პერიოდის აღწერას გულმხურვალე მამულიშიღი, ბრძენი იაკობი. მონღოლებმა დაიპყრეს ჩინეთი, სპარსეთი, რუსეთი და სხვა ქვეყნები. ისინი კალიასავით მოედგნენ საქართველოსაც, დაიმორჩილეს და დიდი ხარკი დაადგეს. და რაც მთავარია, მათ დაშალეს საქართველო, მტრობა და შური ჩამოაგდეს მოსახლეობაში, ატყეს შინაური ომები და ერი დააძაბუნეს. ორმეფობა დაუშვეს ქვეყნის დასაშლელად და მიზანსაც მიაღწიეს. თავიდან დავით ულუ და დავით ნარინი შეთანხმებულად განაგებდნენ ქვეყანას, მაგრამ შემდეგ მტრის ანკესზე წამოეგნენ და ერთმანეთს შორის ბრძოლა გააჩაღეს. შედეგმაც არ დაავიანა. როგორც მწერალი ვადმოგვცემს: "მდიდარი ქვეყანა სწრაფად გააღარიბეს, თავისუფალ ერს ყმობის უღელი დაადგეს, რიგზე გაწყობილი სახელმწიფო აწეწ—დაწეწეს, გუშინ ბედნიერი ხალხი გააუბედურეს".

საქართველოს ამ დიდ ვასაჟირშიც ჰყავდა თავდადებული გმირები და მათ სახელებს სიამაყით აცნობს პატარებს დიდი იაკობი. ესენი არიან მეფეებიდან დიმიტრი თავდადებული და გიორგი ბრწყინვალე, დიდებულებიდან ცოტნე დადიანი, ავაგ ათაბაგი, დაბალი სოციალური წრიდან მღვდელ თევდორე, გლეხი ბოსტაშიღი და სხვანი. თვით მტრებიც კი ზოგჯერ მოხიბლული რჩებოდნენ ქართველთა გმირული სულითა და თავგანწირვის უნარით. ცოტნეს თავდადება სამაგალითო იყო, რადგან თავისი ნებით გაშიშვლდა, მოედანზე დაჯდა და მეგობრების ბედი გაიზიარა. მისი ვაჟკაცობით მოხიბლულმა ნონმა ყველა გაათავისუფლა. არანაკლები გმირობა გამოიჩინა ავაგ ათაბაგმა და ახალციხელის ვაჟმა—დავითმა. ავაგ ათაბაგი ვაგზაგნეს ყარაყორუმში ყაენთან მადლობის სათქმელად. ეჯობად გაიყოლა დავითი, რომელსაც შეეშინდა, მონღოლებმა ავაგს არ უმტრონო და

სთხოვა ავაგს, მე ჩავიცვამ შენს ტანისამოსს და შენ ეჯიბის როლი შეასრულო, რადგან საქართველოს შენნაირი მთავარსარდალი სჭირდებაო." მე ერთი უბრალო ქართველი ვარ და ჩემი სიკვდილით საქართველოს იოტისოდენაც არაფერი დააკლდება, შენი სიკვდილი კი დიდი უბედურება იქნება მთელის ჩვენის ქვეყნისათვის, რადგან ყველა შენგან მოელის სსნასა და განთავისუფლებას მონობისაგანო".

დიდი ხეწუნის შემდეგ ავაგი დათანხმდა. მაგრამ რაკი ბათუყაენმა ისინი სიყვარულით მიიღო, ყველაფერში გამოუტყყდნენ. ყაენმა თქვა: "რადგანაც ქართველთა ნათესავნი ყოფილხართ მაგისტანა ღირსებით შემკულნი, მე ვავსცემ ბრძანებასა, რათა მონგოლთა ნონებმა მაღლა დაგაყენონ თქვენ, ქართველები, ყველა ჩვენს მიერ დამორჩილებულს ხალხებზე". და მართლაც, საქართველოში გამოუგზავნიათ ბრძანება: "რადგანაც ქართველები ღირსეული ხალხი ყოფილა, პატივით მოეპყარით და ბრძოლის დროს თქვენს გვერდით იყოლიეთო".

ასეთი გამოჩაგლისებიც იყო. მაგრამ იმავე სახელმწიფოს ყაენმა თავი მოჰკვეთა თავისი ქვეყნისათვის თავგანწირულ მეფე დიმიტრის, რომელსაც ხალხმა "თავდადებული" უწოდა.

მეფეების გვერდით იაკობ გოგებაშვილი დიდებით აქობს უბრალო აზნაურთა და ვლესთა სახელებს, რომლებმაც თავისი სულგრძელობით თანამედროვეთა ყურადღება დაიმსახურეს. იოთამ ზედგინიძე უბრალო აზნაური იყო. მეფის ერთგულებამ და სიყვარულმა თავისი სიცოცხლე გააწირვინა. როცა ვიორგი მესუთე ვერ დაარწმუნა იმაში, რომ მტრები მოკვლას უბირებდნენ, თვითონ ჩაწვა მეფის ლოგინში და მეორე დილით იგი ხანჯლებით აკუწული იხილეს. მეფემ ინანა თავისი უნდობლობის გამო, იოთამის შვილებს თავადობა უბოძა. იოთამ ზედგინიძის თავდადება მარტო მეფის სიყვარულით კი არ იყო გამოწვეული, არამედ საქართველოს გადარჩენის წადილითაც. მას სწამდა, რომ მხოლოდ ვიორგის შეეძლო სამთავროებად და ცალკეულ სამეფოებად დაქსაქსული ქვეყნის გაერთიანება.

უბრალო ვლესთა წრიდანაც გამოდიოდნენ ქვეყნის გულშემატკივარი პიროვნებები. მღვდელი თევდორეს თავდადება იხსნა საქართველო ლუარსაბის მეფობისას. შემთხვევით გზაზე შესვედრილი მტერი მღვდელმა სულ დასავლეთისაკენ ატარა და ააცილა ცხირეთს, სადაც მეფე ისვენებდა და მტერს სრულიად არ ელოდა. ამით ლუარსაბმა დრო მოიგო და ვიორგი სააკაძემ ჯარს უბძო. მეორე დილას ქართველები ღირსეულად გაუმკლავდნენ მტერს. გოგებაშვილი არც

სომეხი მღვდლის დამსახურებას იგიწყებს და ხაზს უსვამს, რომ სოფელ დუქისაკენ მიმავალმა ტერტერამ შენიშნა თუ არა, რომ მტერი ვორისაკენ მოდიოდა, იმ წუთში ხალხს უხმო და მტკვარზე გადაბრუნდა ხიდი დაშალეს. მტერი ალყაში აღმონდა და უკან გაბრუნდა.

მღვდელმა თევდორემ მთელი საქართველო იხსნა, თვეითი კი წამებით აღესრულა. მას რომ არ გაეწირა თავი, "მეფეც დატყვევებული შეიქმნებოდა, — აგრძელებს მწერალი, — ქვეყანაც ათხრებული. ბევრი დედა, ბევრი ძეგული, ბევრი დაძმა ატირდებოდა საქართველოში. თვითონ ეს მღვდელი თავისი ცოლ-შვილით საუკუნოდ წყვეულ და შეჩვენებული შეიქმნებოდა ყველასაგან და ისეთ სირცხვილში ჩაგარდებოდა, რომ სიკვდილი ბევრით სჯობია იმისთანა სიცოცხლესა. ახლა? ახლა კი მეფე გამარჯვებული შეიქმნა, ქვეყანა გამოხსნილი, მტერი შეპყვრილი. თვითონ თევდორე მღვდელმა მოიპოვა იმისთანა სახელი, რომელიც ქებით, დიდებით და კურთხევით იხსენება ყველა ქართველისაგან, ვიდრე დედამიწის ზურგზე ჩვენი ხალხი იცოცხლებს".

შემდეგი საუკუნეებიდან გლეხთა წრიდან გამოპყობის სამას თავდადებულ არაგველს, გლეხ ბოსტაშვილს, რომელმაც გაცხარებულ ბრძოლაში ერეკლეს თავისი ცხენი დაუთმო და თან მოახსენა: "ჩემი სიკვდილი არაფერია, შენი დაღუპვა კი ქვეყანას უბედურებას მიაკენებსო".

ასევე ქება-დიდებათ იხსენიებს ცხრა ძმა ხერხეულიძეს, რომლებმაც ერთად გაწირეს თავი ქვეყნის გადასარჩენად.

ხერხეულიძე აზნაური იყო, რომელიც ზემო ქართლიდან მარაბდაში გადასახლდა. მას ცხრა ვაჟი ჰყავდა. როცა ვერაგმა შაჰ-აბასმა საქართველოზე გამოილაშქრა, ქართველები სამი დღის განმავლობაში შედგრად იცავდნენ თავის ქვეყანას მომხდურთაგან, მაგრამ მეთხუთსე დღეს შაჰის ლაშქარი ახალი ჯარით შეივსო. "ამ საშინელი წამის დროს ძმანი ხერხეულიძენი არამცთუ არ შედრკნენ, არამედ ლომებად გადაიქცნენ და უფრო მომეტებული თავის განწირვით იბრძოდნენ". მათ გადაწყვეტილი ჰქონდათ, ან გამარჯვებით, ან თავი შეეკლათ მტრისათვის. რადგან ქართველები დამარცხდნენ, მათ თავი დასდეს სამშობლოსათვის. ხალხის გადმოცემით, მათი დედაც ბრძოლის ველზე ყოფილა. როცა ერთ შვილს დროშა დაუვარდებოდა, დედა იღებდა და მეთორეს აძლევდა. ასე გადაინაცვლა ქართლის დროშამ ცხრა ვაჟკაცის

ხელში და დედას დაუბრუნდა. მადლიერმა ხალხმა მოძებნა ცხრა ძმა, ცალ-ცალკე დაძარხა მწკრივად და ცხრა საოფლაგის ქვა დაადგა.

ისტორიული მოთხრობების დიდი წილი ერეკლე მეორეზე მოდის: ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლისა და თამარის შუქმდე ყველაზე დიდი ღირსებითა და მოწიწებით პატარა კახს იხსენიებს. მისი ორმოცდაათოთხმეტწლიანი მეფობა ძლევაგამოსილი და შეუსვენებელი ბრძოლაა თავისი ხალხის დამოუკიდებლობისა და კეთილდღეობისათვის. მწერალი ცალ-ცალკე მოთხრობებად ძერწავს ერეკლეს ბრძოლებს ლეკების, სარსელების, თურქების წინააღმდეგ და ასაღ-ასაღი კუთხით ხსნის ასპინძის, კრწანისის საბრძოლო პერიპეტეებს, ღირსეულად აფასებს სათაყვანო მეფის არაჩვეულებრივ გამბედაობასა და სიმამაცეს, სტრატეგიულ ნიჭსა და გონიერებას.

ერეკლეს ციკლიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმყრობს მშვენიერი მოთხრობა "ერეკლე მეფე და ინგილო ქალი", რომელიც პირველად "ცნობის ფურცელში" დაიბეჭდა და ძალე, კერძოდ, 1897 წელს, ცალკე წიგნადაც გამოიცა. ამ ნაწარმოებში ორი ბრძოლაა დამოწმებული: ქარელი ლეკების წინააღმდეგ, როცა მეფე ორმოცდაათი წლისაა და კრწანისის ომი, როცა იგი ოთხმოცსაა მიახლოებული. პირველ მოთხრობაში ხაზი ესმება ბრძოლის არა ცალკეულ ეპიზოდებს, არამედ ინგილო გოგონას პატრიოტიზმს.

ქარელი ლეკების წინააღმდეგ ბრძოლიდან დაბრუნებული მეფე საინგილოზე გამოივლის, სადაც თორმეტიოდე წლის გოგონა სპარსულ ქუდზე ერთ კალათა ქლიაგს გადმოაყრის. შეცბუნებულ მსლეებლებს თამამად მიუგებს: "ეგ რომ ჩვენი სახელოვანი მეფე ერეკლე იყოს, განა სპარსულს ქუდს თავზე დაიხურავდა? არა, ეგ ტყუილია, მე ქლიაგი თავზე გადმოაყარე სპარსელს, ჩვენს მოსისხლე მტერსა და არა მეფე ერეკლეს, რომელიც ყველა ქართველს ღმერთივით გვიყვარს. თქვენ სულ ტყუილად შემუქრებით. არც ძირს ჩამოვალ და არც ბოდიშს მოვუხდი". მეფემ გადაინარხარა და შეაქო პატარა ქალი, მადლიერებით აღსავსე სიტყვებიც უთხრა: "ყოჩაღ, ქალო! სრულიად მართალი ხარ. სპარსული ქუდი სწორედ რომ არ უნდა მენუროს მე. ქართველი მეფე გარეგნობითაც, ტანისამოსითაც ქართველი უნდა იყოს. კარგი, ჩინებული დარიგება მომეცი შენ შავ ქლიაგის სროლითა. ბარაქალო, შენს ქართველ ქალობას"¹.

¹ იაკობ გოგებაშვილი, რჩეული თხზულებანი, ტ. II, თბ. 1990, გვ. 198.

იაკობ გოგებაშვილი თვითონვე მიუთითებს ამ მოთხრობის პირველ წყაროს: "ეს ამბავი ქლიავის სროლისა ჩვენი მოგონილი არ არის, ხალხის თქმულებას შეადგენს. ამის შესახებ დაუწერია წერილი ერეკლეს შვილიშვილ ალექსანდრე ორბელიანსაც ჟურნალ "ივერიაში".

"მეფე ერეკლე და ინგილო ქალის" შესახებ უარყოფითი რეცენზია გამოაქვეყნა გიორგი წერეთელმა ჟურნალ "კვალში", რასაც გამო-
ენბაურა გოგებაშვილი საკმაოდ გრცელი პასუხით "უძღური ბორო-
ტება", რომელიც ჩვენთვის მრავალმხრივ არის საყურადღებო.

ხალხურ თქმულებაში მოქმედება ხდება ქიზიყში. სოფელ ვა-
ქირში, სიღნაღის მახლობლად, ერეკლემ რომ გაიარა, ერთმა ანცმა
გოგონამ ერთი მუჭა ლეღვი "გაისროლა და სტყორცნა მეფეს ირაკლის
კეფაში". თქმულებაში ამ გოგონას სახელიცაა შემონახული – ანას-
ტასია. მთქმელი აღნიშნავს: "საკვირველება და შიში ისახებოდის
სახეზედა მოხუცებულისა დედაკაცისა /ანასტასია/, როცა ის მოი-
ვონებდა სიცელქესა ყრმობისასა"¹.

გოგებაშვილმა მოქმედება გადაიტანა საინგილოში ვარკვეულ
მოსაზრებით. ამით სურდა ეჩვენებინა, რომ საინგილო საქართველოს
განუყოფელი ნაწილია. აი, რას წერს თვითონვე ამის შესახებ: "ამისთანა
კეთილისმყოფელნი აღმოუჩნდნენ ჩვენს აღმოსავლეთის ძმებს –
ინგილოებს, რომელნიც ჩასძახიან, რომ თქვენ ჩამომავლობით თათრები
ხართო და არა ქართველებო, წირვა-ლოცვა თქვენში უნდა
სწარმოებდეს თათრულს ენაზედ, ამავე ენაზე უნდა იბეჭდებოდეს
თქვენთვის წიგნები თათრული ანბანითაო და სხვანი". სწორედ ამ
უსაძარტლობის გასაბათილებლად გამოიყვანა დიდმა პედაგოგმა ინგი-
ლო ქალი სანიმუშო პატრიოტად და ქართველი დედის ტიპურ წარ-
მომადგენლად.

გიორგი წერეთელმა "ცრუ გამოხატულების მოთხრობა" უწოდა
და ბავშვებისათვის შეუფერებლად მიიჩნია. არ მოეწონა არც მეფის
პასუხი და არც გოგონას საქციელი.

იაკობ გოგებაშვილმა ფაქტებით მახვილგონივრულად უპასუხა
მოპაექრეს და დაამტკიცა, რომ არც გოგონას და არც მეფის
მოქმედებაში დაუჯერებელი არა იყო რა. ერეკლეს რომ თოფი

¹ "ცისკარი", 1857 წ. N7, გამრეკელოვი, სურგრძელობა საქართველოს
მეფის ირაკლი II-სა.

დაეპიზნებინა გოგონასათვის, გასაკვირი სწორედ ის იქნებოდაო. რაც შეეხება ინგილოს, სწორედ პატრიოტული სულის გამბედავ გოგონას შეეძლო ასე მოქცევა. აქვე ვოგებაშვილი განმარტავს, რომ ეს ადგილი მხოლოდ პოლიტიკური მოსაზრებით არ არის შერჩეული. ამ მხარეში, მწერლის აზრით, უფრო სჭარბობენ გამბედავი ქალიშვილები და აი რატომ: "საინგილო, როგორც განაპირა მხარე საქართველოსი, სწორად იყო ბრძოლის თეატრად. მას ეტანებოდნენ, იჩემებდნენ, ერთის მხრივ, ლეკები, მეორე მხრივ სპარსელები, ყიზილბაშები. ქართველები, რასაკვირველია, არ ანებებდნენ. ბრძოლა იყო თითქმის განუწყვეტელი. ამ ბრძოლაში პირველი ადგილი ეჭირათ თვითონ ინგილოებს, რომელთაც თავიანთ სიკვდილად მიაჩნდათ—მოსწყვეტოდნენ საქართველოს და ვათათრებულებიყვნენ". ქალებიც გვერდით ედგნენ მამაკაცებს ბრძოლაში და ამიტომ უფრო გამბედავები და თამაშები იყვნენ, ვიდრე საქართველოს სხვა კუთხის მანდილოსნები.

მეორე ეპიზოდი, როგორც აღვნიშნეთ, კრწანისის ომს ეხება. აქ დაღუპული შვილების შესახებ ჩვენს ინგილო ამბობს: " ვმადლობ, მსურვალედ ვმადლობ უფალსა, რომ მან აღირსა ჩემს შვილებს გმირული სიკვდილი, სიკვდილი სახელოვანი მამულიშვილებისა". ეს სიტყვები დღეისათვის ერთგვარად დეკლარაციულად ისმის, მაგრამ ამ ქალს ხომ მეტი მიზეზი აქვს იმისათვის, რომ ერეკლე მეფის ვადასარჩენად დაღუპული შვილებით იამაყოს. თანაც ეს ხომ ისეთივე დედაა, როგორც ილიასა და აკაკის ქართველი ქალები, რომლებიც თამამად ამბობდნენ:

აჰა, ამ დღისთვის გაგიზარდე, მამულო, შვილი,
სიცოცხლე მიგეც, რომ შეიძლოს შენთვის სიკვდილი/ილია/.

ან კიდევ:

არა ვსტირი იმ ორ შვილსა, ომში მოკლულს ირუღადო,
ვიგლოვ ცოცხლად დარჩენილსა, უსახელოდ, ვირუღადო
/აკაკი/.

ინგილო დედა ერთგვარ გამართლებასაც უძებნის ამ თავის დედურ ტკივილს, თითქოს ბედისწერის აღსრულებას ხედავს ამაში: " ტყუილად კი არ მძულდნენ პატარაობიდანვე სპარსელები ისე ძლიერ, რომ მზად

ვიყავი, ყოველ მათ დანახვაზე ზედ შეგვიკვდიმოდი. გული თითქოს მაშინვე მეუბნებოდა, რომ ეს მტარვალები შენცა და შენს საყვარელ საქართველოსაც დიდ უბედურებას მოაყენებენო. და აჰა, წინათგრძნობა გულისა მთლად ამიცხადდა".

ამ პატარა მოთხრობამ გაუძლო დროთა სვლას და იგი დღესაც ერთ-ერთ მოძიებლავ ნაწარმოებად რჩება ქართულ საბავშვო მწერლობაში.

გოგებაშვილის შემოქმედების გვირგვინია ფართოდ აღიარებული მოთხრობა "იავნანამ რა ჰქმნა?". აღსანიშნავია, რომ ის ერთადერთი თხზულებაა, რომელიც მწერლის სიცოცხლეშივე ითარგმნა ფრანგულად. პირველად ცალკე წიგნად გამოქვეყნდა 1890 წელს, გადაითარგმნა სომხურ ენაზე 1907 წელს. თავიდანვე ქართულმა პრესამ მას მაღალი შეფასება მისცა.

მთავარი აზრი ნაწარმოებისა ბავშვობიდანვე შეწოვილი ერთგული დვრიტის შეგრძნებაა, რაც უშუალოდ ხალხური იავნანის მოტივების ცხოველმყოფელობითაც გადმოიცემა. ამ ძირითადი თემის გარდა სხვა მრავალ პრობლემასაც ვხვდებით: პატრიოტიზმს, მეგობრობას, სიკეთის ძალას. მოთხრობის დასაწყისშივე მწერალი ხაზს უსვამს მადანის მოძიებლავი სიმღერის უნარს და ამ ოჯახის მუსიკალურობას: "მისი სმა და სიმღერა ისე ღრმად მიდიოდა კაცის გულში, ისეთი სიამოვნების ურუანტელს დაასხამდა, რომ ვინც კი მას მოისმენდა, თავის სიცოცხლეში აღარ დაავიწყდებოდა. ზურაბმაც მშვენივრად იცოდა თარზე დაკვრა. როცა ქმარი უკრავდა თარზე და ცოლი დაძღვროდა, ყური ამაზე უკეთეს ვერას გაიფიქრებდა".

ბუნებრივია, რომ პატარა ქეთოს გავიკებით უყვარდა სიმღერა და საათობით სულგანაბული ყურს უგდებდა დედის სმას.

მწერალი ლექებისა და ქართველების ურთიერთობას ახლებურად წარმოგვიდგენს. ვიდრე ქართველები რუსებს დაუკავშირდებოდნენ, იქამდე "დაღესტანსა და საქართველოს შორის ტკბილი განწყობილება არსებობდა, დიდი მეგობრობა სუფევდა". მათ ჩვენში ვასაყიდად გადმოქონდათ ნაბდეულობა და იარაღი, რომლის კეთებაშიც განთქმული იყვნენ. როგორც ცნობილია, დაღესტნის სამხრეთი ნაწილი ერთხანს საქართველოს სამფლობელოშიც შემოდიოდა. მწერლის მიზანია, უჩვენოს, რომ ის სასიკეთო ძირები კიდევაც შეიძლება აღსდგეს ანაღ სიტუაციებთან დაკავშირებით. ამისათვის ხედავს საქართ და ეს ხედავს ქეთოსნაირმა უმწიკვლო და გულმართალმა ადამიანებმა

უნდა გასდონ. ამჟამად კი "ბაჯაჯგუნა ლეკებმა" (ასე იხსენებს იაკობი იმ ორ არაკაცს) პატარა ქეთო მოიტაცეს გამდიდრების მიზნით. მაინც განზრახვა სწავაგვარად წარიშართა: ქეთო ნაიბმა იშვილა. პირველად ქეთო ტირილდა, დედ-მამასა და სოფელს ნატრობდა, "მაგრამ ნაიბი და მისი ცალი ისეთი სიყვარულით, მოფერებითა და აღურსით ექცეოდნენ ქეთოს, რომ ძალე დაავიწყებინეს წინანდელი ყველაფერი".

"ბავშვი აწდგომით ცხოვრობს", - აღნიშნავს მწერალი, - ის შეუწყვეტლივ იზრდება... ბავშვი არ ფიქრობს არც წარსულზე და არც მომავალზე. ამის გამო წარსულის ნაშთი, ხსოვნა, მოგონება მის გულსა და გონებაში ძალე სუსტდება, მკრთალდება და თითქოს სრულიად იშლება. აწმდგომი კი სრული ძალით მოქმედებს მასზე და იჭერს წარსულის ადგილს მთლად განუყოფელად".

კრიტიკულ ლიტერატურაში ამ ადგილმა ყურადღება მიიქცია. აქ ფსიქოლოგიურად არის გახსნილი საბოლოო წლის ბავშვის ხასიათი. ამ ნაწარმოების პირველი კრიტიკოსი თეოფილე ხუსკივაძე თავის ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებში¹ სწორად აფასებს ყმაწვილის ამ თავისებურებას და მოთხრობას საერთოდ ძალად შეფასებას აძლევს.

მამა ათი წლის შემდეგ იბრუნებს ქეთოს. ამ ასაკში ადამიანი მარტო აწმყოთი აღარ ცხოვრობს, მასში ღრმადია დაღუპილი წარსულის მოგონებანი და ამიტომაც ქეთო ახლა გაცილებით უბედურად ვრძნობს თავს. ახლის შეგუებას დიდი დრო სჭირდება, წარსულ შთაბეჭდილებებს ვერ ივიწყებს, რაღაც დიდი ვარდატუნა უნდა მოხდეს, რომ ახალი ვარემო აღიქვას და შეეგუოს: "აწმყოს მასზე გაბატონება ბრძოლით უნდება, შედარებით ნელი პროტესით ხდება ადამიანის ხელახალი ვარდაქმნა". სწორად მსჯელობდა აგრეთვე თ. ხუსკივაძე, რომელიც წერდა: "პირველ დღეებში მიღებულ შთაბეჭდილებას ყმაწვილის გონებაში დიდი მნიშვნელობა აქვს და არაფერს მისი ძირიდან ამოსოცვა, აღმოფხვრა არ შეუძლია, რაც უნდა გარემოებათა ანუ პირობათა გავლენის ქვეშ იძყოფებოდეს ადამიანი დროთა ვითარებისა გამო" / იქვე/. ქეთოს არსებაში ათი წლის განმავლობაში მიღებული შთაბეჭდილებები ისე ძლიერად გააძგდარი, რომ მშობლების სახლში საშინლად იტანჯება, ახლა მასში წარსული ჩრდილაგს აწმყოს და თავისკენ იხმობს.

¹ "მწყემსი", 1890 წ. N23-24, გვ. 12-15.

და აი, მამის ერთ მშვენიერ დილას, მაგდანამ "იავნანა" წამო-
იწყო. ჯერ დაბალი ხმით, ღიღინით ამბობდა მელოდიას, მერე თავისი
ხმის სიმშვენიერემ გაიტაცა და თავისებურად მაღლა-მაღლა აუწია.
ქეთოს სახეზე აღელვება დაეტყო. რაღაც სანატრული მოგონება
ქვევიდან ზევით იწევდა და სუნთქვას უკრავდა. ბოლოს დუდის ზმამ
შიაღწია ქეთოს სულიერ სიღრმემდე, ზევიდან კეც-კეცად დაწოლილი
სხვა მოგონებები გაარღვია და ქეთო ზეზე წამოიჭრა: "დედას" ძახილით
მივარდა მშობელს, სიმღერამ თავისი ქნა, ძვალსა და რბილში გამჯ-
დარი მელოდია მთელი ძალით გაცოცხლდა. ქეთომ მამაც იცნო.
არაცნობიერში დაბუდებულმა ეროვნულმა გენეტიკამ იძვლაგრა.

ნაწარმოები შეიძლებოდა აქ დამთავრებულიყო. მაგრამ მწერალს
უფრო შორს გამიზნული იდეები აქვს. პუმანიზმის დიდი მქადაგებელი
ნაბისა და მისი ცოლის ამაგის უგულვებელმყოფელი ვერ გახდებოდა.
ქეთოს არ შეუძლია ამ კეთილი ხალხის დავიწყება და მათ მეორე
მშობლებად თვლის. "ბრძენნი ამბობდნენ და ამბობენ,—შენიშნავს
მწერალი,—რომ საუკეთესო წყარო ადამიანის ბედნიერებისათვის მოსი-
ყვარულე გულიაო. იგი ატკბობს ადამიანურ ყოფას; ხდება წყაროდ
კაცთმოყვარეობისა და გაუქრობელ ღამპრად ცხოვრებისა. მოსი-
ყვარულე გული მთავარია, რათა გააღამაზო ცხოვრება, აანთო
ჩაუქრობელი სანთელი სიყვარულისა", და გოგებაშვილი უმა-
ტებს: "ქეთოსავით ბედნიერად გაცოცხლოთ დიდხანს".

ამგვარად, "იავნანამ რა ჰქმნა?" ქართული საბავშვო პროზის
შედევრია, რომელიც მიმზიდველ შინაარსთან ერთად მხატვრული
ოსტატობითაც გამოირჩევა. ყოველივე მშობლიურთან ერთად
ბავშვებში ნერვავს კაცთმოყვარეობის, ინტერნაციონალიზმის უკე-
თილშობილეს გრძნობებს.

ი.გოგებაშვილი გონებრივი და ზნეობრივი აღზრდის ამოცანებს
ერთმანეთისაგან არ თიშავდა. მიზნად ისახავდა სრულყოფილი ადა-
მიანების, ან როგორც თვითონ ამბობდა, "ახალი ტიპის ქართველის"
ჩამოყალიბებას. ზნეობრივი აღზრდის პრინციპებს მის შემოქმედებაში
ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს. "დედა ენის" ერთ-ერთი ციკლი
ასე დაასათაურა: "მთხრობანი და ლექსები წმინდა ზნეობაზე"¹.

უბრველეს ზნეობრივ თვისებად იაკობს მიაჩნდა მოგალეობის
გრძნობა, დახმარება მოყვასისადმი, სიკეთე და კეთილშობილება.

¹ იაკობ გოგებაშვილი, დედა ენა, II ნაწილი, თბ. 1912, გვ. 110.

ბავშვი ასეთად რომ ჩამოყალიბდეს, აუცილებლად უნდა მიიღოს შე-
საფერისი განათლება.

სწავლის პროცესი სასიამოვნო უნდა გახდეს, უამისოდ სასურველ
ნაყოფს ვერ გამოიღებს. სოფელთან განშორებულ პატარა ბავშვს ბევრ
დაბრკოლებასთან ერთად სულიერადაც უჭირდა, ენატრებოდა სოფე-
ლი, შშობლები და ამის გამო ხშირად სწავლაზეც გულს იცრუებდა.
მწერალი მოთხრობებითა და ავტობიოგრაფიული მაგალითებით ცდი-
ლობს დაარწმუნოს პატარები, რომ სიძნელეები გადაილახება და
განათლება მის ქვეყანას გამოადგება. ამ მიზნით ქმნის ისეთ მოთხ-
რობებს, სადაც ათასგვარი საშუალებებით ცდილობს გაუადვილოს
ბავშვებს სოფელთან დაშორების ტკივილი. ამ მხრივ აღსანიშნავია
მოთხრობა "ვანო და ფრინველები". "წიქარას" მსგავსად ადამიანისა და
ფრინველების მეგობრობა აქაც ურთიერთდახმარებითა და მეგობრობით
განისაზღვრება. პატარა ვანოს სწავლის სირთულეს სიზმარში ნახული
ფრინველების ნაამბობი უადვილებს. ეს ურთიერთობა დიალოგის
ფორმით წარმოსდგება და კითხვა-პასუხის გზით ბავშვი სასიამოვნო
ცნობებს იღებს ჩიტებისაგან:

დედაშენი ამ დილაზე ბანზე იყო ვადმოძღვარი
და ჭრელ წინდებს ვანოსათვის ქსოვდა ტკბილად მომღიმარი.

"ტკბილად მომღიმარი დედა" თავის სათაყვანებელ შვილზე
ფიქრებშია გართული. მერცხალმა ვანოს ახალი ახალუხის შეკერვის
ამბავი ამცნო და ბოლოს ბუღბუღლმაც გაახარა:

დედაშენი? როგორ არა! ბადში ვნახე მე ამ ხანად,
ლოყაწითელ ვაშლებს კრეფდა ვანოსათვის ვასაგზაგანად.

ამ სიზმრით ფრთაშესხმული ვანო ხალისით ეკიდება სწავლას. მან
იცის, რომ ტყუილად არ ახარეს ფრინველებმა, მართლა ელოდა ჭრელ
წინდებს, ლამაზ ახალუხსა და წითელ ვაშლებს.

როგორც ვხედავთ, ამ ნაწარმოებში სწავლისაკენ მოწოდების
გარდა დედაშვილურ სიყვარულზეც არის ყურადღება გამახ-
ვილებული. ჩვენ თითქოს ვხედავთ გულიდან მოუცილებელ შვილზე
ჩაფიქრებულ და მზრუნველ დედასაც.

თუ რა ძნელი იყო შვიდი-რვა წლის ბავშვისათვის მშობლიური კუთხის მიტოვება და სასწავლებლად სხვა ქალაქში წასვლა, ამას ავტობიოგრაფიული მოთხრობიდანაც ვიგებთ. პატარა კატო დარდისაგან ლოვინად ჩავარდა და არაფერმა არ უშველა. სანამ ვარიანის ღვთისმშობლის ეკლესიაში არ წაიყვანეს, საყვარელ სოფელსა და მშობლებს არ დაუბრუნეს. ხალხმა ყველაფერი ხატის მიზეზით ახსნა და მწერალმაც ეს სათაური "ხატის მიზეზით" უწოდა ამ პატარა საინტერესო მოთხრობას. ამგვარი მგრძობიარე ბავშვების გასაგონად მწერალი შენიშნავს: "რას მოვიფიქრებდი მაშინ, თუ შემდეგში, როცა სწავლა გაძიტკებოდა, მე ვარიანზე მეტად შემიყვარდებოდა თბილისი, როგორც კერა სწავლისა, განათლებისა". "სწავლის გატკბობამდე" კი ყმაწვილი უნდა მიიყვანოს აღმზრდელ-მასწავლებელთა და მშობლების ერთობლივმა ზრუნვამ.

სმირად ბავშვი ბუნებით ზარმაცია და ზოგჯერ ცუდ მიდრეკილებებსაც ამჟღავნებს. საბავშვო ლიტერატურის გალია, აღმოფხვრას მათში მანე ჩვევები და განუვითაროს მაღალი იდეალებისაკენ სწრაფვა. სწორედ ამ მოთხოვნას პასუხობს მოთხრობა "სიზარმაცეს მათხოვრობა მოსდევს". ზარმაც სანდროს მათხოვარი ასეთ რჩევას აძლევს: "მეც პატარაობისას შენსავით სკოლაში ვსწავლობდი. მაგრამ ჩამიჯდა რაღაც ეშმაკი და სწავლაზე გული ამაცრუებინა, შრომა შემაძულა, ეშმაკობა და ცუდობა შემაყვარა". სასწავლებელი მიატოვა, სიზარმაცეს მიჩვეულს ყოველგვარი შრომა ეზარებოდა, გარჯილობა სძულდა. როცა მშობლები დაეღუპა, ლუკმა პური მოენატრა და მათხოვრობა დაიწყო. ეს დარიგება წამლად ექცა სანდროს: სიზარმაცეს სძლია, სწავლას მიჰყო ხელი და სასარგებლო მოღვაწეც დადგა.

ბავშვის ზნეობრივი თვისებებიდან ვოგებაშვილი განსაკუთრებით გამომყოფს სიკეთეს. სიკეთე სიკეთისათვის დიდი სულგრძელობა როდია, მთავარია ბოროტი საქციელისათვის სიკეთით პასუხი. ეს ქრისტიანული მორალი გატარებულია ისეთ მოთხრობებში, როგორიცაა: "თავის გაწირვა მტრისთვის", "სიკეთე ბოროტისათვის", "გულკეთილი ქვრივი" და სხვ.

ელაში კატო იმიტომია მისაბაძი, რომ ლამაზ ვაროს დამახინჯების შემდეგ სამაგიერო კი არ გადაუხადა, არამედ დიდი სიყვარულითა და თანაგრძნობით შეხვდა. "ვაროს ორივე თვალთაგან შვეების ცრემლი წასკდა". ეს "შვეების ცრემლი" მისი გამოსწორების საწინდარია.

ორი ერთმანეთზე გადაკიდებული ყმაწვილიდან ერთი წყალში გადავარდა და იღრჩობოდა /"თავის გაწირვა მტრისათვის"/, მეორე ბიჭმა სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებით თავისი მუდმივი მარჯვენა ნაპირზე გამოიყვანა. "ამ დღიდან, — ამბობს მწერალი, — წინანდელი მოსისხლე მტერნი შეიქმნენ გულითადი მეგობრები და ერთმანეთს აღარაფერი ერჩივნათ სიკვდილამდე".

ქურდობა დასაძრახისია. თვით ხილის ქურდიც კი ვერ გადაურჩება შერცხვენას. ამიტომაც მეზობლის გაშლის ჩუმად დამკრეფ სანდროს სინდისი ქეჯნიდა მანამ, სანამ მეზობელს არ გამოუტყდა და გამართლება არ მიიღო. დიასახლისმა დალოცა კეთილსინდისიერი ყმაწვილი და დაამატა: "შეგარგოს ღმერთმა!".

ამგვარად, იაკობ გოგებაშვილის ნაწარმოებთა თემატიკა მეტად მრავალფეროვანია. ძირითადი მიზანი ამ მოთხრობებშია არის მოწარდი თაობის წნეობრივი აღზრდა და საზოგადოების სასარგებლო წევრად ჩამოყალიბება.

იაკობ გოგებაშვილს 60-იან წლებში დაუწყო "სადგოთ მოთხრობების" წერა, შემდეგ მიუტოვებია და 80-იან წლებში ისევ მიბრუნებია. მასში მოთავსებულია ძველი და ახალი აღთქმიდან თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ეპიზოდი. ისინი მწერალს ცალკეული მოთხრობების სახით წარმოუდგენია, დაწყებული მამა ზეციერის მიერ ქვეყნის გაჩენიდან ქრისტეს აღდგომამდე. ამიტომ მას, მეორენაირად "ბიბლიურ ისტორიასაც" უწოდებენ. სულ ცოტა, ეს ყველაფერი ორი მიზნით იყო ნაკარნახევი. ჯერ ერთი, იმდროინდელ სასწავლებლებში ყველგან ისწავლებოდა "სადგოთ რჯული" და ეს მოთხრობები გაუადვილებდა ბავშვებს "ბიბლიის" გაგებასა და ათვისებას. მეორეც, ეს იყო საშუალება ახალგაზრდობაში პუმიანზმის, სიკეთის რწმენისა და შეგნების დასახერგავად. ამიტომ იაკობი იმ ეპიზოდებს არჩევს, რითაც მოწარდის წნეობრივად აამაღლებს და გააკეთილშობილებს. მაგალითად, როცა ეგვიპტეში დაღალტით გაყიდულ იოსებს მისივე მოძულე ძმები პურის სათხოვნელად მიადგებიან, "მისისაგან გონდაკარგულებს თვითონვე ანუგეშებს და განიკითხავს კიდევაც, — დაენმარება პურით. გოგებაშვილი ხაზს უსვამს იოსების ამ სიტყვებს: "ნუ სწუხართ ჩემს გაყიდვას. თვით უფალმა მომიყვანა აქ თქვენი სიცოცხლის გადასარჩენად. გაეჩქარეთ მამჩემთან და ახარეთ ჩემი დიდება ეგვიპტეში". ასევე მოსეს თავგადასავლებიდან ყველაზე მეტ ყურადღებას იქცევს მისი თავდადება მშობელი ებრაელი

ხალხისადმი. როცა ლტოლვილებს გასაჭირი მიადგებათ, მოსე ეკედრება ღმერთს: "უფალო, მე დაძღუე იმათ მაგიერ, მათ კი ყველაფერი ახატე!"¹.

იაკობ გოგებაშვილი თვითონაც აღზრდილი იყო თვითღმერთური მსოფლმხედველობით და ღმერთის ცნებას კარგად ახამებდა მატერიალისტურ ესთეტიკასთან. მისი ფილოსოფიური და ესთეტიკური შეხედულებების შესახებ მიხეილ გაფრინდაშვილი წერს: "იგი არ ცნობდა არც მატერიალიზმს და არც იდეალიზმს ცალცალკე, ორივე ისინი ცალმხრივ მიმდინარეობად ეჩვენებოდა, რადგან სწამდა, რომ რელიგია და მეცნიერება, ე.ი. არსებითად იდეალიზმი და მატერიალიზმი შეიძლება ერთად არსებობდნენ და ერთმანეთს მოურიგდნენ"².

გოგებაშვილი ამავე დროს საბავშვო ლიტერატურის საწყისებს ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში ხედავდა და საკვირველი ის იქნებოდა, რომ ამ საკითხებით არ დაინტერესებულყო.

იაკობ გოგებაშვილი თავისი მოთხრობებისა თუ ლექსების შექმნისას სარგებლობდა სხვადასხვა წყაროთი, ძირითადად ეყრდნობოდა ქართული ხალხური სიტყვიერების ნიმუშებს. "დედა ენაში" შეჰქონდა როგორც გაგონილი და პირდაპირ უცვლელი სახით, ისე ვარკვეული რედაქტირებითა და ზოგჯერ საგრძნობლად გადაეთებულაც, აღმზრდელობითი დანიშნულებით ცვლიდა ხალხურ ტექსტს და სარჩევში თავად მიუთითებდა. ამ საკითხზე თავის დროზე ყურადღება გაამახვილეს მეცნიერებმა: მის.ჩიქოვანშა, ფ.ზანდუკელმა, აკ.ხინთიბიძემ, არნილ სპარსიაშვილმა. მოვიტანთ ზოგიერთ ნიმუშს. "ყაყაჩო და ყმაწვილი" ხალხურ ვარიანტში ასე იკითხებოდა:

ყაყაჩოსა სიწითლითა
ყანა დაუშშვენებია,
წითელ ნუნუას ვაჟკაცის
გული გაუსარებია.

¹ იაკობ გოგებაშვილი, საღმრთო ისტორია, თბ. 1990, გვ. 89.

² მის. გაფრინდაშვილი, ნარკვევები, ქართ. საზ. აზროვნების ისტორიიდან, 1959, გვ. 472.

ეს ლექსი 1885 წელს თედო რაჭიგაშვილს ჩაუწერია კახეთში და იმავე წლის "ივერიაში" გამოუქვეყნებია. არის სხვა ვარიანტიც:

იას ვარდი რით სჯობია, იაგნანინაო,
რით უფრო შშვენიერია, იაგნანინაო,
სიღამაზით ყაყაჩო სჯობს, იაგნანინაო,
ყანა დაუშშვენებია, იაგნანინაო¹.

აღნიშნული სტროფი იოანე ბატონიშვილს მოჰყავს თავის "კალმასობაში", როგორც საძეო სიმღერა. ამ საყოფაცხოვრებო ლექსს იაკობმა პედაგოგიური თვალსაზრისით ბოლო ორი სტრიქონი შეუცვალა და ისე შეიტანა თავის "დედა ენაში": "ყმაწვილსა ვარუი სწავლითა სახლი გაუხარებია".

ამგვარივე ცვლილება განუცდია ლექსს "მიწვევა სწავლაზე". იგი ხალხურ ვარიანტში ასე იკითხებოდა:

ბიჭო, ვისი ხარ მალხაზი,
დაურნი დედაშენსაო,
საქმე რო არა გქონდეს რა,
ჩამოირბენდი ჩვენსაო.
სონჩაზე ღვინოს მოგიტან,
მეც მოგიჯდები გვერდსაო,
დაგლეგ და დაგაღვეგინებ.
პატარა აზარფეშსაო.

გოგებაშვილმა ლექსს სრულიად განსხვავებული დაბოლოება მოუძებნა, ისევ და ისევ პედაგოგიურ-აღმზრდელობითი თვალსაზრისით:

გადგიშლი წიგნსა პატარას,
მეც მოგიჯდები გვერდსაო,
გასწავლი წერა-კითხვასა,
არაკებს გეტყვი ძველსაო,
ვიმღერ და შენცა გამღერებ,

¹ ქართული ხალხური პოეზია, ტ. VIII, თბ. 1979, გვ. 115.

ლექსებს გასწავლი ბევრსაო¹.



ხალხური "ფეხმოტეხილი კურდღელი" დიდ პედაგოგს თავისი "დედა ენის" პირველ გამოცემაში უცვლელად შეუტანია:

კურდღელი ჩამოცანცალდა
ფეხმოტეხილი, საწყალი,
ზურგზედ ეკიდა საგზალი,
თუნგ ნახევარი მაჭარი.

გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, როგორც თვითონვე აღნიშნავს, კურდღელისათვის უფრო შესაფერისი საკვები შეურჩევია:

ზურგზე ეკიდა საგზალი:
კომბოსტო ნორჩი, ახალი.

იაკობ გოგებაშვილი მიუთითებს, რომ ლექსი "მიძინოსა მწყერი უყვარს" ხალხურის შეცვლილი ვარიანტიაო. ეს ტექსტი ფიქსირებული არ არის, ალბათ, თვით გოგებაშვილს ჰქონდა მოსმენილი. აქაც შეოთხე ტაეპი პედაგოგიზაციის მიზნით შეცვლილი ჩანს:

მიძინოსა მწყერი უყვარს,
შეგარდენსა ნადირობა,
თუ დედა შეიღსა უყვარდეს,
არ მოსწყინდეს ბეჯითობა.

ლექსი "საწყალი მელა" ამოულია პეტრე უმიკაშვილის შეგროვილი მასალიდან და გარკვეული ცვლილებებით შეუტანია თავის სახელმძღვანელოში:

ესო, მესო, მელა ჩიოდესო,
გამიგდეს და გამომიგდეს,
სოროს შამაგდესო...
შამამბოლოესო, შიგ გამომადრჩევსო...

¹ იაკობ გოგებაშვილი, დედა ენა, თბ. 1876, გვ. 15.

მცირეოდენი ცვლილებები განუცდია ზღაპრებსაც. "მონდი, ვნახოთ ვენახში" შეცვლილია პირველი სიტყვა. "ია, ვნახოთ ვენახი",— ასე იყო ხალხურ ვარიანტში. რადგან ია გაუგებარი იყო, გოგებაშვილმა "დედა ენის" პირველი გამოცემის შემდეგ შეცვალა სიტყვით "მონდი". ასევე "მეთევზის შვილს" უწოდა "მებადურის შვილი" და თვითონვე მოგვცა განსხვავება ამ ორ ტერმინს— "მეთევზესა" და "მებადურს" შორის.

"დედა ენის" წინასიტყვაობაში გოგებაშვილი ვარკვევით წერდა: "ლექსებს ამ წიგნში დიდი ადგილი უჭირავთ. ისინი არიან უმეტეს ნაწილათ ხალხურნი, რომლებიც ზოგნი პეტრე უმიკაშვილის ჯერ დაუბეჭდავი კრებითგან ამოგწერეთ, ზოგნი თვითონ შეგკრიბეთ, ზოგნი ამოვარჩიეთ ახალციხური ლექსების კრებითგან"¹.

ამგვარად, დიდია იაკობ გოგებაშვილის როლი XIX საუკუნის ქართული საბავშვო მწერლობის განვითარების საქმეში. მისი მიზანი იყო, აღეზარდა "ახალი ტიპის ქართველი", თავისი სიტყვა ეთქვა მაღალზნეობრივი პრინციპების ჩამოყალიბებაში. ამისათვის არ დაუზოგავს ენერგია, ნიჭი თუ შესაძლებლობა; შეუფასებლად არ დაუტოვებია არც თანამედროვე მწერლები, არც ტრადიციული ლიტერატურა და არც ხალხური შემოქმედების ნიმუშები. მისი იდეა იყო, პატარებისათვის შეექმნა რამდენადაც სასარგებლო, იმდენად სასიამოვნო ნაწარმოებები. გოგებაშვილმა თავისი მოთხრობებითა და წერილებით საუკეთესო საფუძველი შეუქმნა შემდგომი პერიოდის ქართული საყმაწვილო ლიტერატურის განვითარებას.

¹ იაკობ გოგებაშვილი, დედა ენა, გამოცემა I, თბ. 1876, წინასიტყვაობა.

ილია ჭავჭავაძე (1837-1907)



ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მთავარ მიზანს მშობელი ქვეყნისა და ერის სამსახური წარმოადგენდა. აქეთკენ იყო მიმართული მისი მთელი საქმიანობა და ნიჭიერება. თვითონვე წერდა: "ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა. მისი გამჯობნება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილიაო".

თერგდალეულებმა აღადგინეს მივიწყებული სიტყვა "მამული", მუდმივი ზრუნვის საგნად აქციეს იგი, გამოაფხინლეს ხალხი და მომაგლისაკენ სავალი ვშებიც დაუსახეს; წამყვანი ადგილი დაუთმეს ეროვნულსა და სოციალურ კონცეფციას და ყველა სხვა საკითხი ამას დაუქვემდებარეს.

რადგან მომავალი თაობის სწორად აღზრდა ეროვნული წინსვლის აუცილებელ პირობად მიიჩნიეს, სამოციანელებმა თავიანთი ყურადღება სწავლა-აღზრდის საკითხზედაც გაამახვილეს, საბავშვო ლიტერატურის განვითარებასაც მძლავრი ბიძგი მისცეს. ილიას დემოკრატიული იდეები, აღზრდისა და განათლების შესახებ წერილები და გამოსვლები, ეროვნულ-პატრიოტული და სოციალური ხასიათის ნაწარმოებები ისეთსავე დიდ ზეგავლენას ახდენდა ახალგაზრდობაზე, როგორც უფროსი თაობის ძეითხველებზე.

ხაზვასშით უნდა აღინიშნოს, რომ "საქართველოს მოამბე" იყო ის ჟურნალი, რომელმაც საბავშვო ლიტერატურის რაობასა და მის საჭიროებაზე პირველმა გაამახვილა ყურადღება. ილიამ ამ ჟურნალში დაბეჭდა წერილი "ბელისკის აზრი შვილების აღზრდაზედ"¹, რომელსაც ფსევდონიმად "მაქსიმ დაღანძიე" მოაწერა.

ილია ვრცლად მიმოიხილაგს სწავლა-აღზრდის საკითხთან დაკავშირებულ ბელისკის შეხედულებებს და გზადაგზა საკუთარ აზრებსაც ურთავს სქოლიოების სახით.

ილია ჭავჭავაძე ჩივის, რომ საბავშვო ნაწარმოებები თითქმის არა გააქვს და ამ მხრივ ჩვენს ლიტერატურას გარკვეული ხარვეზი აქვს.

¹ "საქართველოს მოამბე", 1863, N10, გვ. 57.

ბირველ ყოვლისა, დგება საკითხი, თუ ვინ უნდა იყოს საბავშვო მწერალი და როგორ უნდა მუშაობდეს ამ დარგში? რადგან საბავშვო ლიტერატურა სპეციფიკური ნიშნების მატარებელია, მწერალი უნდა დაიბადოს ამ დარგისათვის შესაფერისი მონაცემებით. იგი უნდა იყოს მორალურად და ზნეობრივად შეუბღალავი, მოზარდთა სიყვარულით შთაგონებული და მათი მეგობარი. ამავე დროს "ცოცხალი, პოეტური ფანტაზია არის მოუცილებელი საჭიროება. ფანტაზიით და ფანტაზიის გამო უნდა მოქმედებდეს მწერალი ბავშვებზე. ბავშვის ფანტაზია არის ძველი ნიჭი და ძალა სულისა". განსაკუთრებით საინტერესო დაკვირვებებია მოცემული მოზარდის ფსიქიკურ თავისებურებებზე. კარგადაა შენიშნული ბელისკის მიერ, რომ ადრეულ ასაკში ძლიერია "დაუსრულებლობის წადილი", "სიცოცხლის საიდუმლოების წინათგონობა". ბავშვს ისეთი ნაწარმოებები აინტერესებს, სადაც ყველაფერი არ მთავრდება, რომელიც ფანტაზიის გასაქანს იძლევა, რათა ცნებით მან ახალ-ახალი გაგრძელება წარმოედგინოს.

საბავშვო მწერლობამ უნდა გაუხსნას ბავშვს გონება, ამავე დროს უნდა განუვითაროს "მშვენიერების გრძობა", სილამაზის აღქმისა და ესთეტიკური ტკობის უნარი.

საბავშვო ლიტერატურამ უნდა იმოქმედოს ჯერ ბავშვის გრძობაზე და მერე გონებაზე. ვისაც არაფერი უგრძობია, მას არც რაიმე შეუთვისებია. გრძობა წინ უსწრებს შექმნებას.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმართებს მსჯელობა ნაწარმოების დასასრულის ირგვლივ. დღემდე მიღებული იყო, რომ საბავშვო ნაწარმოებს აუცილებლად კეთილი დასასრული უნდა ჰქონდეს. ეს ხშირად ასეცაა. მაგრამ თხზულება შეიძლება დამთავრდეს უბედურებითაც, სადაც ბოროტება იმარჯვებს, რადგან ეს ჩააფიქრებთ პატარებს. "ყმაწვილი გულნი თქვენის პატარა წამკითხველებისა მიუღებთან დატანჯულებსა და არ შეშურდებათ გამარჯვებულები-სათ", - ასკენის მწერალი.

იღია სრულიად ეთანხმება ბელისკის, რომ საყმაწვილო ნაწარმოები ისე უნდა იყოს დაწერილი, რომ იგი სიამოვნებით წაიკითხოს დიდმაც.

იგივე აზრი იღიამ თავის მხატვრულ ნაწარმოებშიც გამოთქვა მოძღვრის პირით. "საქართველოს მოაზრის" 1863 წლის N1-ში

¹ "საქართველოს მოაზრის", 1863, N10, გვ. 60.

გამოქვეყნებული "გლახის ნააშობის" IV-VI თავები ამ საკითხს ეძღვნება.

თვითონ მღვდელი თავისთავად ზნეობრივი გმირია, მისაბაძი პერსონაჟია ყველა დროისა და ეპოქის ადამიანისათვის თავისი ქცევით, სხვისთვის დახმარებისა და თავგანწირვის უნარით. ჭკუმიშარიტი ქრისტიანული მოძღვრების საქმით დამამტკიცებელი და ცხოვრებაში გამტარებელი — იგი საყოველთაო სიყვარულთაა გარემოცული.

მღვდელი ჭკვიან და მახვილსიტყვა გლეხ პეტრეს ესაუბრება. აქ იგი სწავლისა და ცოდნის მნიშვნელობის მატერიალურ ღირებულებას უსვამს ხაზს. უნდა დაარწმუნოს გლეხი, თუ ცოდნა ვაქვს, ადვილად დაეუფლები მიწას და მისგან სარგებლობაც მეტი გექნება. მოსწრებული სიტყვა—პასუხის მქონე პეტრე თავიანთი ცხოვრების აზრს ასე გადმოსცემს: "ჩვენი წიგნი დედამიწაა, ვენაცვალე იმის მადლსა. როცა დედამიწას მწვანე ხავერდისავით ჯეჯილის ყდა გადაეკვრება, მაშინ იმაზედა ვკითხულობთ ჩვენს ბედსაც. ჩვენი კალაში დაუღალაჟი ვუთანია, ძელანი კიდევ ვუღ—ღვიძლიდან გამოწურული ჩვენი ოფლია. ამოვაწვებთ ოფლში ვუთანსა, გადავუსხნით ხოლმე დედამიწას მადლანს ვუღსა, ჩაჟაყრით შიგ თესლსა, როცა დრო მოვა, მივალთ და ის დალოცვილი მიწა თავის დღეში არ დაიღლება, ისე არ გაძუნწდება, რომ მიბარებული ერთიორად მაინც არ დაგვიბრუნოს"¹.

მოძღვარი მარტივი და გასაგები მაგალითების მოშველიებით არწმუნებს პეტრეს, რომ რაც უფრო მცოდნე და განათლებული იქნება გლეხი, მით უფრო გაუადვილდება შრომა, შეუძნებუქდება ფიზიკური დატვირთვა და მოსავალსაც უფრო მეტს აიღებს, რადგან წიგნი დააკავშირებს სხვა ქვეყნის ისტატებს, მეცნიერებს, ჭკვიან და გამოცდილ კაცებს. აი, მაგისტანა მისანია წიგნი!—დაასკენის მღვდელი და პეტრესთან ერთად მთელი გლეხკაცობის უდიდეს ნდობას დაიმსახურებს.

იღია ცოდნა—განათლების მარტო მატერიალურ მხარეზე როდი ჩერდება. მღვდლის საუბრები გაბრიელთან ადამიანში აღვიძებს განათლებული კაცის ლტოლვას თავისუფლებისა და თვითმყოფობისაკენ: "რა ვუყოთ, რომ მე და შენ დღეს პატარები ვართ,—ეუბნება შევირდს,—ვინ იცის, ძმაო, ხვალ ბედი როგორ გადატრიალდება, ვინ წინ მოექცევა და ვინ უკან? რაც შეგვეძლოს, ჩვენი ის ვქნათ".

¹ იღია ჭკვიანობა, თხზულებანი, ტ. II, თბ. 1988, გვ. 149.

ცოდნა ადამიანს საზოგადოებრივ-სოციალური საკითხების სწორად გაანალიზებაშიც დაეხმარება. ავთანდილისა და შერმადინის მეგობრობით აღტაცებულ ვაბრიელს მღვდელმა ჰკითხა:—მოვწონსო? და ძალიან მარტივად აუხსნა: "აბა რა!—მართალი ხარ! უარესი ეგა სჯობია",—დაუმატა ნაღვლიანად და თავისი მოწაფე პირველად ჩააფიქრა კეთილი მებატონისა და ყმის ურთიერთობაზე, ძლიერისა და სუსტის, დიდისა და პატარის მოჩვენებით მეგობრობასა და თანასწორობაზე. მიმინოს მაგალითით კი დაუმტკიცა გარეგნულ ფუფუნებასა და უზრუნველობასთან შედარებით ჭეშმარიტი თავისუფლების უპირატესობა.

სახელის მოხვეჭა ადამიანის უპირატესი განძია. მოძღვარი ამას თავისი პირადი ცხოვრების წესითაც ამტკიცებს და თეორიულადაც ასაბუთებს. კაცი მუდამ კეთილ საქმეს უნდა აკეთებდეს. შეიძლება თავიდან სხვისთვის სარგებლობის მოტანა არც გქონდეს გამიზნული, მაგრამ შენი ნამოქმედარი მერე სხვასაც გამოადგება და შენი ვალი მოხდილად ჩაითვლება. მწერალი აქ სიკეთის ახლებურ ვაგებას იძლევა. ვუთნის გამომგონებელი შეიძლება მშვიერიც მოკვდა, მაგრამ მომაგალი თაობები იხსნა შიშხილისაგან. ამიტომ სახელისათვის კი არ უნდა იბრძოდეს ადამიანი, არამედ სიკეთისათვის. სახელი მერე თავისთავად მოვა.

ყველაზე დიდი ვალი ადამიანს სამშობლოს წინაშე აქვს მოსახდელი: "სიცოცხლე ჩვენი, ჩემო ძმაო, არც დედისაა, არც მამისა. ქვეყნისა არის. ჯერ ქვეყანა, მერე დედა და მამა. მზე რომ ამოდის, ვარსკვლავები მაშინ არ სჩანან..."

როგორც ვხედავთ, "ვლახის ნაამბობში" ილია ჭავჭავაძე ცოდნა-განათლების მხოლოდ უტილიტარულ მხარეზე როდი ჩერდება, იგი მრავალი კუთხით აშუქებს ამ საკითხს. სწავლა—აღზრდას უყურებს, როგორც ადამიანის ზნეობრივი გარდაქმნის პროცესს, რომელმაც უნდა განსაზღვროს ამა თუ იმ კაცის ადგილი საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის საქმეში. თვითოეულ ადამიანს თავისი განსაკუთრებული როლი აკისრია ამ ცხოვრებაში და ეს ტვირთი გააზრებულად უნდა ატაროს ბოლომდე.

მომაგალი თაობის ფორმირებისა და სწორად აღზრდის საკითხებს ილია მრავალჯერ უბრუნდება. იგი თავის გამოსვლებსა თუ წერილებში მხურვალედ ეწვევა სწავლა-განათლების პრობლემას, თავგამოდებით ებრძვის მისი გაუფასურების ცდებს. საყოველთაოდ ცნო-

ბილია ილია ჭავჭავაძის სიტყვა წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლის გახსნაზე. ის მჭერმეტყველების საუკეთესო ნიმუშიცაა და ამავე დროს დიდი შექმენებითი მნიშვნელობის მქონეც. აქ ხაზგასმულია, რომ ცოდნა-განათლება ადამიანის მატერიალურ უფიქრობასთანაა დაკავშირებული. ილია მსმენელს არწმუნებს, რომ მათი სიღარიბე უცოდინრობის შედეგია: "ღმერთმა რომ ქვეყანა გააჩინა,—თქვა მან,—დედამიწას გული გადაუხსნა, შიგ აუარებელი, უღვეველი სიმდიდრე ჩაუდგა და ადამიანს უანდერძა: იშრომე, გაისარჯე და ეგ სიმდიდრე დედამიწის გულიდამ ამოიღე და შენს სადღეგრძელოდ მოიხმარეო". გლეხების უმეცრება კი იმაში მდგომარეობს, რომ უცოდინრობის გამო "არ ვიცით, საიღამ რა ამოვიღოთ, რა ხერხითა და ოსტატობით ამოვიღოთ, რომ ყოფაც ადვილი იყოს და ნაყოფიც ბლომად".

ილიამ დავით გურამიშვილის მსგავსად ცოდნა სიმდიდრეს შეადარა, რომელიც ადამიანს დაჰყვება ყველგან. მისი უპირეტესობა ის არის, რომ "ფულზედ დიდი ბაზარი აქვს, ხმალზედ უფრო მეტად სჭრის და ზარბაზანზედაც უფრო ძლიერია". ამ ტრადიციულ შეხედულებას ილიამ ახალი არგუმენტები შესძინა და ცოდნა ანთებულ სანთელს შეადარა და უფრო ხელშესახებად წარმოასხა განათლების ფასდაუდებელი ღირებულება: "ცოდნა ანთებულ სანთელს ჰგავს: ერთ სანთელზე რომ ათას სხვას სანთელს მოუკიდო, სანთელს იმითი არც ალი დააკლდება, არც სინათლე, არც სიცხოველე, პირ-იქით, იმატებს კიდევ, რადგანაც ერთის მაგიერ ათასი სხვა სანთელი იმასთან ერთად დაიწყებს ღაბღაბს"¹.

სხვა სიმდიდრისაგან ცოდნა იმითაც განსხვავდება, რომ მბეუტავიც კი ქურდს, მპარავს, მტერს აფრთხობს:—იქ სინათლეა, ჩანს, ღვიძავთო. სამაგიეროდ დაგვიანებულ მოყვარეს ახარებს:—იქ მღვიძარნი დამსვდებიან და გამომასპინძლებიანო.

ყველაზე დიდი დანიშნულება ცოდნისა ის არის, იგი ეძლევა ყველას, ვინც მოიწადინებს მის დაუფლებას არა უმცროს—უფროსობის მიხედვით, არამედ ნიჭისა და მონღოშების შედეგად.

ილიამ, როგორც პოეტმა და მოქალაქემ, თავის შემოქმედებაში დიდი ადვილი დაუთმო პოეტისა და პოეზიის დანიშნულების საკითხს.

¹ ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, თბ. 1984, გვ. 921.

მან მწერალს დიდი მისია დააკისრა, როცა ერის წინამძღოლობა და-
გალა. მანამდე ეს უწვეულო ტვირთი არავის უკისრია.

ჯერ კიდევ შოთა რუსთაველმა შაირობა სიბრძნის დარგად აღი-
არა და ამით ხაზი გაუსვა ესთეტიკურ სიამოვნებასთან ერთად მის შემე-
ცნებით ღირებულებასაც. არჩილმა თავისი "საქართველოს სწავლების"
ერთი თავი აღწრდისა და განათლების პრობლემას დაუთმო და პოეტს
ორიგინალური ქართული ეროვნული თემების დამუშავება მოსთხოვა.
დავით გურამიშვილმა მწერლობაში "მართლის თქმის" პრინციპი
დაამკვიდრა, აკაკიმ და ვაჟამ გააგრძელეს და განავითარეს ეს პრინ-
ციპი, ხოლო ილიამ სმამალლა განაცხადა:

დმერთთან მისთვის გლახარაკობ,
რომ წარვუძღვე წინა ერსა.


სამშობლოზე ფიქრითა და ზრუნვით ნამდვილ მამულიშვილს
ძილი და შეება უნდა გაუკრთეს. იგი გაფაციცებით უნდა უგდებდეს
ყურს ქვეყნის მაჯისცემას, რათა არაფერი გამოეპაროს. სამშობლოს
ჭირი უნდა გაითავისოს და საკუთარი მხრებით ზიდოს მისი ავიცა და
კარგიც:

მას აქეთ, რაკი შენდაში ვცან მე სიყვარული,
ჰოი, მამულო, გამიერთა მე ძილი და შეება!
შენს ძარღვისცემას მე ყურს ვუგდებ სულგანაბული,
ღამე თენდება ეგრეთ ჩემი და დღე ღამდება¹.

პოეტი არ უნდა გაიტაცოს თვითტკობამ, არ უნდა ელოდოს
ტაშს მსმენელისაგან. მან წმინდა სიტყვა ხალხში უშიშრად უნდა
მოჰყინოს, ამით ბოროტება დათრგუნოს და ქვეყნად სიკეთის მარც-
ვალი გააღვივოს. არ უნდა მთერიდოს უარყოფითის გამომჟღავნებას,
რათა დროზე უმკურნალოს იმას, რასაც ეშველება. პოეტმა ამ გზიდან
არ უნდა გადაუხვიოს, თუნდაც თანამემამულეთა რისხვა დაიშასუროს.
ბოლოსდაბოლოს ბრწყინება ჩამოსცილდებიან, ჭეშმარიტი მამულიშ-
ვილნი კი გვერდში ამოუდგებიან:

¹ ილია ქავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, თბ. 1987, გვ. 119 (სხვა ციტატებიც
ამ ტომიდან იქნება დამოწმებული).

ჩემზედ ამბობენ:" ის სიავეს ქართვლისას ამბობს,
ჩვენს ცუდს არ ჰმალავს, ეს ხომ ცხადი სიძულვილია".
ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს,
ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია!




სამშობლოს სიყვარულზე ასეთი ძლიერი აქცენტის გადატანა, მამულის სიყვარულზე ამგვარად გამახვილება სმენისა და ყურადღებისა, მანამდე ქართულ პოეზიაში არ არსებულა, თუმცა ეროვნული მოტივი არასოდეს არ ყოფილა უცხო ქართული მწერლობისათვის. ილიასეული მიმართება ამ საკითხისადმი ისევე აღაფრთოვანებდა და შთააგონებდა ახალგაზრდა თაობას, და მათ შორის ბავშვებსაც, როგორც უფროსი ასაკის ფართო საზოგადოებას.

ილია ჭავჭავაძის ლექსების უმეტესი ნაწილი პატრიოტულ მოტივზეა შექმნილი. ცხრაშექტი წლის პოეტის მოქალაქეობრივი შეგნება და სამშობლო-ქვეყნის სამსახურისათვის მზადება პოეტურადაა ჩამოყალიბებული ლექსში "ყვარლის მთებს".

ბეტერბურგში სასწავლებლად მიმავალი მწერალი ეთხოვება მშობლიურ მთებს და საბუდამო ერთგულებას ეფიცება. მანამდე ილია თავის უფროს დას-ნინო ჭავჭავაძე-აფხაზს სწერდა: "ვაპირობ წასვლას რუსეთში, მაგრამ შენმა გარდამ, ისე მეძნელება დატყვება ამ ჩვენ ყვარლისა, ნამეტნავათ ამ ჩვენ სახლისა, სადაც ყოველი ნაწილი აღაგისა მომაგონებს ხოლმე ჩემს დაუდევრულ ყმაწვილობის დროს, სადაცა ყოველი ხე არის ძვირფასი ჩემთვის სასიამოვნო მოგონებებითა. ერთი სიტყვით, ვესალმები ყოველსფერს, რაიც არის ჩემი გულიდამ დაუგვიწყარი...მაგრამ ყოველი ჩემებრი, რომელსაც მომავალ დროის შავ ღრუბელში აღუბრწყინდება ბედნიერების ვარსკვლავი და რომელსაც სურს შეეყაროს იმ ბედის ვარსკვლავს, ყოველთვის ტკბილს მდგომარეობას დაუტყვებს და სიმწრით განვლილს გზას მისთვის, რომ უფრო უტკბილესად შენვდეს თავის ბედნიერებას. შენ თვითონ იცი, ვარდსა წინ მიუძღვის ეკალი. ვისაც სურს ვარდის მოწყვეტა, არ უნდა შიშობდეს ეკლისგან"¹.

¹ იქვე, კომენტარები, გვ. 327.

აღნიშნულ ლექსშიც იღია ზუსტად ამავე განცდებით ემშვიდობება თავის ქვეყანას, ყვარლის მთებს და გულით თან მიაქვს თავისი პატარა სოფლის ღრმა სიყვარული:



სამშობლო მთებო! თქვენი შვილი განებებთ თავსა,
მაგრამ თქვენ ხსოვნას ვერ მივცემ მე დავიწყებასა;
თქვენ ჩემთან ივლით გაუყრელად, ვით ჩემი გული,
თქვენთან, ჰე, მთებო, ბუნებითა შეუღლებული!

პატარაობისას ეს ზვიადი მთები ხან მწვერვალზე აფრენის განუზომელი სურვილით ავსებდა მას, ხან ქარისა და არწივის მსუბუქ ფრთებით დაუღალავ ქროლვას ანატრებდა, ხან კი შიშის გაუცნობიერებელი თრთოლვა იტანდა და იღუშალება თრგუნავდა. ასე შეშოვიდა ბავშვის მენსიერებაში ყვარლის მთების დიდებული სილუეტი და დამკვიდრდა მასში, როგორც სიღიადისა და ძლიერების წარუშლელი შთაბეჭდილება:

თუ ყრმისთვის მაშინ უცხო იყო თავმოწონება,
აწ მომწონს თავი, მეგობრებო, რომ დაბადება
თქვენს შორისა მხვდა, ბუნებისა თქვენი ვარ შვილი,
გრიგალთა, მესთა, ქუხილთ შორის ქართველად გაზრდილი...

მთებთან განშორების აუცილებლობა ისევ ქვეყნის სიყვარულითა და სამსახურით იყო განპირობებული. "მოშავლის ბედი გაყრას ითხოვდა", მაგრამ ბოეტი სულიერად განუყრელი რჩებოდა მათთან:

უცხოეთიდან კვლავ მოგაწვდენთ ჩემს გულს და თვალსა;
კვლავ გაუღიამებთ შორ ქვეყნიდან თქვენ ჩემი სული,
და დაშიწყებს ცა სიყვარულით ფეთქასა გული.

მართალია, ლექსი რთულად იკითხება და საბავშვო ლიტერატურისათვის დამახასიათებელი სიმსუბუქე არ ახლავს, მაგრამ მასში გადმოცემული გრძნობა კარგად ესადაგება ახალგაზრდობის პატრიოტულ განწყობას და ერთგვარი დიდაქტიკური ელემენტების წყალობით მათ სწორ აღზრდასაც უწყობს ხელს.

პოეტის სიტყვა და საქმე ერთმანეთს არ სცილდება. პოეტურბურეში წასვლისას აღძრული ფიქრები იქიდან დაბრუნებულ პოეტს ისევ ისე აწვალებს და სტანჯავს. ისევ უღრმავდება ადამიანის, კერძოდ პოეტის, დანიშნულების საკითხს და მიდის იმ დასკვნამდე, რომ ერის გამოსაფხიზლებლად ჯერ სიტყვაა საქმით და შემდეგ საქმე. მწერალმა უნდა შეძლოს ისეთი ღვიძლი სიტყვა უთხროს ერს, რომ "იმ სიტყვით გულისტკივილი მოურჩინოს, დაგრდომილი აღადგინოს, უნუგემოს ნუგეში მოჰფინოს, მტირალს ცრემლი მოწმინდოს, მუშაკს შრომა გაუადვილოს". ასე ცდილობდა ილია ერის გამოღვიძებასა და მასში საბრძოლო განწყობის გაღვიძებას.

ღამის მომნიბლავი პეიზაჟი, სავსე მთვარის მკრთალი ნათელი და შორი მთების თეთრი ზოლი პოეტს ესთეტიკურ სიამოვნებასთან ერთად საოცარ კაემანს აღუძრავს, რადგანაც ხალხი იტანჯება:

**ზოგჯერ კი ტანჯვით ამოძახილი
ქართვლის ძილშია კვნესა ისმოდა/"ელეგია"/.**

ქვეყნის ბედზე მწარედ ჩაფიქრებულ მეოსანს გულს უკლაავს ეს უმოქმედობა, უუნარობა და უშფოთველობა. მისი მიზანია, გამოადვიდოს ღრმად ჩაძინებული ქართველი, ამიტომაც ვერ ძალავს თავის აღშფოთებას:

**ვიდექ მარტოკა...და მთების ჩრდილი
კვლავ ჩემ ქვეყნის ძილს ეაღერსება.
ოხ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი,
როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!**

მოზარდი თაობისა და ახალგაზრდობისათვის განსაკუთრებით სააძაყოთა ის, რომ ილია მათზე დიდ იმედებს ამყარებდა. უწოდებდა "მტკიცე ზღუდეს", "გულმტკიცეს", "დიდების დღეების აღმდგენელს". ეს ლექსი "ჩემო კარგო ქვეყანავ" დღემდე ეროვნულ ჰიმნად დარჩა ჩვენს ცნობიერებაში, რადგანაც ერთნაირად ესადაგება საქართველოს როგორც წარსულს, ისე აწმყოს, დღემდე ინარჩუნებს თავის შემეცნებითსა და ესთეტიკურ ღირებულებას.

"საყოველთაო საქართველოს კეთილდღეობისათვის" ბრძოლას ემსახურება აღნიშნული ლექსის ყოველი სტრიქონი და კარგად

იკვეთება ახალგაზრდობის როლი ამ საქმეში. მან უნდა უიღოს მრავალჭინახული ქართული დროშა და საკუთარი მარჯვენით აშენოს მომავალი. ამაში ღრმად დარწმუნებული პოეტი იმედია ნად მიმართავს თავის ქვეყანას:

ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოვიწყენია?
აწმყო თუ არა გვწყვალობს, მომავალი ჩვენია...
თუმცა ძველნი დაგმორდნენ, ახალნი ზომ შენია...
მათ ახალთ აღვიდგინონ შენ დიდების დღენია,
ჩემო თვალის სინათლევე, რაზედ მოვიწყენია?

ახალგაზრდობა მასთანაა, იგი მკერდით დაიცავს ქვეყნის ღირსებასა და თავისუფლებას, თავის ამაგს დასდებს სამშობლოს:

მათი გული შენისა ტრფობის ფართო ბუდეა,
მათი გულთა ფიცარი შენი მტკიცე ზღუდეა...
ვერ წაბილწავს მათ გრძნობას სიმუხთლე, სიმრუდეა,
მათ თვის მკერდით შემუსრონ მტერთა სიმაგრენია,
ჩემო კარგო ქვეყანავ, მაშ რად მოვიწყენია?

სამშობლოსადმი დიდი გრძნობით მიმართული ეს რეფრენი ლექსს მკეტ ეპოციურ დატვირთვასა და მგრძნობელობას ჰმატებს.

როგორც შესავალშიც აღენიშნეთ, ხალხური სიტყვიერება უხვად შეიცავს ბავშვებისათვის პირველადი მნიშვნელობის, საინტერესო შინაარსის ჟანრებსა და სახეებს. თქმულებები, ლეგენდები, ზღაპრები დღემდე მოზარდთა უსაყვარლეს საკითხავ მასალად რჩება.

ყველა დიდი მწერალი უხვად ეწაფებოდა სიბრძნის ამ უშირეტ წყაროს. ილია იწერდა ხალხურ თქმულებებს, ლექსებს, შემდეგ თავის სულიერ ქურაში აწროთბდა და ისევ ხალხს უბრუნებდა. ილიას მოუსმენია ხალხური თქმულება, თუ როგორ გაჩნდა ყოფილ ხმელეთზე ბაზალეთის ტბა, გადაუმუშავებია, უბრალო ამბისათვის ეროვნულ-პატრიოტული სული ჩაუდგამს და თავისუფლების მოლოდინის დაუოკებელი სურვილით გაუფლენთავს.

აღსანიშნავია, რომ ლექსი "ბაზალეთის ტბა" პირველად დაიბეჭდა საბავშვო ჟურნალ "ჯეჯილში", 1890 წლის N1-ში. ეს ერთადერთი ლექსია, რომლის პირველი პუბლიკაცია საბავშვო

ჟურნალში შედგა. "ჯეჯილში" წარმოდგენილ ამ ლექსს ბოლო სამი სტროფი აკლია, ეტყობა, ცენზურამ აკრძალა. შემდეგ გამოცემებში ილიამ ადადგინა ეს გამოტოვებული სტროფები.

ბაზალეთის ფსკერზე ჩაძირულ ოქროსაკენიან ყრმაში პოეტმა ის დაკარგული თავისუფლება იგულისხმა, რომლის მზეც თამარ დედოფლის შემდეგ ჩაესვენა. ერმა თავისი ცრემლი ტბად გადაადინა დაკარგულ აკვანს და მისი ამოღება თავის სანუკვარ ოცნებად აქცია. ამიტომ ხაზგასმით კითხულობს პოეტი:

იქნებ აკვანში ის ყრმა წევს,
ვისიც არ ითქმის სახელი,
ვისაც დღე-ღამე-ღამე პნატრულობს
ჩუმის ნატვრითა ქართველი?

აქვე სვამს გმირის ძიების საკითხსაც. სახელოვანი იქნება ის ვაჟკაცი, ვისი ხელიც დასწვდება იმ აკვანს და ზევით ამოიტანს. უკვდავი იქნება ის დედა,

ვისც იმ ყრმას პირველ მიაწვდის
თვის ძუძუს მადლით ცხებულსა.

"ბაზალეთის ტბა" საინტერესო შინაარსითა და მარტივი საღიქსო ფორმით ადვილად ასათვისებელი და გასაგები ვახდა ახალგაზრდობისათვის. დღემდე არ დაუკარგავს მას აქტუალობა როგორც მოზრდილთა, ისე საბავშვო ლიტერატურისათვის. ამავე მოტივით საბავშვო ლიტერატურის კუთვნილებად იქცა ილიას ცნობილი ლექსი "ვაზაფხული", რომელიც თითქმის ყველა ბავშვმა ზეპირად იცის. თუმცა პოეტს ამ დანიშნულებით არ დაუწერია იგი.

ვაზაფხულის დადგომა ყველას სასიამოვნო გრძნობას აღუძრავს, როცა ტყე შეიფოთდება, მერცხალი საამურად ჭიკჭიკებს, ბაღში ობოლ ვაზს ცრემლი სდის. ამ საერთო ფონზე პოეტს მონატრება საკუთარი მამულის აყვავების ხილვა და გულმტკიცწეულად კითხულობს:

მამულო საყვარელო,
შენ როსღა აყვავდები?

ეს ბავშვებისთვისაც კარგად ასათვისებელი ლექსი "მამათა" თაობის ზოგიერთ წარმომადგენელს სწორად ვერ გაუგია და ილიასათვის შენიშვნები მიუცია. მწერალ ქალს ბარბარე ჯორჯაძეს დაუწუნია გამოთქმა "მერცხალი ჭყვიის" და "ვაზი თბოლი", რაზედაც ილიას პასუხი გაუცია: "მთელს სტატიაში ერთი ნამდვილი შენიშვნა აქვს ჩვენ მწერალ ქალს, — ეგ მერცხლის ჭყვიილზედა. მართალიც არის, სწორეთ უხერხოთ არის მანდ ეგ ზმნა ხმარებული. მაგრამ ეგ ზმნა ლექსის აზრს არ აბნელებს, რადგანაც "მერცხალიც აგერ ჭყვიის-მეთქი" მოვიყვანე გაზაფხულის ნიშნათ და ამისთვის ჭყვიილი მეთქო, თუ ჭყვიილი, მაინც ის აზრი არ მოიშლებოდა... თბოლი ვაზი კი, უკაცრავად არ ვიყო, თავის ალაგას კარგად არის. გაიგებდით, რომ ხმართბენ "თბოლი მარგალიტი, თბოლი სე, თბოლი შტო"¹.

ილია ჭავჭავაძის მეორე კრიტიკოსს — ვიორჯი ბარათაშვილს ამ ლექსში ნამდვილი გაზაფხულის ნატვრა დაუნახავს და შენიშვნაც მიუცია: "გაზაფხულში პოეტი სულით ნატრობს საყვარელ მამულის ადყვავებას. ნეტავი დაანახვა ეხლა საქართველო, როგორ მწვანე ხავერდით ბიბინებს". ილია ვაოცებულია ბარათაშვილის ამგვარი აზროვნებით და მკაცრად აფასებს მას: "ძალიან დაკვირვებული გონება პქონია, რომ ჩემ ამ ორ ლექსში: "მამულო საყვარელო, შენ როსლა აყვავდები?" მწვანე ბალახის ნატვრა დაუნახავს თავის სამ განსაცვიფრებელი ნიშნითა".

ეს შენიშვნები იმიტომ მოვიტანეთ, რომ გვეჩვენებინა, რამდენი გაუგებრობა შეიძლება მოჰყვეს ისეთი ლექსის არასწორ წაკითხვასაც კი, რომელიც ბავშვებისათვისაც კი ადვილად მისაწვდომია.

"ნანა" ანუ "იანანა", როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხალხური სიტყვიერების ფართოდ გავრცელებული უანრია, რომელიც შემდეგში დამწერლობით მხატვრულ ლიტერატურაშიც მყარად დაშვებულა.

ყურადღებას იმყრობს ილია ჭავჭავაძის ლექსი "ნანა", რომელსაც იგივე დანიშნულება აქვს, რაც ფოლკლორულ ნიმუშებს, ამ პატარა განსხვავებით, რომ აქ მწერალს ყურადღება, ძირითადად, პატრიოტულ აღზრდაზე გადააქვს. აქვე აქცენტი ისმება დედის მოვალეობასა და გმირის აღზრდის აუცილებლობაზე. მშობელმა იცის, რომ ყრმობის ღამეაზი სიზმრები ბრძოლის ცეცხლით შეიცვლება და "ხმლის

¹ ილია ჭავჭავაძე, თხზ. ტ. V, თბ. 1991, გვ. 48.

„უღერად“ გადაიქცევა. ამიტომაც აქედანვე უნერგავს ჩვილს გმირულ სულსა და სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულს.

როცა მოესმება ბედქვეშ დანაგრული ქვეყნის შევლინა და გადა-
რჩენის მოხოვნელი ხმა, აი, მაშინ

აინთე ცეცხლით გული,
მტერსა დაეცი მესად
ან, ვით შვილი ერთგული,
დააკგდი მამულსა მსხვერპლად,—მოუწოდებს დედა.

თუმცა დედის გული თბილია და ჩვილი, მაგრამ მამულისათვის
უნდა გამაგრდეს, რკინად იქცეს, თორემ უპამისოდ ქვეყანა დაიღუპება:

მას დედის ძუძუ ტკბილი
შხამადაც შერგებია,
მამულისთვის სიკვდილი
ვისაც დაზარებია.

ბავშვების სწორად აღზრდა, უმეტეს წილად, დედაზეა დამო-
კიდებული. ამიტომაც ილია ქართველი ქალის მოვალეობას ძალიან
დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და მოუწოდებს მას, თავისი მისია პირ-
ნათლად შეასრულოს. თანამედროვე დედებით უკმაყოფილო დიდი
მწერალი ასხენებს მათ გმირულ წარსულს და მაგალითად უსახავს
წინაპარი ქალების დამსახურებას ერის წინაშე:

ქართველის დედაო! ძუძუ ქართველისა
უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა,
დედის ნანასთან ქვითინი მთისა
მას უმზადებდა მომავალ გმირსა.

მწერლის აზრით, ახლანდელი დედა უწინდელის აჩრდილსდა
წარმოადგენს. მონობამ დააკინა მისი მორალიც, თავისუფლების
დაკარგვამ გადაასხვაფერა დედის გულიც; ილიასა და მის თაობას
შემუშავებული ჰქონდათ თავისი სამოქმედო პროგრამა: "ჩვენ უნდა
ჩვენი ვშვათ მყოლობადი, ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს". ამ
პროგრამის განხორციელებაში დიდი როლი უნდა ეკისრა ქართველ
დედას. პოეტი მოუწოდებს, არ დაზოგოს ენერჯია, ძალა და ისე

აღზარდოს შვილის სული, რომ მამულის სიყვარულით განიმსჭვალოს,
ძმობა, ერთობა, თავისუფლება—იდეალად დასახოს და ჭეშმარიტების
ფასი ისწავლოს:

საქართველო
საზოგადოებრივი

დედავ! ისმინე ქართველის ვედრება:
ისე აღზარდე შენ შვილის სული,
რომ წინ გაუძღვეს ჭეშმარიტება,
უკან პრჩეს კვალი განათლებული.

ამ ლექსს უძღვის ეპიგრაფად გერმანელი ფილოსოფოსის
ვოლფგანგ ვონ ჰაინეის პერიფრაზი: "აწმყო, შობილი წარსულისაგან,
არის მშობელი მომავალისა". ეს აფორიზმი ერთხელ კიდევ შეახსენებს
მკითხველს, რომ კარგ წარსულს აწმყოც შესაფერისი უნდა ჰქონდეს,
დღევანდელმა დღემ კი უნდა შეას ნათელი მომავალი.


მომავალი თაობის დიდაქტიკურ-აღმზრდელით ფუნქციას სხვა
ერებისადმი სიყვარულის აღზრდაც შეადგენს. ილია ჭავჭავაძე
სოლიდარობას უცხადებს სხვა ქვეყნების ეროვნულ-განმათავისუფ-
ლებელ მოძრაობას. იგი აღტაცებულია ჯუშუბე გარიბალდის ბრძო-
ლებით. ერთხანს იგი იტალიაში მოხალისედ წასვლასაც კი აპირებდა.
"როცა გარიბალდმა დაიწყო თავისი მოქმედება,— უთქვამს მწერალს ნ.
ნათიმისათვის,— დავაპირე ვოლონტიორად მასთან წასვლა. შემდეგ
როცა სტუდენტურ ცხოვრებაში გავეხვიე, ვეღარ შევასრულე ეს
განზრახვაო".

ეკატერინე გაბაშვილის გადმოცემით, მის საწერ მაგიდაზე
სიცოცხლის ბოლო წუთამდე იდგა გარიბალდის მშვენიერი დიდი
ბიუსტი. ამასვე ადასტურებს იონა მეუნარგია, როცა აღწერს "ივერის"
რედაქტორის სამუშაო ოთახს: "რომ მიხედ—მოხედავდით, დაი-
ნახავდით: ერთგან შექსპირის ბიუსტს, სხვაგან ვიოტისას, კიდევ სხვაგან
რუსთველისას, გარიბალდისას..."¹

ბოეტი აღფრთოვანებული იყო "სიმართლის ხმით", რომელიც
იტალიაში მონობის დასათრგუნვად გაისმოდა. მას სჯეროდა, რომ ხალ-
ხის ეს მასიური აზვირთება დაღუწავდა მონობის ბორკილს და ქვეყნად
თავისუფლებას მოიტანდა:

¹ იონა მეუნარგია, ქართველი მწერლები, ტ. I, თბ. 1957, გვ. 37.

მესმის, მესმის სანატრელი,
ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა,
სიძარღლის ხმა ქვეყნადა პქუსს
დასათრეუნვად მონობისა.



საქართველოსათვის გულგასენილი პოეტი ამ მოძრაობაში ერთგვარ სანუგეშო ნიშანს ხედავდა, სურდა, რომ უცხოეთში დაწყებულ სახალხო მოძრაობას მის ქვეყანაშიც ებოვა გამოძახილი და ეს ნანატრი დღე მალე გათენებულიყო:

აღმიტაცებს ხოლმე ეს ხმა
და აღმიგზნებს იმედს გულში:
ღმერთო, ღმერთო, ეს ხმა ტკბილი
გამაგონე ჩემს მამულში.

ეს ლექსი დაწერილია 1860 წელს პავლოვსკში, მაგრამ ცენზურის აკრძალვის შედეგად გამოქვეყნდა მხოლოდ ათი წლის შემდეგ. ისიც ნიკო ნიკოლაძის დიდი თაოსნობითა და ხელშეწყობით.

ილია ჭავჭავაძის სპეციალურად ბავშვებისათვის სულ ორიოდ ნაწარმოები აქვს დაწერილი, მაგრამ მისი თხზულებებიდან მრავალი ნაწყვეტი თუ ლექსი საბავშვო ლიტერატურის მოთხოვნებსაც პასუხობდა და ამიტომ იაკობ გოგებაშვილს ისინი შეჰქონდა თავის კრებულებსა და სახელმძღვანელოებში. ასე მაგალითად, "ბუნების კარში" მოთავსებულია ილიას "გუთნის დედა", "ჩიტი", "მუშა", "მეცა მქონია" (ლექსი პეინესი), "მძინარე ყმაწვილს", "ქართვლის დედას", "ბაზალეთის ტბა", "პოეტი". ნაწყვეტები მოთხრობებიდან – "გლახის ნაამბობი", "ოთარაანთ ქვრივი" და სხვ.

ბატონყმობის დროს ვლენთა უსაშველო ყოფას ასახავს ილიას ლექსი "გუთნის დედა". აქ მძლავრად გაისმის როგორც სოციალური უსამართლობის, ისევე, საზოგადოდ, ყოველგვარი ჩაგვრისა და უუფლებობის წინააღმდეგ გამოთქმული პროტესტი.

გამუდმებული შრომითა და ჭაბანით ქანცგაწყვეტილი მშრომელი გლეხი პირუტყვის დონემდეა დასული. ლაბა ხარი და ის ერთად ეწვევიან უღელს და მიწას ჩაჰყურებენ, მათი ოფლი მიწას ერთვის და ორივეს წართმეული აქვს ცის ყურების უფლება, რადგან კაცს საამისოდ არა სცაღია. გლეხი თავის ერთგულ მეგობარს მიმართავს:

ერთს ბედს—ქვეშა ვართ, ლაბაჯ, მე და შენ,
წილად გვარგუნეს შავი მიწა ჩვენ.
ერთგულად ვჭიმოთ ჭაპახანი ჩვენი,
უსინარულოდ დავლით დღენი.



კაცი მეტყველია, ხარი კი უტყვი, მაგრამ ეს მათ შორის დიდ განსხვავებას ვერ ქმნის. ამ უპირატესობას მშრომელი ვერაფერში იყენებს, რადგან ხმაძალდა გულისწყრომის გამოხატვას ვერ ახერხებს, გულში დაბადებულ საპროტესტო სიტყვებს გულშივე მარხავს:

შენ პირუტყვი ხარ და მე მეტყველი?!
ეგ, ჩემო ლაბაჯ, ნუ შეგშურდება...
რად მინდა ხმალი, თუნდ იყოს მჭრელი,
თუ სიმართლისთვის დამინლუნგდება?!

ამ ბოლო სტრიქონებში იგრძნობა, ჩუმი ეროვნული ტკივილიც, რუსეთის თვითმპყრობელობის იარაღით დაშობის სურვილიც.

უთქმელი კაცი იმ უგარვის გუთანს ემსგავსება, რომელიც მიწას ზევიდან ასჩეჩავს და სარეველა ბალახს ძირიანად ვერ ამოაგდებს. ასეთი ვლენი გრძნობს თავის არასრულფასოვნებას, ბრძოლის უუნარობას და ამიტომ პირუტყვზე უბედურად მიაჩნია თავი:

აქ მენდე, ლაბაჯ, ჩემი უღელი


შენს უღელზედა უფროა ძნელი, — მიძართავს თავის ბედში მყოფ ხარს.

"ბუნების კარში" შეტანილი ილიას ლექსი "ჩიტა" ადრინდელი ვარიანტია ბოლო გამოცემებში შესული ამავე სახელწოდების ლექსისა. იგი უფრო მძიმეა და ნაკლებ მუსიკალური. შექმდებში ეს ლექსი ილიამ საგრძნობლად დახვეწა და გაამართივა. ვოკებაშვილმა 1912 წლის გამოცემაში მაინც ის პირველი ვარიანტი დატოვა. თავისუფლებისაკენ სწრაფვა და სიხალისე ასაზრდოებს ჩიტის აღმაფრენას:

მიყვარს ზაფხული, მწვანით შექკული,
ვცელქობ, მაშინ ვარ აღტაცებული.
სახლი მაქვს მინდვრად ღვთის მოცემული,

ცის ქვეშა ფფრინავ გახარებული.

ისარივით დაჰქრის, ცხენიც ვერ დაეწევა, შევარდენივით მაღია და სწრაფი,



მაგრამ მიჭერენ მცირე მახითა
მიტყუებენ რა ხორბლის მარცვლითა.

გოგებაშვილის ამავე წიგნში დაბეჭდილია ილიას ლექსი "მძინარე ყმაწვილს", რომლის სათაური პოეტმა შემდეგში შეცვალა და პირდაპირ დააწერა ადრესატის სახელი და გვარი "გ.აბხ(აზს)". იგი ილიას უფროსი დის — ნინო ჭაქჭაყაძე-აბხაზის პირმშოა. ეს ლექსი ილიამ თავის "საქართველოს მოამბეშიც" დაბეჭდა.

მწერალი ახალდაბადებულ ყრმას ტანჯულთა ნუგეშისცემას, ერის სამსახურსა და სამშობლოს ერთგულებას ავალებს და ღმერთს მფარველობას სთხოვს:

ღმერთო! თან სდევდე უსუსურს ბავშვსა,
რომ დღენი ისე არ დაეღიოს,
მანამ ტანჯვისა ცრემლი თვის ხალხსა
ცოტათი მაინც მან არ მოსწმინდოს.

ეს "ტანჯვის ცრემლი" უფრო მხატვრულად შემდეგში პოეტის დანიშნულებადაც აქცია: "მოვსწმენდ ერსა ტანჯვის ცრემლსაო".

ილია ჭაქჭაყაძის პოემებიდან როგორც უმცროსი, ისე უფროსი ასაკის ბავშვებისათვის შეიძლება შეიღწეს " რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდური ყაჩაღის ცხოვრებიდამ" და " მეფე დიმიტრი თავდადებული".

" რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდური ყაჩაღის ცხოვრებიდამ" სოციალური უსამართლობის უძმაფრეს სურათებს შლის მკითხველის წინაშე და ყოველგვარი ჩაგვრის წინააღმდეგ გვაძულებს. კაკო,

ზაქრო და ბატონი სხვადასხვა წრის წარმომადგენლები არიან, რომელთა ბედი ერთმანეთს ვადასჯაჭვია ბატონყმური ინსტიტუტის წყალობით, რის გამოც ბოროტი თავადი ორ ღირსეულ გლეხს ტყისკენ უხსნის გზას. უწრომელ-ურუნველ მებატონეს თავგასულობა, თვითრწმენა და ყოვლისშემძლეობა ძვალ-რბილში ვასჯდომია ამ ფონზე მიმდინარეობს პოემაში დაძაბული მოქმედება.

პოემის ექსპოზიციია - ალაზნის ველის აღწერა - ესთეტიკურ სიამოვნებას იწვევს და საინტერესო ამბის მოსასმენად განაწყობს მკითხველს. ამას ხელს უწყობს პეიზაჟის ხატვის მხატვრული ოსტატობა და მსუბუქ ფორმებში აღწერილი ღამის იდუმალება:

სამშობლოს ცასა ბნელად გაშლილი
მწუნროს ზეწარი გადაეფარა
და მთვარის შუქზედ მთებისა ჩრდილი
ალაზნის ველზედ წამოისხარა.

ირგვლივ გაშეფებულ სიჩუმეში იჭრება მეურმის სევდიანი სიმღერა, რომელსაც მალე ორი პირის - კაკოსა და ზაქროს - შესვედრა მოსდევს.

აღტაცებაში მოჰყავს მკითხველი დიალოგს, ამ პირველი გაცნობისას წარმოთქმული ფრაზების ლაკონიურობას, მჭერმეტყველებას, რომელშიც აშკარად იკვეთება მათი ვაჟკაცური შემართება და ერთმანეთისადმი ჯერ კიდევ გაუმქრალი ადამიანური ნდობა. ამიტომაც ეს ადვილი ყველა ბავშვმა ზეპირად იცის:

- რისთვის მოსულხარ, მოყვრად თუ მტრადა?
- მოყვრად, გულფიცხო, იყავ მშვიდადა!
- თუ მოყვარე ხარ, მაშ გამარჯობა
კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა.
- ამინ! შენ არ ხარ ბღაჭიაშვილი?
- დიაღ! განლაგარ!...რა ვნებავს შენა?
- შენთან სიცოცხლე, შენთან სიკვდილი,
შენთან ყოფნა და შენთან დარჩენა.
- მომწონს ეგ სიტყვა, შენც მომეწონე
და ამისთვისაც გენდობი შენა!

ასეთი შეხვედრის შემდეგ მკითხველი იგებს, თუ რა დაუთქმულია ორივე მათგანში სწრაფვა თავისუფლებისაკენ. მათი იდეალი არსენა ოძელაშვილია, რომლის ცხოვრება მათ საემირო საქმეებისაკენ უბიძგებს. ზაქრო ასე აგვიწერს თავის ალტაცებას:

არსენაშვილი
თბილისი

არსენა ჩვენი, ის მხნე არსენა,
ჩვენამდინ, ძამო, ზღაპრად მოსული,
ის იყო ჩემი ჯაგრი და ღზენა,
ის იყო ჩემი გული და სული.

ეგრეთ ვონება ხალისიანი
არსენას ამბით მე შეზრდებოდა;
მიყვარდა მე ის კეთილდღიანი
და არსენობა მენატრებოდა.

ბოქმაში არსენას პროტოტიპს კაკო წარმოადგენს. მასაც არსენას მსგავსად ვლენკაცის ცხოვრების გაუმჯობესება და მასზე ზრუნვა უკისრია და შეძლებისდაგვარად ახერხებს კიდევ. მშრომელებს იგი თავის მფარველად დაუგულებიათ და ამიტომაც "ბავშვებაც კი იცის, ვინ არის კაკო". მასზე საუბრობს დიდი და პატარა, ყველა აქებს და აღიდეხს. ამ პიროვნებაში ისეთი ძლიერია თავისუფლებისაკენ ლტოლვა, რომ ურჩევნია ნადირივით იცხოვროს, შიში და შიმშილი გადაიტანოს, ოღონდაც არავის დაეშინოს, ქედი არავის მოუხაროს:

უსახლკარობა, შიში, შიმშილი,
მარტოკა გდება მსეცივით ტყეში,
კერძელსა ვითა ფხიზელი ძილი
და იარაღი დღე-ღამე-ღამე სელში.

მართალია, ძმაგ, კაცს მოსწყინდება

მუნწი ცხოვრება, ეს დასაღონი,

მაგრამ იქ ყველა გვიადვილდება,

სადაც ჩვენვე ვართ ჩვენი ბატონი!", — აი, ასეთია კაკოს შეხედულება ცხოვრებაზე და მისი სიცოცხლის აზრი.

ჩვენ არ ვიცით, რა მიზეზით გამოექცა კაკო მშვიდობიან ცხოვრებას, ვლენურ ყოფას, თავის სახლ-კარს, სამაგიეროდ, მწერალი დაწვრილებით გვატობს ზაქროს გაყაჩაღების მიზეზს, რითაც თვით კაკოს ადრინდელ ყოფასაც გვაჯარაუდებინებს.

ბატონყმობის სისასტიკემ გაუხსნა გზა ზაქროს ტყისაკენ. მშვიდობიანი და ერთგული ყმაც კი ვერ შეიფერა მრისხანე ბატონმა. თორმეტი წლის ბავშვი სახლს მოსწყვიტა და ძროხაში გააგდო. ზაქრო დარდობდა ახლობლებზე, ბევრს ტიროდა, მაგრამ თანდათან შეეჩვია და ერთგულ ყმად იქცა. ერთგვარი პოეტური აღმაფრენითაც კი შესცქეროდა მწყემსობის ცხოვრებას, ვარკვეულ სიამოვნებასაც ვრძნობდა, რადგანაც უშუალოდ ბატონის მეთვალყურეობას არ განიცდიდა.

მალე ბატონის ზღვარდაუდებელი ინტერესები შეეჯახა ზაქროს მამის მოკრძალებულ თხოვნას. მოხუცებული მამის სამართლიანი სურვილი შვილის დაბრუნებისა დესპოტი მებატონის გეგმაში არ შედიოდა. ბატონის სახე ასეა წარმოდგენილი:

მხეცი რამ იყო ბატონი ჩვენი,
ერთი აჯამი, გულქვა, რეგვენი.
იმას კაცებრი ვული არ ჰქონდა,
რომ მამაჩემი შებრალებოდა,—ამბობს ზაქრო.

მამა დიდხანს ეხვეწა ბატონს, შვილი დამიბრუნეო, მორჩილებასა და ორმაგ გადასახადსაც დაჰპირდა, მაგრამ ბატონმა მისი ხვეწნა თავსეღობად ჩათვალა, "ვირი" და "ქოფაკი" უწოდა და დაემუქრა. თავმოყვარე ვლენმა თავი დაიცვა და ხმას აუწია და აი, მაშინ ბატონმა იქუხა: "ბიჭო, როზგები, ბიჭო, როზგები!". წამოაქციეს ჭადარა კაცი და მისი შემზარავი კენესა შეუერთდა შოლტების ტყლაშუნს. ამ მომენტით გამოწვეული ზაქროს ფსიქოლოგიური განცდები და კაკოს აღშფოთება გვიხსნის ამ ორ პირთა განსხვავებულ ხასიათსაც. კაკო უფრო ფიცხია და სწრაფი, ზაქრო — დაფიქრებული და გაწონასწორებული. დიდხანს ჩუმიდ მდგარი ზაქრო ბოლოსდაბოლოს მამის შეურაცხყოფამ მოთმინებიდან გამოიყვანა, მივარდა თოფს და როცა ის ყვიროდა: "დაჰკარ, დაჰკარი", მაშინ მისმა თოფმაც დაიგრილა, ბატონს "შეუნგრია ვულის ფიცარი" და თვითონ ტყისკენ გაიჭრა.

ბედის ასეთი უკუღმართი შემოტრიალებით აღმოჩნდა ზაქრო კაკოსთან და იმ ტყეში ერთი ყაჩაღის მაგიერ ორი გაჩნდა. ასე მრავლდებოდა მათი რიცხვი სხვა ადგილებში და ცარიელდებოდა სოფლები.

როგორც ვხედავთ, ილია ჭავჭავაძემ პოემაში "რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან" ამხილა ბატონყმური წყობილების სისასტიკე და მის მოსასპობად შეიარაღებული ბრძოლის აუცილებლობა იქადაგა. ამავე დროს არსენას, კაკოსა და ზაქროს სახეების წარმოდგენით აჩვენა იდეალური გმირის სახე, რომლებიც სხვა გარემოებაში სხვადასხვაგვარ სასიკეთო თვისებებს გამოავლენდნენ.

მრისხანე მებატონეების გვერდით საქართველოში ყოველთვის არსებობდნენ ქვეყნის გულშემატკივარი მეფეები და დიდებულები. მათი სახელი უკვდავყო ისტორიამ და ლამაზ თქმულებებად შემოუნახა შთამომავლობას.

სამშობლოსადმი თავდადებული სიყვარული და მისთვის თავგანწირვა უკვდავების შარაგანდით ამკობს მეფე დიმიტრი თავდადებულის სახეს. ილია ჭავჭავაძის ამავე სახელწოდების პოემა იწყება მეფანდურის სიმღერით, რომელიც მწერალს ადრე ცალკე ნაწარმოებად ჰქონია დაწერილი. ჩვენს ინტერესს იწვევს ხალხური სიტყვიერებიდან გადმოსული ფორმა, როცა მოხუცი მთხრობელი ახალგაზრდებს მიმართავს, მოსასმენად განაწყობს და საინტერესო წარსულის ამბებს მოუთხრობს:

მოდით, შეიღწო, აქ მოგროვდით,
გეტყვით გულის გასათბობსა
ვის ვიყავით, რა ვიყავით,
ჩვენ, ქართველნი, წინა დროსა.

წარსულის სამაგალითო სურათები უფერული აწმყოს ფონზე უფრო შესამჩნევი და სანატრელი ხდება. წინათ ქართველ კაცს შეიღწის დაბადება იმისათვის უნაროდა, რომ მამულს კიდევ ერთი დამცველი ემატებოდა. ყველა მათგანი ერთი იდრით იყო შთაგონებული:

მამულისთვის ვის ახსოვდა
განსაცდელი განსაცდელში?
ტრფობა გექონდა გულში აბჯრად
და სატეგრად — ხმალი ხელში.

ადამიანის მოვალეობა და დანიშნულება ის არის, რომ სსვისთვის
თავგანწირვა შესძლოს, თვით დაეცეს და სსვა დაიხსნას. ეს აწრი მშვე-
ნიერი აფორიზმითაა გადმოცემული ილიას პოემაში:

ტყუილია სულთქმა, უში,
კაცი უნდა კაცად იყვეს,
სანთელსავით თვით დაიწვას
და სსვას კი გზას უნათვიდეს.

სწორედ სანთელივით დაიწვა თავისი ხალხისა და ქვეყნისათვის
დიმიტრი II, ულუ დაგითის ძე. იგი მეფობდა აღმოსავლეთ საქა-
რთველოში 1271-1289 წლებში. სიკვდილით დასაჯა თათარ-მონ-
ღოლთა ყაენმა არღუნმა 1289 წლის 12 მარტს. ამის შემდეგ ისტო-
რიაში "თავდადებულის" სახელით შევიდა.

ილიამ გადაუშალა მკითხველს ამ თავგანწირვისას სულიერი
ძღვლევარებისა და გაჟაკტური შეპართების შესანიშნავი სურათები. თა-
ვიდან მეფე წარმოადგინა გაღალტებულ, ძლიერ და ამაყ პიროვნებად.
გადაწყვეტილების მიღებაჲდე მეფე ერთგვარად შეპერთალი და
შეშფოთებულია, მასში თანდათან იმარჯვებს მოვალეობის გრძნობა და
ბოლოს მას ვსედავთ მრისხანე არღუნის წინაშე ამაყად მდგარ ღირ-
სეულ ქართველს, რომელმაც მიუხედავად აუტანელი ტანჯვისა და
გვემისა, მაინც სძლია პიროვნულს და უყოყმანოდ შესვდა თავის ტრა-
ვიკულ აღსასრულს.

განსაკუთრებით შთაბეჭდავია ორი ეპიზოდი.

როცა დიმიტრი მეფე ყაენთან მიემგზავრება და ხალხს ემშვიდო-
ბება, მეფის წინ წარსდგება ქალართმოსილი ბერიკაცი, რომელსაც
გვერდებში შესდგომიან ორი გოლიათი ვაჟიშვილი. იგი თხოვს მეფეს,
არ გადადგას ეს საბედისწერო ნაბიჯი, მტკერს შეებრძოლოს და რაც
მოსახდენია, მონდეს. იგი მიმართავს დიმიტრის:

აჰა, მეფევ, ორი ბიჭი,
მხრებში რომ ამომდგომია.
ორივ ჩემი შვილი არი,
ერთი მეორის ძეობია.
მიერთვი და ინაცვალე,
ჩვენს ქვეყანას მტლად დაუდე!

ეს ებიზოდი თავისი კოლორიტულობით გამოირჩევა.

სულისშემძვრელია აგრეთვე მეორე ებიზოდი. გატანჯული, ნაგვე-
მი მეფე თავის მოსაკვეთად გამოიყვანეს. მისი თანმხლები პირები იქვე
იღვნენ და ტიროდნენ. მეფეს მოაგონდა ბედნიერი დრო, თავისი ქვეყანა,
ოჯახი და წაძით სისუსტემ სძლია:

ვეზირს უთხრა: — "დამისხენით!...
რაც ვაღამხდა, ისიც კმარა.

თვითონვე შეწარა თავისმა ნათქვამმა, იმავე წუთს მიუბრუნდა
ჯალათს, კისერი გაუწოდა და სასიკვდილოდ თავი დადო:

მანც აიღო ხელთ ნაჯახი,
ერთს წამს კისერს დაუსწორა,
დასცა და ერთის დაკვრითა
თავი ტანსა მოაშორა.

ამით მთავრდება პოემა. ვაჟკაცურად დაღუპული მეფე დიმიტრის
სახელი საუკუნეებს გადმოსწვდა და უკვდავების შარავანდედით
შეიმოსა.

იღია ჭაჭყაძის პროზაული ნაწარმოებებიდან საბავშვოდ
მიჩნეულია "ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი" და "დედა ჩიტი". ეს უკა-
ნასკნელი ჯოგუბაშვილის "ბუნების კარშია" დაბეჭდილი.

"ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილს" ქვეშ მიწერილი აქვს (საახალწლო
მოთხრობა). მართლაც, პირველ თავში საახალწლო სამზადისა
აღწერილი. ეს ნაწილი იმითაც იმყრობს ყურადღებას, რომ ავტო-
ბიოგრაფიულია და გადაყვარით ილიას ბავშვობისდროინდელ გარე-
მოში. მის დედას და მამას გვრიტებივით ეზვია ხუთი შვილი: ორი ქალი
და სამი ვაჟი. საახალწლო ფუსფუსი იგრძნობოდა ყველგან: "აქ
აღვახანსა პუელდნენ, იქ ნუშსა და ნიგოზს არჩევდნენ გოზინა-
ყისათვის, აქეთ უცეცხლო თაფლი თითს გვიქნევდა: მოდიო, პირი

ჩაიტკებარუნეთო¹. პატარებიც დარბოდნენ, ცელქობდნენ, ფეხებში ედებოდნენ უფროსებს.

I თავში კიდევ ერთ ავტობიოგრაფიულ ფაქტს ვაწყდებით. 1889 წელს, როცა ეს მოთხრობა იწერებოდა, ილიას და-ძმებიდან მხოლოდ ორნიღა იყვნენ ცოცხლები: ელისაბედი და თვით ილია. ამ გულისწუხილს ასე გადმოგვცემს მწერალი: "მას აქეთ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბევრი რამ კარგი წაგვართვა და თან წაიყოლა. დავრჩით ამ ქვეყნიერობაზედ მარტო ორნი და-ძმანი. ახლა ერთსაც და მეორესაც თმაში ჭაღარა გვირევიან, და როცა ახალი წელიწადი მოდის, მინდა თუ არა, ცრემლიანის თვალთი უკან მიმახედებს ხოლმე... წავიდა ის ბედნიერი დრო და აღარ მოვა. წავიდა და გული ჰკვნესის რაღაც სხვანაირ ტკივილსა, რაღაც სხვანაირ მწუხარებისაგან, რომელსაც ზოგჯერ ადაძიანი სიხარულზედაც არ გასცვლის ხოლმე".

მთავარი ამბავი მეორე თავში იწყება. გმირული წარსულიდან ერთი ეპიზოდის მოხმობით მწერალი გვიჩვენებს არამარტო ქართველთა პატრიოტობასა და გმირულ სულისკვეთებას, არამედ მათ რაინდულ თვისებებს, კეთილშობილებასა და მაღალ ზნეობრიობას, რომელსაც ხშირად ისინი თვით დაუძინებელ მტრებთან ბრძოლისასაც კი იჩენდნენ.

ახალი წლის წინა ღამეს მეორე ოთახში გაყვანილ ბავშვებს მამა საინტერესო ამბავს აცნობს. ამ სცენასაც მწერალი თვალსაჩინოდ გვიხატავს: თვითონ მამამ ტანტზე მოიკეცა, ბავშვები ვარს შეშოუსხდნენ. "პატარა დამ ხელებზე დააყრდნო თავი და შეაჭყიტა მაყვალსაგვით შავი თვალები, თითქოს შართლა ზღაპრის მოსმენა უნდოდა. ის კი არადა, როგორც იმას, ისე იმაზე მომდევნო პატარა ძმას, მაშინვე ჩაეძინებოდათ ხოლმე".

ესეც ავტობიოგრაფიული ხასიათისაა. ილია თითქმის ამასვე იშეორებს ვრ. ყიფშიძისადმი მიწერილ წერილში, სადაც აღწერს, თუ როგორ დააგორებდნენ ხოლმე ტანტზე მუთაქასავით, დაადებდნენ წიგნს და ისე კითხულობდნენ.

ისტორიული ამბავი კი ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილს ენება. ყიზილბაშების ყაენმა საქართველოს დასაპყრობად ჯარი გამოეზავნა. ნაწარმოებში ამ ბრძოლის მხოლოდ ერთ ეპიზოდზეა ყურადღება

¹ ილია ჭავჭავაძე, თხზ. ტ. II, თბ. 1988, გვ. 315 (პროზიდან ამოღებული დანარჩენი ციტატებიც ამ წიგნიდან იქნება დამოწმებული).

გამახვილებული, კერძოდ, ახალგაზრდა ყიზილბაშისა და ვოსტაშა-
ბიშვილის ორთაბრძოლაზე.

ყიზილბაში ისე ათამაშებდა ცხენს, ისე მარჯვედ ხმარობდა
იარაღს, რომ ხუთი ქართველი ვაჟკაცის სიცოცხლე შეიწირა,
მებრძოლთა თხოვნით, ბოლოს მასთან საბრძოლველად გავიდა
ვაჭაღარავებული ნიკოლოზ ვოსტაშაბიშვილი. ყიზილბაშია მასაც
შუბი მოუღერა, მაგრამ გამოცდილმა ნიკოლოზმა მთხერხებულად
აიციდინა. ქების კიჟინა გაისმა. სანამ ახალგაზრდა მეორედ შეუტევდა,
ვოსტაშაბიშვილი ცხენდაცხენ ეცა, ერთი—ორი ღონივრად შებერტყა
და ცხენიდან ძირს დასცა. დამარცხებული ყიზილბაში მიწაზე ეგდო,
მაგრამ ქართველი მებრძოლი დიდი რაინდიც იყო. მაშინვე ფეხზე
ააყენა ახალგაზრდა და უთხრა: "ნუ გეშინიან, მე თავს არ მოგჭრი. შენი
თავი შენის ვაჟკაცობისათვის მიპატიებია. ცოდვია შენი გაფუჭება,
წადი და ღმერთმა გზა მშვიდობისა მოგცესო".

ყიზილბაშია მასში საუკეთესო ვაჟკაცი და მეომარი შეიგნო და
ღირსეული პასუხიც ვასცა: "მეც სიცოცხლეს თუ ვისგანმე ვიჩუქებდი,
მარტო შენისთანა ვაჟკაცისაგანო!". ამ სიტყვებით დასცილდნენ ერთ-
მანეთს.

ნიკოლოზ ვოსტაშაბიშვილის ქცევა მაყურებელში იწვევს
აღფრთოვანებას, ეროვნული სიამაყის გრძნობას. მოუხედავად იმისა,
რომ ყიზილბაშია ხუთი საუკეთესო ქართველი გამოასაღმა სიცო-
ცხლეს, ვოსტაშაბიშვილმა იგი დაინდო და ამით კიდევ ერთი მაღა-
ლწინებრივი მაგალითი მისცა ახალგაზრდობას.

ბავშვისა და ფრინველის ურთიერთსიყვარულსა და მეგობრობაზე,
დედაშვილურ სიყვარულზეა საუბარი ილიას პატარა მოთხრობაში
"დედა-ჩიტი".

პატიკომ ბუდიდან გადმოგარდნილი ბარტყი დაინახა, რომელიც
ეკლიან ბარდში გახლართულიყო. მამას სთხოვა, ბარტყი მისთვის
მიეცა. ბავშვი მოეფერა უსუსურ ფრინველს, მაგრამ დედაჩიტი
ბუმბულაბურძენული ხან ერთ ტოტზე შესკუბდებოდა, ხან მეორეზე,
ხან შურდულივით გამოუქროლვებდა ბავშვს, თითქოს ხელიდან უნდა
გამოვლიდნო. მაშინ მამამ შვილს ყურადღება გაამახვილებინა დედის
მწუსნარებაზე და უთხრა: "ავერ ბარტყის დედა,რა რიგად ნალვლობს

და იქნება სტირის კიდეცე შვილს რად მართმევენო. იმას უნდა, რომ ბარტყი ბუდეში ჰყავდეს¹.

როცა მამის შეგონებით პატივობ ბარტყი ბუდეში ჩასვს, დედა ჩიტის სინარულს საზღვარი არ ჰქონდა. ტანზე ბუმბული დაუდებდა და მშვიდდა და ისეთ ჭიკჭიკს მოჰყვა, თითქოს "თავის მადლობის ლოცვას გალობდა".

როგორც ვხედავთ, დედაშვილური სიყვარულის სიღიადესა და სიძლიერესთან ერთად, ეს პატარა მოთხრობა ბავშვებში ჰუმანიზმისა და კეთილშობილების აღზრდასაც ისახავს მიზნად.

ამავე მიზნითაა "ბუნების კარში" შეტანილი ილიას "ოთარაანთ ქვრივიდან" ერთი თავი "დედა-შვილობა" და "სუთი ქისა". შეუძლებლადაც კი გვეჩვენება ასეთი რთული პრობლემების შემცველი ნაწარმოებიდან საბავშვოდ შეირჩეს რომელიმე ეპიზოდი, მაგრამ გოგებაშვილმა ეს მაინც შესძლო.

როგორც ცნობილია, ამ თავში ყურადღება გაშახვილებულია დედისა და შვილის სათუთსა და უანგარო სიყვარულზე, რომელიც მათს ყოველდღიურ ცხოვრებაშიც იგრძნობა. დედა და შვილი — ორივე შრომისმოყვარე, გამრჯე, სიძარითლისათვის მეზობელი და პირში მთქმელია. ორი ძლიერი პიროვნებაა, მაგრამ ოჯახში ორივეს თავისი ადგილი აქვს მიჩენილი იმ მძლეობაშიც გრძნობის წყალობით, რომელსაც დედაშვილობა ჰქვია. ოთარაანთ ქვრივს მთელი დედამწვის ზურგზე იმაზე მეტი სინარული არ ჰქონდა, რომ შვილისათვის ეცქირა, "შვილისათვის ეცოცხლა:" "შენი ვარ, შენთვის მოგკვდები, შენთვის დავიცემ დანასაო", — იტყოდა სოღმე თავის გულში, როცა შვილს სამუშაოდან მომავალს დაინახავდა.

ვიორვისაც დიდი სიყვარული და რიდი ჰქონდა დედისა. იგი სხვისაგან თავზე ფრინველსაც არ გადაიფრენდა და ფეხქვეშ ჭიანჭველსაც არ გაიტარებდა, დედას კი არასოდეს სიტყვას არ შეუბრუნებდა. ამათ დედაშვილობას ყველა შენატროდა.

მეორე ნაწყვეტის სათაურია "მსნე დიასახლისი", იგივეა რაც "სუთი ქისა". საბავშვოდ ნაწარმოებების გვერდით ამ ნაწყვეტის მოთავსება უთუოდ წესობრივი აღზრდის პრინციპებიდან გამომდინარეობდა. ოთარაანთ ქვრივის მაგალითით, როგორც სანიმუშო დიასახლისისა, ოჯახის ბურჯისა და გამძღოლისა, მისაბაძი იყო ყველა-

¹ ილია ჭავჭავაძე, დედა-ჩიტი, ბუნების კარი, თბ. 1912, გვ. 347.

სათვის. განსაკუთრებით ის ადგილი, როცა ეს პირქუში, მაგრამ სიკეთით
სავსე ქალი, თავის ფულს ანაწილებდა ხუთ სხვადასხვა ქისაში და არ
რჩებოდა მხედველობიდან ღარიბები და მათხოვრები. "რაც პირველ
ლთხ ქისას გადარჩებოდა, ყველას მენუთე ქისაში დაუთვლელად
ჩაპყრდა და მინამ გამოილეოდა, დაუთვლელადვე მხარჯავდა".
სწორედ ამ პატარა დეტალში იკვეთება ოთარაბთ ქვრივის მოწყალე
გული და დაჩაგრულთადმი თანაგრძნობის დიდი უნარი, რასაც
სიტყვიერად არასოდეს ამჟღავნებდა.

"გლახის ნამბობიდან" საბავშვოდ შეიძლება შეირჩეს შესავალი
ნაწილი, რომელშიაც ადამიანთა და ცხოველების ურთიერთობაზეა
საუბარი. აქ უკვე პატარა ბავშვისათვის ჭკუის დარიგება კი არ ხდება,
როგორც "დედა ჩიტში", არამედ შეგნებული ადამიანის თვალსაზ-
რისზეა საუბარი. ცხოველის მოკვლა ნადირობით გატაცებული
კაცისგანაც კი ერთგვარ ცოდვას უტოლდება, რადგან ცხოველთა
სიცოცხლის ტკობის უნარი ადამიანურ ყოფას უტოლდება.

"ნადირობის ტრფიალის" აღსარება მწერლის თვალთახედვის
პრინციპია გატარებული და სიკვდილ-სიცოცხლის საქმროლოტი
საკითხია წამოჭრილი.

ძაღლისაგან დაძვრთხალი ირეში მონადირეს გადაყვრება. და აი,
ამ დროს მწერალი აღფრთოვანებით უყურებს მას და "შესტრფის": "რა
მწუხარებით შედგება, რარიგ საოცარ მშვენიერებით მოიღერებს კი-
სერს, რა გაფეთებით და იმედგადაწყვეტილად დაიწყებს ნაღვლიანის
თვალეების ტრიალს, ყურების ცქვეტას, გაგანიერებულის ნესტოებით
სუნის აღებასა!... ისეთი ლამაზია, ისეთი ნაზია და ამ სინაზესთან ისეთი
მიმზიდველი ამაყიცა, რომა, გგონია, რაც ბუნებისაგან მინიჭებული
მაღლი აქვსო, სულ ესღა შემოიკრიბათ, რომ სიკეთით და თავის
სილამაზით მაინც შეაბრალოს თავი დამალულს მტერსაო!". მაგრამ
"შეუბრალებელია ადამიანი, იგი მზადაა, საკუთარი ყინის დასაკმაყო-
ფილებლად ყოველგვარი სილამაზე მოსპოს.

იღია პროტესტს გამოთქვამს არამართო ცხოველებისადმი უდიერ
მოპყრობაზე, არამედ აგრეთვე ერთმანეთის მიმართ ადამიანთა
დაუნდობლობაზე. "ყოველი კაცის ნაფეხურს ერთი მუჭა კაცისვე სი-
ხლი შეუშვრიათ, - აცხადებს გულმოკლული მწერალი და ხაზს უსვამს,
რომ თავისსავე მოძმეს ჰკლავენ ის ადამიანები, რომლებსაც
"სულიერთა მეფეს", "ქმნილებათა გვირგვინს" ეძახიან. ნუგეშად
პირუტყვებს ისიც რჩებათ, რომ იქა კვდებიან, სადაც დაიბადნენ,

ადაშიანები ზოგჯერ ამასაც მოკლებულნი არიან. და ირეში ტყვიისაგან განუმირული ეცემა იქ, სადაც თვალი გაახილა. " ეს ბალახები იყო ამის აკვნად და ბოლოს საფლაგადაც გარდაექცა", - ამბობს მწერალი.

როგორც ვხედავთ, ისე ამაღლებულად არის წარმოდგენილი ნადირობის სურათი, რომ ვაჟა-ფშაველას გამოჩენამდე ადაშიანისა და ცნოველის ასეთი შთაბეჭედავი ურთიერთობა არცერთ მწერალს არ დაუხატავს.

ილია ჭავჭავაძის "სარჩობელაზედ", მართალია, საბავშვო თხზულებათა ჩარჩოებში ვერ ჩაეტევა, მაგრამ თავისი შინაარსითა და ბავშვების პორტრეტების, მათი გაცდების მხატვრული ჩვენებით იგი ახალგაზრდობისთვისაც ერთ-ერთ საინტერესო ნოველას წარმოადგენს.

როგორც ცნობილია, ილია თავგამოდებით იბრძოდა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. 1907 წლის ივნისში სახელმწიფო საბჭოს მეორე სესიაზე იგი სიტყვით გამოვიდა სიკვდილით დასჯის კანონის გაუქმების შესახებ, რამაც მსმენელებში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. უფრო ადრე ეს საკითხი მან მთელი სიგრძე-სიგანით დააყენა თავის მხატვრულ ქმნილებაში "სარჩობელაზედ" (1879 წ.).

ეს ფსიქოლოგიური ნოველა ყურადღებას იმყრობს აგრეთვე ბავშვების აღზრდისა და ფორმირების საკითხში საზოგადოებისა და სკოლის პასუხისმგებლობის მხრივაც.

ორი თბოლი უპატრონო ძმა მაწანწალად და ქურდად ჩამოყალიბდა. ვინ არის ამაში დამნაშავე? თბლად დარჩენილი ძმების მიმართ ბირველი დანაშაული დედამ ჩაიდინა, რომელმაც მიატოვა ისინი და ქალაქში გაათხოვდა. " როცა მოვიდოდნენ, - იგონებს უძცროსი ძმა, - ჩვენ საწყლებს სულ ტყავს გვაძრობდნენ ცემითა. შიშველ-ტიტველნი, მშიერ-მწყურვალნი ვხეტებოდით სოფლის ორდობებში უპატრონოდ". შეძვევი დანაშაული სკოლას მიუძღვის. მამინაცვალმა თავიდან მოშორების მიზნით თუქურმიშის სალდათის სკოლაში მიაბარა. აქ უარესი დაემართათ: " აგვიყროლეს სული რუსულის ღანძღვითა და თრევითა, ამოგვართვეს სული ცემა-ტყეებითა". იქიდან გამოქცეულებს ადაშიანური ზრუნვა არავისგან უგრძვნიათ, კაცური სითბო არავის გამოუჩენია. მათაც მიაშურეს ქალაქს, ქურდობითა და ძარცვით ირჩენდნენ თავს, რამაც საბოლოოდ უფროსი ძმა სახრ-ჩობელამდე მიიყვანა.

საზოგადოებრივი გულცივობის ფონზე ერთ-ერთ სასიკეთო გამონაკლისად ჩანს მოხუცი პეტრეს სახე. მასში გაერთიანებულია ქართველი გლეხკაცის ალალი ბუნება, უანგარო სიკეთე და ერთგვარი გულუბრყვილობა. პეტრემ ორი მაწანწალა ბიჭი მართლა თაყუდისშვილებად მიიღო, შეიფარა, დააპურა და ღამით თაყვისი ნაბადი გაუშალა მიწაზე, არ აკადრია ბალახზე ძილი. მათ კი ღამით ჯიბეები დააჭრეს, ფული მოჰპარეს და გაიპარნენ. საოცარია პეტრეს განცდა. იმდენად დაკარგული ფული არ აწუნებს, რამდენადაც სირცხვილი ჰკლავს: "აკი ამ ძუძუმწოვრებმა არ გამქურდეს ეს დროული კაცი! - სთქვა ღიმილით და თაკილითაც პეტრემ". და შემდეგ ასეთი დასკვნა გამოიტანა: "არა, შვილო, რაკი ქართველმა რუსული შლაპკა დაიხურა, იმის საქმე წასულია...აი, ტაი, ტაი! ღმერთმა იმათ კი შეარგოთ და მე კი ეს სირცხვილადაც შეყოფა და სიცილადაც". ადამიანის გულკეთილობა ამაზე შორს ვეღარ წავა! მაშ რაღას ემდურებიან საზოგადოებებს? მწერალი თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ასეთი კაცი ბედნიერი გამონაკლისია, ამ საერთო უნდობლობისა და გაუტანლობის ფონზე მხოლოდ იგი ცხელია, რომელიც ბნელით მოცულ არეს ვერ გაანათებს, უკუღმართ ცხოვრებას ვერ შეცვლის, სანამ ამგვარი სიკეთე საზოგადოების უმრავლესობისათვის არ იქნება ნიშანდობლივი.

როგორც აღვნიშნეთ, ნაწარმოებების ძირითადი აქცენტი მაინც ჩამოსწრლობაზეა გადატანილი. გულუბრყვილო პეტრეს განცდებში მკვეთრად იხატება ამ ბარბაროსული სასჯელის მთელი საშინელებანი. მახათას მთაზე უამრავ ხალხს მოუყრია თავი, რათა კაცის ჩამოსწრობას უყუროს. საშინლად აფორიაქებულ პეტრეს არ სჯერა სინამდვილისა, ეს გასართობი თამაში ჰგონია და ცდილობს, არ მოტყუდეს, ეჭვები კი ღრღნის: "ბიჭო—და, იქნება მართლა ჩამოასწრეს!...ნეტავი შეკითხნა. ე, დამცინებენ...ჰა, ვინ იცის? ე ხალხი რომ ასე ქეიფის გუნებაზეა, მიდის და მიყაყანებს მხიარულად! ეს რომ მართლა დარჩობა ყოფილიყო, ქვეები ხომ არ არიან, ოჯახდაქვეულები, რაც უნდა იყოს, ღვთისკერძო ადამიანია, კატა ხომ არ არი!". საზოგადოების ამგვარი გულგრილობისას უნებურად გვახსენდება ვაჟა-ფშაველას სიტყვებიც:

სიკვდილი ყველას გვაშინებს,
სხვას თუ პკვლენ, ცქერა გვწაფიან;
კაცნი ვერ ჰვრძნობენ ბევრჯელა,
როგორ დიდს ცოდვას სწადიან.

სწორედ ამ უსულგულობასა და უზრუნველობაში სდებს ბრალს ილია ჭავჭავაძე მთელ საზოგადოებას და მის თვითველ წევრს. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ უძცროსი ძმა თავის წერილში პეტრესაც ისეთივე დამნაშავედ მიიჩნევს, როგორც საზოგადოების სხვა წევრებს: "განა შენ კი ამხანაგი არა ხარ ჩემის მაშინაცვლისა! განა შენ კი არ დამირჩე ერთადერთი ძმა! განა შენ კი არ მიიყვანე ის სარჩობელაძე!". ამ სიტყვებში მართლაც წყალგაღმა დარჩენილი კაცის რისხვა იფრქვევა მთელი საზოგადოების მიმართ, მათი განურჩევლობისა და უგრძობლობის გამო.

— შე რა შუაში ვარო! — წამოიძახებს აცანცანებული პეტრე და ეს კითხვა აფორიაქებს ამ ნაწარმოების ყველა მკითხველს, თვით მწერალიც ასე ამთავრებს მოთხრობას: "მართლა—და ჩვენი ბებერი პეტრე რა შუაში უნდა იყოს...".

უძცროსი ასაკის მკითხველისათვის ეს კითხვა უძახუნოდ რჩება, უფროსი კი უკვე მიხვდება, რომ აქ კონკრეტულად პეტრესე არ არის საუბარი, აქ საზოგადოებრივი ტიპილი დულს, ღვივება და ნაპირებიდან გადმოხეთქვას ლაშობს. სწორედ ხალხის უყურადღებობა სხვების მიმართ და ეგოისტური შენჩემობა ღუბავს ქვეყანასა და ცალკეულ ადამიანებსაც.

საბავშვო ლიტერატურისათვის საინტერესო ეპიზოდებს შეიცავს აგრეთვე ილია ჭავჭავაძის მოთხრობა "კაცია—ადამიანი?!":

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ:

1. XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ილია ჭავჭავაძემ პირველმა ჩამოაყალიბა საბავშვო ლიტერატურის თეორიული საფუძვლები.

2. მწერალმა ყურადღება გაამახვილა ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდისა და განათლების პრობლემებზე როგორც პუბლიცისტურ წერილებსა და საჯარო გამოსვლებში, ისე თავის მხატვრულ ნაწარმოებებშიც.

3. მწერალს ერის წინამძღოლობა და ახალგაზრდობის გზის-გამკვლევის მისია დააკისრა.

4. ეროვნულ-პატრიოტულ მოტივზე შექმნილი ლექსები დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი ხასიათისაა. იგი ერთნაირად საინტერესოა როგორც უფროსი ასაკის მკითხველისათვის, ასევე ახალგაზრდა თაობისათვისაც.

5. ილიამ აამაღლა ქართველი დედის სახე და გადამწვევტი როლი მიანიჭა ქალს ბატრიოტული სულით, სიკეთითა და ჰუმანიზმით შთაგონებული ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში.

6. ახალი თაობის მორალურ-ზნეობრივი აღზრდის ფუნქციას ილიას ისტორიული წარსულის სამაგალითო ეპიზოდების ამსახველი პოემებიც ასრულებს.

7. სპეციალურად ბავშვებისათვის შექმნილ ნაწარმოებთა სიმცირის მიუხედავად, ილია რჩება საბავშვო მწერლადაც, რადგან მისი ყველა თხზულებიდან შეიძლება შეირჩეს ახალგაზრდობისათვის გასაგები, ზნეობრივი მაგალითების მიმცემა ცალკეული ადგილები და ეპიზოდები.

8. უშუალოდ ბავშვების სულიერი ფორმირების საკითხში მწერალი ავალდებულებს საზოგადოებას მათდამი მეტი ყურადღებისა და მზრუნველობის გამოჩენას.

აკაკი წერეთელი

(1840—1915)




მოზარდთა ესთეტიკური აღზრდა, სულიერი ფორმირება მრავალ ასპექტს მოიცავს. მათ შორის ერთ-ერთ პირველთაგანს წარმოადგენს მებრძოლი პატრიოტული გრძნობის შთანერგვა და განვითარება. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ "იანანას" ერთი ძირითადი დანიშნულება სწორედ სამშობლოს სიყვარული და მისთვის თავდადება იყო, სიყრმიდანვე გასათავისებელი და გასათვალისწინებელი. დამწერლობითმა ლიტერატურამ მიიღო ეს ტრადიცია და თავისებურად გაშალა და გააფართოვა მისი არეალი. არ მოიპოვება ქართველი მწერალი, რომლის შემოქმედების ქვაკუთხედს არ წარმოადგენდეს სამშობლოსათვის თავდადების იდეა.

აკაკი წერეთლის შემოქმედება გამთბარია პატრიოტიზმის უკეთესი შობილესი გრძნობით. მართალია, ეს ლექსები უმეტესად დიდებისათვის არის განკუთვნილი, მაგრამ ადვილად ასათვისებელი ფორმა და გამპარტიკებული ლექსწყობა ბავშვებისათვისაც ხელმისაწვდომს ხდის.

ლექსი "განთიადი" ყურადღებას იქცევს ღრმა იდეურობითა და მხატვრული გამოსახვის საშუალებებით. სამშობლო ქვეყნის ენითაუწერელი სილაშაის გადმოსაცემად აკაკიმ მიაგნო მშვენიერ მხატვრულ გამოთქმას: "ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო", მანამდე ასე სხარტი და ლაკონური ეპითეტი არ გვქონდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ გრიგოლ ორბელიანის ადრე ნათქვამ ასევე მშვენიერ ტიპოლოგიურ გამოთქმას: "სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა?". აკაკის ამ შესანიშნავ ეპითეტს ხაღღის მოწონებით შეხვდა, აიტაცა და გაითავისა.

ლექსში ჩაქსოვილია სამშობლოსათვის თავდადებისა და მსხვერპლად შეწირვის მზადყოფნის სურვილი: "შენი ვარ, შენთვის მოვკვდებიო", — ეფიცება ბოეტი მშობლიურ მიწა-წყალს. ამავე დროს ამაღელვებლად და წარმოდგენილი სამშობლო ქვეყნის მიწაში საბოლოო განსვენების ბედნიერება. თან მიყვება სითბო და სიღბო იმ

მიწისა, სადაც დაიბადე და გაიზარდე, სადაც ივემე პირველი ნეტარება და სილაძაზე:



დედაშვილობამ, ბევრს არ ვთხოვ,
შენს მიწას მიმაბარეო,
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო.

ზედმეტი არ იქნება, ბავშვებს მოვუთხროთ ლექსის ადრესატის ვინაობის შესახებ, მივაწოდოთ ცნობები დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

აკაკი წერეთელმა ეს ლექსი წაიკითხა კახეთში 1911 წელს, ილიას ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოზე. ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელზე, "ილიას საღამო აკაკის საღამოდ გადაიქცაო", - გვაწვდის ცნობას მაშინდელი გაზეთი. ასეთივე საინტერესო და მნიშვნელოვანია პოეტის მეგობარი და ნათესავი ქალის - ნაცა ბაგრატიონ-წერეთლისას მოვონება: "ერთხელ, ელისაბედ წერეთელმა მოაწყო საღამო, სადაც რვა წლის ბავშვმა, ჩემმა შვილმა - თამარმა, ბეჟან წერეთლის ქალმა, წაიკითხა "ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო". აკაკი რომ ყურს უდებდე ბავშვს, საშინლად აღელდა და ქვითინი დაიწყო. მე ვკითხე, რამ აგაღელვებდა ასე, რომ ატირდით-მეთქი? - იმისთანად წაიკითხა, ბედნიერება განვიცადე, რომ ამ პატარამ ასე იფრინო ჩემი გულის ნადებით. დიდები ისე ვერ წაიკითხავენო. დაუძახა ბავშვს და მიუაღერსა"¹.

ერთიანი, ძლიერი, შეკავშირებული საქართველო იყო აკაკის იდეალი, ამ მხრივ პოემა "ნათელადან" ამოღებული სტრიქონები ცალკე ლექსის უფლებით დამკვიდრდა და ერთ-ერთ უბოძებულარეს სიმღერად იქცა მთელს საქართველოში.

ესაა მოწოდება საქართველოს ყველა კუთხის გაერთიანებისა და შეკავშირებისაკენ. ჩონგური ტკბილხმოვანია და საამური, რადგან სიმები აწყობელია. საკმარისია ერთი მათგანის გაწყვეტა, რომ ჰარმონია დაირღვეს. აქედან დასკვნა: ქვეყანაც ერთიანია და ძლიერი, თუ ყველა კუთხე შეკავშირებულია, მაგრამ ერთიც რომ განზე გადგეს, სასწრაფოდ სჭირდება შევლა, რადგან

¹ ლიტერატურული მატრიანე, 1942, გვ. 133.

ჩონგური საქართველოა,
სიძები ჩვენ ვართ ყველაო,
სხვადასხვა კუთხის მცხოვრები:
ოდელა—დელა—დელაო.



პოეტი მოუწოდებს ხალხს გაერთიანებისაკენ და დაბეჯითებით უქადაგებს:

ერთობა ჩვენთვის ტახტია,
მტრებისთვის სახრჩობელაო,
მტრებს "ვაი დედა" ვაძახოთ
და ჩვენ ვთქვათ: "დელა—დელაო.

როგორც აღვნიშნეთ, პოემიდან ამოღებულმა ამ ნაწყვეტმა და-
მოუკიდებელ ლექსად არსებობის უფლება მოიპოვა.

პატრიოტულ გრძნობას უკავშირდება ქართული ანბანის
სიყვარული. ანბანის შესწავლით იწყება ეროვნული გრძნობის ჩამო-
ყალიბება. იაკობ გოგებაშვილის ბრწყინვალე "დედა ენის" გამო-
ცემამდე, ბევრმა მეთოდისტმა თუ მწერალმა სცადა ლექსად დაწე-
რილი აკროსტიხით ბევრათა თანმიმდევრობის შესწავლის გაადვილება,
თუმცა ეს სასიკეთო შედეგს ვერ იღებდა. აკაკისაც შეუქმნია ანბანზე
აწყობილი ლექსი, მხოლოდ პოეტი ანბანის ასოებს სტროფის ბოლოს
ასახელებს:

ყმაწვილო, თუ გსურს გიყვარდეს
შენი სამშობლო ძალიან,
ჯერ წიგნი უნდა ისწავლო,
პირველი ასო არის ა.

ასე გრძელდება ბოლო ასომდე. მას მეთოდურად დიდი მნიშ-
ვნელობა არა აქვს, მაგრამ მთლიანად პატრიოტული სულისკვ-
ეტებითაა განმსჭვალული.

აკაკის, და საერთოდ, 60-იანელთა აზრით, ქართველი დედის
ძირითადი მოვალეობა იყო შვილის სამშობლოსათვის გაზრდა და
მისთვის თავდადებისათვის მომზადება. მართალია, ეს უძძიმესი ვალება,

მაგრამ მტერთან მედგრად მებრძოლი შვილის ყოლა საამაყო და
სასახელოა. ამიტომაც აკაკის ლექსში "ქართველი ქალი" დედა
ამაყობს ომში გმირულად დაღუპული შვილებით და დასტირის მში-
შარასა და ლაჩარს:

არა ვსტირი იმ ორ შვილსა,
ომში მოკლულს გმირულადო,
ვიგლოვ ცოცხლად დარჩენილსა,
უსახელოდ, ვირულადო.

ეს ლექსი იწვევს გმირულად სიკვდილის ნატვრის დიდ სურვილს.
აკაკი წერეთლის მიზანია, ბავშვებს თვალნათლივ უჩვენოს, რა
ღამაზია მისი სამშობლო, როგორი ფერებითაა შექმული, ბუნების რა
სასწაულია მასში ჩაქსოვილი, როგორ ღამაზად იღვიძებს ბუნება
გაზაფხულობით. ლექსში "გაზაფხული" სწორედ ასეთი სურათია დახა-
ტული:

გაზაფხულდა, ბუნქის ძირას,
თავს იწონებს ნაზი ია,
ჩვენს საღხენად კოკობ ვარდსაც
ემხით გული გაუღია.

ლექსიც წყაროსავით მოწანწკარებს და საამურ სითბოს გამო-
სცემს. აქ ბუნება აფეთქებულია, ხავერდითი მწვანე ბალახს სით
აბბინებს, ჩუხჩუხა წყარო ნანას უძღერის ძუძუძვირებს, ფრი-
ნველებს, რომლებიც ფრთხილობენ, სრიალებენ. ნორჩებიც ნაინაირი
ყვავილების კრეფით გართულან:

და მახლობლად იქვე თავი
მოუყრიათ ყმაწვილებსა,
იმღერიან და თან ჰკრეფენ
სხვადასხვაფერს ყვავილებსა¹.

¹ აკაკი წერეთელი, ტ. I, თბ. 1988, გვ. 344 (სხვა ლექსებიც ამ გამოცემიდან
იქნება დამოწმებული).

ზამთარს თავისი მიძინებულობა ახლავს: თოვლი, ცივაობა, გუნ-
დაობა. მაგრამ გაჭიანურებული სიცხევე, ყინვა მანც მოსაბეზრებელს
ხდის ყოფას და გაზაფხულის დადგომის ნატკრას აღვივებს. აი, როგორ
აღწერს ამ სანეტარო დროის დადგომას აკაკი ლექსში "მიიპარება
ზამთარი":

მიიპარება ზამთარი, ძალ-ღონე გამოელა,
და თვალს არიდებს გაზაფხულს,—რა ცუდი მასპინძელია!

ზამთარს თან მიჰყავს თავისი კარისკაცებიც: ანთება, სურდო და
ხველა. "წინ-წყალი, უკან მეწყერი, წყალმა წაიღოს სუყველა".

სამაგიეროდ, გაზაფხულს

წინ მოუძღვიან ჩიტები, მაყრულით საამურადა,
ბუღბული ჩანგით დახვდება და შაშივი სალამურითა!...
ქვეყანა მაჯას გაიხსნის, გული დაუწყებს ძვერასა,
და საიდუმლო სიმებით იწყებს ბუნება ჟღერასა.

საბავშვო ლიტერატურის ვალია, ბავშვებს გააცნოს ცხოველთა
და ფრინველთა სამყარო, ჩაუნერგოს ჰუმანიზმის გრძნობა,
დაჩაგრულთაძმი თანაგრძნობა, თავისუფლებისაკენ სწრაფვა. ბავშვი
თავისი ბუნებით ანიმისტია, ყველაფერს ცოცხლად და გასუ-
ლიერებულად წარმოიდგენს. მას ისევე უყვარს ცხოველი ან ლამაზი
ფრინველი, როგორც ახლობელი ადამიანი. პეპელა ერთი უმწვეო
მწერი, სულ რამდენიმე დღეს ცოცხლობს და იმის არსებობასაც თავი-
სი აზრი და მნიშვნელობა აქვს. ბუნებაში შემთხვევითი არაფერია, ყვე-
ლაფერი ერთმანეთთან პარძონიულ დამოკიდებულებაშია. ბავშვმა
პეპელა დაიჭირა და აღერისით ჰკითხა:

თავს რითი ირჩენ შენაო,
როგორ არა გღლის მთელი დღე
მოუსვენარი ფრენაო?

პატარა ბავშვის გაოცება გამოიწვია პასუხმა, როცა შეიტყო, რომ
პეპელა ბედნიერია მხოლოდ ბუნების წიაღში, რადგან

იქ ყვევილები გაშლილან
ჩემს საზრდოდ, საწუწნელადო.



პატარამ პეპელა გაათავისუფლა ტყვეობისაგან და თავის ბუნებრივ სამყაროს დაუბრუნა. როგორც ვხედავთ, ამ ლექსით ბავშვის ბუნების მრავალფეროვან ბინადართ ეცნობა.

აკაკი მიუძღვის პატარებს ბუნების წიაღში, ასწავლის სიყვარულსა და სათუთ დამოკიდებულებას გარემოსადმი. თავისუფლება ყველაზე დიდი განძია და ბავშვმა თავიდანვე უნდა იცოდეს მისი ფასი. ასეთი მიზანდასახულებისაა ლექსი "ჩიტო ვალიაში". ის დიალოგის ფორმითაა დაწერილი. ბავშვებიცა და ჩიტიც საოცრად გულწრფელნი არიან. ბავშვებმა ჩიტო დაიჭირეს და ვალიაში მოათავსეს, რათა ეზრუნათ მასზე და ცივი ნიაფი არ მიეკარებინათ.

სულ შაქრით ჩავიტკბარუნებთ

მაგ პაწაწინა ყელს და პირს, — პშირდებიან დატყვევებულს. ჩიტს კი თავისუფლება ურჩევია, ბუნება მას საზრდოს არ დააკლებს, იქ ბუ-ნ-პეპლებითაც გამოიკვებება, ხოლო ვალიაში ყოფნა ციხეში დამწყვედევაა და მონობაში სიკვდილს ნიშნავს:

"ვალა ჩემთვის ციხეა, ეს, ბავშვო, ნუ გავიწყდებათ", — ეუბნება ვაოვნებულ ყმაწვილებს და უხსნის: "ტყვეობაში კი სამოთხეც არ მინდა გულმწუხარესა".


ბავშვები ჩიტს ათავისუფლებენ, ვალიის კარებს უღებენ და ლოცავენ:

ვაფრინდი, ვადაიარე ჭიკჭიკით მთა და ველით.

ლექსი სხარტი, მარტივი დიალოგით მიმდინარეობს, ადვილად ახთვისებელი ფორმა აქვს და ამიტომაც, აკაკის ლექსებს ზეპირად სწავლობდნენ და ახლაც სწავლობენ.

ბავშვი ყოველთვის განსაკუთრებული სიყვარულითაა გარე მოცული. მას ეფერებიან, აქებენ, შეფარვითა და მსუბუქად ჭკუბს არივებენ. ხშირად მას ბუნებაც ანებივრებს. მშვენიერი სურათია დახატული ლექსში "ვაშლი და შაქარა". ფოთლებში მოელგარე სისხლივით

წითელი ვაშლის დანახვაზე "შაქარას ნატვრა უჩნდება:" ახ, ნეტავ ერთი მოსწყდესო". თითქოს უსმინა ნიაჟმა, ხე შეარხია და



ყუნწში მოსწყვიტა ნაყოფი,
ძირს მოდის ბზრიალ-ტრიალით.

პატარა შაქარას სიხარულს საზღვარი არა აქვს:

ყმაწვილმა ხელი დასტაცა,
ქარს მადლი უძღვნა გულითა
და სახლისაკენ მოჰკურცხლა
აღვსილმა სიხარულითა.

პატარა ბავშვისათვის შინაურივით ახლობელია ცხოველები და ფრინველები: კატა, ძაღლი, მამალი, თხა, ჩიტი. აკაკი წერეთელი ყველა მათგანს ისეთ კუთხეს უნახავს და ისეთი ნიშნით წარმოადგენს, რომ ბავშვებს მათ სიყვარულსა და პატივისცემას უნერგავს. აკაკის ენით აღაპარაკებული პატარები სასაცილო კატას ასე მიმართავენ:

ციცუნია კატაო,
მაგრე რამ დაგნატაო,
ნუ ხარ ჩვენზე გაბუტვით,
სუედა მოგვემატაო.

დათიკო თიკანს ეფერება და არ იცის, როგორ გაუფრთხილდეს ახლადდაბადებულ ჩვილს, ისეა ამ აშბით გართული, რომ ვერ ამჩნევს დედა თხის გამძაფრებას:

დათიკომ ხელი მოჰკიდა,
კოცნა დაუწყო თიკანსა,
როგორც ერთ რაშე ტიკინას,
და სათამაშო საგანსა.

ბრწყინვალე ლექსია "ჩემი თხა", რომელშიაც მხატვრული თქმები და სახეები ისეთი ვირტუოზული სიმძაფრითაა წარმოდგენილი, რომ ანადლოფი იშვიათად თუ მოეპოვება:

ჩემო ლამაზო ბეკეკა,
შენ ჩემო თხაო ბელაო,
ჩემი მტერი და ორგული
შენ გენაცვალოს ყველაო.



ამას მოსდევს თხის გარეგნობის აღწერა, რომელიც აკაკის მადლიანი კალმის წყალობით საოცარ სურათს ქმნის. აქ გამოყენებული თამაში შედარებები იშვიათი პოეტური მიჯნების შედეგია:

წვერი გაქვს დეკანოზისა, და რქები ეშმაკისაო,
კბილები, ნამგლად ნალესი, ნეკერს კვრებს, ბალახს მკისაო,
მთაში რომ წაკოკინდები, დააგდებ მინდორ—ველსაო,
გაძლები, გასისინდები, ჯიქანს აივსებ რძითაო.

რა საოცარი სიტყვებია და რა კონტექსტია გამოყენებული! "წაკოკინდები", "გასისინდები", "შეკვლევო, ჩემი შვილების", — ამ სიტყვებს ახლებური იერი ედებათ და სულ სხვაგვარად გაიაზრება მოცემულ შემთხვევაში. ცხადია, ასეთ ლექსს ბავშვი ზეპირად სწავლობს და სიტყვათა მარაგსაც იმდიდრებს.

თხის სიმბოლიკა აკაკის მრავალ ლექსში მქორდება. ურჩი თხა ხშირად მელის ლუკმა ხდება. ეს ერთგვარი გაფრთხილებაა ჯიუტი და თავნება ბავშვებისადმი. "ერთი თხა ჰყავდა ბებიას" მხატვრული სრულყოფილებით გადმოგვცემს გაუგონარი და დაუმორჩილებელი თხის სევდიან თავგადასავალს:

ერთი თხა ჰყავდა ბებიას, ცქვიტი, მარდი და შატარა,
თავს ევლებოდა, უვლიდა, უყვარდა წვერებ—ცანცარა,
ატროკდა ერთხელ ბეკეკა, გაიჭრა, ტყეში გაგარდა,
ნეკერი ჩააკნატუნა, კუნტრუშით შეინავარდა.

გაუმაძღარმა მგელმა იგი ჩააკნატუნა, "მხოლოდ რქები და ჩლიქები ბებიას დაუნარჩუნა".

სამყარო ერთიანია და განუყოფელი. ბავშვებისათვის ხილება, ზმა-ნება, რეალობა განურჩეველია. გარეული ცხოველებიც ისევე სანატერესობა, როგორც შინაური. დიდი შემეცნებითი ღირებულებისაა

ლექსები: "დათვი", "შოშია", "ირემი", "გარეული ღორი", "მელია" და სხვ. ამ ნაწარმოებთა მთავარი მიზანია, ბავშვებს სწორი წარმოდგენა შეუქმნას ამა თუ იმ ფრინველისა თუ ცხოველის შესახებ. ამიტომ აუწერს მათ გარეგნობასა და დაძახასიათებელ თვისებებს.

აკაკის შემოქმედებაში დიდ ადვილს იჭერს ფუტკრის სიმბოლიკა. მართალია, იგი პოეტის სახედ არის გააზრებული და უფრო დიდებისათვის არის განკუთვნილი, ვიდრე მოზარდებისათვის, მაგრამ ადვილად ასათვისებელი ფორმის წყალობით პატარებისათვისაც ხელმისაწვდომი ხდება. "უბრალო სიმბოლო არ არის ფუტკარი აკაკის პოეზიაში, — აღნიშნავს აკაკი ბაქრაძე, — იგი მრავალმნიშვნელოვანია. ფუტკარი ამზადებს სანთელს. სანთელი კი, თავის მხრივ უკავშირდება სიწმინდესა და ნათელს"¹. აკაკიმ საბავშვო პოეზიაშიც სცადა ფუტკრის სარგებლიანობის დახატვა და შესანიშნავად შესძლო, ეჩვენებინა მისი უბრაატესობა ხარაბუზას ტყუილ გარჯასთან შედარებით. ლექსში "ხარაბუზა და ფუტკარი" ამაო შრომას გამოკიდებულ ხარაბუზას თავის თავზე მტად დიდი წარმოდგენა შექმნია. თავს არამარტო უტოლებს ფუტკარს, არამედ აჭარბებს კიდევც. შრომისმოყვარე, გამრჯე და ქვეყნის სასარგებლო ფუტკარს "შხამიანსა და მკბენარს" ეძახის და თამამად მიმართავს:

ქვეყნის თვალში მე სულ სხვა ვარ,
შენ სულ სხვა ხარ... ხომ ხედავო?
ჩამოდექი, ვნა მომეცი,
ურნობას ნუ მიბედავო.

ფუტკარმა იცის თავისი ფასი. სასაცილოდ არ მყოფნის ხარაბუზას მკვიდურობა, მისი ამაო შრომა. თვითდაჯერებით იწყებს თავისი დამსახურების ჩამოთვლას:

შეგუმზადო მით ქვეყანას
თაფლი, ზეცას სანთელით,
რომ იქ წმინდად შეიწიროს
და ანათოს აქ ბნელით.

¹ აკაკი ბაქრაძე, ილია და აკაკი, თბ. 1992, გვ. 158.

ამ საქვეყნო საქმეში ხელისშეშლელი დასჯის ღირსია რადგან
სასიკეთო საქმის უცოდინარი ბოროტი და მოღალატეა:

გინც მე ამ დროს ხელს შემიშლს,
ქვეყნის მტერიც ის არიო,
და მისთვის მაქვს მომართული
გესლიანი ისარიო.

საქართველო
საზღვაო მუზეუმი

როგორც გხედავთ. ამ ლექსს დიდაქტიკური მიზანიც აქვს,
შეშეცნებითი ღირებულებაც და ესთეტიკური ტკობის უნარიც გააჩნია.

მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესოა საკმაოდ გრძელი ლექსი
"მერცხლისა და ჭივჭავის ომი". პირველად აკაკის იგი მითხრობის
სახით დაუწერია 1876 წელს, ხოლო შემდეგ, 1890 წელს ლექსად
გადაუკეთებია.

მერცხლისა და ჭივჭავის ბრძოლაში ორი დიდი პრობლემა
წამოყენებული: თუ სამშობლო ვიყვარს, მისი ვასაჭირიც ისევე უნდა
აიტანო, როგორც ლხინი, და შეორე, სხვისი ნაშრომის მითვისება არაგის
ამართლებს, თუნდაც ამ ქვეყნის ბატონი და გამგებელი იყოს!

გაზაფხულზე დაბრუნებულმა მერცხალმა თავისი ბუდე მონახა და
მთელი გულმოდგინებით მისი შეკეთება დაიწყო. ჭივჭავს შეშურდა
მისი, ჩაჯდა მის ბუდეში და კუდმაკრატელა, გულთეთრა მერცხალი
იქიდან გამოაძევა. თან თავს ასე იმართლებდა:

ჩვენი ზაფხული თუ მოსწონს,
რადღად იწუნებს ზამთარსო?
უნდობა, გაუტანელი,
მიჰყავს და მოჰყავს ქარსაო.

მერცხლები შეიკრიბნენ შურის საძიებლად. ჭივჭავი მუქარით რომ
ვერ გამოაძევეს, ხერხს მიმართეს: მოიტანეს ნისკარტით ტალახი, ბუდე
ამოგლისეს და ამოშენება დაუწყეს. ბედურა იძულებული გახდა
გამოფრენილიყო სხვისი ბუდიდან, მაგრამ იარაღი არ დაყარა. მონახა
ჭივჭავთა გუნდი და დაუწყო სამკვდრო-სასიცოცხლო ომი მერცხლებს.
ბოლოს ომი ჭივჭავთა გამარჯვებით დამთავრდა.

მითხრობის მიხედვით, დათიკოს მამა ამართლებს ჭივჭავს
მხოლოდ იმის გამო, რომ იგი თავისი ქვეყნის ერთგულია. ხოლო

"მერცხალი აქ ბუდეს ვაიკეთებს, ბარტყებს გამოზრდის, თავს გამოიკვება და მერე გაუდგება გზას სხვა ქვეყნისაკენ და მიტოვდება აგრეთვე ის აქაურ ჭიჭიჭავსო". ამავე დროს მერცხალს საზრდოსაც ეცილება, — ამტკიცებს მამა. მაგრამ ბავშვებისათვის მაინც უნდასწოდონ რჩება კითხვა: "ეგ მაინც ბოროტება არის, რა ენადგლება, მერცხალმა აქ ბუდე გაიკეთოს? ადვილი ბუდისათვის საკმარისია, როგორც ერთისათვის, ისე მეორისათვის და მაშ მით რა წაუხდება ავგულ ჭიჭიჭავსო?!". "თუ აქ მერცხლები მოძრავლდნენ, მაშინ ჭიჭიჭავებს საზრდო გამოეღვეათ!"¹, — პასუხობს მამა და ამ უწყინარ საბავშვო მოთხრობას ეროვნულ ელფერს სძენს. აქ უკვე ჩვენს მიწაზე სხვა ერთა გაბატონების შიში ისადგურებს, თორემ მერცხლის ბუდის საწინააღმდეგო აკაკი წერეთელს რა უნდა ჰქონდეს!

როგორც ვხედავთ, აკაკის საბავშვო ლექსებში ყველა ის საკითხია აღძრული, რაც დიდებისათვის განკუთვნილ ნაწარმოებებში: პატრიოტიზმი, პუშკინიზმი, ზნეობრიობა, სხვისი გასაჭირის გათავისების უნარი. აკაკი წერეთელს მორალურად კეთილშობილი ახალგაზრდის აღზრდა საბავშვო პოეზიის მთავარ დანიშნულებად მიაჩნია და მისგან გადახვევას არაფერს აბატყებს. პოეტს კარგად ესმის, რომ ბავშვობიდანვე ხდება ყველა საუკეთესო თვისების დანერგვა და განვითარება.

¹ აკაკი წერეთელი, რჩეული, ტ. III, თბ. 1989, გვ. 224.

იგაფ-არაკები

აკაკი წერეთელმა თარგმნა და გადმოაკეთა კრილოვის 153 იგაფ-არაკი. რამდენჯერმე გამოაქვეყნა კიდევ ცალკე წიგნად პირველად გამოცემა 1891 წელს, შემდეგ ზედიზედ დაიბეჭდა 1893-95 წლებში. ხოლო 1906 წელს გამოვიდა თარგმანების ახალი გამოცემა. როგორც ვხედავთ, რამდენიმე წლის მანძილზე ხუთჯერ გამოიცა აკაკის თარგმნილი იგაფ-არაკები, რაც იმის დასტურია, რაოდენ კარგად იყო შესრულებული თარგმანი და რაოდენ პოპულარული იყო თვით კრილოვი ქართველ მკითხველთა შორის.

ჯერ კიდევ 1832-33 წლებში გრიგოლ ორბელიანმა თარგმნა კრილოვის საბი იგაფი. შემდეგში ჟურნალ "ცისკარში" დაიბეჭდა მბებუთაშვილის მიერ თარგმნილი არაკები, რომელიც 1876 წელს ცალკე წიგნადაც გამოიცა. 1878 წელს გამოვიდა რაფიელ ერისთავის თარგმნილი იგაფ-არაკები. მაგრამ კრილოვი ქართულ ლიტერატურაში აკაკის თარგმანებით დამკვიდრდა. "აკაკიმ მაღალმხატვრულ ფორმებში, ორიგინალური ქმნილების დონეზე შეასრულა მრავალი იგაფის ბრწყინვალე თარგმანი"¹.

კრილოვის იგაფ-არაკები რეალისტური, ხალხური შემოქმედების ბრწყინვალე ნიმუშებია, რომლებიც იშვიათი მხატვრული ძალით, ღრმა ფსიქოლოგიური სიძარბოთი ასახავს რუსი ხალხის ყოფასა და ხასიათს. მაგრამ ამავე დროს იმდენად ზოგადადამიანურია, რომ თავისუფლად მიესადაგება სხვა ქვეყნის ხალხებსაც და მათს ზნეობრივ ნორმებშიც კანონიერად იქრება.

აკაკი თარგმნიდა ძირითადად იმ იგაფებს, რომლებიც ქართულ ყოფას უახლოვდებოდა და დასკვნებსაც ისეთ მორალურ შეგონებებს უკეთებდა, რაც ჩვენი სოციალურ-პოლიტიკური თუ ყოფითი მოვლენებისათვის იყო დამახასიათებელი.

აკაკი წერეთელი თარგმნილი იგაფებით ქადაგებდა მაღალ პუშანურ იდეებს, ზნეობრივ სისპეტაკეს, დასცინოდა სიცრუეს, მლიქვნელობას, უმადურობას. ამიტომ ძალიან თავისუფლად ეკედებოდა მასალას, შექპონდა კორექტივები და ხშირად სცილდებოდა

¹ ი. გრიშაშვილი, ლიტ. ნარკვევები, თბ. 1957, გვ. 165.

ორიგინალს. "თარგმანთა შორის ვერ შეხვედებით ვერცერთ იგავს, რომელიც ასე თუ ისე არ სცილდებოდეს ორიგინალს და, პირიქით, ძლიერ ბევრს ნახავთ მთლიანად გადაკეთებულს", - წერდა ა.ჩხეიძე და ასკვნის: "აკაკი ცდილობდა იგავ-არაკები ქართულ ცხოვრებასთან შეეწყო და მის შესაფერისად სატირულად აეუღერებინა".

მლიქვნელობის მთელი სისაძაგლეა გაშიშვლებული იგავში "გუგული და მამალი". გუგული მთელი მონდომებით უქებს ხმას მამალს:

ერთ რამედა ღირს, მერწმუნე,
შენი მაღალი "ყიყლიყო!"

მამალი ვალში არ რჩება, გუგულს ბულბულზე წინ აყენებს და მის სიმღერას უპირატესობასაც ანიჭებს. ჭიჭიჭის პირით მხილებულია ორივეს საძაგელი მლიქვნელობა:

უთხრა: რას ამბობთ, სიმღერით
გინდ ჩაიხლინოთ ყელით,
ღმერთმა ხომ იცის, არა ხართ
არც ერთი მომღერალით.

აკაკიმ თარგმნა კრილოვიდან თითქმის ყველა პოლიტიკური ხასიათის იგავ-არაკი. აქ იგი აძლიერებდა სატირულ ტონს და უფარდებდა ქართულ სინამდვილეს. ასეთ იგავთა რიგს განეკუთვნება "შგლები და ცხვრები", "თეგზების ცეკვა", "ფესვები და ფოთლები", "სოფლეღნი და მდინარე" და სხვ. იგრძნობა კრილოვის "შეძვევ გასული პურიოდის გამოცდილება და ახალი სიტუაციის შესაფერისი სატირაც. მაგალითად, "ფესვები და ფოთლებში" მხილებულია შემაშუქლებური ბიუროკრატიული წყობის სიმახინჯეები და კლასობრივი დიფერენციაციის შედეგად აღმოცენებული ჩაგვრის, დაცინვის, შედიდურობის გამოვლინებანი. ფოთლები ამჟამებზე თავიანთი ცხოვრებით და აბუჩად იგდებენ ფესვებს. კრილოვის იგავში ფესვები მორიდებით ეკამათებიან ფოთლებს, აკაკისთან კი პროტესტი აქცენტრირებულია და საგრძნობლად გაძლიერებული:

¹ ა.ჩხეიძე, კრილოვი ქართულ ლიტერატურაში, თბ. 1945, გვ. 35.

თუ ჩვენ არ ვიყოთ, აქამდე
არ შეგვრჩებოდათ სულიო!
საზრდოს ჩვენ გაძლეეთ აქედან,
უხმოდ და უჩინარადო.
და თქვენ ეს ჭეშმარიტება
უნდა გახსოვდეთ მარადო!

ეს უკვე გაფრთხილებაა ბრძოლის დაწყების წინ. ასევეა იგაგში
"მგლები და ცხვრები".

მგლებმა ცხვრების საჩივარზე უსამართლო განაჩენი გამოიტანეს,
მტაცებელი მგლის დაქერის უფლება მისცეს და განაცხადეს:

როცა მგელმა საბრალო ცხვრის
მტაცება დააპიროს,
ცხვარს ნება აქვს, რომ ის მგელი
არ გაუშვას, დაიჭიროს.

ამიტომაც ისევე ვრძელდება უსამართლობა და მგლების თარეში:

მიტომ მგლები კი საწყალ ცხვრებს
ძველებურად აძრობენ ტყავს.

კრილოვს აქვს 1812 წლის სამაძულო ომთან დაკავშირებული
იგაგები. აკაკიმ თარგმნა სამი მათგანი: "მგელი საძაღლეში", "ღლაგი და
კატა", "ყვაგი და ქათამი". როგორც ა.ჩხეიძე აღნიშნავს, ეს იგაგები
არაფრით არიან გამოჩენილნი, ახასიათებთ დედანთან სიახლოვე და
ზოგჯერ მხატვრულადაც მოიკოჭლებენ. ერთ მათგანში დაგმობილია
ნაბოლეონის საზავო ხელშეკრულების თხოვნა კუტუზოვთან. "ყვაგი
და ქათამი" დასცინის გადამწვარ მოსკოვში ფრანგების დამშეგას, როცა
გამარჯვებულ ჯარს ყვაგებს აჭმევდნენ და ისე ინახავდნენ.

აკაკის თარგმნილი იგაგ-არაკებიდან ბრწყინვალეა ის, რომელიც
ადაშიანთა მანკიერ მხარეებს ეხება, ყოველდღიურ წვრილმანებში
იჭრება და ძაღალ ზნეობრივ ნორმებს ქადაგებს. აქ მწერლის ნიჭი
მწვერვალზე ადის და იგაგიც სულმთლად ორიგინალურ ელფერს
იძენს. ასეთებია: "დათვის წვეულება", "ჭრიჭინა და ჭიანჭველა",

"მგელი და კრაფი" და სხვა მრავალი. იგავში "დათვის წვეულება" საბაგლადაა წარმოდგენილი როგორც მლიქვნელობა, ისე უგუნურობა და მედიდურობა. დათვმა წვეულება გადაიხადა და დაბატონდა ტურა, მელა, კატა, მგლები. ქებით გაბრიყვებულმა დათვმა ჯერ "სუფრული" შემოსძახა და შემდეგ დავლური დაუარა:

მელაკუდამ ტაში დაჰკრა:
ამფერ, ჩემო დათუნაო!
როგორ ვშვენის ეგ დავლური,
მაღაყები და ხტუნვაო!

მგლის შენიშვნაზე, რომ სასაცილოდ დაბაჯბაჯებს და როგორ აქებო, გაიძვერა მელა პასუხობს:

მოვეუწონებ, ეამება,
გაბრიყვდება ამ ქებითო,
და ჩვენ კი რა გვენადგლება,
ვახშმადაც აქ დაგრჩებითო!

უმაღურობის, დაუფასებლობის, დაუნახაობის კრიტიკაა მოცემული იგავში "ღორი მუხის ქვეშ". ღორი რკოთი გამოძდა და შემდეგ მუხას ამოგდება დაუწყო. როცა ამხილეს და შენიშვნა მისცეს, იწყინა, როგორ მკადრესო, მაგრამ მუხამ არ დაუთმო და მკაცრად შეუტია:

ვინ არის იმ რკოს მომცემი,
თუ არ მე? და რად მძარცავო?
მაგრამ თავს მაღლა ვერ იღებ
და რაღას დაინახავო?

ქვეყნის სიძლიერის ქვაკუთხედაა შრომა და პატიოსნება, სასარგებლო საქმისათვის გამოუდმებელი ზრუნვა. ცხოვრებაში კი ხშირად უსაქმურები უკეთ გრძნობენ თავს და სხვებს ამცირებენ. უსაქმურობა დაგმობილია იგავში "ჭრიჭინა და ჭიანჭველა". ამ შესანიშნავ ლექსში მხატვრულადაა გადმოცემული ჭრიჭინას უზრუნველობა:

დაჭრიჭინებდა, დახტოდა
ჭრიჭინობელა პატარა.



მთელი ზაფხული ასე გაატარა და ზამთარში როცა შეხტვიდა,
მოშიგდა და მოსწყურდა, ჭიანჭველას მიადგა და თავშესაფარი სთხო-
ვა, მაგრამ

ჭიანჭველამ ჰკითხა:
ზაფხული როგორღა გაატარეო?
— ვიღსუნდი, გამოგაყრუე
ჭრიჭინით არემარეო.

ჭიანჭველამ არ მიიღო უსაქმური და მკაცრი განაჩენი გამოუტანა:

მაშ თუ მაგრეა, რადგანაც
ზაფხულში იფარფაშეო,
მიბრძანდი ახლაც და სინჯე
ისტუნე, ითამაშეო.

ასეთივე მორალია ჩადებული იგაჟში "გუგული და გვრიტი".
გუგული კვერცხებს სხვის ბუდეში აწყობს, შვილებს სხვას არეკინებს,
თვითონ კი "გუ-გუს" ძახილით აყრუებს არემარეს. ბოლოს კი ჩივის,
შვილებს რატომ არ ვუყვარვარო. დასკვნაც სამართლიანია:

გვრიტმა თქვა: "რადგანაც დედობის
დაგვიწყებია ვალოო,
გემართლებიან, რომ სძულხართ,
შვილებს არა აქვთ ბრალიო.

აკაკის ადამიანთა მანკიერებიდან განსაკუთრებით სძულს სინარბე,
მსუნაგობა, გონებაჩლუნგობა.

ემშაკობითა და მოტყუებით დააგდებინა მელამ ყვაავს ყველის
ნაჭერი. ყვაავს ქება შეასხეს, ისიც გაბრძოვდა და სიმღერა წამოიწყო,
თავისი "ყვა-ყვა" დასძახა და ყველის ნაჭერი მელაკუდას ერგო, ყვაავ

ხანაშშმრალი დარჩა. ამ იგაუის მორალი - ყვაუობისა და მუღიობისა ადამიანთა სამყაროში გადატანაში მდგომარეობს.

მარტო ძალას სძირად ღერწმის მოქნილობა სჯობს. ეს აზრად გატარებული იგაუში "მუხა და ღერწაში".

იმდენად ცნობილია ჩვენში "ბაყაყი და ხარი", რომ ანდაზად გადავიდა ხალხში გამოთქმა: "ბაყაყით გაიბერები და გასკდებიო". ბაყაყი ხარვიით დიდი ვერ გახდება, რაც უნდა გაიბეროს.

უსამართლო ძლიერების, დიდბატარაობის გადაულახავი ზღუდე ნაჩვენებია არაკში "მეელი და კრავი".

ერთხელ ბატარა ბეკეკას დასცხა და წყალი მოსწყურდა, მდინარის პირას ჩავიდა, წყურვილის მოკვლა რომ სურდა - ასე მსუბუქი ფორმით პოეტი აწვდის ბატარებს ღრმა ფილოსოფიურ აზრებს. მგელს მოესურვა ბეკეკას შეჭმა და მიწეზს დაუწყო ძებნა "წყალს მიმღვრეო", ბეკეკამ უპასუხა:

მე ქვევითა ვარ, შენ ზევით,
როგორ აგიმღვრევ წყალსათ.

ახლა მგელმა სხვა მიწეზი მოუღო: "მარშანწინდელი წყენა მაყსოვს შენგანო", რაზედაც ბეკეკა თავს იმართლებს:

ჯერ ერთი წლისაც არა ვარ,
შარშანწინ როგორ მნახეო.

ბოლოს მგელმა მაინც შექამა ბატარა უდანაშაულო ცხვარი. პოეტი აკეთებს დასკენას, რომელიც საქართველოში აფორიზმად იქცა:

დიდკაცთან ბატარა კაცსა
როდი გახვლია მართალი?!

ძლიერს ზოგჯერ სუსტი ამარცხებს, ამიტომ სხვისი ანგარისმგაუწვევლობა არ შეიძლება. ბაწაწინა ბუწმა თავისი ახირებულობით უწარმაწარი სხილო წააქცია, ხოლო მერე თვითონ აღმოჩნდა ობობას ქსელში. მძლავრზე მძლავრი არ დაიღვევა!, - ასეთია იგაუ "ბუწისა და ღომის" მორალი.

იგავი "ყვავი" ერთგვარად წააგავს აკაკის "ღამურას": კაცი თავის ტომს რომ დაიწუნებს, სხვებში გაერევა და იქიდანაც კუდამოდუებული დაუბრუნდება ძველ სამყოფელს. ყვავმა ფარშევანგობა შონდომი, იმათნაირი კუდი მოეწონა, მაგრამ ფარშევანგებმა არ მიიღეს და გაშო- აძვეს. დასკვნა ეროვნულ ასპექტშია გადატანილი და დარიგებასთან ერთად გაფრთხილებასაც შეიცავს:

**ვისაც რა მისცა ბუნებამ
დასჯერდეს, უკეთესია.**

ცუდმედიდურობასა და ამპარტაგნობას დაღუპვა მოსდევს. თხუნელას რჩევა არწივმა იუკადრისა და მართევები გაუწყდა. ასე დაეშართება ცრუ სიამაყეს /"არწივი და თხუნელა"/.

მოსიშარს ვისი შიშიც აქვს,

ის უძლეველი ჰგონია, — ასეთია მორალი არაკისა "კატა და ლომი". ასე ეგონა ვირთხასაც, კატა ყველაზე საშიშ და უძლეველ არსებად რომ წარმოედგინა. როცა უთხრეს, რომ კატა ლომს ჩაფარდნია ხელში და მისი საქმე წასულიაო, მან უნდობლად განაცხადა:

ვანა არ ვიცნობთ კატას ჩვენ?!

ვინ გაუბედავს ომსაო?

საქმე ბრჭყალებზე თუ მიდგა,

ის არ აჯობებს ლომსაო?!

კაცი ხშირად თავის ნაკლს ვერ ხედავს და თავის უმსგავსობას სხვას აბრალებს. ცრუთავდაჯერებულობა იმაზე შორს ვეღარ წავა, რაც მაიმუნმა ჩაიდინა. როცა მან თავისი თავი სარკეში დაინახა, დაბრანჭული, დაჯღანული, დათვს მიამახა: "ვინ არის და სად მოსულა ეს მახინჯი და ტუჩაო". დათვმა კი სიმართლე პირში მიახალა და ამხილა მისი ნაძალადევი თვითმოტყუების ცდა:

დათვმა უთხრა: ჩემო დაო,

რად ათითებ ტყვილა სხვასო?

შენს თავზე რომ დაიხედო,

გვონებ, რომ ის აჯობებსო.

მკვებნარა და ყოყლოჩინა ადაძიანი მიზანს ვერ მაიდწევს, თაგისი
წარუმატებლობის ძებნას გარეთ დაიწყებს და თაგის საქცრედს გაშვებულ
როღებს მოუძებნის. შესანიშნავი იგავი "მელა და ყურძენი" აკაკის
კალმის წყალობით საყოველთაოდ აღიარებულ ლექსად იქცა.
დამშეული კუდაშელა ვენახში მიიპარება, უნდა ყურძნით ჩაიტკბა-
რუნოს პირი, მაგრამ მალღარი დახვდა, ვერ შესწვდა, დაიქანცა,
დაიღალა, ყველა ხერხი იხმარა და მაინც ვერ მოწყვიტა, მაგრამ იხტი-
ბარი არ გაიტყნა და თაგი ურცხვად გაიმართლა:

რომ არ ვჭამე, კარგი ვქენი,
გეფიცებით შვილებსაო,
მკვახე იყო ის ყურძენი
და მომკვეთდა კბილებსაო!

უძღურები და მხდალი არსებანი ძლიერს რომ ვერაფერს უბედა-
ვენ, დროს შეურჩევენ, მომაკვდავს მიუსწორებენ და გულისჯავრს მაშინ
ამოიყრიან. მომაკვდავ დათვს ვირმა წიხლები დააყარა და თან
თავმოწონებით მიიძახა:

ჰე, ვაგრძნობინე თუ არა
ვირის წიხლები მის გვამსო!
წაგიდეს, ჩემიც იქა სთქვას,
სადაც თაგისი უთქვამსო!

უდანაშაულო ცხვარი მელამ გაასამართლა, საკითხი თაგის
სასარგებლოდ გადაწყვიტა და ბრძანა:

დაშკალით და გაატყავეთ!
ამოიღეთ ოთხში ცხვარი!
ხორცი მსაჯულს, ტყავი გლეხსა!
და მოისპოს საჩივარი!

პატიოსნებაზე სშირად ყველაზე მეტს ქურდები და უსინდისოები ვაპყვირიან, წვრილ ქურდებს ტყავს აძრობენ, ვითომდაც პატიოსნების დაცვის მიზნით. პოეტს დასკვნა გამოაქვს:

პატიოსნება
პატიოსნება

ჩვენშიაც კი ბევრი არის,
ვინ არ იცნობს ამ მკელკაცებს?!
მხოლოდ მაშინ ღრიალებენ,
სხვა თუ რაშეს მოიტაცებს /"მკელი და თაგვი"/.

სხვა მორალთა ჩადებული იგავში "კატა და ბულბული". მომღერალს თავისუფლება და ხელშეწყობა უნდა, თორემ ყველა წახდება, თუ ბრჭყალებსა და კბილებს დააქერ. ასე დაემართა ბულბულსაც, რომელიც კატის კლანჭებში მოხვდა:

ძნელია კატის კლანჭებში

ბულბულის სტვენა-სიმღერა!, - ასკვნის მწერალი.

ამგვარად, აკაკის მიერ თარგმნილი იგავ-არაკები მნიშვნელოვანია არამარტო იდეური თვალსაზრისით, არამედ მხატვრული შესრულების მხრივაც. ქართულ ნიადაგზე დაყრდნობით, ანდაზების, აფორიზმების გამოყენებით პოეტი აკეთებს დასკვნებს, გვაწვდის მორალს, სადაც არათორაზროვნად გადმოცემულია ნაწარმოების მიზანდასახულობა და ტუნდუნცია.

საბავშვო მოთხრობები

აკაკი წერეთელი მოწოდებით ღირსი იყო. მან ააძალდა ლექსის მუსიკალური ელენადობა და გააფართოვა თემატიკათა რეპერტუარი, თანამედროვეებსა და მოძაგალ თაობებს თვალნათლივ დაახანა პოეზიის როგორც ესთეტიკურ-ემოციური, ისე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა.

აკაკი ნაყოფიერ საქმიანობას ეწეოდა აგრეთვე პროზაშიც. მისი მოთხრობები გამოირჩევა მსუბუქი თუძორით, მაღალმხატვრული სახეებით და თემატიკათა მრავალფეროვნებით. იგი ყურადღებას იპყრობს პოეზიაში დასძული საკითხების ბელეტრისტიკაში ვადატანის თვალსაზრისითაც. ამ მხრივ ეს მოთხრობები ერთნაირად საინტერესოა როგორც დიდების, ისე ბავშვებისათვის.

აკაკი წერეთელმა მოთხრობების წერა შედარებით გვიან დაიწყო. ორიოდუ ჩანახატის გარდა, მისი პროზაული თხზულებების უმეტესობა 80-90 იანი წლების შემდეგაა შექმნილი. ბავშვებმა ეს ნაწარმოებები ისევე შეიყვარეს, როგორც მისი ბრწყინვალე ლექსები. ამ მხრივ მართო "ჩემი თავგადასავლისა" და "ბაში-აჩუკის" დასახელებაც კი იკმარებდა.

აკაკის "ჩემი თავგადასავალი" ქართული პროზის უმთავრესი ნიმუშია. მანამდე ჩვენს მწერლობაში არ გვექნია მემუარული ჟანრის ასე სრულყოფილი, სიუჟეტურად დახვეწილი, თანმიმდევრულად გადმოცემული ცხოვრებისეული ამბების მხატვრული წარმოსახვა. აქ მწერლის ავტობიოგრაფიის ამსახველ ამბებს ორგანულად ერწყმის ეპოქის უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების ფაქტები და იმდროინდელ გამოსწინდელ პიროვნებათა მხატვრული პორტრეტები.

პირველი პირით თხრობა მოითხოვს ქრონოლოგიური ფაქტებისადმი სათუთსა და ობიექტურ დამოკიდებულებას. ამის გარეშე თავგადასავალი საზოგადოებრივ მოთხოვნილებას ვერ დააკმაყოფილებს და ვიწრო პიროვნულ ნაჭუჭში გამოიკეტება. მსოფლიო მემუარულ ლიტერატურას შექმონა ისეთი უნიკალური ძეგლები, როგორებიცაა: რუსოს "ადსარება", სენ-სიმონის "მემუარები" და სხვა. მათ რიცხვშია აკაკის "ჩემი თავგადასავალი", რომელმაც სათავე

დაუდო შემდეგში აღ. ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველას, დავით კლდიაშვილისა და სხვათა ავტობიოგრაფიული თხზულებების შექმნას.

აკაკი წერეთელს ეს ნაწარმოები გამოჩენილი უყვარდა. იგი წერდა: "ერთადერთი ჩემი თხზულება, რომელიც განსაკუთრებით მიყვარს, არის "ჩემი თავგადასავალი". ნათქვამია: "ყვავსაც თავის ბახალა მოსწონსო", შეიძლება, დიდი არა იყოს—რა, მე კი წმინდა გული და წრფელი სული მაქვს შიგ ჩადებული. ამ თხზულებაში ყველაფერია მოხსენიებული, რაც კი ნახევარი საუკუნის განმავლობაში მინახავს და სარწმუნოდ ვამივიან".

მწერალს ამ ნაწარმოებზე მუშაობა დაუწყია 90-იან წლებში. პირველი ნაწილი დაუბეჭდავს 1894-99 წლებში, ხოლო მეორე — 1908-1909 წლებში.

ნაწარმოების ორივე ნაწილი სულმოუთქმელად იკითხება. აქ საოცარი მოძინებლობით იშლება აკაკის ბავშვობის, საგანეში ცხოვრების, ვიძნაშიაში სწავლის ფურცლები, აგრეთვე პეტერბურგისაკენ მიძავალი მწერლის ოცნებებით ამოქარგული ფართო ტილო. ამ პანორამას ამშვენებს ისტორიულ პირთა ტიპაჟი: აკაკის მშობლებით დაწყებული და საზოგადო მოღვაწეებით დამთავრებული. მწერალი არსად არ წვრილმანდება, ყოველდღიურ უფერულობაში არ ეფლობა, ყველგან არსებობსა და ზოგადს ეძებს.

იშვიათია ქართულ მწერლობაში საკუთარი ქცევისა და მშობლების პორტრეტების ისეთი თბილესი წარმოსახვა, თანაც ერთგვარი იუმორისტული საღებავებით შემკობა, როგორც ეს აკაკის ხელეწიფება.

მწერლის მოსწრებული სიტყვისა და ენაკვიმატობის ამბავი საქვეყნოდ იყო ცნობილი. სწორედ ამის შესაბამისად მოჰყავს მას დედამისის სიტყვები: "ამ ჩემს შვილებს მაშამისის ენა გამოჰყავთ დახურდავებულიო". "ჩვენ სუთი და—ძმა ვიყავით, — დასძენს აკაკი, — ღვთის მადლით არც ერთს არ გვექონდა სუსტი ენა. აქედან შეგვიძლია ვიგულისხმოთ, თუ რა უნდა ყოფილიყო მაშამიმის დახურდავებული ენა".

ბავშვთა აღზრდის საკითხში აკაკი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სწავლა-აღზრდის მეთოდსა და სისტემას. იგი როგორც პროზაში, ისე პოეზიაში სწორად უტრიალებდა ამ საკითხს. პოემა "გამზრდელის" ვარდა ამ პრობლემას მიუძღვნა მთხრობები და დიდი ადგილი დაუთმო "ჩემს თავგადასავალშიაც". მწერალი შეუბოვნად იბრძოდა

სწავლების სქოლასტიკური მეთოდის, ქართული ენის დევნის, რომცინა და "ლინეიკის" წინააღმდეგ. გიმნაზიაში სწავლის პერიოდიდან ვგებულობთ, თუ როგორ ამანინჯებდა ბავშვის ფსიქიკას და აღმზრთელთა თელობასაც კი აღზრდის უხეში მეთოდები და მასწავლებლებთან განუსჯელობა.

მოთხრობებში "ორი სიზმარი", "პატარა ტარიელი", "მტირალი დედა" — აკაკი მოითხოვს მოზარდისადმი სათუთ დამოკიდებულებას, მშობლიური ენის პატივისცემას, აღმზრდელის დიდ ცოდნას და პასუხისმგებლობის შეგენებას. როცა ღვთისმსახურების მასწავლებელმა ქართულ "სახარებას" ძაღლის ენაზე დაწერილი წიგნი უწოდა და კედელს შეანარცხა, მგრძობიარე ბავშვმა ისე განიცადა, რომ ავად გახდა და ბოდეა დაიწყო: "როგორ? ის ენა, რომლითაც მოციქულთა სწორი წმინდა ნინო ქადაგებდა, აგრცელებდა საქართველოში ქრისტეს მცნებას — ძაღლის ენა? ის ენა, რომელზედაც საუკუნეების განმავლობაში ასრულებდნენ ჩვენი წმინდა მამები ღვთის სამსახურს, — უწმინდურობაა? თუ არ ეკადრებოდა ღმერთსა, მაშ რისთვის ვიტანჯებოდით ამდენხანს მისი გულისათვის?" ("ორი სიზმარი"). გაოგნებული და შეურაცხყოფილი მშობლებიც ვინ ვერ მოხულიყვნენ. ბავშვს ესმოდა, თუ როგორ ეჩურჩულებოდა მამა თავის მეუღლეს: "ელენე, მაგ ბავშვს დღეიდან ნულა გაგზავნი სასწავლებელში. მართალია, უსწავლელობა დიდი უბედურება არის, მაგრამ წაწყედას ყველაფერი სჯობიათ".

აკაკის აზრით, კარგ აღმზრდელს შეეძლო ყველა ბავშვის, და მათ შორის თავისთავში დაეჭვებული მოზარდის გზაზე დაყენება და სწორი მიმართულების მიცემა. "ვეფხისტყაოსნის" ტარიელობაზე მთოცნებე დიტოს, რომელმაც თავისი ახირებულობის ვაშო თავი შეირცხვინა პატარა თინასთან და სწავლაზე გული აიცრუა, გულისხმიერმა პედაგოგმა სამოქმედო ასპარეზი გადაუშალა და თვითმკვლელობაზე ჩაფიქრებული ბავშვი საზოგადოებას დაუბრუნა. დაარწმუნა იმაში, რომ "სწავლა — მეცნიერებაზეა ყველაფერი დამოკიდებული. მკლავის ძალა გრძობა-გონების ძლიერებად შეიცვალა, ფარ-ნძაღლის ადგილი ენამ დაიჭირა და მშვილდ-ისრისა — კალამმა" ("პატარა ტარიელი").

მშობლიური ენის პატივისცემაში იჭედება სამშობლოს სიყვარულიც, საკუთარი მიწის თაყვანისცემა, მისთვის თავდადების იდეაც. აკაკის პოეზიაშიც ეროვნულ-პატრიოტულ მოტივს ძირითადად ისტორიული თემატიკა ასაზრდოებს. "წარსულ ნერგზედ ახალ ნამყნის

შენორცებას" მიუძღვნა მწერალმა თავისი საუკეთესო ნაწარმოებები: "ბაშო-აჩუკი", "ძველებური ამბები", დათუნა გოცირიძე" და სხვები.

ხატვიით სათაყვანებელი იყო აკაკისათვის სამშობლო და მის დიად წარსულს მლოცველივით შეჰღაღადებდა. გულანთებულმა მამულში-შვილი მწვავედ განიცდიდა საქართველოს კოლონიურ ყოფას და თანამედროვეთა გასაძინეკებლად დიდებული წარსულის გმირულ სურათებს აცოცხლებდა. დიდი მგოსანი კახეთში ილიაობაზე წარმთქმულ ერთ-ერთ სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნავდა: "ისტორიული სიძარბოე მალაპარაკებს და არა პატრიოტული ვატაცება, რომ, ჩვენ, ქართველები, ვეკუთვნივთ რჩეულ ხალხს, ჩვენი წარსული გასა-ოცარია... ჩვენს სამშობლოში მისთანა ადვილზე ფეხს ვერ დაადგამთ, რომ ჩვენის წინაპრების ძვლებით არ იყოს გაპოხიერებული, მათის სისხლით დაძაბილი. ისე ლუკმა პურს ვერ ჩავიდებთ ბირში, რომ ჩვენი ძაძა-ძაძების ნაწილი არ ჩაგყვეს და წვეთ ღვინოს ვერ ჩაველაპაგთ ისე, რომ შიგ ჩვენი თავგანწირული გმირების სისხლიც არ ერიოს. ეს ლუკმა და წვეთი არიან ჩვენი წმიდათა-წმინდა". როგორ ენძაურება ეს სიტყვები "ბაშო-აჩუკის" ფინალს? ბიძინა ჩოლოყაშვილი თავის ძედროვე ბიძა ჯანდიერს თითქმის ამავე სიტყვებით უმტკიცებს მშობელი ქვეყნის უბირატესობას შაჰის კარზე ფუფუნებას: "სად თეირანი და სად ანძექა? თქველაფერი თვალს იტაცებს და კუჭს ატკობს... ტკბილია თქვენი შარბათები, მაგრამ ვერ გავცვლი იმ ჩემს ღვინოზე, რომელიც ჩემი ძაძა-ძაძის სისხლით არის წითლად შეღებული. გემრიელია თქვენი მურასა-ლაფაშები, მაგრამ მე მანც ჩვენი ქვეყნის პური მირჩევნია, რომელშიაც ჩვენი ძვლების ნაწილები ურუვია" ("ბაშო-აჩუკი").

შაჰ-აბასის მძვინვარე აგრესიის შედეგად კახეთის უმშვენიერესი მიდამო ვავერანდა, ზვრები ვაუდაბურდა, სოფლები აღწრდა, ბაღები ვატიალდა, მაგრამ სპარსეთის მბრძანებელმა მანც ვერ შესძლო ქართველი ხალხის ნებისყოფის ვატენვა, სულთ დაძაბუნება, პოლიტიკურად დამორჩილება, რადგან საქართველოს ყოველითვის პყავდა ბიძინა ჩოლოყაშვილისთანა, შაღვა და ელიზბარ ქსნის ერისთავების მაგვარი რაინდები.

უკვალოდ არ იკარგება წარსულის საქმენი საგმირონი, ვენტიკურად ვადაეცემა შთამომავლობას და აწმყოს ვაკვეთილად ვაშაიდგება. ხოლო წინაპრის სულნი, წეცად ამაღლებულნი, თავის ძადლსა და ძაღლს არ მოგვაკლებენ. "სული-წმიდის მოფენის ღამეს, სანამ საცს-

კრო ზარის წკრიალი ქვეყნად გაისმოდეს, ზეცას ჩამოჰკერენ ზარს და მამინ ცა, გინდ მოღრუბლულიც იყოს, გადიყრის და გუნდ-გუნდი ვარსკვლავები თავს იჩენენ. ისინი არიან თურქე ჩვენი გმირი წინაპრების სულეები. იქედებიან იმ ადგილის პირდაპირ, სადაც უკანასკნელად მათი ღვაწლი დაგვირგვინებულა და მალღით ზედ სხივებს აყენებენ" ("ქუთათელის სიზმარი").

ქართველთა რაინდული ადათ-წესები კვებავენ თანამედროვეთა სულს, შთააგონებენ გმრობასა და ვაჟკაცობას, უნერგავენ მოძაგლის რწმენას. წარსულშიც იყო პირადი შურისძიება და ქიშპი, მტრული ურთიერთობა ადამიანთა შორის, ბეზღება და გაუტანლობა, მაგრამ საქვეყნო მოვალეობის წინაშე ეს მანკიერებანი იწმინდებოდა, უკანა პლანზე გადადიოდა და მტრის ერთობლივ სიძულვილში ერთიანდებოდა.

სამკვდრო-სახიცოცხლოდ წაკიდებულ ბიძა-დისწულს მოულოდნელად ლეკები დაესხნენ თავს, მძინარე დისშვილის გადასარჩენად მოხუცმა დათუნამ თოფი მოიმარჯვა, წყენა დაივიწყა და მოძნდურებისაგან იხსნა იგანე კვიტაშვილი, რომელიც ბოლოს მუხლებზე დაუცა სამართლიანად გაბრაზებული აღმზრდელის წინაშე. მათ ორივეს სწამდა, რომ "სანამ გარეშე მტერი არ მოგვიფერება, შინაური მტრობა რჯულის უარყოფაა", მწერალი იქვე სამდურაინარევი კილოთი კითხულობს: "ნეტავ თუ ახლანდელი ქართველებიც ასე დათმობენ პირად უსიამოვნებას და განხეთქილებას საზოგადო საქმისათვის?" ("დათუნა ვოცირიძე").

ყოველნაირ ბრძოლაში ქართველები რაინდებად რჩებოდნენ. ეთიკური ნორმების დარღვევა დალატის ტოლფასად იყო მიჩნეული. დამარცხებულ ვაქცეულ მტერს ქართველი უკან აღარ დაედევნებოდა. ეს წესობრივი ნორმის დარღვევა იყო. სწორედ ამ "დანაშაულისათვის" მოკლა ოთია მესხმა შეიღვივით გაზრდილი, თავისი საყვარელი დისწული ლექნუშვილი ასათიანი. ამ ნაწარმოების ბოლოს მწერალი ისევ სარკაზმით კითხულობს: "ახლანდელი ჩემო მკითხველებო, განა ახირებულები ყოფილან ჩვენი ძველები?" ("ოთია მესხი").

ქართველთა წესობრივ-ეთიკურ ნორმებში არ შედიოდა ტყვედ ჩაუარდნილი კაცის გმირად დასახვა და გამართლების მოძებნა. მტრის ბანაკიდან ცოცხლად დაბრუნებულს არაფერს პატივს არ სცემდა და მასთან პურის გატეხას არ კადრულობდა ("კორინთელი").

აკაკი წერეთელი სამოციანელთა შორის ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც წარსულის ბნელ სურათებსაც ახადა ფარდა. მას სწამდა, რომ მართო ვარდისფერი სათვალეებით ცქერა ვერაფერ სარგებლობას მოუტანდა ქვეყანას. მამათა შეცდომებზე უნდა აღზრდილიყო შვილების თაობა, უნდა შესძლებოდა სათანადო არგუმენტებით სწორი დასკვნის გაკეთება.

ელიზბარ ერისთავი ტყუილად შემოსწერა ერთგულ კორინთელს ("კორინთელი"), ასევე როსტომ რაჭის ერისთავმა სხვათა ავი შეგონებით თვალეები დასთხარა ერთგულ ჯაფარიძეს. გაამაყებულნი იქამდე ვერ მიხვდნენ თავიანთ უგუნურობას, ვიდრე ხალხისაგან თვითონაც არ გაიწირნენ. "ადრე ყველაფერს ვუშწერდი და ვერა გხედავდი, - ამბობს უსინათლო როსტომ ერისთავი, - ყურს ვუგდებდი და არა მესმოდა რა... ახლა კი პირველად გავახილვე გონების თვალი და ყოველივე დავინახე. მედიდურობით გაბოროტებული თურმე ჯოჯოხეთის მონა ვიყავი და ახლა კი ქრისტეს ვემსახურები".

მედიდურობისა და ამპარტაგნობის დაძლევა მხოლოდ სიკეთითა და სიყვარულით შეიძლება. ადამიანურ გრძნობათაგან აკაკი უბირატესობას დედაშვილურ სიყვარულს ანიჭებს. სათუთად ძერწავს დედის უფაქიწეს სახეს. "ჩემი თავგადასავლის" ფურცლებზე დახატული მშობლის შესანიშნავ პორტრეტს ავსებს სხვა მოთხრობებში წარმოდგენილი ახალი შტრისები. აკაკის ტონი საოცრად რბილდება, გამძაფრება ნელდება, უკმაყოფილება ქრება, ბოროტება მარცხდება, სადაც დედის დიდებული სილუეტი აღიმართება.

ვოვია მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად მიდის ("ვოვია მუნონგურე"). სიხოვს დედას, დასა და ცოლს, ყოველდღე ჩამოიღონ მისი ჩონგური, დაუკრან იქამდე, სანამ სიმები არ დაწყდება, მანამდე ვოვია ცოცხალი იქნება, მერე კი იგლოვონ. ღეგენდაზე აგებულ ამ ზღაპარში ყველაზე მეტად დედა იტანჯება. ჩონგურზე ყველაზე სასოწარკვეთით ის მოთქვამს:

ცხრა თვეს მუცლით გატარებდი,
"გაით" გშობე, "უით" გზარდე,
და რად ვიკვირს, ყველა ქალზე
უფრო დედას რომ უყვარდე?

როცა სიმები დაწყდება, დედა მთლადურად გადაიქცევა, მაღალ ხეზე საცეცხლურივით გადმოჰკიდებს თავის ბუდეს, აკვანივით არწივს და უძღერის შვილს.

არაფინ გაიმეტა არცერთი წუთი თავისი საკუთარი სიცოცხლისაგან მომაკვდავი კაცის გადასარჩენად. ყველას გაუძძაფრდა სიცოცხლის სურვილი და თავის გასამართლებლად თავისებური საბუთებიც მოძებნეს. ჯერი დედაზე მიდგა.

— მე რამდენი დამრჩენია სიცოცხლე? — იკითხა დედაძი.

— სწორედ ათი წელიწადი, არც მეტი, არც ნაკლები! — უპასუხეს.

— მაშინ მიიღე ჩემგან, მას მიუმატე, და განმიტევე მშვიდობით!, — შეევედრა დედა სინარულით. პოეტი მუნღს იყრის დედის გაუნელელებელი გულის სითბოსა და ზღვარდაუდებელი თავგანწირვის წინაშე.

აკაკის პროზას ამშვენებს სპეციალურად ბავშვებისათვის შექმნილი ნაწარმოებები, რომლებიც მრავლად იბეჭდებოდა როგორც "კრებულისა" და "კვალში", ისე საყმაწვილო ჟურნალებში "ჯეჯილსა" და "ნაკადულში". მწერალი საზრდოობდა მდიდარი ფოლკლორული წყაროებით, პქმნიდა საინტერესო სახალისო თავგადასავლებსა და დიდაქტიკურ სურათებს.

აკაკი წერეთლის "პატარა ტარიელი", "თონიტარა", "მაშალი რას ჰყივის?", "ბროწეულის წყარო" და სხვა მრავალი, გამოირჩევა ხალასი თხრობით, ლაკონიური აზროვნებით, მუსიკალობითა და ენობრივი სისადავით. ამ მითხრობებიდან ბავშვი სწავლობს სიკეთის, თავისუფლების, გმირობის ფასს, ცხოველებისა და ფრინველებისადმი სათუთსა და მზრუნველ დამოკიდებულებას. ამასთანავე აკაკი საბავშვო ნაწარმოებებშიც თავს ვერ იკავებს, წინ არ წამოსწიოს ეროვნული, სოციალური თუ საზოგადოებრივი ხასიათის საკითხები. ამის ნათელი მაგალითია "ოქროს წყაროს ზღაპარი".

გადია ჰყვება ჩვეულებრივ ზღაპარს: მწეთუნახავი გაჰყვება ისეთ მამაკაცს, რომელსაც სუჭუჭი თმები ექნება. სხვა გმირებისაგან განსხვავებით ამას არც მკლავის ძალა სჭირდება, არც დიდი გონიერება. აქ საჭიროა მტკიცე ნებისყოფა და დასახული მიზნის მისაღწევად აღებული გეზის შეუცვლელიობა. და მიდიან სასიძოვები აღმოსავლეთისაკენ, სადაც მოიწიწებებს "ოქროს წყარო". გზაზე ერთი მოხუცი

ზის და ამბობს: "ამგლელი ბევრი მინახავს, ჩამომგლელი არც ერთი". იმიტომ კი არა, რომ გველეშაპთან ბრძოლაა საქმრო, აქ სხვა საცდური დეუს. გზაში მარჯვნივ ოქროს წაღკოტია და თვალს იტაცებს, ხოლო მარცხნივ, სხვა მშეთუნახავია, რომელიც თვითონ გიწვევს და გახშობს, ამ ორ საცდურს ვერც ერთი ჭაბუკი ვერ უძლებს. წვენი რაინდის, მიუხედავად იმისა, რომ წინასწარ გაფრთხილებულია, მანეში გაეხშება. დაღლილი მარცხნივ გაიხედავს და მშეთუნახავის მკლავებში აღმოჩნდება. ამ ადგილებში მოხვედრილი ადამიანი მუცელმქერთა ხდება და იღუპება.

ზღაპარს აკაკი ამთავრებს გრძელი რიტორიკული დარიგებით, რომ მიზნის მისაღწევად დიდი ნებისყოფაა საქმრო. ახლანდელ საზოგადოებაში კი ის უფროა მიღებული, ვინც მარტო თავის თავზე ფიქრობს, ვისაც ფეხები სუფთა აქვს და ჯიბე — გასქელებული. იმას შეჯღლისში ცუდად ხვდებიან, ვინც სხვისი გულისათვის ჭაობში ჩავარდება, ფეხები დაესვრება. "აი, სწორედ ამ სურათს წარმოგვიდგენს ჩვენი ცხოვრება, — ასკენის მწერალი, — დაირღვა ბაბილონის გოდოლი და აირია ერები, წნეობა. ამისთანა დროში თუ არა შეერთებული მოქმედება, კერძო მუშაობით არა გაკეთდება რა, მაგრამ ეს არ ხერხდება".

თავისუფლებისაკენ სწრაფვა ერთნაირად დაძახასიათებელია როგორც ადამიანებისათვის, ისე ცხოველთა და ფრინველთა სამყაროსათვის. ვალაში დამწვევდელი ჩიტი იჩაგრება, თუნდაც მას სულ თაფლითა და შაქრით კვებადნენ. მწერალი მოთხრობაში "თიხიტარა" დაწვრილებით ჰყვება, თუ რა ოსტატობით აკეთებს პატარა ჩიტი თავის ბუდეს, როგორ სდებს კვერცხებს და სჩეკს ბარტყებს. ცერქი ბაგშეუბი ბუდიანად ჩამოსხნიან მართვეებს და სახლში წაიყვანენ. აქ ცოცხაფს არ აკარებენ, ისე უფრთხილდებიან. მაშინ დედა "ძალთაპირების" ზღაპარს უაძბობს მათ. ეს "ძალთაპირები" ადამიანებს სჭამენ. ბაგშემა ვერაფერი ვაიგო, მან ხომ თიხიტარა გასანუბიგრებლად და საფრთხის თავიდან ასაცილებლად მოიყვანა. დედამ მკაცრად უთხრა, რომ შენც "ძალთაპირი" ხარ, რადგანაც ჩიტებს თავისუფლება მოუსპეო: "თუკი იმათ არ უნდათ და არ მოუხდებათ ეგ შენი აღენისი, რატომ არ დაანებებ თავსა, დედა ვალაში ჰყავს ჩამწვევდელი... თავის ნებაზე აღარ არიან. შეიძლება, გულიც გაუხკდეს და კიდევ მოკვდესო".

ბოლოს პატარა ბავშვმა გაუშვა ჩიტები, მათაც განავარდნა. ბავშვს გული დასწყდა და დედას ჰკითხა: "აღარ მოვლენ? ეს არის წავიდნენ?"

— აღარ, შვილო, — მიუგო დედამ დიძილით, — ისიც კმარა, რომ ერთხელ გამოსცადეს ტყვეობა".

აკაკი წერეთელი დადიოდა ხალხში და აეროვებდა ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს. ზოგიერთ მათგანს უცვლელად ბექდავდა თავის ყოველთვიურ ჟურნალ "კრებულში", ზოგს აგსებდა, ასხვაფერებდა და ახალ ნაწარმოებს ქმნიდა. ერთ-ერთი ასეთია "ბროწეულის წყარო". მისი მთავარი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ საბოლოოდ სიკეთე და სიმართლე იმარჯვებს, მაგრამ ხშირად ეს ხდება მეტისმეტად გვიან. ცრუ და მოღალატე ბოლოს ხალხის რისხვას იმსახურებს.

საშინელმა დეეკაჟმა მოიტაცა მზეთუნახავთა-მზეთუნახავი დედოფალი. შვილებმა გვიან გაიგეს ეს ამბავი და დედის დასასხსნელად გაემართნენ. უმცროსი ეკლიან გზას დაადგა, ბიძაშვილის ამარა შეუდგა დევის კვალის ძიებას. უფროსი ნაკლებ სახიფათო გზით გაეშურა. უმცროსს გზაში დიდი დაბრკოლებები შეხვდა, მაგრამ უკან არ დაიხია. მან ბევრი დამხმარეც იშოვა: სწრაფმორბენალი, შორსმხედველი. ამათი საშუალებით მიაგნო მზეთუნახავი დედის კვალს. როცა დედოფალმა შვილი იცნო, მწარედ ატირდა, " აავსო ცრემლებით მიღები, და წყაროდ ბროწეულის თავზე გადააჩუხჩუხა, თურმე ბროწეულის წყარო ამ მზეთუნახავის ცრემლები იყო, ჩუმად მიღებში ნაგუბალი" ¹.

ამირანის ვასალებით ე.ი. სამყურა ბაღასით გააღეს გალია, რომელშიაც ჩიტი იჯდა. ამ ჩიტში იყო დეეკაჟის სული. ასე გაათავისუფლა უმცროსმა თავისი დედა და წამოიყვანა სასახლისაკენ. გზაში უფროსი ძმა შეხვდა, თვითონ მიითვისა ეს საგმირო საქმე და დაემუქრა დედასა და ძმას, თუ სიმართლეს იტყოდნენ, სასტიკად იძიებდა შურს.

უფროს ძმას სასახლეში ზეიმით შეხვდნენ. მაშამ ყველაფერი მას უბოძა, უმცროსს აბუნად ივდებდნენ და ამცირებდნენ, ბოლოს საბატეში დაამწყვდიეს. აქ ჯავრით გული გაუსკდა და მოკვდა. დედოფალმა ცრემლები გადმოყარა. ხელმწიფემ გამოჰკითხა ტირილის მიზეზი. ქალმა უთხრა: "გაი თქმას და ვუი უთქმელობასათ". მაინც უამბო ყველაფერი. მაშინ მეფემ მიცვალებული დიდი პატივით

¹აკაკი წერეთელი, რჩეული ნაწარმოებები, ტ. 3, გვ. 343.

დაასაფლავა. ააგო მის სამარეზე მარმარილოს კოშკი, შიგ მისი ნიშანი დაასვენა და ბრძანა: "ყოველ მზის ამოსვლისა და ჩასვლის დროს დიდი და პატარა მიდით თაყვანის საცემლადო!"

მაშალმა ამხილა დაგვიანებული სიმართლის უსარგებლობა. მიიშვილმა მეფეს მამლის ყვირილი ასე აუხსნა: "ის მაშალი ქვეყნის უმადურობას ყვივის: ცოცხალი რომ საბატეში გყავდათ და მკვდარს მარმარილოს კოშკი აუგეთ, სიცოცხლეში რომ კიჟინას აყრიდით და ახლა კი თაყვანს სცემთ, მაგითი ამ საწყაღს რა გაუკეთდებო?"

ეს შეგონება მართო პატარების მიმართ კი არა, უფროსებისათვის უფროა გამიზნული. ქვეყნის უმადურობას საზღვარი არა აქვს, დაფასება მართო სიკვდილის შემდეგ იციან.

ამგვარად, აკაკის პროზაში თითქმის იგივე პრობლემებია წინ წამოწეული, რაც პოეზიაში. მწერალს არ ელევა მხატვრული საშუალებანი, რომ საკითხები თავისებური, ახლებური კუთხით წარმოაჩინოს და მიმზიდველი გახადოს არამართო პატარებისათვის, არამედ უფროსი თაობისთვისაც.

ხალხური ლექსები, ზღაპრები, თქმულებები ყოველთვის იყო ჩვენი დაძვინჯობითი ლიტერატურის მასაზრდოებელი წყარო. მდლი დარი ფანტაზია, გამონათხონთა მხატვრული მრავალფეროვნება, სწორედ ამის გამარჯვების რწმენა შეესაბამებოდა ბავშვის მოთხოვნებს და სახალისოს სდიდა ცხოვრებას.

დიდი ადგილი უჭირავს ფოლკლორს აკაკის შემოქმედებაშიც. მაგრამ ჩვენ ამჯერად შევეხებით მის შემკრელობით საქმიანობას.

აკაკი წერეთელი თვითონ დადიოდა (და სხვებსაც მოუწოდებდა) სოფლიდან სოფელში, კრებდა ხალხური სიტყვიერების ნიმუშებს: ლექსებს, ზღაპრებს, ანდაზებს, მახვილსიტყვაობას და შემდეგ მას თავის ჟურნალში აქვეყნებდა. ამით ფასდაუდებელ ღვაწლს სდებდა როგორც ხალხურ სიტყვიერებას, ისე საბავშვო მწერლობას.

ყოველთვის ჟურნალ "აკაკის კრებულის" თითქმის ყველა ნომერშია მოთავსებული ხალხური ლექსი ან ანდაზა, ზღაპარი, ან რაიმე თქმულება, ან ამ თემებზე შექმნილი თვით მწერლის ნაწარმოები. "არც ერთი საქმე ისე სასწრაფო არ არის, როგორც ზეპირსიტყვიერების შეკრება", - წერდა აკაკი ერთ-ერთ თავის წერილში. "კრებულში" დაბეჭდა მისი შეგროვილი ზღაპრები: "ბროწეულის წყარო", "ნიზაბაგრელი", "სიბრძნე სოლომანისა", "სიზმარა" და სხვა მრავალი.

აკაკის კარვად ესმოდა ხალხური სიტყვიერების აღმზრდელობითი ფუნქცია და ამიტომ არავის კრიტიკას ყურს არ უგდებდა, როცა ამ წმინდა და საშვილიშვილო საქმეში საკმაოდ დიდ დროს ხარჯავდა. მას ღრმად სწამდა, რომ ადამიანის აღზრდა ბავშვობიდან იწყება და თუ სწორად არ იქნა წარმართული ეს პროცესი, მერე სანანებელი ვახდება. აღზრდაში კი პატარა ადგილი როდი უჭირავს საბავშვო ლიტერატურის შერჩევას საკითხს.

აკაკი ღრმად სწვდება ბავშვის ფსიქიკას და მოითხოვს მხატვრული ნაწარმოებების შერჩევას ასაკის მიხედვით. უსისტემოდ, შემთხვევით მოხვედრილ წიგნს უფრო მეტი ვნების მოტანა შეუძლია, ვიდრე წაუკითხაობას. ამიტომ დიდი სიფრთხილე გვმართებს მოზარდისათვის წიგნების არჩევნას.

"კრებულში" დაბეჭდილია აკაკის წერილი ერთ-ერთი პედაგოგისადმი, რომელსაც საყვედურით მიუმართავს მწერლისათვის, რომ თქვენს ჟურნალში ჩვენ გამოსაფხინლებელ მასალას ველოდით და

თქვენ დასაძინებელი ზღაპრები დაგიბეჭდავთო და აკაკის "ბრთ-
წეულის წყაროს" უთავო ნაწარმოებს უწოდებს. მწერალი ჩვეული
სარკაზმით პასუხობს: "ჩემი ზღაპარი უთავო არ მოგეჩვენებოდათ, რომ
სარკის წინ მდგარიყავით. თქვენ დიპლომიანი მასწავლებელი ბრძა-
ნდებით. მე კი ისეთ დიპლომს ვენდობი, რომელიც ტვინზეა დაწერილი
და არა ქაღალდებზეო"¹.

მწარე სინამდვილეს მკაცრი ქადაგებით ამთავრებს: "შეგკრიბთო
ბავშვები, წაგუკითხთო თქვენი პედაგოგიური თხზულებები, ჩემი ზღა-
პარი, რომელიც უფრო ძალე მოპგვრის ძილს, ის იყოს მტყუანიო.

ასე იბრძოდა აკაკი წერეთელი ხალხური სიტყვიერების გადა-
სარჩენად და ამით ფასდაუდებელ სამსახურს უწევდა საბავშვო ლიტე-
რატურასაც. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ის დროა, როცა იაკობ
გოგებაშვილი ჩივის საყმაწვილო ნაწარმოებთა სიმცირეზე, როცა ჯერ
კიდევ არ არიან პროფესიონალი საბავშვო მწერლები, რომლებიც
ვანუსაზღვრელ ამავს დასდებენ მაღალხარისხოვანი საბავშვო ლიტე-
რატურის ჩამოყალიბებასა და გაერცელების საქმეს, ჯერ კიდევ არ
ვაუშლია ფრთები შიო მღვიმელსა და მის თაობას.

აკაკი წერეთლის პუბლიცისტური წერილები დიდ დახმარებას
გვიწევს ამა თუ იმ ნაწარმოების მხატვრული ღირსებების გარკვევაშიც.
აკაკი "კრებულშივე" აქვეყნებს წერილებს: "ზეპირსიტყვიერების
გამო", "ზეპირსიტყვაობა და მისი მნიშვნელობა", "როგორ შეგკრიბთ
ხალხური ზეპირსიტყვაობა" და სხვა, რომლებშიც იგი მაღალ შეფა-
სებას აძლევს ხალხურ ლექსებს და ახდენს უბადლო ხელოვნებით
შექმნილ ნიმუშთა ციტირებას. ასკენის, რომ ასეთი მარგალიტები მხო-
ლოდ ხალხში შეიძლება შეიქმნასო:

ხომალდში ჩავჯექ, ზღვას ვაკველ,
ფრანგის ქვეყნები ვნახეთ,
სულ დაგვიარე ხმელეთი,
ვერ ვნახე შენი სახეთ.

და შექმდე ვაკვირვებას ვერ მალავს ხალხის ფანტაზიის უსაზ-
ღვროების გამო:

¹ აკაკის კრებული, 1897, N11, გვ. 113.

ანთებულ სანთელს გამსგავსე,
დილის ცისკარზე გნახეო,
ხელში გეჭირა ყმაწვილი,
ფარსაგ ვერ დაგინახეო.



აკაკის აზრით, ეს რაფაელის "მადონას" მსგავსი სურათია. რაფაელის აღმაფრენაშედეგად მისული ხალხი, როცა ამბობს:

შენს ლოყას ვარდი შეგნოდა,
გშეგნოდა ღია ფერია,
ღაწვემოციმციმე ხალივით
ღიში, ცით მონაბერია,
შურიით დაგფრენდა ნიაფი,
გირხევდა დაღალ-კაგებსა,
წარბნი, წამწამნი ყორნისა,
ბურავდა ვიშრის თვალებსა.

ასეთივე ძაღალ შეფასებას აძლევდა "ნაცარქექიას". იგი მსოფლიო ტიპად მიაჩნდა. ქართველმა ხალხმა ამ ზღაპრით ადამიანის ჭკუა-გონებას მისცა უპირატესობა, როცა ძალა არა სჭრის, ამ დროს ხერხის გამოყენება დიდ დიოსებად ჩაითვლება. აკაკიმ დასვა მზეთუნახავის პრობლემაც და გამოიტანა დასკვნა, რომ იგი კეთილი საწყისია და საბოლოოდ სახალხო გმირის მხარეს დგება.

როგორც ვხედავთ, აკაკი წერეთლის დამსახურება საბავშვო ლიტერატურის წინაშე დიდი და განუსაზღვრელია.

ამგვარად, შევეცდეთა დავასკვნათ:

1. აკაკი წერეთლის შექმნილებებში ღრმად და თანმიმდევრულად წარმონიშნა საბავშვო ლიტერატურის განუზომელი მნიშვნელობა მოზარდთა სწორი აღზრდისა და სულიერი ფორმირების საქმეში.

2. აკაკის ლექსებში წინ წაშოწეულია პატრიოტიზმის, პუმა-ნიზმის, თავისუფლებისაკენ სწრაფვისა და ინტერნაციონალიზმის იდე-ები.

3. პოეზიაში ყურადღება მახვილდება აგრეთვე წველიწადის დრო-თა მონაცვლეობაზე, სამყაროს ერთიანობისა და ადამიანის როლზე ამქვეყნიურ ცხოვრებაში.

4. დიდ ადვილს იკაავებს ლექსების ის რკალი, სადაც საუბარია ცხოველთა და ფრინველთა სამყაროზე, თავისუფლებისაკენ სწრა-ფვაზე, რაც ერთიანი, შეკავშირებული საქართველოს სიმბოლოდაც გაიზრება.

5. აკაკი წერეთლის პოეზია ბავშვებს შრომის სიყვარულს და ამით ტკობის გრძნობას უნერგავს. პატიოსანი შრომით მიღწეული გარჯის სიმბოლოდ ფუტკარს წარმოადგენს და ქმნის ქვეყნის სასარგებლო მოღვაწის მხატვრულ სახეს.

6. აკაკი იგაფ-არაკების მთარგმნელ-გადმოქვეყნებელია. მან კრილოვიდან თარგმნა 153 იგავი. აქ იგი აკრიტიკებდა სასოფადოების მანკიერ მხარეებს და სამართლიანობის დაცვის აუცილებლობას ქა-დაუკებდა.

7. აკაკის საბავშვო პროზაში ძირითადად იგივე საკითხები წაშოყენებული, რაც პოეზიაში. ზოგჯერ ერთსა და იმავე შინაარსის ლექსიც აქვს დაწერილი და მოთხრობაც.

8. აკაკი დიდ ყურადღებას უთმობს პატარების სწორად აღზრდის პრობლემას, ხაზს უსვამს პედაგოგის პასუხისმგებლობას აღსაზრდელის მიმართ.

9. პოეტი უხვად სარგებლობდა ხალხური წყაროებით, კრებდა ხალხური სიტყვიერების ნიმუშებს, წერდა წერილებს, ზოგჯერ იყე-ნებდა მის მდიდარ რეპერტუარს, ამ მასალას ზოგჯერ უცვლელად ბეჭდავდა თავის ყოველთვიურ ჟურნალ "კრებულში".

10. აკაკი წერეთელი წერდა ბუბლიცისტურ ნარკვევებს და ამით იაკობ გოგებაშვილთან ერთად აყალიბებდა საბავშვო ლიტერატურის თეორიულ საფუძვლებსაც.

ვაჟა-ფშაველა (1861-1915)



საბავშვო პოეზია

ვაჟა-ფშაველა თანამშრომლობდა იმდროინდელ თითქმის ყველა საბავშვო ჟურნალ-გაზეთში, განსაკუთრებით, "ჯეჯილსა" და "ნაკადულში". აღსანიშნავია, რომ მისი პირველი ნაწარმოები საყმაწვილო ჟურნალ "ნობათში" დაიბეჭდა.

როდესაც ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლისამ ჟურნალი "ჯეჯილი" დააარსა, გარეკანს წაუძღვარა იოსებ დავითაშვილის ლექსის ნაწყვეტი: "იზარდე, მწვანე ჯეჯილო, დაბურდი, გახდი ყანაო". ამ ბრწყინვალე ლექსის მიუხედავად, ვაჟა-ფშაველა პირველსავე ნომერში აქვეყნებს საბავშვო ლექსს სათაურით "ჯეჯილი". ეს ლექსი გარკვეული თვალსაზრისით განიცდის ი. დავითაშვილის გავლენას, მაინც ვაჟას საკუთარი შტრიხები შეაქვს აღებულ თემაში და ცდილობს თავისი კუთხის მოძებნას. თუ დავითაშვილი ლექსი - "ჯეჯილის" ცნებაში გარკვეულ აღმზრდელობით ფუნქციასაც ათავსებს, ვაჟას ლექსი მთლიანად ჯეჯილის მნიშვნელობასა და დანიშნულებას ეყება. ყანა ვლენისა და უფლის ერთობლივი გარჯითაა მოსული, იგი მინდვრის დამამშვენებელია:

ვლენის მარჯვენის ნაღვაწო

და ვლენის ოფლით მორწყულთ,

ჯეჯილო, ნაჭირმაგავო,

უფლის წყალობით მოსულთ¹, - მიმართავს პოეტი ყანას.

ამ კონტექსტში ლაღად ზის სიტყვა "ნაჭირმაგავო", რადგან ჯეჯილს მეთრეფიანად ჭირნახულსაც ეძახიან.

ჯეჯილი საერთო ჰარმონიის მომტანია. კურდღელი მისით საზრდოობს, ფრინველები დაჰხარბიან, ტორთლა სდარაჯობს, მწყერი

¹ "ჯეჯილი", 1890, N1, გვ. 40.

ბინადრობს. მაგრამ რაც მოთავარია, ადამიანი საზრდოობს და ამიტომაც მისი აღება და მოძქა ხალისიანი შრომის ენთუზიაზმს იწვევს.

საქართველო
საზოგადოებრივი

3

გვადირსე, ყანადა ვნახოთ—
ნამგლებს გაჰქონდეს პრიალი,
მკერდ—ოფლიანის ბიჭების
ცასა სწვდებოდეს გრიალი,
და თანაც შევიწროებულს
მწყრებს ამოჰქონდეს ფრთხიალი.

ამგვარივე შინაარსისაა უფრო მოგვიანებით დაწერილი ლექსი "ყანა"¹. ყანის შემოსვლით გამოწვეულ სიხარულს ვერ იტყვს გული და მისი საამო შრიალით მოგვრილი აღფრთოვანება აღტაცებულ შეძახილში გადადის:

ყანა, რა ყანა მოსულა,
როგორც ზღვა, ისე ღელავდა,
ძორწყული დილის ნამითა
ოქროს ფერადა ელავდა.

ყანის პირველი დანიშნულება ადამიანისათვის სარგებლობის მოტანაა, ის არის "მაცოცხლებელი და დამარხველი მკვდრებისა". ფრინველებსათვის საიმედო თავშესაფარი. მაგრამ ყანის მოძქით გამოწვეული ერთგვარი მინორული ტონი ლექსის ბოლოს მაინც იჩენს თავს. ფრინველებს საიმედო ბუდე მოეშალათ,


ნამჯაში მღერის მარტოკა

თავ—მოსაკვლავი კალია,—ამთავრებს ლექსს ვაჟა.

როგორც ვხედავთ, პოეტი აქაც მინდიას თვალთ იყურება და ბუნების ამ მოვლენებზე აჩერებს ჩვენს ყურადღებას, რომლებიც ადამიანის სასარგებლოდაა გაჩენილი. ბავშვს იოლ, მისთვის გასაგებ ენაზე აწვდის ცნობას ჯეჯილის რაობაზე და მის სიკეთეზე ამახვილებს ყურადღებას.

¹ "ნაკადული" (მოზრდილ), 1911, N8, გვ. 274.

კურდღელი მაშინაა ბედნიერი, როცა ყანა ამოღადანდება და თავ-
თავს მოისხამს. ის თავისი შვილებით მოედება მინდორს და დაპურდება.
ამიტომაც ის ცივ ზამთარშიც ზაფხულს ნატრობს:



ჩქარა ამწვანდით, ველებო,
ჩქარა ამწვანდი, ჭაღაო,
ამოღადანდი, ჯეჯილო,
სად არის შენი ძაღაო.

კურდღელი მადლობელი იქნება ქვეყნისა და გამჩენისა, რადგან
საზრდო გაუჩნდება ("კურდღლის სიმღერა").

ვაჟა-ფშაველას მწერლის მოვალეობად ილიასა და აკაკის
მსგავსად ქვეყნისა და ხალხის სამსახური მიიჩნდა. მომავალ თაობაზე
ზრუნვაც აქედან იღებდა სათავეს. პოეტს თავისი სტვირი ისე უყვარს,
როგორც ყრმას დედის ძუძუ. ამ სტვირმა მართლ ტკბილი ხმები კი არ
უნდა გამოსცეს, არამედ "ქვეყნის წყლულებს უნდა უწამლოს, მძინარს
დაუფრთხოს ძილია". პატრონს ეშინია, არ დაბერდეს სტვირი, არ
დადუმდეს საკრავი, რათა შეძლოს ერის წყლულების მორჩენა, ტკივი-
ლების შემსუბუქება.

ამ გულდია საუბრის შემდეგ ვაჟა ყოველგვარი ტენდენციის
გარეშე, პოეტურად, შეფარვით მივგანიშნებს, რომ მის სამშობლოს
უჭირს და საფრთხე ემუქრება:

ვუკრავ სამშობლოს მსხვეპრღადა,
თანაც ცრემლს ვაფრქვევ, ვსტირიო.

როგორც ვხედავთ, ეს ლექსი ეხმაურება "დაშეტყვევ, ცაოს",
სადაც პოეტი პირდაპირ ამბობს, რომ "ბილწო არ შეაკვრის ზავითა",
ყოველთვის სიძარტლით ასანაეს ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებს.

ვაჟა-ფშაველა შეხარის და ესიყვარულება ადამიანს დაბადებიდან
სიჭაბუკემდე, "ადუს" თქმით დაწყებული და მოქვიფე ვაჟაკით
დამთავრებული. ბავშვი რომ დაგაჟაკადება, ბრძოლაში სამშობლოს
ღირსებას დაიცავს, ხოლო გამარჯვებული კერაზე ჩამოჯდება და თა-
ნასწორებთან რიგიანად მთილხენს. აქვე პოეტი ერთგვარი იუმორითა
და თან დიდი სიყვარულით ლოცავს ახალგაზრდულ სიღალეს, ღვინით
გაღვიძებული ფანტაზიის უკიდევანობას და აღტაცებით შესძახის:

მხარობდი, ხარო—ირემო,
თვალი დაუდგეს მელასა.



ვაჟა-ფშაველას სპეციალური წერილი საბავშვო მწერლობის შესახებ არ დაუტოვებია, მაგრამ მის ცალკეულ გამონათქვამებსა და ლექსებში იგრძნობა საყმაწვილო ლიტერატურის სპეციფიკის დიდი ცოდნა და მისი მნიშვნელობის ფასი. იგი დიდ პატივს სცემდა შიო მღვიმელს, აფასებდა მის ამავე ამ დარგში, მეგობრობდა მასთან და უწოდებდა "ბავშვთა გულის მესაიდუმლეს":

ბავშვთ გულის მესაიდუმლევ,
კშროძობ მღვიმეში ჩუმადა,
ბავშვების ჭირი და ღსენა
გულს გაჩნევია წყლულადა.
მე როდი მომეწონება
სიტყვა, ნათქვამი უმადა.

ვაჟამ კარვად იცის, რომ პატარას გასაგებ ენაზე უნდა ესაუბროს და ფორმაც სათანადო უნდა მოუნახოს.

საბავშვო ლიტერატურის ერთ-ერთი მთავარი მოტივი პატრიოტიზმია. ლექსი "არწივი" აპეციალურად პატარებისათვის არ შექმნილა, მაგრამ რაკი ი.გოგებაშვილმა იგი "დედა ენაში" მოათავსა, მაშინვე აიტაცეს ყმაწვილებმაც. პატარებსაც ასარებთ იმის გაგება, რომ დაჭრილი არწივი ჭრილობებს მოიშუშებს თუ არა, ყვაყ-ყონებს სამაგიეროს გადაუნდის და "ცუდ დროს" აღარ ჩაუვარდება ხელში მტრებს.

სამშობლო მთების ღრმა სიყვარულითაა გამთბარი ლექსი "ნიბლიას ანდერძი". პატარა ჭრელი მგალობელი ჩიტი თბილ ქვეყნებში ვაფრენას ვერ ასწრებს და მთებში ჩარჩება, სადაც მას აუცილებელი დაღუპვა ელის.

ქარი უბერავს, მიაქვს ნამქერო-
ჩიტი ნიბლია ატირდა მთაზე,
სულ მუდამ ლაღო და მხიარული,

ნიტო ნიბლიაგ, ცრემლს აფრქვევ რაზე?—ეკითხება პოეტმა
და ამ დიალოგის ფორმით დაწერილ ლექსში თანდათან იშლება
ნიბლიას შინაგანი ბუნება. დიადი პოეტური სულის სიმაღლე და სამ-
შობლოში სიკვდილის ნეტარი იმედი:

წადი, უთხარი ჩემსა ობლებსა
და გადასძახე მაღლიდამ თავზე:
აქ გაშითხარონ ცივი სამარე,
აქვე დამმარხონ ამ მაღალს მთაზე,
ნაზის იისა კუბო შემიკრან,
გულს დამაყარონ ტურფა კესანე.

ბავშვები იგებენ, რომ სამშობლო ერთნაირად საყვარელი და
სანატრელია როგორც ადამიანებისათვის, ისე ფრინველებისა და ცხო-
ველებისათვის.

საბავშვო ლიტერატურაში მძლავრ ნაკადად შემოდის ცხოველთა
და ფრინველთა სამყარო. ბავშვების დამოკიდებულება ფრინველებსა
და ცხოველებთან უფრო უშუალოა, გულწრფელი და ერთგვარად
ანიმისტური. მათ სჯერათ მათი საუბრისა, მათი გაადამიანურებისა,
მათი სიხარულისა და მწუხარებისა. ვაჟას საუკეთესო ლექსები და
მთხრობები სწორედ ამ თემაზეა შექმნილი. პოეტის გახმაურებული
ლექსი "წიწილა", რომელიც შექმნილი იაკობ ვოგებაშვილმა "დედა
ენაშიც" შეიტანა, პირველად ჟურნალ "ჯეჯილის" N2-ში დაიბეჭდა.
მოკლენის გროტესკული წარმოსახვა ყმაწვილებში იწვევს იუმორის
გრძნობას. ეს ხერხი, ხალხური სიტყვიერებისათვის ეგზოტიკური და მძა-
ხასიათებელი, მხატვრული ოსტატობით გამოიყენა ვაჟა-ფშაველამ
აღნიშნულ ლექსში. მართალია, ძნელია ქორისაგან მოტაცებული წი-
წილის ხვედრის ბოლომდე გააზრება, მაგრამ აქ მთავარი აქცენტი
გადატანილია იმ ვლოვა-მწუხარებაზე, რომელიც კრუნის ეზოში
გაიმართა. იქმნება სახალისო ვანწყობა და ლექსიც მდინარესაგით
ლაღად მიედინება. ნაწარმოების უცნაური შინაარსი და ადვილად ასა-
თვისებელი ფორმა მას საზეპიროდ ადვილად დასასწავლ ლექსების
რიგში მიუჩენს ადვილს.

ქორმა წიწილა წაიღო,
იძახდა "წიაგ-წიაგსა",

**წიწილის თეთრი ბუმბული
ველად გაჰქონდა ნიაგსა.**



ამ მინორულ ნოტებს მოსდევს გადაჭარბებული გლოვის სასაცდლო სურათები. პატარა წიწილის სისხლი ღვარად წაყვია, წალეკა მთა და ბარი, არაგვს ვნა გადაუკეცტა, აატირა კრუნის მთელი ნათესაობა:

**ცრემლი იქცევა ქათმისა,
დიდი გლოვა და ზარია.**

ამ ლექსმა თავის დროზე აწრთა სსკადასწვაობა გამოიწვია, ვინმე "ჩვენებურმა" ჟურნალ "თეატრში" გამოაქვეყნა ვაჟა-ფშაველას საბავშვო ლექსებზე უარყოფით რეცენზია. ლექსი "წიწილას" მისამართით ამბობდა: "წიწილა ქორმა წაიღო და იმის შავივრად, რომ ბავშვებში თანაგრძნობა და სიბრალული აღეძრა, ვაჟა-ფშაველას ეს სამასწარო ამბად ვაუხდია". ამ ლექსს გნება შეუძლია და არა სარგებლობაო. ეს სტატია კრიტიკასაც არ იმსახურებს, იმდენად გულუბრყვილოა და საყმაწვილო ლიტერატურის სპეციფიკის უცოდინარობით დაღდასმული.


ასეთივე პოპულარული გახდა ლექსი "მერცხლის სიმღერა". ვალაღებული მერცხლის ხალისიანი სიმღერა, რომელიც ბარტყების დაჩეკით გამოიწვეულ სიხარულს გამოხატავს, გადაძდება და სახალისო. დედა ამბობს იმით, რომ მისი შვილები ძალე ფრთებს გამოისხამენ და გაფრინდებიან:

**დავჩეკე წვრილი ბარტყები,
დაჩეზრდებიან ძალეო,
იფრენენ, იჭიკჭიკებენ
ლაღად დღესა თუ სვალეო.**

ამას მოსდევს დედური შიში, ვაითუ კატამ არ აცალოს გაზრდა. მერცხალი სიფრთხილეს იჩენს, წინასწარ ტუქსავს ამოსავდებ კატას, სანამ მის შვილებს რაიმეს დაუშავებს:

კატავ, შე ამოსავდებო,

ცოტახანს დაძაგალეო,
რა გინდა? რას მეპარები?
დედა ვარ, შამობრალო!



ეს ბოლო სიტყვები არც მექარაა და არც მტაცებლისადმი
სიძულვილი, ერთგვარი იუშორით შეფერილი გაფრთხილებაა.

ობლობა ძნელი და აუტანელია არამართო ბავშვებისათვის, არა-
მედ უსუსური ფრინველებისათვისაც. თუ მათ უდროოდ მოაკლდებათ
დედის ზრუნვა და აღერსი, ორმაგად უბედურდებიან, რადგან მათი
დაღუპვის საშიშროებაც დეგება. უმწყო დაობლებულ ბარტყებს
ტყუილად დაუღიათ შირები, მათ სარჩოს აღარავენ მოუტანს:

დაობლებული ბარტყები
უდელობასა ტირიან.
ბუდიდან გადმოცვიფიან
გულსაკლაგადა ჩივიან.

ყველას საკუთარი საზრუნავი აქვს. არაფის მათი დარდი არა აქვს,
ამ საცოდავებს დაღუპვა ელით. თუ შიო მღვიმელის გოგონა მკვდარ
დედას სიზმარში გულის შექმპრეულად ესაუბრება, ვაჟს ბარტყების
მოთქმაში სიკვდილის შიში იგრძნობა.

ობლობის აუტანელ სიმძიმეს ყველა თავისებურად განიცდის.
უმაშიოდ დარჩენილი ბავშვების ტირილი აყრუებს ოთახს. დედას გული
უკვდება მათი ცქერით და ისიც ტირის. სასოწარკვეთილი დედის ეს
ცრემლები ნიავის საშუალებით მკვდრის საფლავთან მიდის, მაგრამ
ამაოდ, აქ ყველაფერი ვაყურებულა. მთვარესაც მისწვდა ობლების გა-
საჭირი. მთვარე, რომელიც

მთის წვერებს გვირგვინს აღვამდა,
ლაძაზს ახელდა თვალებსა, — უფლისაკენ მიბრუნდა,
აღმართა ხელები და ობლებისათვის შექმეობა გამოსთხოვა. ეს სცენა
დაჩოქილი ქალის ვედრების ასოციაციას იწვევს:

დაუწყო უფალს ვედრება,
ბენავთათვის თხოვს შეგლასა,
სადაც ვის უჭირს, ვინც წვალობს,

როგორც ვხედავთ, აქ ობლობის პრობლემა სოციალურ საკითხს უკავშირდება. ობლობა მთაში შიმშილთანაც ასოცირდება.

წელიწადის დროთა მონაცვლეობა დაკანონებული წესია. ვაჟამ იცის, რომ ბუნებასთან ბრძოლა არ შეიძლება, ჩვენც ბუნების შეილება ვართ. ჩვენ შეგვიძლია, მოგვწონდეს ან არ მოგვწონდეს ესა თუ ის პერიოდი, მაგრამ მისი შეცვლის უფლება არა გვაქვს. ყმაწვილები ამინდის ყოველგვარ ცვლილებას თავიანთ სასარგებლოდ იყენებენ. მთაში კი ბუნება მკაცრდება შემოდგომით და ვაჟას პოეზიაში ამ დროს სევდიანი ხმები ხშირდება. თუ მისი მეგობარი პოეტების ლექსებში მხიარული ყიჟინა აყრუებს არემარეს და ომახიანი "კოტრიელა, კოტრიელა" შექაზილები გაისმის, ვაჟასთან შემოდგომა და ზამთარი სიკვდილთან არის გაიგივებული, ხოლო გაზაფხული და ზაფხული – სიცოცხლესთან.

შემოდგომა მძიმე და აუტანელია, იგი თავისი გარდაქმვითი ფერებითა და თავისებური სიღამაზით ვერ იწვევს პოეტის აღფრთოვანებას, იძენად დიდია ზამთრის დადგომით გამოწვეული შიში და სასოწარკვეთა. მაგრამ ვაჟა ზამთართან შედარებით შემოდგომას შინაც ერთგვარი შემწყნარებლობით ხვდება, აღწერს ნაღვლიანად, მაგრამ არა მწყრაღად:

დღემ იკლო, ღამე გადიდდა,
გრილა, გაყვითლდა ტყე-ველი,
ჩამოსდის ხეებს ფოთოლი,
ჰყვირის ბუ, ღამის მთეველი.

პოეტმა იცის, რომ ბუნების კანონი არ დაირღვევა, ამიტომ ადამიანს არც სინარული მართებს და არც წუხილი, დროთა მონაცვლეობას ვაგებით უნდა შეხედეს:

მაგრამ რა? ერთსახეობა

არ არის სიბრძნის დარგია— ეს შეგნება ხელს არ უშლის მას, არ უყვარდეს შემოდგომა და ზამთარი. მაშინაც კი, როცა ზამთრის იდილია უნდა გადმოსცეს, ფერებს გარეთ კი არ ეძებს, იდილია ისევ სახლში შემთაქვს, ბუხართან, ნანადირევის მთლოდინში.

ჩამოგვითოვა ქედები,
თეთრი დახურა მანდილი,
თოვლი ბარადაც გვეწვია,
დიდი არა აქვს მანძილი.

ყვება ვაჟა და დათოვლილი შთების სუსნი და სიმძიმე შემოაქვს ლექსში. ფრინველები დადუშდნენ, მოწყენილობა გაბატონებულა, მაგრამ მთიელი ბერიძის სახლში ერთგვარი გამოცოცხლებაა. იგი წრიაბებს ეძებს და სანადიროდ ეშაადება. მისი სახლში დაბრუნება ნამდვილი ზეიძია: ცოლი გაყინულ ქმარს ერთ ყანწ არაყს სთავაზობს, ბავშვები ცეცხლს მისჩერებიან, სადაც შიშინებს მწვადები, კატა წვერულვაშს აცმატუნებს საკბილოს მოლოდინში, ბუნარი გუზგუზებს, ახალგაზრდა ბიჭი საგმირო ამბებს დასძახის ჩონგურზე:

თოვლო, ითოვლე, ითოვლე,
მთა-ბარს ჩააცვი სუდარა,
ყინვა, ქარი და ნამქერი
ზამთრის წესია მუდამა.

ვაჟა ბუნებას ღებულობს ისე, როგორცაა ის სინამდვილეში, ღებულობს თავისი სიცივითა და სითეთრით, გამკრთალი მშითა და წვიმით, ყინვითა და თოშით.

ამგვარივე აზრს იგი იმეორებს მეორე ლექსში "შემოდგომა". მან კარგად იცის, რომ ბუნებას უნდა გაუგო, შეისწავლო და ისე გამოიყენოს მისი სიკეთე, თორემ თავის გასაკეთებელს ის მაინც გააკეთებს.

მიუხედავად ამ შეგნებისა, შემოდგომა პოეტისათვის მაინც თავისუფლების დაკარგვასა პეგვს. გარდამავალი ბუნება იცვლება, ხეები იძარცვება, დღე მოკლდება, მთები შიშვლდება, ირგვლივ ნაღვლიანი ატმოსფერო მკვიდრდება:

ჩაშოდის დაბლა ფოთოლი,
იცრცვება მთელი ბუნება,
ნაღვლით იმსჭვალის და ფიქრით
ცხოველ-ფრინველთა გონება.

მალე მთაში თოვლიც გაჩნდება, მათხოვარს დაემსგავსება მთის
მალალი ტყიანი ფერდი, ყველაფერს ძვირფასი სამოსი შემოეკლება,
სიკვდილის სუდარა დაეფინება. მარტო გაზაფხულზე ფიქრი და
ოცნებაღა აღაშაფებს ზამთარს. თუ ზამთარი დამონების ასოციაციას
აღძრავს პოეტში, გაზაფხული და ზაფხული ნატვრის ახდენის ტოლ-
ფასია:

კიდევაც მოვა ზაფხული,
აყვავდებიან ველები,
შეიძოსება ფოთლითა
არყი, ვერხვი და თრემლები,
ფერხულს დააბამს ბუნება,
მღერას იწყებენ მწერები.

ეს მთლიანი აქარწყლებს ზამთრისაგან მოგვრილ მოწყენასა და
სევდას.

გაზაფხული დიდი სიხარულისა და ბედნიერების მომტანია. სიცო-
ცხლის მომღერალი პოეტი სწორედ ამ დროს ხედავს ბუნების გაღ-
ვიძების სურათს. ამიტომაც აღფრთოვანებული ხმებით გვაუწყებს წი-
ლიწადის ამ დროის მოახლოებას:

ყინვისგან შეწუხებულმა
გნახე, ზამთარი კვდებოდა,
ლეღმა—ნაკრაფი ყინული
მდინარეებზე ტყდებოდა
და გაზაფხული ზღაზგნითა
სამარიდანა დგებოდა,
ტანით სუდარას ინდიდა,
დიბ—ფარნით იმოსებოდა.

უფლის ბრძანებით, აყვავდა მიწა, მის გულ-შეკერდში ჩახუტე-
ბულმა იამ თავი ამოჰყო, მთიდან ღვარები წამოვიდა, ყუყუნა წვიმამ
დანამა მინდორი:

დიდება უფლის სახელსა
რა კაი საქმე მომხდარა,—აღმოსდა სიხარულით პოეტს.

ვაჟას ზოგიერთ ლექსში წელიწადის ოთხივე დროა აღწერილი და აქაც პერიოდიკტი გაზაფხულსა და ზაფხულს ენიჭება. როგორც სიცოცხლე და სიკვდილი, სიკეთე და ბოროტება — ისე მკვეთრად განსხვავდება ვაჟასთან ეს პერიოდები ერთმანეთისაგან.

ვრცელ ლექსში "მთაში" ძირითადად შემოდგომის მოწყენილი შეიზაჟია წარმოსახული. ნაწარმოები რვა ნაწილისაგან შედგება. სხვადასხვა კუთხითაა წარმოდგენილი ამ პერიოდის ერთფეროვნება.

შემოდგომა მთაში ძალუძად იგრძნობა. ხეები, მთები ბუნების კანონის მიხედვით "ჰფანტავენ ტანსაცმელს ნებითა", თავს უსრიან ზამთარს და იმის სურვილს ემორჩილებიან.

ლექსის მეორე ნაწილში დახატულია, თუ როგორ იცრემლებიან ღრუბლები, ხეებს ნამს ვეღარ ასხურებენ. სამაგიეროდ მოდის თოვლი, გაშეფდა სუსნი, წეროები უცხო მხარეში გაფრინდნენ, მთის არწივებს მოერიდნენ.

მესამე ნაწილში საუბარია მწყემსებსა და ცხვრის მდგომარეობაზე. მათ ცხვარი მოუდით მთიდან, ფარა ფარას მოჰყვება:

ზღვასა ხჰგავ გადმოვარდნილსა
მოდის, მოჰლეკავს შარასა.

თან ცხენის რემა და საქონლის ნახირი მოჰყვება, მთა სარჩოს ვეღარ იძლევა და ბარისკენ მიიქარის. თუ ზაფხულობით მთა ჰკვეთავდა საქონელს, ახლა ბარმა უნდა იკისროს ეს მოვალეობა:

რიგ-რიგათა ხართ, რა უშავ,
ქედმოუდრეკელ ბურჯადა.

ოჯახებშიც მოწყენილობაა. კერას მისხდომიან მონუცებულები, ფანდურს უკრავენ და საგმირო ამბებს ჰყვებიან. ნახევრად ტიტყველა ბავშვები ცეკვავენ, იქვე ცეცხლი ვიზგიზებს, ზოგჯერ საზანდრები ესტუმრებიან სტვირითა და ასე გადის მოსაწყენი დღეები.

დაიწყო ავდარი, სოფელს საფქვავეი შემთაკლდა, მაგრამ სარეკელა შაინც კაკუნობს და ეს კარგი ნიშანია:

თუ სარეკელა რაკუნობს,
ნაჭლიკაში დის სვაგია.

ავდარი დაიწყება თუ არა, ხალხი მიაჩერდება მთას, ზამთარი სუყველას უფუჭებს განწყობილებას, რადგან შემოპარულ მტერსა ჰგავს;

მტერსა ჰგავს ფლიდსა, ოხერსა,
დაგუგუობრდება ფერობით,
როცა ჩაგიგდებს სელშია,
სულს ამოგხუთავს მტერობით.

ზამთრის პერიოდი მხოლოდ მონადიოეებს მოსწონთ. ნადირის კვალზე მიყოლა ადვილია. მარტო ჯიხვებს ვერ შეპბედავენ, დანარჩენები კი ადვილად ებმებიან ძახეში:

ჯიხვები არას დარდობენ,
ჯაჭვი სცვავ იმათ ციხესა,
იქ მისვლა არ შეიძლება—
სამართალი აქვთ ბიჭებსა.

მხოლოდ პატარა ჩიორასათვის არის წელიწადის ყველა დრო ერთგაირად სასურველი. გაშუდმებით უმღერის ბუნებასა და სიცოცხლეს. აი, მაგალითად, გაზაფხულზე, როცა ყველაფერი მწვანით იმოსება, ჩიტო-ჩიორა იწმენდავს ხმას და საამურად გალობს:

ამწვანდა მთები, ამწვანდა ჭალა,
გამოიწინა ბუნებამ ძალა,
ჩიტო-ჩიორა გალობს და გალობს,
არც დაეძინა, არც დაიღალა.

აყვავდა ხენილი, მთებზე თეთრად გადაიბენტა ცხვარი, ახმურდნენ წყარონი, მოდის ყუყუნა წვიმა, აფეთქდნენ იები, ტყეში ქედანი ღუღუნებს, სამოთხედ იქცა ქვეყანა:

რა კაი დროა, რა კაი ხანა,
არ მინახია სხვა ამისთანა.

ზაფხულს შემოდგომა მოჰყვება. აქ უკვე იჭრება მძიმე და შუქი
ფერები. გაყვითლდა მთები, გაფუჭდა გზები, ფოთლები ჩაშოდის
დაბლა, "შკვდარ ამირანს ჰგავს მინდორი", მარტო ჩიტი-ჩიორა
გალობს და ვალობს, აშლია სიმღერის უნი და დადლას არა ვრცხობს.
უარესია ზამთრის დღეები. ყინვისაგან ქვაც კი ტყვრება, თოვლით
გადაღვსილა მთა-ბარი, ვარსკვლავებიც მიძალულან, ყველა თავის
სოროში ძვრება, ჩიტი ჩიორა კი ისევ აყრუებს ქვეყანას:

ერთი შეხედეთ ცერისტოლასა,
რა შეედრება იმის ყოლასა.

როგორც ვხედავთ, განსხვავებით ბარში ძცხოვრები პოეტებისაგან,
ვაჟა წელიწადის დროებს ორ ნაწილად ჰყოფს: შემოდგომა-
ზამთარი(სიკვდილი და ბოროტება), გაზაფხული-ზაფხული(სიცოცხლე
და სიკეთე).

ვაჟას ამ რიგის ლექსებში აღარ ისმის ზამთრობით თოვლის
მოსვლით მოგერილი ურიაშული, გუნდაობითა და ციგაობით გამოწვე-
ული ყი-ყინა, შემოდგომის ბარაქითა და სვავით მიღებული კმაყო-
ვილება. აქ, მთაში, შემოდგომობითა და ზამთრობით ბუნება კედება,
ამირანი იძინებს, ადამიანებიც მიყუნდებიან, ხოლო გაზაფხულსა და
ზაფხულში ყველაფერი იღვიძებს, ტყე-ველი ფარჩით იძოსება,
დღესასწაული შემოდის, სიცოცხლე და სილაშაზე ზეიმობს.



საბავშვო პოემები

საბავშვო პოემები
საბავშვო პოემები

ვარდა ლექსებისა, ვაჟა-ფშაველას აქვს საბავშვო პოემებიც - "ნახევარ-წიწილა" და "ეთერი", რომლებიც ხალხური სიტყვიერების ერთგვარ გადამუშავებულ ვარიანტებს წარმოადგენენ. სიკეთის გაძარცვება და ბოროტების დამარცხება დამახასიათებელი ნიშანია ფოლკლორული ნაწარმოებისა. სიცოცხლე ზეიმობს სიკვდილზე, სიყვარული სიძულვილს სძლევეს. სწორედ ეს სპეციფიკური მხარეა წინ წამოწეული ვაჟას პოემებშიც.

პოემა "ნახევარ-წიწილას" ფრჩხილებში უწერია - "ხალხური ზღაპარი", რომელიც პოეტს გაუღექსაგეს, ცალკეული შტრიხები შეუტანია და ისე მოუწოდებია ბავშვებისათვის. ვაჟას შეუქმნია გაჟაკობის, გმირობის, სიკეთის საგალობელი და ერთგვარი იუმორისტული ფორმით შეუქმოსაგეს მთავარი გმირი ნახევარ-წიწილა.

პოემაში აქცენტი გადატანილია არა ფიზიკურ ძალასა და მკლავლონიერებაზე, არამედ გმირულ სულსა და მოხერხებულობაზე, დიდ მონდობებასა და უდიდეს ნებისყოფაზე. ეს თვისებები საკმარისია, რომ გაიმარჯვო და დაამკვიდრო სიხარული ქვეყნად, იზრუნო არამარტო შენთვის, არამედ ყველა კეთილშობილი ადამიანისათვისაც. ნახევარ-წიწილა ებრძვის უსამართლობას, ჩაგვრას და ბოლოს იმარჯვებს.

ნახევარ-წიწილას "ბავშვობა" არაფრით განსხვავდებოდა ჩვეულებრივ არასრულყოფილი წიწილების ცხოვრებისაგან.

მაშლის დიდი ოჯახი ქორემა გაატიალეს, ვადარჩა მარტო ნახევარ-წიწილა, რომელიც ობლობასა და სიღარიბეში იზრდებოდა. წიწილა გაეცნო ცხოვრებას, სადაც ტყე და შაშხნარი იყო-ყველგან ბინა აივო. მუდამ ფრთხილობდა და ფხიზლობდა "ეს ჩვენი ტარიელია". სიცოცხლე ძალიან უყვარდა და თავისი მოდგმის გაგრძელებაზე ზრუნავდა:

არ გაწყდეს, არ დაიღიოს
ქვეყნად ქათმების ჯიშია.

ერთხელ ნაგვის ქექვისას წიწილამ იმოვა ფეტვის მარცვალი. მოხნა მიწა, თავგები გუთანში შეება, გადააშავა ველები და ფეტვი და-

თესა. მოსავალი ზღვად იქცა, ერთი მარცვლიდან ასი კოდი თავთავი მოვიდა. მაგრამ უბედურება არ ასცდა, ბატონის ჯოგმა ვაუტიანა ყანა, სულ კალოდ გადაუქცია. ატირდა ნახევარ-წიწილა, ცრემლი ჩამოსდიოდა ღვარად. წანახედის თქმი შეადგინა, რომ ბატონს შეს-
დავებოდა. ბატონთან არწით მივიდა, ჯოსს დაეყრდნო და შეეხვეწა:

ყველა თხოულობს იმასა,

საცა რამ დაუთესია, — ვედრებით უთხრა წიწილამ. მთლიან ზარალს კი არა, მხოლოდ ნაწილობრივ ანაზღაურებას ითხოვდა. წიწილა გამობანლურეს. მაშინ მან შურისძიება გადაწყვიტა. სამ-ველად პირველად მიმართა დევებს, რომლებსაც ირმის თავები დაე-წყოთ მაგიდაზე და ქეფობდნენ. დევებმა დახმარება აღუთქვეს, დაპირდნენ, რომ აიკლებდნენ ბატონის სასახლეს.

დევებმა იარაღი აისხეს, ხელში ლახტები დაიჭირეს და მთა-გორებით წამოვიდნენ. გზაში შემხვედრი ცხოველები და ბაყაყები ლო-ცავდნენ წიწილას:

ყონად! როს სცდილობ თავის მტერს
არ შეარჩინო ვალია.

ფერდობზე რომ ავიდნენ, კაკაბმა ვააფროთხილა წიწილა: დევებს
ნუ ენდობიო:

წადილი საკუთარი აქვთ,
ვიღალატებენ, დაია,
გახსოვდეს ჩემი ნათქვამი,
იქნებ გაძახონ "ვაია".

თავადის სასახლე გარსკვლავივით ბრწყინავდა. ბატონს დევებისა შეეშინდა და ხერხს მიმართა: მსახურნი და მემუსიკენი მიაგება წინ. დააკვლევინა ცხრა ხარი, ასი ცხვარი, ღვინო მღლებით მოაშვებინა. გაიღუშნენ დევები ღვინითა და გამოძინენ ლეშითა:

რად გინდა, ფეტვი, საწყალო,

ერთი კაცი ხარ, ლიტონი,—უთხრეს წიწილას და განსე
გაუდგნენ. დევების ქეიფი აღწერილია ვაზფიადება—გადაჭარბების ხერ-
ხით. ისეთი ხმები ამოუშვეს, რომ ფრინველები დაფრთხნენ:

ქარი ამოდგა ისეთი,
ხეებსა სცვივა ხავსია,
კლდეთ აეჩხათ სიპები,
დაბლა მოვორკენ ჩხრიალით.
მთამ აიხვია თვალები,
შაშინებულმა დგრიალით,
ცეცხლი მოედვა სამყაროს
იმათ თვალების ბრიალით.

დევთაგან ნაღალატევი წიწილა ტირილით აჯერებდა მთა—ბარს.
ყველას შველას ევედრებოდა: წყალს, ქარს, ქვებს. ბოლოს ტყეში
დათვს, მგელსა და ძელიას გადაეყარა, ქეიფობდნენ და იღხენდნენ. მათ
წიწილა სხვა ცხოველების დასაძახებლად გაუშვეს და ბატონის
სიმდიდრე წინასწარ გაიყვეს. საყვირს ჩაჰბერეს და მთელი ტყის
ნადირთა შეკრება იწყეს. ცხოველები მოედგნენ ბატონის ჯოგსა და
ყანას, არ დატოვეს ცხვარი და ძროხა. "ღორები მჩვენებთან ერთად
სთხრიან და ჰკაფავენ ვაზებსა". ძელია საქათმეს ეცა და

ბატონის მთელი ქონება
ერთ ღამეს მორჩა, გათავდა.

ყვავმა ბატონს სიმართლე პირში მიასწავა:

ვინაც სხვის ცრემლის ფასადა
თვითონ იკეთა სადილი,
ბოლოჟამს გაუშწარდება
იმასაც გულის წადილი.

წიწილა ისევ იმუქრება:

ქვესკნელში ჩავა?—ჩაყვები,
მადლა?—აყვები ცამდინა!

ბატონი ველად გაიჭრა, უნდოდა ნახევარ-წიწილა ჩაეგდო სულშია და ეწამებინა. დაღლილ-დაქანცულ ბატონს პირღია ჩაეძინა. წიწილა პირში ჩაუძვრა და იქიდან ამოსძახა:

მე ვარო, სხვა ნუ გეგონებო,
ის ნახევარი წიწილა,
მე ჩემი ფეტვი ვისურვე,
ბატონმა რისთვის იწყინა?

ბატონმა მსახურს უხმო საშველად. პირი გააღო, ეგონა წიწილა ამოფრინდებო და ხმლით თავს გაგაგდებინებო. სინამდვილეში ბატონმა ენა გამოჰყო და მსახურმა ცხვირ-პირი ჩაათალა, კისერიც გააგდებინა და სულიც დააღვეინა. "ბოროტი კაცი დამარცხდა", - ამცნო ქვეყანას ნახევარ-წიწილამ.

ფრინველთა და ცხოველთა სამყარო თავის მეფეს ირჩევდა. ვერ თანხმდებოდნენ. ბოლოს ყველამ ერთად დაადგინა: მეფედ დაჯდეს ნახევარ-წიწილა. ბატონის სასახლე აჩუქეს, მცველად ვეფხვი და ღოში დაუყენეს, ნაზირ-ვეზირებად დათვები, მრჩეველებად-მელა და ტურა, შიკრიკად-ქორ-შაგარდენი, მგლები-აგაზაკთ დამრბევეად, "ხოხობნი, შურთხნი, კაკაბნი-ტანისამოსის მკერველათა". ბულბულად-საგალობლად გამოჰყვეს, მედალაბნედ-კოდალა, მეწისქვილედ-ბატები, ღორები-ქუჩის დარაჯად, წერონი დესპან-ელჩებად, "ჩხიკვები-ჯაშუშებადა, აქა-იქ საძროძველად".

როგორც ესედაეთ, ფრინველთა და ცხოველთა სამყარო დამახასიათებელი ნიშნების მიხედვით არის შერჩეული ამა თუ იმ თანამდებობაზე.

ნახევარ-წიწილა გაიზარდა, უზარმაზარი ტანის გახდა, "ათი არწივის ტოლია", ხოხობის ბუმბული ასნია, "კონტა ჯიჯლიბო მამლისა".

ძალიან სამართლიანი მეფე გამოდგა, ჩაგვრა მოსპო, თანასწორობა დაამყარა:

დანაგრეულებსა ჰპატრონობს,
მჩაგვრელებს უდგა კრიჭადა,
მოდი და ნუ მოვიხსენებთ

კურთხეულს კაი ბიჭადა,—ამთავრებს მწერალი პოემას და თან იუძორისტულ—გროტესკული ტონით ქვეყნად სამართლიანობის, ჰუმანურობის შესანიშნავ საგალობელს ჰქმნის.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ პერიოდის საბავშვო მწველობა ებოსით განებივრებული როდი იყო. "ცოცხალი ტყუილის" ფორმა, განვითარებული აღწერა და იუძორისტული შეფერილობა—ამ პოემას მეტად სახალისოსა და საინტერესოს ხდის.

ვაჟა-ფშაველას აქვს აგრეთვე პოემა "ეთერი", რომელიც ერთდროულად საბავშვოდაც შეიძლება ჩაითვალოს და სადიდოდაც. იგი ხალხური "ეთერიანის" ლიტერატურულად გადაშუშავებულ ვარიანტს წარმოადგენს. ვაჟას იგი შინაარსობრივად ძალიან შეუცვლია, ბევრი ყოფითი დეტალი შეუტანია, ფანტასტიკური მხარე შეუკვეცავს და სოციალურ—საყოფაცხოვრებო კუთხით გაუმანვილებია ყურადღება.

ვაჟას ეთერი ობოლი გოგონაა, რომელსაც არც დედა ჰყავს და არც მამა, მისუცი ავი დედინაცვლის ამარა დარჩენილა. დღისით საქონელს მწყემსავს და ღამით ტირილით გლოვობს თავის უბედობას. ეთერი უღამაზესია.

მისი პორტრეტი ვაჟას ასე დაუხატავს:

წამოდგა ქალი ეთერი,
მთვარე ამოჰყვა პირზედა,
თვალეში ჩაჰქსოვებოდა
ზღვა—ხმელი ერთიანადა,
მთელი ქვეყანა შიგ ბრწყინავს
თავის ხატ—ღმერთიანადა.

ეთერის ყველაზე დიდი მშვენება თმებია, რომელიც წელზე ქამრად აქვს შემორტყმული:

სარტყლად წელს ნაწნავნი ერტყან
ორპირად, როგორც წნელია.

სრულიად ბუნებრივ გარემოში ხდება ეთერის შესვენრა გოდერძისთან ტყეში /ახესაღლოში ვოდერძითაა შეცვლილი/. სიყვარულის ახსნა ისეთივეა, როგორც ხალხურში, მაგრამ აქ უფრო მკვეთრად არის გამოკვეთილი სოციალური უთანასწორობის საკითხი. ეთერმა იცის,

რომ მას მეფის კარზე არ მიიღებენ, ამიტომ გადაჭრით ეუბნება ვოდერძის:

შენი საფერი არა ვარ,
შენთან ვით დაგვადე კარზედა.

ვოდერძიმ თავისი გაიტანა, მაგრამ მის წინააღმდეგ აღსდგა მისი მამა, მეფე გურგენი, რომელსაც გვერდში ამოუდგა ვეზირი შერე /მურმანი შეცვლილია შერეთი/. შერეს შეუყვარდება ეთერი და მზადაა მის ხელში ჩასაგდებად ეშმაკსაც კი მიჰყიდოს სული. შერე უცხოეთს ანუ "შავეთს" მიემგზავრება. იქ სვდება კუდიან დედაბერს, რომელსაც *

ქაჯთათვის სული მიეცა,
ქაჯებში იყო გართული,
დევთა და ალთა შორისა
ზემორა თავში ჩართული.

იგი ყოველისმცოდნეა. შერეს გასაჭირიც კარგად გაეგება. როგორც თამაზ ჩხენკელი აღნიშნავს, "უკვე ამ ნაწყვეტის პირველი სტრიქონი შეიცავს ზღაპრულ ელემენტს, — ამბავი სდება ზღაპრულ და მითურ ქვეყანაში — ცხრა მთის გადაღმა. სეტყვისა და დელგმის გაშენი ბებერი ამ ასპექტით ფშავ-ხეკსურეთის დარ-ავდარის გამგებელ მდედრულ და მამრულ დვთაებებს ენათესავება"¹.

შერეს ეს დალატი შედარებულია იუდას გამცემლობასთან. "ნეგატიურად წარმოსახული წარმართული დემონების რიგს იუდას სახე აგვირგვინებს, რითაც ერთი მხრივ, მათი იდენტურობა, მეორე მხრივ, მათი ეშმაკეულთან და ჯოჯოსხეთთან წილნაყრობაა საზგასმული".

ვოდერძი და ეთერი იღუპებიან შერეს აგსულობის გამო. მათ საფლავებზე ია და ვარდი ამოდის, ერთმანეთს ეკვრიან, იქვე უკვდავების წყარო გადმოსჩქეფს:

იას შორს ყოფნა არ უშლის,
ვარდს ეკონება პირითა,

¹ თამაზ ჩხენკელი, მშვენიერი მძლეუარი, თბ. 1969, გვ. 146.

და ამ საფლავთა ფერხთითა
ცოლ—ქმრის სამარის ძირითა
უკვდავებისა წყარო დის
ძვირფასის ოქროს მილითა.



შერე საშინლად ისჯება. ის ვერც ეთერის ღირსი ხდება, ვერც
სიკვდილისა / ამ ნაწილში ვაჟას ხალხურ ზღაპარში ცვლილებები
შეაქვს/. გაგიჟებული დარბის, ბოლოს თვალებს ითხრის, რომ ქვეყანას
ადარ უყუროს:

თვალებს დაითხრის ბედკრული,
თვალებსა დაშინებულსა,
მოსძაგდა ხინათლის სინჯვა,
მოსძაგდა ყველაფერია,
დღეს მხოლოდ სიბნელე უყვარს,
ვერ ნახოს ვერაფერია.

როგორც ვხედავთ, ვაჟას ხალხურ "ეთერიანში" საკმაო ცვლი-
ლებები შეუტანია, დაუსვამს ღრმა ფილოსოფიური თუ სოციალური
პრობლემები. მაგრამ მარტივი სიუჟეტით, ადვილად ასათვისებელი
ფორმით, ხალხურ ზღაპართან სიახლოვით იგი ბავშვებისათვისაც
ხელმისაწვდომ ნაწარმოებად რჩება, რომელსაც დიდაქტიკურ—აღმზრ-
დელობითი და შემეცნებითი ფუნქცია გააჩნია.

საბავშვო მოთხრობები

ვაჟა-ფშაველას პროზა იმითაცაა გამორჩეული მთელი XIX საუკუნის მწერლობიდან, რომ იგი ერთდროულად სადიდოცაა და საბავშვოც. მართალია, იგი ღრმა ფილოსოფიურ, ესთეტიკურ შრეებს შეიცავს, მაგრამ ამავე დროს იმდენად საინტერესოა ვაცოცხლებული ცხოველების, ფრინველების, მთისა თუ ხევის წარმოსახვით და ისე ახლოა ეს ხერხი საბავშვო ქმნილებებთან, რომ ვაჟას პროზის პირველი მკითხველები სწორედ ბავშვები არიან.

ვაჟას მოთხრობები, ისე როგორც ყველა საუკეთესო საყმაწვილო ნაწარმოები, დაცლილია მორალისტური ტენდენციისაგან. მასთან არსად შეხვდებით დარიგება-ჭკუის სასწავლებელ სენტენციებს. მოქმედება იწლება ოჯახურ გარემოსა თუ ბუნების წიაღში, ისე თავისუფლად ვითარდება მოვლენა, რომ თვითონვე თანამონაწილე ხდება.

ვაჟას მოთხრობების უმრავლესობა ფრინველთა და ცხოველთა სამყაროს ენება და მთელი ბუნება ამტყვევლებულია ადამიანურ ენაზე. სწორედ ეს იტაცებთ ბავშვებს. წინ წამოწეულია მოტივი სიკეთისა, სხვისთვის სარგებლობის მოტანისა. "საბავშვო მწერლის მგზნებარე ფანტაზიას უნდა შეეძლოს ისევე გაასულიეროს საგნები, როგორც ბავშვები ასულდგმულებენ თავიანთ სათამაშოებს. მოზრდილთათვის უცნაურად გამოიყურება ალაპარაკებული ცხოველი და ყვაავილი, მაგრამ ეს ბავშვისათვის საესებით ბუნებრივია".

ვაჟა სიცოცხლის მომღერალია. მის მოთხრობებში იგრძნობა სიცოცხლის ხალისი და მიმზიდველობა. ეს ნაწარმოებები ინტერესს იწვევენ როგორც სიუჟეტითა და პერსონაჟებით, ისე თხრობის თავისებური მანერითაც.

მწერლის საბავშვო თხზულებებში ხშირია უკიდურესი გადაჭარბების შემთხვევები. ეს აყვებს ბავშვის ფანტაზიას, აფართოებს, წვრთნის ყმაწვილის გონებრივ არეალს. "ვაჟას მოთხრობების მასალას აქვს დიდი აღმზრდელობითი ღირებულება, —წერს გრ. კიკნაძე,—ის ნაწი არსებები, რომლებიც მის თხზულებებში მოქმედებენ, არა მარტო საინტერესოა, არამედ ბავშვთა გამაკეთილშობილებელიცაა".

¹ გრ. კიკნაძე, ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, თბ. 1957, გვ. 229.

პირველი საბავშვო მოთხრობა "შეღის ნუკრის ნაამბობი" დაიბეჭდა ჟურნალ "ნობათის" N3-4-5-6 ნომრებში, მას ხელს აწერდა ლ.რაზიკაშვილი. დაიბეჭდა მხოლოდ ორი თავი. მთლიანად გამოქვეყნდა გაზეთ "ივერიის" 1889 წლის N3-ში.

ნაწარმოები გათბარია პუშკინის იდეით, სიცოცხლის სიყვარულითა და სიკეთის დაძვევებების წყურვილით. უდროოდ დაობლებული შეღის ნუკრის მწარე ბედში ბავშვი მარტოობის სიმწვავეს კი არ გრძნობს, არამედ ცხოველების ყოფაში სიღამაზესა და მშვენიერებას შეიცნობს. ნაწარმოები ყოველგვარი შესავლის გარეშე იწყება: "ბაწაწა ვარ, თბოლი, ბედმა დამიბრძოვა, ცუდ დროს დავობლდი. ტანზე მაცვია პატარა, მოკლებეწვიანი, თეთრის თვლებით მოწინწკლული თხელი ქათმბი. ჯერ რქები და კბილები არ ამომსვლია, წლიქებიც არ გამშაგრებია".

ნუკრი ყველაფერს უფრთხის, ჩხიკვიც მას აშინებს, ძაღლიც, რადგან მხოლოდ ერთი კვირისაა და გამოუცდელი. განსაკუთრებით დიდი მტერი მას ადამიანის სახით ეგულება. დაუნდობელია კაცი, რომელმაც სიცოცხლით ტკობის დღეები შეუმოკლა დედამისს, ნუკრის ერთადერთ მარჩენალსა და ჭკუის დამრიგებელს. ამიტომაც წყრომა ისმის უცოდველი ნუკრის სიტყვებში: "ოჰ, ადამიანო... თვალებდასისწლიანებული, გაფაცვიკებული დამეძებ მე და ჩემსფერსა სუსტსა და უპატრონოს, ათას სწვას... იარაღი გაქვს, მოგვებარები, მუხთლად ვეკარავ ტყვიას და გამოგვასაღებ წუთისოფელს".

შეღის სახით დახატულია შეიღისათვის თავდადებული დედის სახე. თუ მზადია ყოველგვარი სიფათისაგან იხსნას თავისი პატარა. ერთხელ, შეცხვარის ძაღლი შორს გაიტყუა, თვითონ საფრთხეში ჩაიფლო თავი, რათა შეიღი გადაერჩინა. მეორეჯერ, ადამიანებს გამოარია და დაარია, მაგრამ კაცის ტყვიას ვერც ის ასცდა.

განსაკუთრებული ემოციურობითა და მხატვრული დატვირთვით გამოირჩევა შეღის სიკვდილის სცენა: "დედაჩემი მიფორავდა, გნედავდი, თავქვე, და სისწლიანს კვალს სტოვებდა ბაღანზე. არყების უკანდამ გამოხტა ახალგაზრდა ბიჭი, ლევა ჩონის კალთები აეკვალთა. "გაუმარჯოსო!" დაიძახა და სასწრაფოს წკრიალით გამოეკიდა დედაჩემს უკან. მე მოგვინდი, ტანში დავიშალე, როდესაც შეჩვენებულმა მონადირემ ამოძრო პრიალა ხანჯალი და გამოუსო დედას ყელში. სისწლმა იფეთქა და გადაერწვია ხეებზე. აგერ ძუძუებზე, იმ

წამივიდა. ვუნიშნებ თოფსა და მაშინაც ტანში მათრთილლებს, ჩაითქ
ჩახმახის დასხლეტა ვედარ მოვასწრო და მიეფაროს სადმეო. მოგვლავ
და ვამბობ: რად მოგკალი, რას მიშაგებდა, რა შამისვა, რა შამიქამაში?
კაცნი შაუბრალებლები ვართ".

მწერალმა იცის, რომ ხვალეც იმავეს ჩაიდენს ნინია, ის ჩვეულებას
არ მოიშლის, ისიც იცის, რომ მონადირეობას არაფინ აკრძალავს,
მაგრამ ამ მოთხრობით ჰუმანურობის გავლილება სურს პატარებში და
შებრალების გრძნობის გამოძეუშავება, რათა უფრო ასატანი გახდეს
ამქვეყნიური ყოფა და ნაკლები სისხლი დაიდვაროს კაცისაც და ცხო-
ველისაც.

ვაჟას შემოქმედებაში ნათელი ადგება ისეთ არსებებსაც, რო-
გორებიცაა: მგელი, მელია, ძაღლი და სხვ. მწერალი ქმნის მგლის
ერთგვარ სიმბოლიკას. მათს ცხოვრებაში ეძებს გასამართლებელ
საბუთებს, ზოგჯერ უყვარს და ეცოდება, ზოგჯერ აკრიტიკებს მათ
ვაჟუშაძრობასა და დაუნდობლობას. თუ მოთხრობაში "სურათები"
მგელი სიმბათიურად არის დანახული, მოთხრობაში "ამოდის, ნათდება"
ამას ვედარ ვიტყვი. მოშიებული მგლები დაუნდობლად გაფატრავენ
თავიანთ მოძმე ბებერ ტოტის.

მწერლის მხედველობის არეში ხედება ფრინველთა და მცენარეთა
სამყაროც. ეს ნაწი არსებები ერთნაირად სათნო და გულკეთილნი
არაიან. მათ მოვლა და გაფრთხილება უნდათ და თავის მხრივ, სასა-
რგებლონი იქნებიან ადამიანებისათვის.

ისეთივე საბრალოა მტრედი /მოთხრობა "ტრედები"/, როგორც
დედაშკვდარი შვლის ნუკრი. აქ მტრედის მტერი მხოლოდ ადამიანი კი
არ არის, არამედ მასზე ძლიერი ფრინველიც: ძერა ან ქორი. დედა
მტრედს შვილი ძველი ბუდისაკენ მიჰყავდა, გზაში დაუნდობელმა
ძერამ იმსხვერპლა იგი. დედამ თავისი თვალთ უყურა, როგორ გა-
ფატრა წყუულმა მტაცებელმა მისი შვილი და მხოლოდ ბუმბულიდა
დატოვა. აი, ეს ბუმბული დაიტირა საბრალო დედამ: "საბრალო ჩემო
შვილო, შენ კი არ გედირსა შენის სამშობლოს თვალთ დანახვა...რა
სიცოცხლეა ტრედის სიცოცხლე? ღმერთს ჩვენთვის რაღაცნაირი
შნატე, ნებიერი, სუსტი და მოძთმინო ბუნება მოუცია, სმას ვერაფის
გავცემთ. ხელს ვერ შევუბრუნებთ ჩვენს მტერს. უხვირო ძერა,
მითხარი, ისიც უნდა ტრედებსა სჭამდეს? ვაი, ჩვენო სიცოცხლე, ვაი,
ჩვენო ყოფაჯ!".

დედა მტრედი ბუდეს დაუბრუნდა, მაგრამ ის კიდევ ადამიანის მსხვერპლი გახდა. მოკლული მტრედი მიიტანეს მოქიფეებმა და სუფრის თავზე დაჰკიდეს... "ტრედი მორჩა შიშსა და ცდას კვიდა მოსვენებით, სტუმრები და ბატონი კი გახურებულ "მრავალჯამიერს დასძახოდნენ".

ყველა ფრინველს თავისი ბუდე ენატრება. იმაზე ოცნებობს, დანგრეული არ დახვდეს, არ დაიღუბოს. როცა წიფლის-ჩიტამ ძებნის შემდეგ თავის ბინას მიაგნო, სიმღერა შემოსძახა:

შენ გენაცვალე, ტყვე დაბურულო,
ჩემო სიცოცხლეკვ, სულო და გულო,
რომ ხაზრდოს შაძლეკვ, არ დამჩაგრეო,
ჩემო მშობელო, ტურფა მხარეო!

"ჩხიკვთა ქორწილი" გაუას პროზის შედეგია. იგი პირველად დაიბეჭდა ჟურნალ "ჯეჯილის" 1893 წლის N6-ში. ბავშვებისათვის შექმნილ ამ ბრწყინვალე მითხრობას მოზარდებიც და უფროსებიც სიამოვნებით კითხულობენ.

ამბავი იწყება პირდაპირ და უშუალოდ. მოქმედება ხდება უშუაგულ ტყეში. მწერალი თვითონ ამ სამყაროში მეტად ღაღად გრძნობს თავს. დახვეწილი ფერადოვნებით მოგვითხრობს ფრინველთა დიდებულ თავყრილობას. "ჩხიკვი ზაქარა იწერდა ჯგარს ღამაზს, სიტურფით ვანთქმულს და მეტისმეტად ეშმაკ ჩხიკვ ქეთევანზე". ამ ორ ახალ-ვაზრდას ჯგარს სწერდა მცხოვანი თოძა. არაფერია გასაკვირი, რომ ჩხიკვებს ადამიანის სახელები ჰქვიათ. აქ მხოლოდ ანალოგიაა, ალუგორია არ აინტერესებს მწერალს. ისინი ერთმანეთს "ბიჭოს" და "კაცოს" ეძახიან, ღვინოს სვაძენ, ყანწებს სცლიან, და მაინც თავიანთი საკუთარი ცხოვრება აქვთ, თავისთავადი ღირებულება გააჩნიათ. ეს ხერხი ბავშვებში მხიარულ განწყობას იწვევს და არა გაკვირვებას. კოდაღას "მრავალჯამიერი" იმდენადვე ბუნებრივად გვეჩვენება, როგორც მის მიერ ნუფე-დედოფლისათვის მოგროძო და მსუქანი ჭიკყელის მართმევა.

"ღვინოს სვაძენ და პურს სჭაძენ, სიმღერას არ იტყვიანო",—ამბობს ყვავი და უსიმღერო სუფრას გამართობადა და მხიარულების მოთავედ გაუნდება.

განსაკუთრებით სასაცილოა წრუწუნა, რომელსაც თხილი ქვეყანას ურჩევია და ღვინოს კი აძალებენ. შემთვრალი ათასგვარ ბაიათებს მოჰყვება და თან ცეკვავს. ფრინველთა მშვენიერება ბუღბუღი მღერის, აცოცხლებს არემარეს, აქებს დედაბუნებას, სიყვარულს არწივისა კი ყველას ეშინია და ამიტომ პირში აქებენ და ფეერებიან. როცა კოდალა აუხირდება, შენ მეფობა გინ მოგცაო, ის დიდსულოვნად უთმენს მთვრალ ფრინველს, სამაგიეროდ შეშინებული სხვა ფრინველებს მისცვივდებიან კოდალას, ნისკარტში წბილას გაუყრიან და ხეზე შიბაბამენ. არწივი მანც იჩენს მეფურ ღირსებებს. როცა ბოროტი ძელა დედოფალს მოიტაცებს, მხოლოდ იგი შესძლებს სარძლოს დახსნას და სახიძოსათვის ჩაბარებას. ნისკარტდაღებული ეძკერება ძელას და ერთ წამში სულს გააფროთხოვინებს. კოდალასაც აბატებს შეცოდებას და ვაათავისუფლებს. შემდეგ აფრინდება მაღლა, სულ მაღლა, ცას ვაეკრობა და იქ დაიწყებს ტრიალს.

მეფე-პატარძალმაც ხვევნა-კონცაში ვაატარა ის დღე და "საღამოს ერთი წიფლის ტოტზე დაეძინათ გვერდის-გვერდ", - ამთავრებს თხრობას მწერალი. როგორც ვხედავთ, აქ ჰარმონია, ღიმილი, სიმშვიდე მეფობს. როგორც ვრ. კიკნაძე აღნიშნავს, "ამ მოთხრობაში, ვაჟას მაღლიანი ნიჭის წყალობით, მთელ სამყაროში უწყინარი ღიმილია დაღვრილი".

თუმორი ვაჟა-ფშაველას საყმაწვილო ნაწარმოებების ერთი უპირველესი ნიმუშია. ეს მანერა გამოყენებულია მოთხრობაში "სათაგური", რომელიც პირველად დაბეჭდა ჟურნალ "ნაკადულის" 1908 წლის N2-3-4-ში.

მოთხრობაში ორი სამყაროა წარმოდგენილი: ადამიანებისა და თავგებისა. ორივეში პარმონია და ჰუმანურობა მეფობს, რადგან მთავარ მოქმედ პირებად დიდსულოვანი, კეთილი სულგროძელი არსებანია გამოყვანილი.

ძია ესტატე მთელი სოფლის საყვარელი კაცია: საუკეთესო თამადა, გულკეთილი მასპინძელი, ქკუის დამრიგებელი და თუმორის მქონე.

შობის დღე თენდება და ესტატეს ქალაქიდან საჩუქრები მოაქვს შვილიშვილებისათვის, რძლისა და ცოლისათვის. ესტატეს სულგროძელად უყვარს თავისი ბებერი ცხენი და სიყვარულით "მერანს" ეძახის. საშობაოდ მოწვეულ სტუმრებს ღირსეულად მასპინძლობს.

მეორე მხრივ, მოქმედება მიმდინარეობს სათაგვეთში. გმირი ფიცხელა თანამომქმეებს ბელადობს და განჯინაში მოუძღვის. აქ კ

უცნაური მანქანა სათაგური დაუდგამთ და ვერავინ ბედაც ახლოს მიკარებას. კარგადაა დახასიათებული თავგები ცალ-ცალკე და სახელებიც მათი ბუნების მისადაგებითაა შერჩეული: კუდა, ცქმუნა, ეცა, ბეცა, ნემსა და ა.შ. ფიცხელა გმირული სულისკვეთებითაა სათაგურში ამოჰყოფს თავს. იგი აქაც არ იტყვის ისტობარს. ნემსა დროს იხელთებს და ნიშნს უგებს. ბოლოს თავგები გადაწყვეტენ, ისხნან ფიცხელა, კუდებით ერთმანეთს გადაებმებიან და სათაგურის მიცურებას აპირებენ თავიანთ სოროში. როცა სათაგურს გამოიღებენ, მას თან გამოჰყვება ასხმულ თავგთა მთელი ჯგუფი. ძია ესტატე, ყველასდა გასაკვირად, ათავისუფლებს ფიცხელას და ამბობს: "მე, როგორც თამადა ვათავისუფლებ ამ თავგს, რადგან დღეს საუფლო დღეა, და ეგ თავგიც რითიმე შესანიშნავია, რომ თავის თანამოქმეთა თანაგრძნობა და სიყვარული მოუპოვებია. ხომ ნახეთ, როგორ ეშველებოდნენ თავგები და უნდოდათ მისი გათავისუფლება? უნდა გავათავისუფლოთ". ამ სიტყვებში გმირისადმი, "კაი ყმისადმი" პატივისცემა იგრძნობა, თუნდაც იგი სათაგვეთის მოდგმისა იყოს.

აქ კომპოზიციური შექმნილია სერიოზული თხრობით. ვაჟას არ სჭირდება სასაცილო ფრაზებისა და გამოთქმების მონახვა, ძალიან სერიოზულად მოყოლილი უმნიშვნელო ამბავი სწორად უფრო სასაცილოა, ვიდრე იუმორისტული ფორმით წარმოდგენილი ამბავი. სწორადაა შენიშნული ქართულ კრიტიკაში, რომ თუ ვაჟას პოეზიაში იუმორი თითქმის არ იგრძნობა, მოთხრობებში იგი პირდაპირ სჩქეფს.

ფრინველებისადმი დროა სიყვარულის იდეაა ჩადებული მოთხრობაში "ბუნების ძეგლები". ამბავი აქაც უშუალოდ, ყოველგვარი შესავლის გარეშე იწყება, "შაშვი ამჟამად თავს გამარჯვებულად სთვლიდა. აღფრთოვანებული იყო". ამ სიტყვებით მწერალს შეეყვარათ ბუნების წიადში და დიდი მასწავლებლის ოსტატობით გვიხსნის და გვაცნობს ფრინველთა თვისებებს, მათს დარდას და წუხილს. აქ, ისე როგორც ყველგან, ძლიერი სუსტს იბრყვებს, მაგრამ ამ სუსტსაც ძალია შესწევს თავის დახსნისა. დღეს შაშვი იმით იყო ბედნიერი, რომ შეიღებს მტერი აარიდა, შორს გაიტყუა. შაშვის გალობა ძალი ბუღბუღმა შეცვალა. "მისი მშვენიერი, ტკბილი გალობა სული წმინდად ქმნიდა მთის ბუნებას თავისი ცით და დედაპიწით, თავადაც დამდნარი შეერთვოდა ამ სული წმინდას და ყოველი მსმენელის გული დაესვა თავის ლალ მსუბუქ ფრთებზე და ბედნიერად ქცეულს, არწევდა, აქანავებდა".

მაძა-შვილის საუბარში გაცოცხლებულია იუბილის მონაწილე ყველა ფრინველის სახე. სათითაოდაა დახასიათებული არწივი, სვაფი, შაშვი და სხვ. სიტყვებიც სათანადოდაა შერჩეული: გამთავლამუნებს ყვაფი, რომელიც არწივს ჰბაძაქს და თავისი სიტყვებითაც უფრო მას აწონებს თავს, ვიდრე იუბილარს. ჩხიკვი ჩუქად ქოქილას აყრის სვაფს. ამ დროს შემოიჭრება შევარდენი და ყვავს გამთაძევებს. ყვაფი და ძერაც მათ ბაძავენ. მტაცებლების შემდეგ ჯერი დგება მშვიდობიანი ფრინველებისა. ისინი გუნდად შემოეხვევიან ბუღბუღს და ულოცავენ იუბილეს. საერთოდ, ისეთი ჰარმონიაა, რომ მტრობა სახსენებელიც არ არის. მაგრამ ამას არღვევს მაძა იროდიონის შენიშვნა, რომ ამ დროს ერთმა ქეციაძმა ტურამ რომ დაინხავლოს, მთელ სიაშოვნებას დაარღვევსო, შვილი ამას დუმილით სვდება. ბუღბუღი ისე გალობდა, რომ მტერი სახსენებელიც არ იყო.

გალობდა ბუღბუღი და "აერთებდა ცასა და მიწას, აზავებდა ერთს მეორესთან ისე, კაცს ეგონებოდა, ამიერიდან ცა ჭიანჭველასაც კი არ გასჭყლეთავდა დედამიწაზე, განაღამც დაუშავებდა რასმე ადამიანს?!".

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ძირითად პერსონაჟებს წარმოადგენენ მცენარეები, მთები, წყარონი და სხვა სარგებლობის მომტანი არსებანი. დაწყებული ფესვებითა და ვათავებული ხმელი წიფლით, დაწყებული ღურჯთვალა ითია და დაშთავრებული მთის წყაროთი, ყველანი სიკეთით სავსე ცოცხალი არსებანი არიან, რომელთაც სიცოცხლე იმისთვის უნდათ, რომ დაამშვენონ ქვეყანა და გამთადგენ ადამიანებს. ისინი ამხელენ სიცოცხლით ტკობის უნარს და თავიანთი არსებობის აზრს ამართლებენ.

ია ლაბაზი და მომხიბლაგი ყვაფილია, ვაჟას მიერ შემწეული მშის სინათლეზე გამოტანილი, ბოქტის აღმოჩენილი და შესავარებელი. იგი ბედნიერია, რადგან თავისი სილაბაზით ატკობს ტყეს, ბალახს, კლდეს. წვერხმელი ხეებიც მას დაჰხარაიან, პირდაპირ შხაპუნა წვიმას არ უშვებენ, ჩვენს იას არ შესცივდეს, ფოთოლი არ გასცივდესო. ასევე უხარიათ სიცოცხლე ღაბუა ჩიტებსაც. მხოლოდ ადამიანი უმოკლებს მათ სიხარულის დღეებს. მოვილა კაცი, მოიტანა ცული და დაუწყო წიფელს მოჭრა. ვერ გაიფო კაცმა, წიფელს როგორი თხერა აღმოხდა. მერე ქედანს ესროლა, ისიც ჯერ ფხვით ჩამოეკიდა, მერე ძირს ჩამოვარდა, სისხლი წამოუვიდა ნისკარტიდან და თვალეები დახუჭა.

ყველა მცენარეს მოკლე სიცოცხლე აქვს ბუნებისაგან მინიჭებული და იმასაც ადამიანი კიდევ უმცირებს. მოთხრობას ვაჟა ლექსით ამთავრებს:

ოა დაიწყებს კვდომასა,
დაიქვითინებს: "ვაჰქეო!
თუ გამაჩინე, უფალო,
დიდი დღე რად არ მაქეო.

ასეთივე კეთილია პატარა წყარო /"მთის წყარო"/. მისი აზრით, სიხარულის მინიჭება სხვებისათვის ყველა სულდგმულის ამქვეყნიური მოვალეობაა. "არაფერი ცოდვა არ მიქნია ჩემს ცხოვრებაში, — იწყებს მთის წყარო საუბარს, — ვერცერთი სულიერი, თუნდ უსულო ჩემს ცოდვას, ჩემს სიკვებს ვერ იტყვის". ამის შემდეგ წყარო ჩამოთვლის იმ სარგებლობას, რაც მას მოაქვს ცხოველების, მცენარეებისა თუ ადამიანებისათვის. იგი სასტიკ პროტესტს აცხადებს ძლიერის მიერ სუსტის ჩაგვრაზე. "ორისა თუ სამის ვერსის სიგრძეზე ვარ მხოლოდ ბუნდური, მერე დამლევენ, ჩამნთქავს უზარმაზარი მდინარე, დაიკარგება ჩემი სახელი, ჩემი ვინაობა". და დიდი მდინარის ყველა ცოდვა მასაც აეკიდება.

პატარა წყარო სიზმარშიაც სიკეთის გამოლევასზე ფიქრობს და არა იმდენად თავის დაღუბებაზე. სიკეთე, მადლი უკვალოდ არ იკარგება. ვადარჩა მთის წყარო. დილით ქორაფმა ჩამოსძახა: "ნუ გეშინია, პატარავ, არ დაშრები, არ დაიკარგებიო". ამავე საზრუნავითაა გართული მუნის ძველი ფესვები. ისინი ყოველთვის თავისი შვილის გამოკვებაზე ფიქრობენ. მკაცრმა ადამიანმა მოუსპო მუნას სიცოცხლე და უწომოდ შეწუხებული ფესვები მოთქვაძენ: "განა რომ ხელს არ გამოვიღებთ, თავშირს არავის ვაკაწრით, არა ვლანძღავთ, წასულის არ მივსდევთ და მოსულს მრისხანე სახით არ ვუხვდებით, ამიტომ არაფერს ვგრძნობთ?" და ბოლოს ვედრებასავით ისმის ფესვების სასო-წარკვეთილი სიტყვები: "დედამიწავ, კიდევ ვაგვიჩინე ბინა".

ადამიანურ ენაზე მოთქვაძენ მადალი მთებიც /"მთანი მადალნი"/. ბუნებისაკენ აბსოლუტური სძენის მიპყრობით ვაჟა გადმოგვცემს მთების განცდებს, მათი დიდი მღვდლის უნარს. სწორად ამ ნაწარმოებში პატრიოტულ მოტივს ეძებენ და ეს ისეთივე ბუნებრივია, როგორც კიდევ სხვა ანალოგიების დაძებნა. ჩვენი აზრით, ვაჟას თვით

მთების დანიშნულების გაგება სურს, მათი არსებობის ამოცნობა, მათი დამალული გულისთქმის მიხვედრა.

მთებსაც აქვთ თავისი გამოფხიზლების უამრავი. როცა ყველა სულდგმულს, მწერს, ბალახს, ყვავილებს ჩაეძინებათ, მხოლოდ მაშინ ამოიხსრებენ და ცრემლსა ღვრიან. მწერალს იმდენად ვასულიერებულად ჰყავს წარმოდგენილი მთები, რომ მთელი გულწრფელობით ეკითხება: "რატომ არ მღერით, მთებო? რატომ არ იცინით, ისე უნდა მოგკვდე, რომ თქვენი ხმა, თქვენი სიმღერა ვერ გავიგონო? რატომ არ იცინით? ღიმილი მაინც მაჩვენეთ თქვენი, კარგებო!".

მთების შვილი ლაღი არწივია, მათ ამბებს ღმერთს ატყობინებს. მთებს როცა ოცნება მოეზღვაგებათ, ფერად ყვავილებს გამოჰფენენ ხოლმე გარეთ.

უკმაყოფილების, მიღწეულით ტკობის უნარი არავის გააჩნია და არც მთებია ამ მხრივ გაქონაკლისი. რაღაც ოცნება აინდინეს, მაგრამ "სხვა ახალი მისწყურება იმათ თვალსა და გულს. ეს ხომ თვალ-გულის გაუშაძრობაა? სწორედ რომ ისაა", — ამთავრებს კიდევ ერთ საინტერესო მოთხრობას დიდი ვაჟა.

სიკვდილ-სიცოცხლის საქირბოროტო საკითხია დასმული მოთხრობაში "ხმელი წიფელი". ახალგაზრდობისა და სიბერის მონაცვლეობა, სახელოვანი სიკვდილი და უსარგებლო ყოფის არარაობა წიფლის მაგალითით თვალნათლივაა წარმოდგენილი. გაშხმარ წიფელს ერთი ნუგეშია დარჩენია ამ ქვეყნად. ესაა პატარა ყლორტი მის ფესვზე ამოსული, "რომელიც წვიმასა და მზეს უცდის, რომ გაიზარდოს".

ვაჟა-ფშაველას საყმაწვილო დრამატურგიაშიც უცდია ბედი. დაუწერია პიესა "ტყის კომედია", რომელიც პირველად დაიბეჭდა ჟურნალ "ნაკადულის" /მოზრდი/ 1911 წლის N3-ში. ამ ნაწარმოების მთავარი მოქმედი პირები თავგები არიან. თავიდან ბოლომდე პიესას თუმორისტული კილო ვასდეგს. აქ თავგები ადამიანებივით იქცევიან, ერთმანეთს თხილებს ჰპარაგენ, მამასახლისსა და ნაცვალოთან ჩივიან, მტყუანსა და მართალს არჩევენ და დამნაშავეებს აბატმირებენ.

როგორც ვხედავთ, ბავშვთა ინტერესების დაკმაყოფილებას ვაჟა-ფშაველა მხატვრული ლიტერატურის ყველა უბანში ახერხებს.

ქართველ ხალხოსან მწერალთა საბავშვო ნაწარმოებები



ქართველი ხალხოსანი მწერლები მიზნად ისახავდნენ ვლესობის ყოფაცხოვრების მძიმე პირობების შემსუბუქებას, მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, თავისუფლებისა და თანასწორობის დამყარებას.

ისინი თავიანთი პრაქტიკული მოღვაწეობისა თუ მხატვრული შემოქმედებით მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი ხალხის მასებთან, ვათავისებული პქონდათ მათი ქირიცა და ლხინიც, კარგად იცნობდნენ მათ ღირსებებსა და ნაკლოვან მხარეებსაც, ამიტომ მთელი თავიანთი მხატვრული შემოქმედება მშრომელთა საზოგადოებრივი ცხოვრების მოწესრიგებისათვის ბრძოლის სამსახურში ჩააყენეს.

ქართველი ხალხოსანი მწერლები განიცდიდნენ რუსი ნაროდნიკების ერთგვარ გავლენას, იზიარებდნენ მათ მიერ შემუშავებულ თეორიებს, ლიტერატურას უტილიტარულ მოთხოვნებს უყენებდნენ, მაგრამ ამ უკანასკნელის თვალსაზრისით თერგდალეულთა პოზიციებზე უფრო მყარად იდგნენ, ვიდრე ვლესური რევოლუციის მქადაგებლებისა. რუსული მოძღვრებისაგან განსხვავებით, ქართველი ხალხოსნები საკმაოდ დიდ ადვილს უთმობდნენ ეროვნულ-პატრიოტულ მოტივს, რაც რუს ნაროდნიკებს ყურადღების მიღმა რჩებოდათ.

ეროვნული თვითშეგნების ვალვივება, ერის მტკივნეული საკითხების წინ წამოწევა - მნიშვნელოვან ადვილს იკავებდა ქართველ მოღვაწეთა არამარტო პუბლიცისტურ წერილებში, არამედ ბელეტრისტისტიკაშიც.

რა თქმა უნდა, ეს არ გამოირიცხავს მათ შემოქმედებაში სოციალური მოტივის გაბატონებას და უპირველეს ყოვლისა, სწორედ მასზე ყურადღების გაშახვილებას.

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ახალ სოციალურ წყობასთან ერთად სოფლად ახალი ექსპლოატატორები გაჩნდნენ. ვლესობის მოსარჩლე და თანამოაზრე მწერლები იბრძოდნენ მათი ადამიანური უფლებებისათვის და ამ დუსქირი ცხოვრების გარდასაქმნელად. ისინი ხედავდნენ რა ვლესობის პოლიტიკურ, მორალურსა და სოციალურ ყოფას, გამოქქონდათ დასკვნა, რომ საზოგადოების დიდი უმრავლესობა

- ვლესობა უფსკრულის წინ იდგა და შეველა სქირდებოდა. ამით ისინი საქართველოს გადარჩენისათვის იბრძოდნენ. ააშკარავედნენ იმას, რომ მიწაზე მიჯაჭვული მშრომელი დარჩა უწყალო მამასახლისების, ვაჭრების, მღვდლებისა და სხვა შნაგვრელთა სისხლის საწოფელ ობიექტად.

ამ საკითხების სხვადასხვა კუთხით წარმოიჩინას ემსახურება ნიკოლოძეთის "ყოველის მხრიდან", "ქრისტიანი ლეკები", "ბედი უბედურთა", "წუთისოფელი": ს.მგალობლიშვილის "ცვრევაზე", "ღამის მუხრე ცეცო", "ჯორ-ზაქარა", "გმირისეულის ქალი", "დეპეტრეს სახლობა"; ანტონ ფურცელაძის "მართა", "ქიტესა"; ზაქარია გულისაშვილის "განთიადი", "მეტევე", "ბედნიერი კუნჭული" და სხვ. ამ ნაწარმოებებში ვლესობის დადებითი სახეების გვერდით ნაჩვენებია ახალ ექსპლოატატორთა, ყოფილ მებატონეთა, ჩარჩ-ვაჭართა, ბიუროკრატ მოხელეთა მხატვრულად დაძაჯერებელი უარყოფითი ტიპაჟი. ეს თხზულებები გამოიჩიევა ყოფითი დეტალების ღრმა ცოდნით, სოციალური ყოფის გამახვილებული მგრძობელობითა და ვლესობა გასაჭირის ორგანული გათავისებით.

ქართველ ხალხოსანთა შემოქმედებაში ასევე გაბატონებულ ადგილს იჭერს ეროვნული თემატიკა. ამ მოტივზე ქმნიდნენ არამარტო ცალკეულ ნაწარმოებებს, არამედ ეს საკითხი ყველა სხვა მოტივზე შექმნილ თხზულებებშიც იჭრებოდა. ამ მხრივ აღსანიშნავია ნიკოლოძეთის "წინაპართა აწრიდონი", "ხერხი სჯობია ღონესა"; ს.მგალობლიშვილის "დიდ ზალაში", "წარსულიდან", "მოვანებები"; ანტონ ფურცელაძის "დავით აღლანიშვილი", "მაცი ხეიტი"; ზაქარია გულისაშვილის წერილები სამხრეთ საქართველოზე. ხალხოსანი მწერლები, მხეგასად თერგდალეულებისა, ეროვნული გადაგვარების მოსალოდნელ საფრთხეზე ამახვილებდნენ ყურადღებას და რეკავენ დედოზარებს.

ხალხოსნები ნათლად სედაგდნენ, რომ უსწავლელი და გაუნათლებელი ვლესკაცობა თავის მძიმე ბირთვებს კიდევ უფრო თუარესებდა ათასგვარი ყაღბი ტრადიციებითა და ცრურწმენით. მათ მიზნად დაისახეს ცხადად ეჩვენებინათ ის უმეცრება, რომლის ტყვეობაშიც ისინი საუკუნეების მანძილზე იმყოფებოდნენ, თვალნათლივ დაუნახვებინათ ის მძიმე შედეგები, რომელიც მოსდევდა ბრმა შორნილებასა და მკითხავეებისადმი უკრიტიკო დამოკიდებულებას. ამიტომ მათ შემოქმედებაში წინ წამოიწია ცრუმორწმუნეობისადმი ბრძოლის

იდეამ. ამ მიზნითაა შექმნილი ნ.ლომთურის "ალი", "ქაჯანა"; ს.შვა-
ლობლიშვილის "დედა მათა", "წარსულიდან".

ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ ბრძოლა ისე არ უნდა გაგვივით,
თითქოს ზემოხაზოთვლილი მწერლები ურწმუნონი იყვნენ და ჰუმორ-
ბდნენ ქრისტიანულ მოძღვრებას, როგორც ეს შემდგომში კომუ-
ნისტებმა ჩაიდინეს. არა! ისინი აღზრდილნი იყვნენ საღვთო რჯულით,
ქრისტიანული სულისკვეთებით, თვითონაც გამოსულნი იყვნენ
სასულიერო წრიდან /სწორედ ამიტომ აკაკი მათ "დიაკვნის შვილებს"
უწოდებდა/; ღვთისადმი რწმენა და მოწიწება ეტყობა მათ ყოველ
ნააზრევსა და ნაფიქრალს. მაგრამ ეს ხელს არ უშლიდათ, ებრძოლათ
მაგნე ტრადიციების, მკითხავეებისა და მარჩიელების წინააღმდეგ,
/რასაც თვით მართმადიდებელი ეკლესიაც ქადაგებდა/. ისინი ილა-
შქრებდნენ გაუნათლებლობის წყალობით დამახინჯებული ქრის-
ტიანული მორალის წინააღმდეგ.

ამ მხრივ მეტად საყურადღებოა ზ.გულისაშვილის /შაქროს/ ამ
თემაზე დაწერილი მოთხრობები. გლეხობის რწმენა ქაჯებისა და ავსუ-
ლების არსებობისა აქ ვაგებულება, როგორც მათი პოეტური სულის
გამოვლენება, თავიანთი ერთფეროვანი მოსაწყენი ცხოვრებიდან თავ-
დაღწევის საშუალება. ასეთი ფერებით დახატა პოეტური სულის
მქონე, შრომაში თავწაკლული მარტივანთ პაპა /"მარტივანთ პაპა"/,
რითაც იგი ვიორგი ლეონიძის პროზის უჩვეულო გმირების წინა-
მორბედად იქცა. ამ მოთხრობის ერთ-ერთ პერსონაჟ - ხასარეს ღვო-
ნიძეც იხსენიებს თავის წიგნებში.

რაც შეეხება შეხედულებას, რომ ქართველი ხალხოსანი მწე-
რლები ლიტერატურული ენისა და მხატვრობის მხრივ სცოდა-
ვდნენ, იძლეოდნენ გაქიანურებულ აღწერებს, ახდენდნენ ცხოვრების
დეტალიზაციას, /რაც სინამდვილეს ერთგვარად შეესაბამება/, ამ მხრივ
სრულიად განსხვავებულად იკითხება მათი საბავშვო თხზულებები.
ხმაძაღლა უნდა ითქვას, რომ ხალხოსნები გადმოსცემენ ამბებს
ყმაწვილებისათვის გასაგები ბუნებრივი ენით, ლაკონიური ფრაზებითა
და მაღალმხატვრული ოსტატობით. ამიტომაც იყო, რომ დიდი იაკობი
მათ ნაწარმოებებს ათავსებდა თავის "დედა ენასა", "ბუნების კარში" და
სხვადასხვა კრებულში. ასე მაგალითად, "ბუნების კარში" შეტანილია
ნ.ლომთურის "ყინვა და პატარა მოწაფე", "და-ძმა" /"ქაჯანადან"/;
ვკ.გებაშვილის "ჩვენი კაკლის ხე", "მაგდანას ლურჯა"; ს.შვა-
ლობლიშვილის "ყაყიტას ქურდი" და სხვ.

ხალხოსნებმა მხატვრულ ნაწარმოებებში პირველებმა შექმნიეს ბავშვები მთავარ პერსონაჟებად და მათი თვალთ დანახული სამყარო გვაგრძობინეს. დამაჯერებლად დახატეს მათი სასიამოვნო, ბედნიერები, ფსიქოლოგიური განცდები. ისინი პატარების მთლიანად საქციელთ კი არ დაინტერესდნენ, არამედ ღრმად ჩაგვახედეს მათ სულში და მრავალ საკითხზე ჩაგვაფიქრეს. მანამდე ქართული საბავშვო ლიტერატურა, ძირითადად, დიდაქტიკური ხასიათისა იყო. უფროსი თაობა ასწავლიდა და არიგებდა პატარებს, ახლა კი თვითონ უმცროსი თაობა გვასწავლის მათდამი დამოკიდებულებას, გვიშლის თავიანთ ფსიქიკურ შრეებს, გვიზიარებს თავიანთ აზრებსა და მისწრაფებებს. ეს ქართველ ხალხოსან მწერალთა დიდი დამსახურებაა.

ხალხოსნების საბავშვო თხზულებებში ფართო ადგილს იჭერს სწავლა-აღზრდის პრობლემა. ამ საკითხს უძღვნიან როგორც ცალკეულ ნაწარმოებებს, ისე მთელ თავებს სხვა მოთხრობებიდან. ეს გასაგებია, რადგან ხალხოსნები, რომლებიც სწავლა-განათლების შეტანას გლეხობაშიც კი ნომერ პირველ ამოცანად მიიჩნევდნენ, რამდენად უნდა ყოფილიყვნენ დაინტერესებულნი მოზარდების სწავლა-აღზრდითა და განათლების მიღებით?! თვითონ პედაგოგები ყმაწვილების აღზრდისა და განათლების დონის ამადლებას მხატვრული სიტყვითაც ჰქადაგებდნენ და დამაჯერებლად უჩვენებდნენ ამ უზოთ მიღებული სიკეთის უპირატესობას. ილიას, აკაკის, გ.წერეთლის, გოგებაშვილის მსგავსად ისინიც დაუნდობლად ილაშქრებდნენ იმდროინდელ სასწავლებლებში დამკვიდრებული დოგმატურ-სქოლასტიკური მეთოდის წინააღმდეგ, ებრძოდნენ როზეის, "ლინეის" ვამოყენებას და ასევე ეროვნული დისკრიმინაციის ყოველგვარ გამოვლიანებას.

საბავშვო ჟურნალებმა "ნობათმა"/1884წ/, "ჯეჯილმა"/1890წ/, "ნაკადულმა"/1904წ/ გზა გაუხსნეს ხალხოსანთა საყმაწვილო ნაწარმოებებს, გამოამწეურეს მათი საუკეთესო ქმნილებები და დიდი ვაღდებულება-პასუხისმგებლობის წინაშე დააყენეს.

ნიკო ლომოური

/1852-1915/



ნიკო ლომოურიმა შემოქმედებითი მოღვაწეობა ლექსებით დაიწყო. მოწაფეობისას ხელნაწერ ჟურნალ "სრომაში" ათავსებდა სოციალურ მოტივზე დაწერილ ორიგინალურსა თუ ნათარგმნ ლექსებს. შემდეგში გაზეთ "დროებისა" და ჟურნალ "მნათობის" ფურცლებზე აქვეყნებდა თავისუფლების მქადაგებელი პოეზიის ნიმუშებს. "ივერიის" ერთ-ერთმა რეცენზენტმა, რომელმაც შემდეგში "ქოჯანას" ძალიან მაღალი შეფასება მისცა, ურჩია ლომოურს, ხელი აეღო ლექსების წერაზე და პროზას გაპყლოდა. კრიტიკოსი წერდა: "რაც შეეხება ლექსების შინაარსს, მათ აზრს, ეს ისევ ის ძველი, დაშორებული, ფექსქვეშ გაფლანგნილი, რამდენჯერმე გადაღეჭილი და უსაგნო პანგებია ვლესების სიღარიბეზე, რომელმაც კარგა ხანია ყველას თავი მოაბეზრა და კბილი მოსჭრა"¹. მართლაც, ნიკო ლომოურიმა ლექსების წერას თავი დაანება.

ნიკო ლომოურის პოეზიიდან, შეიძლება ითქვას, ლიტერატურულ მეტკვადრეობას შემორჩა მხოლოდ ერთი საბავშვო ლექსი "ყინვა და პატარა მოწაფე", რომელიც იაკობ გოგებაშვილმა თავის "დედა ენაში" შეიტანა და ამით უფრო პოპულარული გახდა.

როგორც აღვნიშნეთ, ქართველი ხალხოსნები საბავშვო ლიტერატურას მიზნად უსახავდნენ მოზარდებში სწავლის სურვილის გაღვიძლებას, როგორც ერის წინსვლისა და განვითარების საქმეში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას. ამ საკითხის დღის წესრიგში დაყენება ახალი არ იყო ქართული მწერლობისათვის. არჩილ მეფიდან დაწყებული და ვაჟატი დამთავრებული, - თითქმის ყველა მწერალი თავის ზრუნავს საგნად მიიხსენებდა სწავლა-განათლებისა და გონიერი აღზრდის პრობლემის მოგვარებას.

იაკობ გოგებაშვილს თავის სახელმძღვანელოში სპეციალური თავი უკმარებდა გამოყოფილი "მითხრობები და ლექსების სწავლის

¹ "ივერია", 1886, N6, გვ. 3.

შესახებ". ამიტომ ბუნებრივი იყო მთელი იმდროინდელი მოღვაწეების ინტერესი ამ საკითხისადმი.

ნიკო ლომოურიმა რუსულიდან თარგმნა ლექსი "ყინვა და პატარა მოწაფე". თარგმანი ისეთი ძალადი ოსტატობითაა შესრულებული, რომ დღეს აღარავის ახსოვს მისი პირველწყარო და ლექსი ორიგინალურად აღიქმება. აქ დახატულია პატარა ბეჯითი ბავშვის თავგანწირული სურვილი ცოდნის დაუფლებისა და ამ მიზნით ყველა სხვა დაბრკოლების დაძლევის საოცარი უნარი.

სოფლიდან მომავალი პატარა მოწაფე მთელი ძალით ებრძვის ყინვის საშინელ მარწმუნებს. ზამთრის ამ საშინელი სუსხიანი დილის ფონზე ინატება ბავშვის უდიდესი ნებისყოთა და სიმძნელეთა დაძლევის დიდი წადილი. ყონვა ბატონკაცურად დააბიჯებს დედაძინაზე, ორგელივ სიცივე და სუსხი გამეფებულა:

თოვლით დაფენილს ტრიალს მინდორსა
თითქოს ღრმა ძილით ჩასძინებოდა
და ხშირსა ტყესა ჩადრწამოსხმულსა
სახე სრულიად გაშეშებოდა.

სინუშე მკვდრის ძილივით ჩამოწოლილიყო, არ ისოლდა "არც ნადართა ხმა, არც კაცთ ძახილი". და აი, ამ სასტიკ და პირქუშ დილას გამომწინდება წიგნებით ხელში პატარა ბავშვი. ყინვა მაშინვე მას მიაშურებს და გამაფრთხილებელ ნიშანს აძლევს: "გირჩევ ახლავე დაბრუნდე შინა!". რადგან ბავშვი არ უსმენს და არ ემორჩილება, ყინვა მთელ თავის ძალას იმაზე სცდის: "უმატებს სუსხსა და ცეცხლსა ანთებს იმის ლოყებზე და ყურებზედა". ბავშვს სიმწრის ცრემლები გადმოსცვივა, "ვაიჰე, დედაო!" – კიდევ დაიძახებს, მაგრამ გუნას მანც აგრძელებს. ცოტაც და სკოლის განათლებული ფანჯრებიც გამოჩნდება:

მირბის პატარა, მირბის და აკერ
სკოლის ფანჯარა, ცეცხლის შუქიცა,
სულ დააგწყდა მაშინვე იმას
ყინვაც და მისი ბაქი-ბუქიცა.

როგორც ვხედავთ, ამ ლექსში მარტო სწავლისაკენ მოწოდება კი არ ჩანს, არამედ იკვეთება თვით პატარა ბავშვის ხასიათი, მისი დიდი ნებისყოფა, მიზანდასახულობა და ბრძოლისუნარიანობა. რაც იმის საწინდარია, ასეთი ახალგაზრდების სახით საუკეთესო მოქალაქეებს მივღებთ სამშობლო-ქვეყანა.

ნიკო ლომოურის უფრო დიდი ნიჭი და უნარი ბელეტრისტიკაში გაცხადდა. თვითონ მეტად ტკბილმოუბარი მწერალი მშვენიერი დახვეწილი ენით თხზავს საბავშვო მოთხრობებს. ნიკო ლომოური საყმაწვილო ნაწარმოებთა ერთ მთავარ სპეციფიკურ ნიშნად მიიჩნევდა მაღალი ზნეობრივი კატეგორიების ქადაგებას გაპართული ლიტერატურული ენით: "ყოველ ნამდვილ პოეტურ ნაწარმოებს უსათუოდ სამი უმთავრესი ღირსება უნდა ჰქონდეს, - წერდა იგი, - წმინდა ლიტერატურული ენა, ცხოველი ვერძნობა და რაიმე მაღალი ზნეობრივი აზრი, მისწრაფება, იდეა".

სწორედ ამ ღირსებების მატარებელია მისი "ალი" და განსაკუთრებით, "ქაჯანა", რომელშიაც მწერალმა დახატა ცრუმორწმუნოების წინააღმდეგ ბრძოლის სურათები და ბავშვთა სამყაროს, მათი რთული ფსიქოლოგიური სიღრმის თავისებურება. მან ამ ნაწარმოებში პერსონაჟებად თვით ბავშვები შემოიყვანა და მათი ცხოვრების საინტერესო მხარეებს გვაჩიარა.

"ქაჯანა" პირველად დაბეჭდა 1881 წელს ჟურნალ "წყაროს" №1-ში ღვევ ცაგველის ხელმოწერით. 1886 წელს ზ.ჭიჭინაძემ ცალკე წაგნად ვაშოსცა და ავტორის ნებართვით მას "ქაჯანა" უწოდა, ამ სახით მოვიდა ჩვენამდე.

მართალია, ამ ნაწარმოების მთავარი იდეა ცრუმორწმუნოების მავნებლობის ჩვენებაა, მაგრამ იგი ყურადღებას იმყრობს თვით პერსონაჟთა სულიერ სფეროში ღრმა წვდომითა და ეპოქისეული პრობლემებით დაინტერესების თვალსაზრისითაც.

მწერალმა გვიჩვენა, რომ ორი დაპირისპირებული ხასიათი ყოველთვის როდი ნიშნავს განსხვავებულ უკიდურესობებს: დადებითსა და უარყოფითს. ორი არსება შეიძლება ერთმანეთს სულაც არ ჰგავდეს, მაგრამ ორივე ღირსეული იყოს და სხვადასხვა მხრივ ემსახუროს ხალხსა და ქვეყანას. კატოსა და ქაჯანას პირადი განსხვავებული თვისებები სულაც არ უშლის ხელს იმაში, რომ ძალიან უყვარდეთ ერთმანეთი, ორივე ნიჭიერი და გონიერი იყოს და ორივეს საზოგადოების ყურადღება და ზრუნვა სჭირდებოდეს.

მართლაცდა, რითი ჰგვანან ერთმანეთს ქაჯანა და კატო? ქაჯანა თუშცა ცქვიტი და მოძრაგია, სიკეთისა და სათნოების განსასიერებაა, ხალხის სული და გულია. სტის, დარბის, მღერის თავისი წკრიალა ხმითა და ატკობს მსმენელს. "როდესაც ამას /"გოგონას"/ დაიწყებდა, დიდი კაცებიც კი მოვიდოდნენ სოლმე, დადგებოდნენ შორიანსლო და დაუგდებდნენ ყურსა! მათს დაღვრემილ სახეზე დიმილი წნდებოდა და კმაყოფილების შუქი გამოდიოდა მათი კეთილი თვალებიდან. "რა ბიჭი გყავს, კიკოლა, რა ბიჭი — მხიარულად მიამახებდნენ კიკოლას იქ მღვთში ვლენები".

კატო კი საშინელი ეშმაკი და კუდიანი იყო: "ერთი რომ შეგეხედათ იმის ცოცხალ, მუდამ აქეთ-იქით მაცქერალ, კუნაპეტივით შავი თვალებისათვის, იმის დაცქვეტილი ყურებისათვის და მალლა აწეული წარბებისათვის, უსათუოდ იტყოდით, რომ ამ პატარა გოგოს თავისტოლა კუდი ებმისო". ერთად შეყრილ დედაკაცებს ხან ყვავის ხმით დასწავლებდა, ხან ძაღლების სხვადასხვაგვარ ყეფას აურევდა ერთმანეთში და შემდეგ სიცილ-ხარხარით გარძოდა მათგან. ერთ მოხუც დედაბერს სულ დაახოცინა, რაც კი მამლები ჰყავდა. როცა კატო კვიმატობის ჟინს მოიკლავდა, დაბრუნდებოდა სახლში, დააწკრიალებდა იქაურობას, შერე ან ქსოვდა, ან ბატის ფრთით წერას სწავლობდა: "უფალო დიერთო, იესო ქრისტე, სწავლა კეთილად მოუგლენე მხევალსა შენსა კატოსა".

ერთი და იგივე ამბავი სულ სხვადასხვაგვარ გავლენას ახდენს ამ ორ განსხვავებული ხასიათის ბავშვზე. ჭიაკოკონობას დანთებული ცეცხლის აუცილებლობა მშობლებმა ასე აუხსნეს პატარებს: "ეს იმიტომ რომა... ამდამ უშმაკები, ქაჯები, ჭინკები შეგროვდებიან ერთად და ქორწილებს გამართავენ სოლმე. იქიდან გახარებულები გამოფრინდებიან, დაერევიან სოფლებს და თუ ცეცხლი არ დაინახეს ვინმეს კარებზე, მაშინვე შევლენ იმ სახლში, ან დაახრწობენ ვისმე ან ვააფიყებენ. ხანდახან მოიტაცებენ კიდეცა, მომეტებულად პატარა ბავშვებს, წაიყვანენ იმ იაღბურზე, დაჰკლავენ და შესჭამენ".

ამგვარი შეგონებით ქაჯანა ვადაფითრდა, აკანკალდა და მთიკუნტა. სამაგიეროდ კატო განაღმდა, ახალი გახართობი გაუნდა. ვადაწყვიტა, დაშვავსებოდა ჭინკას და შეეშინებინა ბავშვები. ასეც მოიქცა: ცეცხლზე გადახტომისას ქაჯანას თვალწინ აისვეტა ბეწვით შეშოსილი, თავზე ქვაბნამოცმული კატო. ქაჯანას ეშმაკი ეგონა, ძაღლიან შემინდა და მოწყვეტილი ყვავილივით უხულოდ დაეცა.

შიშისაგან დამუნჯდა. და აი, აქ ფრთა შეისხა ხალხის ცრუმორწმუნოებაში. ბავშვს ავი სული დაეცა, საჭიროა მკითხავებთან სიარული, ეკლესიებში ღამისთევია. ყოველივე ამის გამო კიკელიძეს ღარიბოჯახს ახალი ხარჯები დააწვა და უფრო გააღატაკა. ბოლოს ისევ მკითხავის რჩევით, ისინი სათაურას წმინდა გიორგის ეკლესიაში წავიდნენ იმ პირობით, რომ სანამ წმინდა გიორგი თვითონ არ დბითხოვდა, ეკლესიაში უნდა ეთიათ ღამე.

ნაწარმოებში ვაიელვებს ცვლქი და ონაგარი ბიჭების ახალი სახეები. ისინი კურდღელს დაპპირდებთან დიაკვნის ბიჭს, თუ გადავა ეკლესიაში და ვითომ წმინდა გიორგია, დაიძახებს: "წადით, წადითო!" ქაჯანა მეორედ შეშინდება ამ პატარა ბიჭის განწირული ხმის მოსმენით და დაიყვირებს. შიშისაგან დამუნჯებული ბავშვი შიშისგანვე განიკურნება. სოფელი კი ყველაფერს ხატის სასწაულთმოქმედ ძალას მიაწერს.

ასეთი ცხადი და ნათელი სურათებით უჩვენა ნიკო ლომოურმა როგორც "ქაჯანაში", ასევე "აღში" ცრურწმენის ტყვეობაში მოქცეული ხალხის გონებრივი ჩამორჩენილობა.

ნაწარმოები ამით არ მთავრდება. ქაჯანასა და კატოს მსგავს ახალგაზრდებს პატრონობა და გზის გამკვლევი სჭირდებათ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ქაჯანას მწერალი უწევს პატრონობას, კატოს კი სოფლის მასწავლებელი სანდრო მფარველობს.

'ქაჯანამ' გამოსვლისთანავე ფართო აღიარება მოიპოვა. "ივერიაში" მისი გამოქვეყნებისთანავე დაბეჭდა რეცენზია, სადაც "წყაროში" წარმოდგენილ ნაწარმოებთა შორის პირველ ადგილს აღნიშნულ ნაწარმოებს ანიჭებდა. "ქაჯანას" ცალკე წიგნად გამოცემის შემდეგ "ივერია" ისევ გამოემართა და ვრცელი გამოკვლევა უძღვნა ამ ნაწარმოებს. რეცენზენტს მოსწონს მწერლის ჩანაფიქრი, სიუჟეტი, ენა და მხატვრული ოსტატობა. იგი დაასკვნის: "მკითხველს როგორ სიხარულით აუფრთხილდება პაწია გული, როცა ბოლომდის ჩაიკითხავს მოთხრობას, შეიტყობს, რომ ქაჯანა ისევ გადაურჩა მუნჯობას".

"ქაჯანა" რამდენჯერმე გამოცემა ცალკე წიგნად და შევიდა ნიკო ლომოურის ყველა გამოცემაში. 1913 წელს იღია რუსხამე ისევ შეეხო მოთხრობის ღირსებებს და მიესალმა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ მის ცალკე წიგნად ხელახალ გამოქვეყნებას.

შეიძლება ითქვას, რომ "ქაჯანას" ირგვლივ უარყოფითი რეცენზია არ გამოქვეყნებულა.

"ქაჯანა" ითარგმნა რუსულ ენაზე ივანე არჯვენიძის მიერ; რომელიც შევიდა ნიკო ლომოურის კრებულში /1939წ./, ხალაო შაბა კახიძის თარგმანი დაიბეჭდა 1952 და 1957 წლების გამოცემებში.

ნიკო ლომოურის მოთხრობა "პაწია მეგობრები" ქვეყნად სიკეთის დამკვიდრების დიდებული პიშია. ბავშვებში ხშირად წნეობრივი კეთილშობილება ბუნებისგანაა ბოძებული და დროს უცდის, რომ გამოიშვლანდეს. საკმარისია გამოჩნდეს შემთხვევა და მთლიანად გადაიშლება ამ პატარა არსების მაღალმორალური ბუნება. ასეთია უბრალო სოფლელი ვოგონა ბაბუცა. მასში სიკეთის ისეთი ცეცხლი ღვივის, სხვების სასიკეთოდ რომ ანთია გამუდმებულად.

მოთხრობა დასაწყისიდანვე იქცევა ყურადღებას. ზაფხულის პაპანაქება სიცხეში პატარა ვოგონები ბატებს მწკრივს მიჰყვებიან. ისინი ვანსვავებული გარეგნობისა და ხასიათისა არიან. მაგრამ ორივე გულუბრყვილო სიკეთით საგსეა. მართ დაბალი, ჩასუქებული, ლოყვ-ბგაბერილი ვოგონაა, ბაბუცა კი გამხდარი, წვრილი და მაღალი. ორივე ბატებს ბაძაყუნ და სასაცილოდ მისდევენ უკან, თან ორივე ისე ყიყინებს, რომ დედაბატი ვაოცებით იბრუნებს პირს მათკენ.

ნაწარმოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერსონაჟია ცუგრიკა, რომელიც ვოგონებს ყოველთვის თან ახლავს. მას მოთხრობაში თავისი ფუნქცია აკისრია.

მაროსა და ბაბუცას შორის განსხვავებაა თვით ცოდნის დონითაც. ბაბუცა იმ სოფლიდანაა, სადაც პატარებლის გზა გადის, ქალაქშიაც ნამყოფია და ტექნიკის სიახლეებს ასე თუ ისე ნაზიარებია. მაროს კი ისევ სჯერა ეშმაკებისა და კუდიანებისა, ჯერ ისევ სოფლის ცრუ რწმენების ვაფლენის ქვეშაა მოქცეული.

თავიდანვე იკვეთება ბაბუცას კეთილი ბუნება, სოლო განსაკუთრებულად ვლინდება მასში, როცა მისი განუყრელი მეგობარი წითელას შედეგად დაბრძავდება. მშობლები, მკითხავეებისა და ეკლესიებში სიარულის ამათ შედეგების მერე ბედს შეურიგდებიან. პატარა მაროს ხვედრისადმი ბოლომდე შეურიგებული რჩება მხოლოდ ბაბუცა, რომელიც შემთხვევით შეიტყობს ექიმ ტარსაიძის შესახებ. ამხანაგის გადარჩენის დიდმა რწმენამ გამბედაობაც შესძინა, ფულიც იშოვა და ღამით ჩუმად გაპარვაც მოახერხა მაროსთან ერთად. ვასაოცარი მხატვრული ექსპრესიითაა წარმოდგენილი ამ ორი უსუსური ვოგონას

მგზავრობა რკინიგზის სადგურამდე. ფრთხილ და შშიშარა ბავშვებს ცუგრიკა უწევთ პატრონობას. როცა პატარებს დიდი ქოფაკი ძაღლები გადაუდგებიან გზაზე, ვოგონები თრძოში ჩაწვებიან, ხოლო ძაღლი შუა გზაზე ვავა, კუდს მამაცურად მოიკაუჭებს, კისრის ბალანს ყალფს დაიყენებს და ასე უცდის ქოფაკებს. მოულოდნელად იგი მოწყდება ადგილიდან, თან ვაიყოლიებს მეცხვარის ძაღლებს და ვოგონებს საფროთეს აარიდებს, მათ გზის ვაგრძელების საშუალებას მისცემს.

ძალიან სიმპათიურად არის წარმოდგენილი ექიმ ტარსაიძის პორტრეტი. იგი რეალურად არსებული პირი და მწერლის მეგობარი იყო. თუმცა ბაბუცას იგი თეთრწვერებიან მოხუცად ჰყავდა წარმოდგენილი, სინამდვილეში ახალგაზრდა, მოხდენილი და მცოდნე კაცი აღმოჩნდა. თავისი საქმის მოყვარულმა, ხალხის მოსარჩლე ექიმმა გულთან მიიტანა ვოგონების ვასაჭირი. ყოველგვარი ვასამრჯელოს ვარეშე მარო საავადმყოფოში მოათავსა, შშობლებსაც შეატყობინა და ერთ თვეში თვალის აუხილა... დიდი იყო საგანგებოდ ჩამოსული შშობლებისა და ბაბუცას სისარული. როცა სოფელში დაბრუნდნენ, ბაბუცას ქებას, ტარსაიძის დიდებას, მაროს ხვევნა-აღერსს აღარ პქონდა დახასრული.

ნაწარმოები მაღალმხატვრული ოსტატობითაა დაწერილი. მან თავიდანვე მიიპყრო ფართო მკითხველი საზოგადოების ყურადღება და საერთო აღიარებაც მოიპოვა.

აღსანიშნავია, რომ ეს ნაწარმოები ნამდვილად მომხდარ ამბავზეა აგებული. მწერლის ვაჟიშვილი იულონ ლომოური იგონებდა: "დეიდაჩემი ვათხოვილი იყო სოფელ ქურთაში... სწორედ დეიდაჩემმა ჩემთან ერთად უამბო მამას ქურთაში მომხდარი ამბავი, რომ ერთი ვოგონა დაბრძავებულიყო. შშობლები ბევრს ცდილან, მაგრამ ვერაფერი უშველიათ. ვოგოს ჰყლია ამხანაგი, რომელსაც ვავეთ, რომ ასეთივე ბრმა ერთ კაცს მოურჩენია. შშობლების ჩუმად წაიყვანს ამ ლამაზ ბრმა ვოგოს და მართლაც, მოარჩენს. მამამ ამ ამბავზე ააგო მოთხრობა "პაწია მეგობრები. ხოლო ბავშვის მკურნალობა ექიმ ტარსაიძეს მიაწერა, რადგან მამას მეგობარი იყო"¹.

მოთხრობა დაიწერა 1905 წელს და დაიბეჭდა ჟურნალ "ნაკადულში" 1906 წლის N3-6 ნომრებში. რედაქტორი მარიამ დემურია ატყობინებდა მწერალს, რომ ეს მოთხრობა ღიზა ორბე-

¹ იოსებ ბოცვაძე, ნიკო ლომოური, თბ. 1971, გვ. 179.

ლიანმა თარგმნა ინგლისურად და დაიბეჭდება რომელიმე ინგლისურ
ჟურნალში. თან სთხოვდა: "გთხოვთ გულით, თუ შეიძლება, თქვენის
მხიარულის ნიჭით კიდევ დაატკბოთ პატარა ბავშვები!"

ექიმ ტარსაიდის ძმას ნიკოლოზს უცდია ამ მოთხრობის ცალკე
წიგნად გამოცემა, ავტორისაგან ნებართვაც მიუღია, მაგრამ ჩანაფიქრი
რატომღაც ვერ განუხორციელებია.

"გიგურთხოს ღმერთმა კალამი და ენაშქვერობა", - სწერდა ამ
მოთხრობით აღფრთოვანებული ია ეკალაძე თავის პედაგოგსა და
სათაყვანებელ მწერალ ნიკო ლომოურს.

ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში ეს მოთხრობა დღემდე
ძირითადად ანტირელიგიური თვალსაზრისითაა შეფასებული. მართა-
ლია, აქ ნაჩვენებია მეცნიერების უპირატესობა ცრუმორწმუნეობასთან
შედარებით, მაგრამ ძირითადად აქცენტია გადატანილია ბავშვების
მაღალწინებრივ თვისებებზე, კერძოდ, სიკეთეზე.

პროფ. ს.ხუციშვილი წერდა: "მოთხრობაში "პაწია მეგობრები"
მწერალმა მოხდენილად გაატარა ის აზრი, რომ მეცნიერების კეთილ
სხეფს შეუძლია გაფანტოს მანე და საშინელი უმეცრება"¹.

ამავე აზრს იზიარებს აგრეთვე ზურაბ ბოცვაძეც. ამგვარი აზრის
წარმართველ ფუნქციას ჩვენ ამ ნაწარმოებში ვერ ვხედავთ.
მოთხრობაში ძირითადია სიკეთის იდეა და მისი ქადაგება. არამართ
ბაბუცა, ამ თვისებით იბყრობს ყურადღებას თვით ექიმი ტარსაიძეც.
ამავე დღეს ღარიბი ბავშვები სააგადმყოფოში რომ მოათავსა და
შშობლებსაც დეპეშა რომ გაუგზავნა: - არ შეშინდეთ, თქვენი გოგოები
აქ არიანო - . აი, ეს უფრო სულისშემძვრელია, ვიდრე მეცნიერებისა და
ცრუ რწმენის დაპირისპირება.

ნაწარმოებაც სწორედ ტარსაიდის ამ თავდადებული მოღ-
ვაწეობის შეფასებით მთავრდება: "ბედნიერია, ჭეშმარიტად ბედნიერია
ის მოღვაწე, რომელიც თავის სიცოცხლით შეება-ლსენასა ჰყენს
ტანჯულ, დაგრდომილ ხალხსა, ხოლო თავის სიკვდილით მღუღარე
ცრუმლს აფრქვევინებს"².

ნიკო ლომოური მეტად ფრთხილად და პასუხისმგებლობით
ეკიდებოდა საქართველოს წარსულსა და მის სახელოვან გმირებს. 60-
იანელთა მსგავსად ისიც არჩევდა სასახელო მაგალითებს, რათა

¹ ს.ხუციშვილი, ნიკო ლომოური, თბ. 1955, გვ. 24.

² ნიკო ლომოური, მოთხრობები, თბ. 1971, გვ. 163.

თანამედროვეებს სამაგალითოდ გამოსდგომოდა. "წინაპართა აჩრდილნის" შესახებ იგი წერდა: "მიზნადა მქონდა აწინდელი დაკრძალვილი საქართველოსათვის მკრეხელებინა დიდებულ წინაპართა აჩრდილნი და მით ცოტათი მაინც დაგხმარებოდი ეროვნული განმანათლებლის განვითარებას".

ლომთურმა თავაღნათლივ უჩვენა, რომ მეფეებთან და თავადაზნაურებთან ერთად იბრძოდნენ უბრალო გლეხებიც და ხშირად უფრო მეტი თავდადების მაგალითებს იძლეოდნენ, ვიდრე პრივილეგირებული კლასის წარმომადგენლები.

წარსულის იდეალიზაცია მოცემული მოთხრობებში: "წინაპართა აჩრდილნი", "ხერხი სჯობია ღონესა", "ბერუა ქრისტესია შვილი", რომლებიც ბავშვებისათვის ისევე გასაგებია, როგორც დიდებისათვის.

"წინაპართა აჩრდილში" დახატულია ლეკების თარეში საქართველოს სწავდასწავა კუთხეში XVIII საუკუნის II ნახევარში. ეს ჩვენი მოსახლდრე ტომები ცხადად თუ ფარულად მაინც ასერსებდნენ დაურღვიათ ქართველთა მყუდროება, დასცემოდნენ მცხოვრებლებს, აუკლოთ, დაერბიათ და ტყვედაც წაეყვანათ. ერეკლე II მსხნელად მოეყვინა საქართველოს. მან მუსრი გააგლო ლეკებს. მისი "ხმალი რომ ერთ დღეს დაღესტნის საზღვრებთან ბრიალებდა, მეორე დღეს შუა ქართლში სჩხვდა ოსმალ-სპარსებს. კაცს გაუჭირდებოდა თქმა - როდისღა და სად ისვენებდა გასაოცარი ვმირი მეფე"¹, - აღნიშნავს მწერალი.

ნაწარმოებში აღწერილია ერეკლესა და მამამისის ბრძოლა ჰაჯი ჩალაბის წინააღმდეგ. გამაჰმადიანებულმა სომეხმა ისეთი დიდება მოახვეჭა დაღისტანში, რომ თავი ნუნის ხანად გამოაცხადა. აი, ამ ხანის წინააღმდეგ დასძრეს სუთიათასიანი ლაშქარი თეიმურაზმა და ერეკლემ. ლეკებს რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდათ. ერეკლეს თან ახლდა ისეთი ვმირები, როგორებიც იყვნენ ოთარ ამილახვარი და ზაქარია ანდრონიკაშვილი, რომლებსაც სამშობლოსათვის თავდადება თავიანთი ცხოვრების წმინდა საღვთო საქმედ მიაჩნდათ. ხოლო ახალგაზრდა ერეკლეს არც ბრძოლის უინი და უნარი აკლდა და არც სტრატეგიული შორისმჭერეულობა. ამიტომაც "სიმაძავე და სიკვდილის მოურიდებლობა ლეკებისა ამაოდ იმსხვრეოდა ქართველების სულისა და მკლავის ძლიერებაზე".

¹ ნიკო ლომთური, თხზ. ტ. I, თბ. 1963, გვ. 339.

ბოლოს ერეკლე მოწყდა თეიმურაზის ჯარს და ორასობდნე ქართველით ალყაში აღმოჩნდა. იძულებული იყო რკალი ვაეროვია. ამ დროს ნადირ—შაჰის ნაჩუქარი ცხენიც მოუკლეს. მტერი ახლოვდებოდა. მეფემ ანდრონიკაშვილს სთხოვა ცხენი. კახელმა თავადმა უკადროსად მიმართა ერეკლეს: "მობრძანდით, ბატონო, შემომიჯექით უკან და ორივე ვაფიქეთო". მეფეს ეწყინა. ამ დროს ქვემო მაჩხაანელმა გლეხმა გაბრიელა ბოსტაშვილმა ცხენი დაუთმო უხერხულად მდგარ მეფეს და უთხრა: "მე თუნდაც მოძვლან, არა უშავს რა, შენი ჭირიმე! ჩემისთანებს ქართველი დედა წელიწადში ათასსა შობავს. თქვენ ვადაირჩინეთ თავი, ბატონო! ერეკლე ბატონიშვილს ძნელადღა ვაზრდის ქართველის ძუძუ!"

ასეთივე ნამდვილი ბატრიოტები არიან გაბრიელას მშობლებიც. გიორგისა და თინათინს სამი ვაჟიშვილი გაუწირავთ სამშობლოსათვის, მეთხუე — გაბრიელა ახლა ვაუგზავნიათ ბრძოლაში და მაინც ერეკლე მეფის სიცოცხლეს ევედრებიან გამჩენს.

მადლიერმა მეფემ გაბრიელ ბოსტაშვილს აზნაურობა უბოძა, თვითონ კი ხალხის სიყვარულით გამხნეკებული ისევ შეებრძოლა ხუთასი კახელით შაჰ-ჩაღატაბის სამიათასიან ჯარს და სასტიკად დაამარცხა კიდევ.

როგორც ვხედავთ, ამ ნაწარმოებში საზგასმულია ერეკლეს დიდსულთენება და ვაჟკაცობა, მაგრამ მთავარი აქცენტი მაინც ვადატანილია უბრალო ხალხის წიაღიდან გამოსულ ბოსტაშვილის სულგრძელობასა და თავგანწირულობაზე. იგი იმ გლეხობის წარმომადგენელია, რომელთა შურგზე ვადადიოდა ისტორიული ქართველები, რომელნიც ვმირულად იცავდნენ ქვეყნის საზღვრებს, კერას არ აქრობდნენ და აჩენილ ვენახს ხელახლა რგავდნენ.

მწერალს ამ მითხრობის შექმნისას გარდა ისტორიული ფაქტისა, ვამოუყენებია ხალხური ვადმოცემები და ლექსები, რომლებიც მოუხმენია პირველად დურმიშხან შალვას ძე აურულისაგან. მითხრობაში ჩართულია ორი ხალხური ლექსი: ერთი ერეკლეზე: "ჯაჭგის პერანგი ჩააცვებს, ვაპკრა ხელი და ვახია". მეორე — ქართველი ვაჟკაცის ვმირულ სულისკვეთებაზე:

მთიდან მოსული ვაჟკაცი
ვეზელ—ქორივით ჰკიოდა,
თავი ხმლით ჰქონდა ნაჩენი,
გულიდან სისხლი სდიოდა.

სამოცი ლეკი მოეკლა,
უვაჟკაცობას ჩიოდა.



მეორე მოთხრობაში "ხერხი სჯობია ღონესა" მხატვრულად აღწერილია გორის ციხის გათავისუფლება ოსმალი დამპყრობლებისაგან. სამტრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებული ორი დიდებული თავადი - გივი ამილახვარი და შანშე ერისთავი - საერთო მტრის წინააღმდეგ გაერთიანდნენ და ადვილად განდევნეს მტერი ქართლის მიდამოებიდან.

ოსმალებმა გორის ციხეში სამიათასამდე კაცი ჩააყენეს, გივი ამილახვარი პირდაპირი იერიშებით გერაფერს გახდა, რადგან ოსმალები ციხის გარეთ არ გამოდიოდნენ და სქელი კედლები საიმედო თავშესაფარს წარმოადგენდა. საჭირო იყო მათი გამოტყუება ციხიდან. ქართველმა თავადმა ხერხს მიმართა. თვითონ მცირე რაზმით ღვარების ხეობიდან გამოვიდა დიდი დაფითა და ნალარით. ოსმალები ანკესს წამოეგნენ. ქართველები ციხემდე არ მიუშვეს და მტკვრის ნაპირას მათი დამარცხება გადაწყვიტეს. დაცარიელებული ციხე ზურგში ჩასაფრებულმა შანშე ერისთავის რაზმმა ადვილად აიღო. ოსმალები რკალში მოექცნენ და იარაღი დაჰყარეს, თითქმის უბრძოლველად დანებდნენ.

- გამარჯვება, გამარჯვება საქართველოს! გაუმარჯოს ქართველ ხარს! - გაისმოდა ჰაერში გრგვინვა-ქუხილი, სამი ათასი ოსმალი გივი ამილახვარმა ახალციხის ფაშას ამდენივე ქართველში გადაუცვალა. "სამიათასი სხვადასხვა დროს გატაცებული ქართველი დაუბრუნდა თავიანთ ქვეყანას, თავიანთ სასლ-კარსა და ოჯახს".

"ხერხი სჯობია ღონესა" პირველად დაიბეჭდა 1913 წელს ჟურნალ "ნაკადულში". სათაურად შქონდა "გივი ამილახვარი", ეპიგრაფად კი უძღოდა ცნობილი ანდაზა: "ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიღონებსა". შუბდეგში ავტორს სათაურად შეურჩევია ამ ანდაზის პირველი ნახეარი.

როგორც ცნობილია, ქართველი ხალხოსანი მწერლები თავიანთ ნაწარმოებებს წმინდა უტილიტარულ მოთხროვნებს უყენებდნენ და ცდილობდნენ, რომ მათში ჩადებული იქნა რაც შეიძლება ცხადი და ადვილი გასაგები ყოფილიყო მკითხველებისათვის. როგორც ზემოთაღნიშნულთაგან, საბავშვო ნაწარმოებები მხატვრულობის თვალსაზრისით ბევრად უფრო დახვეწილი და ლაკონიურია. თუმცა თავის ტენ-

დენციურობას მწერალი ზოგჯერ აქაც ვერ მალავს. მაგალითად, "ქაჯანას" ბოლო თავში იგი თავის გულისტკივილსა და სოფლის უნიათობაზე გვესაუბრება: "დღე-დღეზედ ველი ჩემს სოფელელ პატარა ქაჯანას, მაგრამ, ვინ იცის, რამდენი ქაჯანები დარჩებიან კადეჯ ჩვენს საცოდავ სოფლებში?"

შეიძლება ამიტომაც, შემდეგში ამ ნაწარმოებს ბოლო IX თავი სრულიად ჩამოაცილეს გამომცემლებმა. მიუხედავად ამისა, პოეტური აღლო და მხატვრული წარმოსახვის უნარი ისე ძლიერია ნიკო ლომოურიში, რომ იგი ძალდაუტანებლად ნატავს ადამიანთა მხატვრულ ტემებს, სწვდება მათ ფსიქოლოგიურ სიღრმეებს და დახვეწილი, ლაკონიური ფრაზებით ვადმოგვცემს დამაჯერებელ სურათებს, ძერწავს და აქანდაკებს ახალ-ახალ სახეებს. დაუვიწყარია ქაჯანას, კატოს, მაროს, ბაბუცას პორტრეტები.

ნიკო ლომოურთან გვხვდება ისეთი კარგად მიზნებული შედარებები, რომელიც მაღალ ესთეტიკურ დონემდეა აყვანილი: "შემოდგომური სიცივე ახლად კბილებამოსული ბავშვივით იკბინებოდა" ან კიდევ "თავთავეები რაღაც საოცნებო ამბებს ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს".

ბეიზაჟის მხატვრული წარმოსახვით, კონტრასტების გამოყენებით, ღრმად გააზრებული წინადადებით, აქტუალური თემატიკის წინ წამოწევით ნიკო ლომოური ისეთ მაღალმხატვრულ დონეს აღწევს, რაც მას პირველხარისხოვან მწერალთა რიგში აყენებს.

ნიკო ლომოურის ენისა და სტატობის შესახებ ს.შგალობლიშვილი წერდა: "რაც კი გამოვიდა მისი კალმიდან, ყველა მშვენიერი და უებრო ქართული ენითაა დაწერილი... მისი მთონრობები ენის მხრივ უმწიკველია. როგორც ილია, ისე აკაკი ქართული სტილის მხრივ ლომოურის მაღლა აყენებდნენ. ეს აზრი ორივეს ხშირად გამოუთქვამთ, კერძოდ, როცა ლაპარაკი ჩამოვარდებოდა მწერლის ნაწარმოებთა შესახებ".

სოფრომ მგალობლიშვილი (1851-1925)



საბავშვო ლიტერატურის განვითარებაში თავისი დიდი წვლილი მიუძღვის ს. მგალობლიშვილს. უნდა აღინიშნოს, რომ გაჭიანურებული თნრობა თუ ბუნების აღწერა, რომელიც დამახასიათებელია მისი პროზისათვის, საბავშვო თხზულებებში ადვილს უთმობს ლაკონიურ დახვეწილ სურათებს, ბავშვის ფსიქოლოგიურ განცდებს, მათი გულმართალი ბუნების მსატყურელ ჩვენებას. მისი "თინიას გიშერა", "კაყიჭას ქურდი", "სიყმაწვილის შოგონებანი", "უკვდავების წყარო ვარ" და სხვები საინტერესოა არა მარტო იმდროინდელ საბავშვო თხზულებათა მკითხველისათვის, არამედ დღევანდელობის თვალსაზრისითაც.

სოფრომ მგალობლიშვილის შემოქმედებაში მნიშვნელოვან ადგილს იჭერს ეროვნულ-პატრიოტული მოტივი. თვით 1905 წლის რევოლუციამაც კი მწერალი ხედავდა საქართველოს აყვავებისა და თავისუფლების საწინდარს. ამიტომაც ამ საკითხსადმი მიძღვნილ ნაწარმოებებშიც უხვად მოიპოვება სურათები საქართველოს ისტორიიდან, მისი ვმირული წარსულიდან. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ს. მგალობლიშვილისათვის სოციალური საკითხი პირველნარისსოვანი პრობლემა არ იყო.

რევოლუციური აზვართება მიმართული იყო როგორც სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ, ისე ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. ქართველ სამოციანელთა გავლენით და ტრადიციული მეკვიდრობით შთაფონებული ხალხთსნება რუსი "ნაროდნიკებისაგან" განსხვავებით თავიანთ შემოქმედებაში ავითარებენ ეროვნულ მოტივს. ს.მგალობლიშვილი თავის პუბლიცისტურ წერილებში ამუქებდა ქართველი ერის მტკივნეულ საკითხებს. იგივე მოტივი მან საფუძვლად დაუდო თავის რამდენიმე მოთხრობას.

მეშუარულ ნაწარმოებში "წარსულიდან" მოცემულია ედიშერ გუგელაშვილისა და მგელ-ბაბიას ბრძოლა ნაკედლართან ლეკების წინააღმდეგ. მგელ-ბაბიამ თავისი დიდი სახელი და პატივისცემა ამ

ბრძოლის შემდეგ მოიბოვა. "ბიჭობაც იმასა ჰქვიან, — ამბობს მკეღ-
ბებია, — რომ ერთს დაგეცემიან და სირცხვილს არა სჭამ. აქ სიკვდილი კი
არ არის საქმე. საქმე ის არის, როგორ მოკვდები. მტრის ჯაყოს რომ არ
ჩაიყოლებ გულში, როცა კვდები, და ხედავ, რომ გვერდს გიყრისა შენგან
აკაფული მტრის ვროვა, სიამოვნებით კვდები, აღარ დარდობ".

გმირი წინაპრების ვაჟკაცობისა და სამშობლოს სიყვარულია
ჩაქსოვილი ლეგენდაში "საქოლაგის" შესახებ.

როცა საქართველოს შაჰ-აბასი შემოსევია, ხალხი დარაზმულა
მის წინააღმდეგ. ვლესობა ერთპირულად იბრძოდა, თავად-აზნაურობა
კი აირ-დაირია. ბატონი დოღლაძე ხალხს ვაუდება, შაჰ-აბასისათვის
ერთგულების დასამტკიცებლად ცხინვალისაკენ გაემშურა თავისი
საყმითი. ცხრა ძმა ხერხეულიძე თავისი ჯარით წუნარის მხრიდან
ვაშოქმართა და ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ. "შენ ძმა ძმაზედ
მოგყავს სისხლის საღვრელად. ეს ასე არ იქნება, თუ წელზედ ეს ხმალი
გვარტყიაო!", — შეუძახეს ხერხეულიძეებმა და გზა გადაუღობეს.

ამაყმა და უზრდელმა დოღლაძემ ნაბიჯიც არ შეანელა. მაშინ
ივლვა ხერხეულიძის ხმალი და ერთი შემოკვრით თავი ტანს მოა-
ცდია. ჯარმა მუხლი მოიყარა ხერხეულიძის წინაშე. მოკლულის გვაშს
შიაყარეს ლოდი, ჩააქვაგეს ეს არაკაცი და ასეთი წყევლა წარმოთქვა:
"ვინც აქ ვამღლემა ამ საქოლაგზე ქვა არ შიავდოს, მასაც სწვევია
ჩაქოლაგის ბუდიო". ამის მერე წესად შემოიღეს, ვინც კი იმ ადგილს
ვაუვლიდა, ქვა უნდა მიეგდო და ეთქვა: "წყეულიმც ყოფილხარ". ასე
გადადიოდა თაობიდან თაობაზე პატრიოტული სულისკვეთება და
მოღალატეებისადმი სიძულვილის გრძნობა.

მწერალმა სამარცხვინო ბოძზე გააკრა ერის მოღალატე და
მურყვე ადამიანები. უარყოფითის ვაკცხვითა და სააშკარათზე გამო-
ტანით მან აკაკი წერეთლის მსგავსად ხალხში ერთგული თვით-
შეგნების ვადგევა განიზრახა. "ფუტურთ სწავლულებსა" და "აპე-
ლაციის მცოდნეებს", როგორც აკაკი უწოდებდა გადაგვარებულ ადა-
მიანებს, სოფროთმა გვერდით ამოუყენა ხალხის მოღალატე იუდა ლე-
ქიაშვილი, ანეტა იაზონოვნა და სხვები.

ნაციონალური ჩვევებისა და ენების მოსპობაზეა ლაპარაკი
მოთხრობაში "მელია". სპილომ მელას ფრთოსანთა მოურავობა ჩაა-
ბარა. "თუმცა ცხვრებს მანამდე მკელი უფროსობდა, მაგრამ იგი მხო-
ლოდ ტყავს აძრობდა და ცხვრების სულს კი არას ერჩოდა". ახლა
მელიამ მათ ერთ ხმაზე ხავილი უნდა ასწავლოს. სპილოს ეჯავრება

სხვადასხვა ხმაზე კაკან-ხაგილი, ცხვრის ბღაგილი, თხათა კიკინი; მელა ბევრს ეცადა, მაგრამ ვერაფერს ვახდა. ცალკე უფროსის რისხვა დაიძახურა, ცალკე მამლებსა და თხების სიძულვილი. ბოლოს მანც თხების მსხვერპლი ვახდა. ბოტი ეცა მელიას და რქებზე ააჯვარა მოეხმარნენ სხვებც. მელიას ტყავი თივით ვატენეს და ძალდა თხმელაზე ჩაშოკიდეს; დღე მუდამ ქათმებზე ასხედან ზედ და ჰკორტნიან ტყავსა. ბოლოს მისმა კეთილისმყოფელებმა მიწას მიაბარეს, ქვაზე წააწერეს:

ვაი შენ, ჩემო მელა,
არ გამოგადგო ხრიკია.

ეს მაგალითი უგუნურობისა და ცრუმედიდურობის ნათელსაყოფად აქვს მოხმობილი მწერალს.

ერთგულ მოტივზე შექმნილ ნაწარმოებთაგან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია "წითელი სარჩული". ნაწარმოებში გამოხატულია 1905 წლის რევოლუციის პერიოდის პოლიტიკური მოვლენები და ამ ფონზე ანტიერთგული საქციელი ვადაგვარებული ქართველისა, რომელსაც მწერალმა სახელად იუდა შეარქვა. სახარების ორი იუდასაგან განსხვავებით /იუდა ისკარიოტელი-ქრისტეს გამყიდველი და იუდა-ძმა იოსებისა/ იგი თავისი მოღვაწეობით ქრისტეს მოღალატე იუდაზე უარესია. იგი სამზუნებოვანი იყო: პირველი, უნდოდა ბედნიერი უზრუნველი ცხოვრების შექმნა; მეორე- გენერლობის მიღწევა და მესამე- ცრუპატრიოტობის თამაში. ამიტომ ორმაგ თამაშს ეწეოდა: რუსეთის მოხელეებს ფეხქვეშ ეგებოდა და პატრიოტული სასიათის გამოკვლევადაც წერდა, ამით "თავის სამშობლოს საღაროში ხელუკუღმა ცოტაოდენი წვლილი შექმნიდა". იგი გაიძვერა და გარეწარი კაცია. როცა კაცთმოძულე ფოროტილოგი ნაცინალური ენების მოსპობაზე ლაპარაკობს, იუდა მშობლიური ენის სიძულვილში თვით რუსის მოხელეებსაც კი ვადააჭარბებს: "თქვენო ძაღლიანობა, — მიმართავს იგი ფოროტილოგს, — ვისთვის რა საჭიროა ეს რაღაც ადგილობრივი ტლანქი ენები; იწირება, ილოცება მაღლიანად ამ ენებზე? ლიტერატურა არის? ძალიან კარგი, ვინ უნდა იკითხოს? ენა ტლანქი, გაუნორკნავი, ისეთის ასლების მექონი, რომ კაცს იმათი გამოთქმით ენა მოსტყდება". იაშამ ქართულ ენას ძაღლურიც უწოდა, რითაც მისი "ძაღლიანობის" ყურადღება და პატივისცემა დაიძახურა: "ძვირ-

ფასი კაცია, ძვირფასი! დიდი რაჲ განძია!" — გაივლო გუნებაში ვოროტილოვმა.

იუდაშ ამ იდეების პრაქტიკული განხორციელებაჲ დაიწყო. ყველგან ვაგზაუნა ცირკულიარები სკოლებში ქართული ენის აკრძალვის შესახებ. სოფლებში გაანაწილა რუსი მასწავლებლები, "დაამტკიცა" მევრელების, გურულებისა და სვანების არაქართული წარმოშობა. "არაფერს რაღა მოსმობა უნდა?" — ამბობს იუდა საქართველოს შესახებ. ამით მან საბოლოოდ გადასჭრა ის ტოტი, რომელზედაც თვით იჯდა. ამიერიდან მას შენდობა არ ეღირსება. სამაგიეროდ სამსახურში დააწინაურეს, მხარიღლივ წითელი ლენტი გადაჰკიდეს. გენერლობაც უბოძეს. მაგრამ ისტორია თავისას აკეთებს. 1905 წლის რევოლუციის სიომ დაპბერა, მალე ქარიშხალიც ამოვარდა. ამ აწვირებამ იმ დროს მოუსწრო იუდას, როცა საშივე კურდღელი დაჭერილი ჰყავდა. წითელსარჩულიან პალტოს უკვე დააფრიალებდა. ამ მწვერვალზე მყოფს ორი რისხვა ერთად დაეცა თავს. ვოროტილოვმა სიძულვილითა და უნდობლობით ხავეს წერილი მოსწერა თავის გაწრთვნილ ერთგულ "ძალს", ხალხმა კი მოითხოვა მისი დასჯა. უწყვეტ ნაკადად მოძაგალი ხალხი გაჰკიოდა: "ძირს მტარვალნი! ძირს მონობის ჯაჭვის მჭედელნი! ძირს ერის მოღალატენი, ერის ენის მგლეჯაენი, მისი ვინაობის მსმობელნი!"

მწვერალმა ამ მოთხრობით ფარდა ახადა მერყევე ინტელიგენტთა საქმიანობას, რომელიც მიმართულია საკუთარი ქვეყნისა და ერის საწინააღმდეგოდ. მათი მისწრაფებები აუსრულებელი დარჩება და ხალხისაგან დაუშობილნი სამარცხვინოდ დაასრულებენ სიცოცხლეს.

ს.მგალობლიშვილის "შემოქმედებაში მრავლადაა წარმოდგენილი სპეციალურად ბავშვებისათვის განკუთვნილი მოთხრობები. სხარტად დაწერილი დიალოგები, მოქნილი სიუჟეტური რკალი, ბავშვის ფსიქიკის ცოდნა — ყოველივე ეს განსაზღვრავს მისი მოთხრობების შემეცნებითსა და ესთეტიკურ ღირებულებას.

მოთხრობაში "თინას ვიშერა" აქცენტი გადატანილია ბავშვისა და შინაური ცხოველის ურთიერთობაზე, მათ შორის ნათესაური გრძნობის, საიდუმლო ენის არსებობაზე. თინასა და ვიშერას მეგობრობას უფრო ამძაფრებს თბილობის სიმწარე და მარტოსულობა. ეს თუმა ახალი არ იყო ქართულ მწერლობაში. ვაჟა-ფშაველას "მგლის ნუკრის ნაამბობის" შემდეგ ახლის თქმა თითქმის შეუძლებელი იყო. ს.მგალობლიშვილის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მან სრულიად

სხვა კუთხით წარმოაჩინა ეს სამყაროსეული ერთიანობა, მრავალჯერ
ყოფითი დეტალით შეაგხო და გვიჩვენა ადამიანისა და მისი მარცხნალობის
ერთიერთსიყვარულის ძლიერი ძალა.

სვიმონ ოქრუაშვილის ოჯახი ჭირმა და სიღარიბემ გაანადგურა.
მოსუცს ერთადერთი შვილიშვილი თინიალა შერჩა. სახლში კატა,
ძაღლი და დეკუელი ვიშერა ჰყავდათ. ობოლ თინიას მთელი თავისი
სიყვარულის დაუნარჯავი მარაგი ვიშერაზე გადაუტანია. მთელი დღე
თავს დასტრიალებს, ცივ ნიაგს არ აკარებს. დილით ჯერ "სველის
შაღის ნაჭრით გასწმენდა, დაწულდა, ვაალამაწებდა, მერე გადა-
ხვევდა კისერზე ხელსა და წაიყვანდა ვენახში, სადაც ვიშერას
ბაღასზე დააბაძდა... უზინდავდა ახალ-ახალ ღიქას". დეკუელიც
ვალამაწდა, გაიტყინა, "დაბზენილი თვალ-წარბი კალმით ნახატს
უგავდა"/გვ.656/. ისეთი დიდი სიყვარული აერთებთ თერთმეტი წლის
გოგონასა და დეკუელს, რომ საოცარი ნათელი ვიდგება სულში. თინია
საქონელს სულ სახეში შესცქერის, ცრემლს თუ შეამჩნევს თვალეში,
საკუთარ ობლობას იფიქრებს და ცდილობს, ვიშერას შეუძნებუქოს
დარდი. აქ "წიქარას" შორეული ანალოგიაც იგრძნობა.

თინია თავის ვიშერას ესაუბრება კიდევ, ხან არიგებს, ხან ტუქსაგს,
ხან უძღერის და აბანავებს.

მაგრამ ოჯახს ეს პატარა ბედნიერებაც არ შერჩება. სვიმონს
სახელმწიფო გადასახადები ვერ გადაუხდია და შიშობს "ნედლიკაში"
ვიშერა არ გაუყიდონ. უნდა აღინიშნოს, რომ მწერალს თავიდან
განზრახული პქონდა, სახელმწიფო აპარატის ჩარევა და ვიშერას
გადასახადში წაყვანა, მაგრამ გადაუფიქრებია და ნაწარმოებისათვის
სხვა დასასრული მიუცია. მეზობლების შეწვევითა და დახმარებით
სვიმონა ოქრუაშვილს გადასახადისათვის აღარ აწუხებენ. მაგრამ
თინიას უბედურება მაინც არ ასცდა. სოფელში საქონლის ჭირი გაჩნდა.
ერთხელ, როდესაც გოგონა ბაღში შევიდა, ვიშერას ჩვეულებრივი
წმუკუნი აღარ შემოესმა. შეშინებული ბავშვი მივარდა გაშოტილ
საქონელს, თავი წამოუწია, ჩახედა ღია თვალეში, რომელშიც ცრემ-
ლი გაჰყინვოდა. თინიამ ერთი დაიწვივლა და უგონოდ დაეცა. სოფლის
დედაკაცები შემოეხვივნენ, ერთი მათგანი ფთილეს ასხამდა, მეორე
შავტარაიანი დანითა და ნახშირით ულოცავდა, პაპა სისხლის ცრემლებს
ღვრიდა. სიცხიანმა ბავშვმა თვალეები გახსნა და ისევ ვიშერაზე აბუტ-
ბუტდა. თინია კინაღამ თან გადაჰყვა თავის მეგობარს.

როგორც ვხედავთ, ნაწარმოებს ძლიერი ემოციური დასასრული აქვს. აქ არა მარტო ადამიანისა და ცხოველის ურთიერთობა დასატული, არამედ რაღაც უფრო დიადი, უფრო კეთილშობილი გრძობა, რომლებშიაც იკვეთება ამ შებრალთ, გულუბრყვილო უღელნას სასიამოის კონტურები და მგრძობიარე აძაღლებული სული.

ს.მგალობლიშვილის ვახშაურებული მოთხრობა "ყაყიტას ქურდი" მოზარდებს აფროთხილებს "არ აპყენენ ქვენა გრძობებს, თავი შეიკავონ ისეთი ბრიყვული საქციელისაგან, როგორცაა სხვისი ნივთის მითვისება"¹. მწერალი თითქოს ბუნებასა და ბავშვის შუა დგას და აფროთხილებს, უცოდველი ცელქობა ბოროტებაში არ გადაიზარდოს და ცოდვად არ დააწვეს ყმაწვილის მთელ ცხოვრებას.

"მდინარე ფრონის ნაპირზე ყაყიტას სიმინდი ჰქონდა დათესილი", - ასე მშვიდად იწყებს მოთხრობას მწერალი. ყაყიტა სამოცი წლის გლეხია, რომელიც გამუდმებით თავს დასტრიალებს საამურად დატარებულ სიმინდს. ეს შუათანა ტანისა, წელში რკალივით მოხრილი კაცი თავისი აღაღანებული ყანით ერთგვარ სულიერ კმაყოფილებას განიცდის, გამოუთქმელი აღერსით მისჩერებია თავის ნაჯაფარ მიწას.

ბავშვები კი ცელქობენ, კაკლის ქვეშ წყალში ჭყუშპალაობენ, ხმაურობენ, იცინიან. გადაწყვეტენ ყაყიტას სიმინდის მოპარვას. შევლენ ჩუმად, ჯიბეუბეებს დაიტენიან, გაძვრებიან ჭალაში და შინ განცვივდებიან.

მოთხრობაში დასატულია ეფრემას ოჯახის ერთი დღე. შუათანა შეძლების აზნაური ნიკოლოზ აბულაძე შვილს სასწავლებელში ზრდიდა, რათა ქვეყნის სასახელო კაცი გამოსულიყო. ამ საღამოს მთელი ოჯახი შემწვარ სიმინდს შეექცევა. მთვარის შუქზე, როგორც მწერალი ხატოვნად აღწერს, "ბალკონზე მოკუზული ყაყიტას ჩრდილი წაშოდვა. იმის ისედაც თეთრ თმას მთვარის შუქზე ელვარება გაჰქონდა. ყაყიტა უძრავად იდგა, თვალები სისხლის ცრემლით ავესო". მან სიმინდის კონა წინ დაავდო და ამხილა მინა და ეფრემა ქურდობაში, რაც "დაუმტვრევიათ, აი, ეს ერთი კონა გაახელით, რაც არა და, სულ ძირს დაუვიათ". შშობლებს ელდა ეცათ, ეფრემას ციგმა თფლმა დაასხა, ტანში ცხელმა აღმა დაუარა და ატირებული ყაყიტას წინ დაემხო. მონანიებად დაუარა დანაშაული და სასიკეთო შედეგიც გამოიღო. ამ

¹ გ.თავნიშვილი, წინასიტყვაობა, სოფრომ მგალობლიშვილის რჩეული მოთხრობები, თბ. 1951, გვ. XXV.

მაგალითით ბავშვების დარიგება და ჭკუის სწავლება წარმოადგენს მწერლის დიდაქტიკურ მიზანს.

ერთგვარ ავტობიოგრაფიულ ხასიათს ატარებს მოთხრობების ციკლი "სიყმაწვილის მოგონებანი". მწერლის ბავშვობის გაუხუნარი ხსოვნა დასდებია საფუძვლად ისეთ პატარა მოთხრობებს, როგორიცაა "მწყერაობა", "აღარ შემიძლიან" და სხვა. სოფლელი ბავშვის ამოუწურავი ფანტაზია და შესაძლებლობა მათ ხელსაყრელ პირობებს უქმნით სიცელქის, სიანცის, ფრინველების აწიოკების თუ ტყეში ათასგვარი პატარა "ღანაშაულის" ჩასადენად. ეს მათი თითქმის ყოველდღიური ცხოვრებაა, მაგრამ ზოგჯერ ისეთ მოულოდნელ შემთხვევებს გადააწყდებიან, რომ თავიანთ საქციელზე დააფიქრებთ, შეაფასებინებთ და ბოლოს ხელსაც ააღებინებთ. ზოგჯერ ეს გულუბრყვილო და უბოროტო სიცელქე სხვისი დიდ უბედურების მიზეზი ხდება. ბავშვებს თვალები აუცრემლდებათ, გული ეტკინებათ და სამუდამოდ აღებეჭდებათ მენსიერებაში. ასე დაემართა მინასაც. როცა "მზემ აღმოსავლეთს ნისკარტი ჰკრა, ვაგლიჯა მისი ფსკერი და მოჰფინა მშვენება", მინა ამხანაგებთან ერთად ტყეში წავიდა სამწყურაოდ. ტყეში ფრინველთა სასიამოვნო ყრიაშულია. ტოროლა და ნიბლია ადამიანთა დაუნდობლობაზე საუბრობენ. ბავშვები კი მთელი გატაცებით უნგრევენ ბუდეებს, სოცავენ მწყერებს და ყიჟინით გადადიან ერთი ადგილიდან მეორეზე. ზოგჯერ ბუნება უხდის სამავიეროს ონაგარ ბავშვებს. მინა რომ კაჭკაჭის ბუდეს შლიდა, საიდანღაც გაჩნდნენ კაჭკაჭები, ბუდის პატრონებს სხვებიც მიეშველნენ, დასწავლეს და ჩაუნისკარტეს, ამასობაში მინას ტოტიც მოუტყდა და თავდაყირა წამოვიდა ჭინჭრებში, სახლში ხელაშოვდებულნი და ჭინჭრისაგან ცხვირპირდასიებულნი დაბრუნდა.

ნაწარმოებში ჩართულია ზღაპარი შავ გიორგას შესახებ, რომლის მაგალითზე ბავშვები სწავლობენ ქვეყნისათვის თავდადების აუცილებლობას, ურთიერთსიყვარულის და პატივისცემის გრძნობას.

ძველი სკოლისა და რეჟიმის თემას ერთხელ კიდევ უბრუნდება მწერალი მოთხრობაში "აღარ შემიძლიან". ს.მაგალითბლიშვილი, როგორც აღ.ხანანაშვილი წერდა, "საუკეთესო მცოდნეა სემინარიის ბურსისა, საერთოდ, სასულიერო სასწავლებლის სასტიკის და უღმობელის წესწყობილებისა... რუსი მწერალმა პომიალოვსკიმ თავის თხზულებით იქონია დიდი გავლენა მასზე და დააწერინა რამდენიმე ცოცხალი მოგონება სემინარიის მასწავლებლებისა და მთსწავლეების

შესახებ, რომელთა წემოქმედება თვითონ გამოცხადდა, დოგორც ვარის სასწავლებლის და ტფილისის სემინარიის მოწაფე¹.

თხოუმეტ-თექვსმეტი წლის ლუა უკვე ვეღარ ეგვიბა სასწავლებლის ჯოჯოხეთურ წამებას, როზეს, თმის ველეჯას, დახაქებას და სკოლიდან ვარბის. ატირებულ და სასოწარკვეთილ ბიჭს მხოლოდ ძაღლი თანაუგრძნობს და ლუა გულამომჯდარი წერს დედას: "დახე, დედა, რამდენად სჯობნებია პირუტყვი ადამიანს". ასე ამბინჯებდა და აჩლუნგებდა ბავშვის აღზრდის სქოლასტიკური მეთოდი.

დახვეწილი სტილითა და ამბლლებული განწყობითაა დაწერილი სოფრომის პატარა მოთხრობა "უკვდავების წყარო ვარ". ვაჟა-ფშაველას "მთის წყაროს"/1888წ/ შემდეგ ქართულ ლიტერატურაში წყარო სიკეთისა და უანგარობის სიმბოლოდ დამკვიდრდა. წყარო ხალხისათვის სასმელიცაა, სარწყავიც, გამაგრებელიც და სიამოვნების მიმნიჭებელიც. თვით მას ქვეყნის სასარგებლო სამსახური დაუხასავს მიზნად. ეს მისი არსებობის გამართლებაა.

"შე ცისა და დედამიწის ბირშმო შვილი ვარ", - აცნობს თავის თავს წყარო, რომელიც მიწიდან ცოურ ცვარად წასულა ცაში, საიდანაც უფრო კარგად მოჩანს დედამიწაზე არსებული უსამართლობა და დაუნდობლობა. როცა ადამიანი გვალვისაგან შეწუხებულა, ის ცვარნი შეკრებიდან, ერთმანეთს მხურტებიან და წვიმად წამოსულან დედამიწაზე. მათმა შშობელმა მიწამ "გული გადაიდელა, შრომისაგან, შნისაგან დამწვარ-დახრაკული გულ-მკერდი შუაზე გააპო და შიგ ჩაგვიწვეთა, ჩაგვისუტა, გულში და სულში ჩაგვიტკბო, იქ, გულ-მკერდში, პატარა ხანს დაგვასვენა, მოგვაცნობილ-მოგვასულიერა დადლილობისაგან, დაგვზარდა, დაგვანაკადულა და კლდის ძირში ამოგვანუხუნუნა".

ქვეყნის სამსახური დაავალა დედამიწამ და კლდის წყარო მართლაც უკვდავების წყაროდ იქცა. ასეც ამბობდა ხალხი მასზე: "იპ, იპ, სწორედ უკვდავების წყაროა ეს "ცრემლის წყარო", - მარგალიტის ცრემლებივით ამოდულარ ჩვენს წყაროს ასე უწოდებდნენ მცხოვრებნი". მაგრამ კაცთა დაუდევრობა წყარომდეც აღწევს. ზოგი მას აბინძურებს, აჭუჭყიანებს და მერე ისევ წყაროს აბრალებს. მართალია, წყაროს გულს სტკენს ასეთი საუბრის მოსმენა, მაგრამ თავის ძირითად მიზანს მაინც არ დაღაბობს, უნდა წყურვილი

¹ აღ. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, ტფ. 1917, გვ. 199.

მოუკლავს ხალხს, მორწყავს მცენარეები და შემდეგ ნაჯაფუარმა შუა-
ღამისას ერთი წუთით თვალი მიიხურა.

ამ მოთხრობაში სიკეთის აბოლოგიაა. ადამიანის სიცოცხლის გამა-
რთლება მის საზოგადოებრივ-სახარებლო უნარშია განკარგებული.
უამისოდ საგანს თავისთავად არავითარი ღირებულება არა აქვს.

აკ.წერეთელს მისწონდა ეს მოთხრობა და მაღალ შეფასებას
აძლევდა მწერლის ენას. მართლაც, ს.შგალობლიშვილის ეს პატარა
ესკიზი სულ განსსვავებულია, გამთინოვება კეთილნდობნებითა და ამაღ-
ლებული პათოსით, ღრმა ღირიკული მონოლოგითა და სევდიანი ინ-
ტონაციით.

ს.შგალობლიშვილი თავის შემოქმედებაში უხვად იყენებს ხალ-
ხური სიტყვიერების ნიმუშებს: ლექსებს, გადმოცემებს, თქმულებებს,
რაც ამრავალფეროვნებს ამბავს და ამძაფრებს პატრიოტულ
სულისკვეთებას. აქ მოთხრობილია თქმულებები "საქოლაგის" შესახებ,
"ნაკედლარისა და წუნარის ბრძოლები", არსენა ოძელაშვილისა და
ხიზანბაგრელის შესახებ, გელა ნათელაშვილიწე, თამარსა და ერეკლე
შეფეშე. მოყვანილია შრომის სიმღერები: "პოთბუნა", "მუტიური",
საყოფაცხოვრებო ლექსები რძალ-დედამთილიანის თემაზე. გამო-
ყვნიებულია ხალხური გათვლა-თამაშობანი, საწესჩვეულებო რიტუ-
ალები და ა.შ.

ფი სშირად მიმართავს აგრეთვე ცნობილი მწერლების ლექსების
ცტირებას. იყენებს ილიას, აკაკის, ვრ.ორბელიანის, დ.გურამიშვილის
სტრიქონებს ამა თუ იმ აზრის ნათელსაყოფად.

როგორც ვხედავთ, ს.შგალობლიშვილის მხატვრული ოსტატობა
მთელი ძალით გამოჩნდა მის საბავშვო თხზულებებში.

ეკატერინე გაბაშვილი

/1851-1938/



საბავშვო მწერალთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ეკატერინე გაბაშვილს თავისებური სტილისა და განსხვავებული თემატიკის მხრივ. მისი საყმაწვილო მოთხრობები გაედენტოვლია სიცოცხლის სიყვარულით, სულიერი განცდების სიფაქიზით, ქვეყნად სიხარულის დაძვივრების დაუოკებელი სურვილით. რა ტრაგიკულ ამბებზეც არ უნდა წერდეს მწერალი, როგორი მძიმე სურათების ხატვაც არ უნდა უზღებოდეს, ყოველთვის პოულობს სასიკეთო გამოსავალს, საინტერესო და გამამხნეველ ფინალს. საოცრად ეხერხება ამბების ქათსში მიმზიდველის გამორჩევა და მისი დახვეწილი ენით, ამაღლებული გრძნობით ვადმოცემა. რა მძიმე სიტუაციაშიც არ უნდა მოხვდეს მისი პერსონაჟი, გარეგნული იერიც რომ დაკარგოს, მასში მიძალუღად მაინც ფეთქავს ადამიანური გული, მძლავრობს საუკეთესო გენები, რომელიც საქირო შემთხვევაში სიკეთედ და სითბოდ იღვრება.

ეკატერინე გაბაშვილის ურთიერთობას ბავშვებისადმი შესანიშნავად ვადმოგვცემს მისი ავტობიოგრაფიული ესკიზი "ბებია კატო". თურმე ბებია კატოს ისეთი დიდი გული ჰქონდა, "მკერდში არ ეტეოდა და გარეთ იწვედა... შიგ ბატარებისადმი ისეთი დიდი სიყვარული ენთო, რომ დღენიადგ მათზე ზრუნავდა: "ხნავდა, თესავდა იძათთვის კაცთმოყვარეობას, გულკეთილობას, კეთილშობილებას, სიბრალულს, გულუხვობას, სათნოებას". ყოველივე ამას, თქროს მძიეებად ასხმულს, ატანდა მზის სხივებს, მთვარის მკრთალ შუქს, დილის სიოს და ეუნებოდა ეს სიო ყველვან, სწვდებოდა ბატარების გულს, სიყვარულით აფსებდა. სხვა რამ ჯიღდლო ამქვეყნიური არც კი იცოდა, არც კი ნატრობდა".

ამაზე ამომწურავად მწერლის სიყვარულისა და სიკეთის შეფასება შეუძლებელია.

ეკ. გაბაშვილის შემოქმედება გამთბარია ჰუმანიზმის მაღალი იდეალებით. საზოგადოების წევრთა ურთიერთსიყვარელი, პატი-

¹ ეკ. გაბაშვილი, მოთხრობები, თბ. 1983, გვ. 214.

ვისცემა და თანადგომა - ის თვისებებია, სადაც ყველაზე მეტად ვლინდება ადამიანის ამქვეყნიური დანიშნულება და მოვალეობა. არავინ მარტო არ არის, თვითიველს მათგანს გვერდში ყოველთვის თანამოაზრე ან დამხმარე ეგულება - აი, ეს მთავარი ხაზი უახლეს საბავშვო ნაწარმოებებს თავიდან ბოლომდე. მწერალი არ ითვალისწინებს იმას, რომ კლასობრივ საზოგადოებაში არისტოკრატიას ნაკლებად აწუხებს გაჭირვებულთა ბედი, რომ ბედნიერნი სხვისი გულისათვის ახალ წელს არ გაიმწარებენ. ის ეძებს და პოულობს კეთილ ადამიანებს და მერე მათს შორის მათ დაძაჯერებულ სახეებს ქმნის. ამ ცხოვრებაში გამონაკლისი ამბავი მათს შორის მსატყურელ განზოგადებადვე ადის. ეკ.გაბაშვილის შეუძლია ცხოვრების იშვიათი შემთხვევები ხელოვნების დამაჯერებელ სინამდვილედ აქციოს.

ეკ.გაბაშვილის საბავშვო მითხრობათა დიდი ნაწილის თემაა ახალი წლის სამზადისი. იგი სხვადასხვაგვარად გვისატყავს ამ მნიშვნელოვან დღეს როგორც შეძლებულთა ოჯახებში, ასევე ღარიბთა ქოხებში და მთლად ვალატაკებულ უსახლკარო ბავშვთა ცხოვრებაშიც.

ეკ.გაბაშვილის პირველი საბავშვო მითხრობა "საახალწლო ფეშქაშში" სწორედ ახალი წლის წინა დამეა დახატული. შეძლებულ ოჯახში ამ დროს დიდი ფუსფუსია. არის საჩუქრების დათვალიერება, ღონინი, ნაირფერი საქმელების ხეაფი, სიცილი და მხიარულება. ამავ დროს სოფლის განაპირას კვდება გლახაანთ მელანა და მისი ერთადერთი ვოვონა ფეფო სრულიად უბატონო რჩება. შემწარავია ეს კონტრასტი. განირაღდნებული სასახლიდან გადავდივართ ძველ მინერეულ-მონერეულ ქოხში, სადაც ყველაფერს სიღატაკის ბეჭედი აწის. მაგრამ მწერალი უბედურ მელანას მარტოს არ ტოვებს და მასთან დასახმარებლად მისულ სიკეთით საგვს ქაღალბატონს ნუგეშად მოუვლენს: "ნემი პატარა ფეფო, ნემი საცლოდავი თბილი, ხეაღ უდელოდ დარჩება, - ეუბნება მომაკვდავი ქალი კეთილ ქაღალბატონს, - შენ აიყვანე, მოახლეე მაინც გამოგადგება. ნუ მომკლავ ისე, რომ ამის ჯავრი საფლავში ჩამყვებს"¹.

მდიდარი კეთილშობილი ქალი წამოიყვანს შვიდი-რვა წლის თბილს და მოახლეე კი არ გაიხდის, არამედ თავის უშვილო ქალიშვილს უფეშქაშებს და თან ეუბნება: "აი, შვილო, მე საახალწლოდ არ

¹ ეკ.გაბაშვილი, რჩეული ნაწერები, I, თბ. 1953, გვ. 141.

ვიცოდით, რა მეფეშქაშებია შენთვის და ახლა შენთვის ჩამბარებია ეს უსუსური, ბავშვი. ვინძლო რიგიანად გაზარდო ეს საცლოდავი თბილი, ნამდვილი დედობა გაუწით და მით აასრულო უდიდესი მოვალეობა ამქვეყნად".

მართლაც, ფეფოს ბედი კარგად წარიმარდა. ბოლოს მინაკისფერ ლამაზ კაბაში გამოწყობილს ქალაქში მიმავალს ვხვდებით. აი, ეს ყოფილა უდიდესი მოვალეობა ამ ქვეყნად. თანადგომა, სიბრალული და დაუღუპველი სიკეთე — ამას უნდა ემსახუროს ადამიანი. ამას მარტო ცალმხრივი სისარული არ მოაქვს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში უშვილოდ დარჩენილმა ქალმა მოულოდნელად შვილი შეიძინა და თავისი სიცარიელე შეივსო.

აღნიშნულ მოთხრობას მაღალი შეფასება მისცა იაკობ ვოგებაშვილმა, როდესაც "ნობათის" პირველი ნომერი მიმოიხილა. 1884 წელს "დროებაში" გამოქვეყნებულ წერილში იგი წერდა: "მოთხრობაში მოიხილება არაერთი ღირსება, რომელიც ძვირფას ნაწარმოებად პხდის ავტორის ნაწერსა. მსუბუქი კილო, ცოცხალი მიმდინარეობა აზრებისა და მშვენიერი ქართული ენა შეადგენს უმთავრეს ღირსებას "საახალწლო ფეშქაშისა". იაკობი მწერალს უწოდებს ქართული ენის დამცველს და მოსწონს, რომ მხოლოდ საახალწლო სამუზადისი აღწერით კი არ შემოიფარგლა, არამედ აიღო ისეთი მოქმეტი, "რომელიც ზნეობრივ ნათელსა ჰფენს მთელს სურათსა, აღვიძებს და იწვევს პუშანურს მხარეს კაცის ბუნებისას, იმ მხარეს, რომლის სმირად შესვედრა და ცქერა მეტად სასარგებლოა ბავშვისათვის". ეს შემთხვევა ვოგებაშვილს სრულიად არ ეჩვენება გამოწაკლისად, როგორც შექმნილი თაობის კრიტიკოსებმა მიიჩნიეს და ნამდვილი ცხოვრებიდან აღებულ ემიზოდად ესახება: "იმგვარი შემთხვევა, როგორიც ავტორის მოუყვანია, იშვიათი არ არის ჩვენი ხალხის ცხოვრებაში და იგი მოხდება ხოლმე როგორც სხვა დღეს, ისე ახალწელიწადს".

შვებავსი ამბავია დახატული მოთხრობაში "საახალწლო სურათები", რომელიც 1893 წლის "ჯეჯილის" №1-ში დაბეჭდა. ახალი წლის ღამეს აქაც ორი საპირისპირო სურათია მოცემული. ერთი მხრივ, მდიდარი ქალბატონის დარია სემონიძის საახალწლო მზადება და მეორე მხრივ, ასევე ქვრივი დატაკი ნინოსა და მისი შვილების უილაჯობა და სისაწყლე. მწერალს არ შეუძლია ქვრივ-ონერს დამხმარე არ გამოუჩინოს. და აი, ქალბატონი დარია და მისი შვილები დარბ

ოჯახს კარზე ვეებერთელა კალათას მიუგდებენ და თვითონ ფანჯრიდან უყურებენ, როგორ ზეიმობენ ობოლი ბავშვები. იცვამენ ახალ კაბებს, ჩუსტებს, ისხამენ თბილ შალს, ისურავენ ნახდის ქუდებს, ხოლო სანოკაგეს — ჩაის, შაქარს, თაფლს, ღვინოს, დედალსა და ღირის ბარკალს — მაგიდაზე ფაქიზად ალაგებენ. ნინო ლოცავს თავის შემწვსა და მანუგეშებელს, ხოლო მდიდარი ქალბატონის შვილებს "თვალეები ცრემლებით აევსოთ და მაგრა მიეკვრინენ თავიანთ კეთილ დედას". ამ მაგალითით დარია თავისი შვილების სწორად აღზრდასაც უწყობს ხელს.

ლიტერატურულ კრიტიკაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეკ.გაბაშვილი ეტანება გამონაკლის შემთხვევებს, იმას, რაც ცხოვრებაში არატრიბურია და იშვიათად ხდება. ზოგი ამას რეალიზმიდან გადახვევას არქმევს /გ.თაყაიშვილი/, ზოგს ნეორომატიზმის გამოვლენებად მიაჩნია /მის.ზანდუკელი/, ნაწილიც წერის ამ მანერაში იმპრესიონიზმის ელემენტებს ხედავს /მარინე ნახუცრიშვილი/. როგორც აღვნიშნე, რა გამონაკლისი შემთხვევაც არ უნდა აიღო მწერალმა, იგი ახერხებს მის მხატვრულ განზოგადებას და წინა პლანზე აყენებს არა სოციალურ საკითხებს, არამედ პუშკინის იდეას, მაღალზნობრივ კატეგორიების აღზრდას და მაგალითს აძლევს როგორც შემდეგ საზოგადოებას, ისე ღარიბებს სიკეთის ქმნისა, ეს სომ საბავშვო ლიტერატურის ერთი უმთავრესი საკითხია! ამ მხრივ მეტად საყურადღებოა კიტა აბაშიძის აზრი "მხოლოდ ეკ.გაბაშვილის ღმობიერებით აღსავსე მუზას შეუძლია მოქმენოს სადღაც, ხიდის ყურეში ასეთი გულის მომწველი, მაგრამ თანაც გულის დაძაბებული და დაძაბული სურათი. მაგრამ მარტო ამასვე როდი შექმდარა ავტორის სურვილი მკვდრისა და გამშმარი გულის განცხოველებისა და გაადამიანებისა. იქაც კი ჰპოვებს ადამიანობას, კაცობრიობის იმ ნაწილშიც, რომელიც უფრო მტანჯველია გუნდს ეკუთვნის, ვიდრე ტანჯულია"¹.

კეთილშობილთა და გულქვა ადამიანებს მწერალი საზოგადოების ყველა ფენაში ნახულობს. ერთ-ერთ შესანიშნავ მოთხრობაში "როგორ მიეგება სვიმონიკა ახალ წელიწადს", რომელიც 1885 წლის "ნობათში" დაიბეჭდა, აღწერს ერთიდაიმავე სოციალური წრის წარმო-

¹ კიტა აბაშიძე, ეკ.გაბაშვილის საყმაწვილო მოთხრობები, საყმაწვილო. ლიტ. მოამბე, თბ. 1972, გვ. 137.

მადგენელთა დაუნდობლობასა და გულქვაობას. ბიძამ ვითომდა სწავლის მიზნით იმერეთიდან ჩამოყვანილი სვიმონიკა მიაბარა ერთ ბოროტ დედაკაცს - ელისაბედს, რომელმაც საწყალი ბავშვი ხელზე მოსამსახურედ გაიხადა, ცემისაგან ისე გამოაშტერა, რომ არაფერი შეცადინებოდა აღარ შეეძლო, რის გამოც კიდევ დამატებით სასჯელს იღებდა. ბოლოს, ახალი წლის დამეს ბაზრიდან მომაგალს თაფლით საგსე საქონლის ჯამი გაუტეხეს, გაკაპახებულმა ელისაბედმა ცემისაგან სიკვდილის პირას მისული ბიჭი სახლიდან გამოაგდო. და დარჩა გამოუცდელი უსახლკარო ბავშვი განახჩახებული ქალაქის პირისპირ მარტოდმარტო. ბავშვის ფსიქიკის კარგად მცოდნე მწერალმა იცის, რომ ბავშვის ბუნება ისეთია, რომ გაჭირვებისასაც კი რაიმე თავშესაქცევს ეძებს. სვიმონიკას ყურადღებაც მიიპყრო გოლოგინის პროსპექტზე ათასნაირად განათებულმა ვიტრინებმა. როცა ყინვამ ძალიან მოუჭირა, წასასვლელიც აღარსად პოინდა, წამოწვა ერთი ასასის გარეთ გაშლილ ლოგინთან და ნელნელა გათბა: "სვიმონიკა უფრო იკუნტებოდა და ასასის ლოგინს ეკვროდა". ასე ამთავრებს მოთხრობას მწერალი და ათასნაირ საფიქრალს უტოვებს მკითხველს. ადრინდელ გამოცემებში ეს ფინალი უფრო ვრცელი იყო. იქ მეტად იგრძნობოდა ამ ორ საწყალ ადამიანს შორის უცბად დამყარებული თანაგრძნობა და სითბო. ასასი აშკარა სიზმარში ხედავდა თავის შვილს, რომელიც კანკალუბდა და მათხვრობდა. "ამიტომ მაშამ სხვისი შვილი მიიკრა გულთან, თბილად ამოუკეცა თავისი ქურქი გვერდებში და მხარზე ხელი გადასდო, ლოყა ლოყაზე მიადო და დაშოშმინდა. სვიმონიკაც გათბა, კანკალი შეწყვიტა და ცრემლიანი ლოყები სხვა მშობლის მხურვალე ლოყებზედ შეიშრო". ბოლო გამოცემაში, როგორც აღვნიშნეთ, ეს დაბოლოება მწერალმა მოხსნა, მაგრამ მაინც იგრძნობა, არც პატარა სვიმონიკა დატოვა მწერალმა თანაგრძნობისა და მფარველობის გარეშე.

კვლავ აბაშიძემ მაღალი შეფასება მისცა ამ პატარა მოთხრობას და აღნიშნა: "ვისაც კი შეეხო მისი კეთილმოსურნე ხელი, ყველა გაბადადამიანა, ყველას ღვთაებბრძვი სული შთაბერა".

სხვა კუთხით აფასებს ამგვარ თხზულებებს მის.ზანდუკელი: "მასში /ეკვაბაშვილში. ნ.ს./ რომანტიკული წერის მანერაც საკმარისად მძლავრად მუდგანდება. წერის მანერის თვალსაზრისით ის ხშირად ნეორომატიკულ სკოლას უახლოვდება. მწერალს ხშირად

ცხოვრების სინამდვილე კი არ იზიდავს, არამედ განსაკუთრებული, გამონაკლისი მოვლენა¹.

ახალი წელი ზოგიერთ ოჯახს სიმწრით უთენდება და მწერლის თვალს არც ეს შემთხვევები რჩება შეუნიშნავი. მართალია, საბავშვო წარმოებებში იგი მზერას არიდებს მწვავე კლასობრივი წინააღმდეგობის ჩვენებას, მაგრამ ზოგჯერ თვალს ვერ ხუჭავს იმ სიბუნაგესა და სილატაკეზე, ვლენის ოჯახში მაგრად რომ მოუკიდია ფეხი. გაძვალტყავებული ნინიკას /"ღვინია გადაიჩეხა"/ საახალწლო სამზადისი ერთი ურეში შეშის გაყიდვით უნდა ამოწურულიყო. ამ ბატარა იმედის ასრულებაც ვერ ეღირსა საწყალ ვლენს. საახალწლო სამზადისს ყველა ბაზარზე გამოუყვანია, ზოგი გასაყიდად, ზოგიც საყიდლად. ნინიკაც მათ რიცხვში ურევია. მოედანი გაჭედლია შეშის ურძებით და მისი ადგილი არც არის. პოლიციელი ქვევით უთითებს და ისიც იძულებულია, დაჟარდნილ ხარებს გაყიბულ დაღმართზე ჩაუძვვს. ერთ ხარს ფეხი დახეთქილ ყინულში ჩაუგარდება, მეორე გაუსნლტება და ორივე წინა ფეხით გაიშოტება. შეშა გვერდზე გადაიხრება და ურეშაც თან გადაიტანს. ნინიკასათვის ეს ორმაგი უბედურებაა: ხარი უკვდება, შეშას თითქმის უფასოდ ეზიდებიან ჩარჩვაჭრები და ოჯახიც საახალწლოდ გამოცარიელებული რჩება. ღვინია ხრიალვებს. ეუბნებიან: "დაკალიო" და აქ მწერალი დიდი ფსიქოლოგიის თვალით აღწერს ნინიას განცდებს: "განა ღვინია ნინიკასთვის მარტო საქონელი იყო და სხვა არაფერი? არა, ღვინია იყო იმისი იმედი, იმისი მარჯვენა ხელი და განა მარჯვენას მოიჭრის ვინმე, ვინდა ის მარჯვენა სამუშაოდაც აღარ ვარუოდეს?" ნინიკას ოჯახში შემზარავად გაისმა ეს ორი სიტყვა: "ღვინია გადაიჩეხა"... და ოჯახის ქვითინი ძველ წელთან ერთადაც არ შეწყვეტილა.

როგორც ვხედავთ, ამ მოთხრობაშიც მწერალი იმდენად ხილარობის გამომწვევე მიზეზით კი არ არის დაინტერესებული, რამდენადაც ღარიბი ოჯახისადმი თანაგრძნობითა და თანადგომით. თუმცა ეკვაბაშვილი ნათლად გვჩვენებს, არიან ისეთებიც, რომლებსაც არც თანამგრძნობთა წრე ახვევია და არც ეკონომიური ხელშემწყობნი, ადამიანები, ღმერთისა და ხალხისაგან მიტოვებულნი.

ეკატერინეს მზესავით ანთებული გული ყველგან პოულობდა სიკეთის ჩანასახს, თვით უვარვის ადამიანთა გამამართლებელ რაღაც

¹ მბ. ზანდუკელი, თხზულებანი, ტ. III, თბ. 1978, გვ. 323.

მიზეზებს, ამ მხრივ გამონაკლისი ჩარჩო-ვაჭარია. ისინი ყველაზე უსა-
მართლონი, გამოძახაგნი და უგულონი არიან. მათ შორის შეუ-
ძლებელია ადამიანური თბილი ვულის მქონე კაცის პოვნა. სწორედ
ასეთ ჩარჩო-ვაჭართა სახეებს ვხვდებით მოთხრობებში: "მაგდანას
ლურჯა", "უსინათლო ლექსო" და სხვ.

მწერალს განსაკუთრებულად აღუდევებს თბილ ბავშვთა ბედი,
რომლებსაც თუ სოფელი არ ამოუდგება მხარში, შიმშილითა და
უპატრონობით სიკვდილი ელით. მაგდანა თავის პატარებს მაწვნის
გაყიდვით არჩენდა. "იმდენს შოულობდა ამ ვაჭრობით, რომ შიმშილით
არ მოშკვდარიყო და ცარიელი ლუკმა მაინც მიეწვდინა თავის თბლე-
ბისათვის". ამიტომაც მის ცხოვრებაში სასწაულებრივად აღიქვეს ერთი
დაგრძობილი ვირის გამოჩენა. ბავშვებმა მოასულაიერეს, გამოაკეთეს
და მაგდანასაც შეეძვე გაუჩნდა. ერთ-ორად მეტი მაწვნები მიჰქონდა
ქალაქში, ვაჭრობაშიც გაიწაფა და სახლშიც მეტი სიხარული დაამ-
კვიდრა.

ამ პატარა ბედნიერებასაც მალე საფრთხე დაემუქრა. ერთხელ
ვერის აღმართზე ერთმა ღონიერმა ჯორმა გვერდი გაპკრა მაგდანას
ლურჯას და მაწვნის ქილები გაუტეხა. მთლად გამურულმა მენახშირემ
იცნო თავისი სახედარი და წართმევა დაუპირა. მაგდანა თავის
მარჩენალს აგრე იოლად ვერ შეეღობა და სასტიკი წინააღმდეგობა გაუ-
წია. ჩარჩმა სასამართლოში უჩივლა.

შესანიშნავად არის დახატული ბავშვების განცდები სახედართან
დაკავშირებით. თუ მაგდანასათვის ვარი პატრონი, მარჩენალია, პატა-
რებისათვის ის, პირველ ყოვლისა, მეგობარია, ახლობელი, საყვარელი
საზრუნავი, რომელთანაც წმინდა ბავშვური გრძნობა აკავშირებთ.
ამიტომ შეწუხებული მიხა მის დაცვას კისრულობს სიცოცხლის ფასად:
"დედა, მოდი მე ზედ შემსვი და მანამ არ მომკლავენ, ძირს არ ჩამო-
ვად". ხან მთიულეებში გადამაღვას უბირებს. აზრებს რომ არ მოუ-
წონებენ, ახლა თვით ლურჯას ეხვეწება: "შენ ნუ წაპყვები იმ თხერ
მენახშირეს, ნუ წაპყვები, შენი ჭირიძე. და ამ სიტყვებთან ორიგე
ხელით შემოეხვია ლურჯას კისერზე". აი, აქ გამოჩნდა სოფლისა და
ხალხის ძალა. გლეხობის ერთსულოვნებამ ნაყოფი გამოიღო. სოფელმა
დაუმოწმა მაგდანას, რომ სახედარი დაგარდნილი იპოვა და მოა-
სულიერა. ეგებ ეს ხალხოსნური იდეოლოგიიდან წამოსული დასკვნაა,
მაგრამ მწერალმა თავის მრწამსს არ უღალატა, გასაჭირში ქალი
მარტო არ დატოვა და მთელი სოფელი ამოუყენა გვერდით. სოფელი

თბილია და სამართლიანი, ამავე დროს გულმონწყალეც. თუ შენი გასაჭირი მათ გულისყურამდე მივიდა, დახმარების ხელს აუცილებლად გამოგიწვდიან.

ჩარჩ-გაჭრებთან ერთიანი ბრძოლაა საჭირო, თორემ ისინი ბატონისან ხალხს დაღუპავენ. საშინელია ქალაქელი ჩარჩის - დარჩოს სახე მითხრობაში "უსინათლო ლექსო". დარჩო მარტირუზიანი დანგრეული ალიზის სახლში ცხოვრობს. სოფლიდან ჩამოიყვანა აგადმყოფობისაგან დაბრძანებული ლექსო, შეაგროვა ხუთიოდე უსინათლო და გააგზავნა სამათხოვროდ. თან ამდერებდა, აცეკვებდა, რათა მეტი ფული ეშოკათ და დარჩო გაემდიდრებინათ. ლექსოს აგონდებოდა სოფლის მინდვრის სიო, ტყის მყუდროება, ანკარა წყაროები და გული ტკივილით ევსებოდა. დააგადმყოფდა ბაგში, არც სიცხე ჰქონდა, არც თავს იტკივებდა, არც აწველებდა, მაგრამ მთლად ჩამოდნა და მკვდარს დაემსგავსა. დროზე მოუსწრო სოფლიდან ბიძამ, რომელმაც "ღვთის შვილის" დაჩაგვრას არავის აბატებდა.

ხალხის შემწეობა ზოგჯერ იგვიანებს, მაგრამ ეს მანც ისეთი სიკეთეა, რომ მწერალს ადამიანის ყველაზე დიდ მოვალეობად მიანიბა, შემზარავია თინას /"თინას ლექსური"/ საბოლოო ცეკვა. ობლების ლუკმის ვასანენად თავი რომ არ დაიზოგა და ძალმინდელი მოხუცი ახალგაზრდა კაცს გამოეთამამა, მაგრამ მანც იმედის მომცემია ფინალი. მოხუცი თინათინას უცაბუდი სიკვდილი, შვილიშვილების ღრიალი და ბოლოს სმამალალი ძახილი: "მონწყალეობა ობლებს!" "თინას ლოცვა ასრულდა: იმან სამუდამოდ განისვენა და მისმა უკანასკნელმა "საბაშმა" მის ობლებს ლუკმა გაუჩინა".

"თინას ლექსური" სხვა ღირსებებთან ერთად მინიატორული პროზის ნიმუშია. ამ მხრივ იგი ღირიკული პროზის პირველი სახეა. ასევე საყურადღებოა მწერლის პატარა მინიატურა "ნაკადული". ეკ-გაბაშვილი ნაკადულისადმი ისეთივე დამოკიდებულებას იჩენს, როგორსაც ვაჟა-ფშაველა მთის წყაროსადმი. მსოფლოდ სულ სხვაგვარად გამოთქვამს თავის შეხედულებას, ვიდრე დიდი ვაჟა. თუ ვაჟასთან მდინარეები, წყაროები, მთები თვითონ საუბრობენ, ეკ-გაბაშვილი თვითონ ესაუბრება ამ სახეებს და თავის დამოკიდებულებას გვიზიარებს.

ნაკადული თავისი სიღამაზით ატკბობს და ამშვენებურებს გარემოს. იგი მომნიბლავია დარშიც და ავდარშიც, დილითაც და საღამოთიც: "მიყვარს ნაკადული, პატარა, ანკარა, ღუღუნ-ჩუნჩუნით

ტკბილად მომაგალი, თავის ვიწრო, ათასფერად აყვავებულ სა-
წოლში".

მწერალს ნაკადული განსაკუთრებით მაშინ უყვარს, როცა იგი
აცოცხლებს გარემოს, "იგი სიცოცხლის მომასწავლებელია, ის არის
გამაცოცხლებელი, სულისჩამდგმელი, ედემად მქცევნი გამხმარი შავი
დედამიწის გულისა, დედამიწის ძალ-ღონისა და შიგ დამარხული სიმ-
დიდრის ძარღვის გამხსნელი".

ეკ.გაბაშვილის შემოქმედებაში მნიშვნელოვან ადგილს იჭერს
სწავლა-აღზრდის პრობლემა. განათლების ასპარეზზე მოდგაწე
მწერალს კარგად ესმოდა სწავლის მნიშვნელობა ქვეყნის წინსვლისა
და განვითარების საქმეში.

ავტობიოგრაფიულ მითხრობაში "მოვონება" ეკ.გაბაშვილი წერს:
"ერთმა დიდმა ფილოსოფოსმა თქვა: — იმ კაცმა, რომელმაც თავის
სიცოცხლეში საძი ხე დარგო, ახარა და ნაყოფი გამოაღებინა, შეიძლება
სთქვას, რომ ჩემი ადამიანური მოვალეობა ავასრულეო, ქვეყნის
ცხოვრების საღაროში ჩემი წვლილიც შევიტანეო. და ის კაცი ხომ,
რომელიც სამს ადამიანს მაინც ასწავლის წერა-კითხვას, უდიდესი
მადლობის ღირსია ადამიანთაგანო". მაშინ ეს დარიგება მთელი
ცხოვრების მანძილზე გაჰყვა მომაგალ მწერალს და თავისი ცხოვრების
მთავარ აზრად აქცია. მეორე მითხრობაში "ახალი წელიწადი ძველს
სასოფლო სკოლაში" უკვე კარგი პედაგოგის მეტად საინტერესო სახეს
გვინატავს. ვარდიანის სასოფლო სკოლა მასწავლებელმა და მოს-
წავლეებმა სადღესასწაულოდ მოაწყვეს და მშობლებს თავისი ძალიანი
ცოდნის დონე უჩვენეს. ბავშვებმა ხალხით წაიკითხეს რ. ერისთავის
"საშობლო სევსურისა", ხალხური "ღამის მეხრე", და სხვა მრავალი.
"შუაღამე გადასული იყო, როდესაც ხალხმა მასწავლებელს ამგვარის
ვინიერული გართობისათვის მხურვალე მადლობა გადაუხადა და მნი-
არული და კმაყოფილი, თავის სახლისაკენ გაეშურა".

ეკ.გაბაშვილმა კარგად იცის, რომ სწავლა ბავშვმა ნორმალურ
პირობებში უნდა მიიღოს, თორემ თუ იგი წამებად გაქცევთ,
ახლობლებს და მშობლებთან განშორების ფასად დაფუსვით ჩვენს
პატარებს, მაშინ უმწეო ვარდივით ნაადრევად დაჭკნებიან და
საშუალოდ გუფს აცრრუებენ სკოლაზე. ასეთი აზრია გატარებული
მითხრობაში "სწავლის გულისათვის". პატარა ნინუცა პეტერბურგის
ინსტიტუტში მიაბარეს. საშობლოსა და მშობლებს დაცხილებული
ბავშვი გაუჩნებელმა დარდმა შეიპყრო და ისე დასნეულდა, რომ

დედას რომ არ მიესწრო, აუცილებლად დაიდუპებოდა. მომაკვდავს თავისი დედა და სახლი ელანდებოდა და ნაცნობი სმა რომ გაიფო, იფიქრა: "ნუთუ ნატურა ამისრულდა... დასუსტებული დატორტმანდა და, მოულოდნელი ბედნიერებით გულშემოყრილი, მშობლის უაშლილ ხელებში ჩავარდა".

ასევე უჭირს დედასთან განშორება პატარა მაშოსაც /"დედის მარჯვენა ხელი"/, რომელიც გორში ჩამოუყვანიათ და პოლონელის ოჯახში მიუბარებიათ მოსამზადებლად. იგი იპარება საკმაოდ კარგი და მოწესრიგებული ოჯახიდან და დიდი დაბრკოლების შემდეგ მიდის თავის სოფელში, სადაც გულშემოყრილი დედა ეგულება. აქ იგივე პრობლემაა დასმული, რაც გოგებაშვილის აგტობიოგრაფიულ მოთხრობაში "ნატის მიწეზე". დიდ პედაგოგთან სწავლის სურვილი ყველაფერს ამარცხებს, ეკ.გაბაშვილთან ეს საკითხი უფრო ფსიქოლოგიური თვალსაზრისით შექდება.

ბავშვებისა და ცხოველ-ფრინველთა მეგობრობას ეხება ეკ.გაბაშვილის მოთხრობები "დარო რამ დააჭკვიანა", "ნატურა ჩემია", "ორი ნიშა" და სხვ. პატარებმა კარგად იციან, რომ ცხოველებსა და ფრინველებს მოვლა-პატრონობა სჭირდებათ და ისინიც მზად არიან, ვადაარჩინონ და ისინი ისინი შიმშილისაგან.

ამგვარად, ეკ.გაბაშვილის მოთხრობებში წამოყენებულია სიკეთის, პუშანიზმის იდეები, და საერთოდ, ყველა მაღალწინებრივი კატეგორიები. მისი ნაწარმოების ძირითადი პერსონაჟები უშუალოდ ყმაწვილები არიან, რომელთა თვალთაა დანახული მთელი სამყარო თავისი მრავალფეროვნებითა და შუქ-ჩრდილებით. კარგი ფსიქოლოგის თვალთა და მაღალი მხატვრული ოსტატობითაა დახატული მათი ამა თუ იმ მოქმედების მიწეწილა და მიზანიც.

ეკ.გაბაშვილის მოთხრობები მნიშვნელოვან ეტაპს ქმნის ქართული საყმაწვილო ლიტერატურის ისტორიაში და გზას უკვალავს მომდევნო თაობის პროფესიონალ საბავშვო მწერალთა ლიტერატურულ მოღვაწეობას.

შინაარსი

შესავალი	3
იაკობ გოგებაშვილი	8
ილია ჭავჭავაძე	38
აკაკი წერეთელი	69
ვაჟა-ფშაველა	103
ქართველ ხალხოსან მწერართა	
საბავშვო ნაწარმოებები	133
ნიკო ლომოური	137
სოფრომ შვალთბლიშვილი	149
ეკატერინე გაბაშვილი	158

მთლიან

10⁵/17

